

მაცნე

675-ი

1974

ისტორიის, არქეოლოგიის,
ეთნოგრაფიისა და
ხელოვნების ისტორიის
სერია

144

1.1974

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
საზოგადოებრივ მეცნიერებათა
განყოფილება

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
Отделение общественных
наук

თბილისი-1974 ТБИЛИСИ



ՄԱՇԻՆԵ ՎԵՍՏՆԻԿ

Серия истории,
археологии, этнографии и
истории искусства

1.1974


გაცნე

(47.43)06

2.42.

ისტორიის, არქეოლოგიის,
ეთნოგრაფიისა და
ხელოვნების ისტორიის
სერია

217397



საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

1.1974

სარედაქციო კოლეგია: ა. აფაქიძე, ვ. ბერიძე, ვ. გაბაშვილი,
ი. კაჭარავა (რედაქტორის მოადგილე), რ. კიკნაძე (რედაქტორის მოადგილე),
გ. მელიქიშვილი (რედაქტორი), გ. ჩიტაია, ლ. ჭილაშვილი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: А. М. Апакидзе, В. В. Беридзе,
В. Н. Габашвили, Ю. М. Качарава (зам. редактора), Р. К. Кикнадзе (зам. редактора),
Г. А. Меликишвили (редактор), Г. С. Читая, Л. А. Чилашвили.

პასუხისმგებელი მდივანი ე. ვაშაკიძე
Ответственный секретарь Э. Вашакидзе



შ ი ნ ა ა რ ს ი

წიგნი

ი. პაჭკარაძე, ვ. ი. ლენინი ისტორიული მეცნიერების ამოცანათა შესახებ	7
დ. გულია, ინგლისი და 1812 წლის ბუჟარესტის ზავი	21
ა. ჩოხელი, 1917 წლის 23 დეკემბრის ინგლის-საფრანგეთის შეთანხმების როლისა და პედის შესახებ	34
ვ. ადამია, XIX საუკუნის მიწურულის საქართველოს სავაჭრო მიწათმოქმედების განვითარების ისტორიიდან	45
ბ. ორჟონიძე, „ნასყიდი“ მიწის როლი გლეხის მეურნეობაში და ბატონყმობი-საგან თავდახსნის პროცესი XIX საუკუნის რეფორმამდელი ხანის საქართვე-ლოში	58
ვ. იტიშვილი, ჯვრის უღელტეხილის სახელწოდებანი	74

ცნობები და შენიშვნები

თ. მორჩაძე, სამთავროს ანტიკური პერიოდის კერამიკული მასალის პეტროგრა-ფიული შესწავლა	91
თ. ბერაძე, დასავლეთ საქართველოს ზოგიერთი გეოგრაფიული ადგილის ლოკა-ლიზაციისათვის	96
მ. შილაძე, ქართული ფანდურის წარმომავლობის შესახებ	98
ზ. ალექსიძე, რელიგიური სიტუაციის შესახებ VI საუკუნის კავკასიაში	103
ი. ტაბაღაძე, ახალი ცნობები ქეთევან დედოფლის წამების შესახებ	111

დისკუსია და პანელი

ივ. სურგულაძე, ა. ბანდინიშვილი, ო. სოსელია, ლ. ტუხაშვილი, გამოსმა-ურება პროფ. ირ. ანთელავას წერილზე „ცვლილებები XVIII საუკუნის საქარ-თველოს ფეოდალურ მიწათმფლობელობაში“	122
---	-----

პრობლემა და ბიბლიოგრაფია

მ. ნათელაძე, ფარნაოზ ლომაშვილი, დიადი გადატრიალება	132
ზ. რუხაძე, ლ. ბედუიძე, ხალხური ავეჯი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში	138
რ. ლომიძე, ჯ. ვათეიშვილი, რუსული საზოგადოებრივი აზრი და პრესა XIX საუკუნის პირველი მესამედის კავკასიაში	142

პრობლემა და ინფორმაცია

შალვა ამირანაშვილის დაბადების 75 წლისთავი	145
პროკოფი რატინის დაბადების 60 წლისთავი	148
ლ. ბერიძე, ლენინური იდეების დემონსტრაცია	150
ლ. ჩხეიძე, ეთნოგრაფიული ექსპედიცია გურიაში	155
მ. აბდუშელიშვილი, ე. ვირსალაძე, ბ. მელიქიშვილი, ანთროპოლოგიურ და ეთნოლოგიურ მეცნიერებათა IX საერთაშორისო კონგრესი	165
ლ. ფრუიძე, ფასისის ლოკალიზაციის პრობლემა	173
რ. კლიშინაშვილი, დიდმნიშვნელოვანი სამეცნიერო კონფერენცია	175

ისტორიული თარიღები

ვ. ზამრავაძე, სანკტ-პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის პირველი სამეც-ნიერო ექსპედიცია საქართველოში	178
ქრისტინე შარაშიძე (ნეკროლოგი)	192
თამარ გამსახურდია (ნეკროლოგი)	194

СОДЕРЖАНИЕ

СТАТЬИ

И. КАЧАРАВА, В. И. Ленин о задачах исторической науки	7
Д. ГУЛИА, Англия и Бухарестский мир 1812 года	21
А. ЧОХЕЛИ, О роли и судьбе англо-французского соглашения 23 декабря 1917 г.	34
В. АДАМИЯ, Из истории развития торгового земледелия в Грузии в конце XIX в.	45
Э. ОРДЖОНИКИДЗЕ, Роль купленной («наскиди») земли в крестьянском хозяйстве и процесс освобождения от крепостничества в дореформенной Грузии XIX в.	58
В. ИТОНИШВИЛИ, Названия Крестового перевала	74

СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ

Т. МОРЧАДЗЕ, Петрографическое изучение керамического материала античного периода Самтавро	91
Т. БЕРАДЗЕ, К локализации некоторых географических пунктов Западной Грузии	96
М. ШИЛАКАДЗЕ, О происхождении грузинского пандури	98
З. АЛЕКСИДЗЕ, О религиозной ситуации на Кавказе в VI веке	103
И. ТАБАГУА, Новые сведения о мученичестве царицы Кетеван	111

ДИСКУССИЯ И ОБСУЖДЕНИЕ

И. СУРГУЛАДЗЕ, А. БЕНДИАНИШВИЛИ, О. СОСЕЛИА, Л. ТУХАШВИЛИ, Отклики на статью проф. И. Антелава «Изменения в феодальном землевладении Грузии в XVIII в.»	122
---	-----

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

М. НАТМЕЛАДЗЕ, П. Н. Ломашвили, Великий переворот	132
Дж. РУХАДЗЕ, Л. Бедукидзе, Народная мебель горных районов Восточной Грузии	138
Р. ЛОМИНАДЗЕ, Дж. Л. Ватейшвили, Русская общественная мысль и печать на Кавказе в первой трети XIX в.	142

ХРОНИКА И ИНФОРМАЦИЯ

75-летие со дня рождения Ш. Амиранашвили	145
60-летие со дня рождения П. Ратиани	148
Л. БЕРИДЗЕ, Демонстрация ленинских идей	150
Л. ПРУИДЗЕ, Этнографическая экспедиция в Гурии	155
М. АБДУШЕЛИШВИЛИ, Е. ВИРСАЛАДЗЕ, Г. МЕЛИКИШВИЛИ, IX Международный конгресс антропологических и этнологических наук	165
Л. ПРУИДЗЕ, Проблема локализации Фасиса	173
Р. КЛИМИАШВИЛИ, Важная научная конференция	175

ИСТОРИЧЕСКИЕ ДАТЫ

В. ГАМРЕКЕЛИ, Первая научная экспедиция Санкт-Петербургской академии наук в Грузии	178
Кристине Шарашидзе (некролог)	192
Тамар Гамсахурдиа (некролог)	194

წ ე რ ი ლ ე ბ ი

იური კაჭარავა

3. ი. ლენინი ისტორიული მეცნიერების ამოცანათა შესახებ¹

3. ი. ლენინი მსოფლიო მეცნიერების ისტორიაში შევიდა როგორც გენიალური ისტორიკოსი. მან ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში გამდიდრა ისტორიული მეცნიერება ეპოქალური მნიშვნელობის შრომებით, რომლითაც საფუძველი ჩაეყარა მარქსისტული ისტორიული მეცნიერების ახალ, ლენინურ ეტაპს.

3. ი. ლენინის შრომებში მეცნიერულადაა ახსნილი რუსეთის ისტორიული განვითარების თავისებურებანი და კანონზომიერებანი. მან თავის შრომებში მეცნიერული სიღრმით გააშუქა რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ გარდაქმნათა ისტორია, წარმოაჩინა რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის წანამძღვრები, მისი მამოძრავებელი ძალები და ხასიათი.

3. ი. ლენინმა შექმნა ერთ, ცალკე აღებულ ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და კომუნისტური საზოგადოების აშენების შესაძლებლობათა შესახებ მწყობრი მეცნიერული მოძღვრება. 3. ი. ლენინმა დაამუშავა თეორია კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გარდამავალი პერიოდის, პროლეტარიატის დიქტატურის კანონზომიერებისა და მისი ფუნქციების შესახებ, შექმნა უკლასო საზოგადოების მშენებლობის მეცნიერული გეგმა.

3. ი. ლენინი, ყოველივე აღნიშნულის გამო, წარმოგვიდგება, როგორც თანამედროვეობის კვლევის უბადლო ოსტატი, რომლის შრომებშიც ბრწყინვალეა დააშეხამებული მკაცრი მეცნიერული ობიექტურობა მეზობელ პროლეტარულ პარტიულობასთან.

ისტორიულ მეცნიერებაში მკაცრი მეცნიერული ობიექტურობისა და მებრძოლი პარტიულობის შეხამების აუცილებლობაზე ჯერ კიდევ დიდი რუსი მოაზროვნე ნ. გ. ჩერნიშევსკი მიუთითებდა. იგი ისტორიული მეცნიერების ამოცანას ხედავდა წარსულის არა მარტო ადეკვატური სურათის გადმოცემაში, არამედ წარსულის მეცნიერულ ახსნაშიც, რაც შეუძლებელია გარკვეული თვალსაზრისის გარეშე. „ისტორიის პირველი ამოცანაა, — წერდა ნ. გ. ჩერნიშევსკი, — გადმოსცეს წარსული; მეორე, რომელსაც ყველა ისტორიკოსი არ ასრულებს, — ახსნას ის, გამოიტანოს მის მიმართ განაჩენი. ისტორიკოსი, რომელიც არ ზრუნავს მეორე ამოცანაზე, რჩება უბრალო მემკვიდრედ და ჩიხის ნაწარმოები მხოლოდ მასალაა ჯეშმარიტი ისტორიკოსისათვის, ან ცნო-

¹ მოხსენდა საქართველოს კომპარტიის ისტორიის ინსტიტუტის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, რესპუბლიკის შემოქმედებითი კავშირებისა და ორგანიზაციების სამეცნიერო-თეორიულ კონფერენციას 1974 წლის 21 იანვარს, იბეჭდება მცირე ცვლილებებით.

ბისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად საკითხავი წიგნია. ისტორიკოსი, ასრულებს რა მეორე ამოცანას, ხდება მოაზროვნე, ხოლო მისი შრომა იძენს მეცნიერულ ღირსებას“².

ვ. ი. ლენინმა თავის შრომებში, მარქსისტული მეთოდოლოგიის მომარჯვებით, არა მარტო გადმოსცა რუსეთის ისტორიის ფაქტები და მოვლენები, არამედ ახსნა ისინი და სათანადო განაჩენიც გამოუტანა თავადაზნაურულ, ბურჟუაზიულ რუსეთს. ამიტომ რუსეთის ისტორიული განვითარების ლენინური კონცეფცია ღრმად მეცნიერულია და თანმიმდევრულად რევოლუციური. ეს კონცეფცია საფუძვლად დაედო პროლეტარიატის განმათავისუფლებელი ბრძოლის სტრატეგიასა და ტაქტიკას.

ვ. ი. ლენინმა თავის გენიალურ შრომებში არაერთგზის მოგვცა ისტორიული მეცნიერების საგნისა და მეთოდის, მისი ამოცანების ზუსტი და ამომწურავი განსაზღვრა. ვ. ი. ლენინმა, გამოდიოდა რა ისტორიული მეცნიერების დიდი საზოგადოებრივი ფუნქციის აღიარების ფაქტიდან, ჩამოაყალიბა ისტორიული მეცნიერების რიგი კონკრეტული ამოცანა.

ვ. ი. ლენინი, ავითარებდა რა მარქსისტულ მოძღვრებას, ისტორიულ მეცნიერებას უსახავდა ისეთ ამოცანებს, რომელთა შესრულება მას მისცემდა საშუალებას წარმატებით განეხორციელებინა თავისი საზოგადოებრივი ფუნქცია და გამხდარიყო პროგრესული, რევოლუციური კლასისა და მისი პარტიის პოლიტიკის მეცნიერული საფუძველი. ამ ამოცანათაგან შეგჩერდებით ძირითადზე.

პირველი ძირითადი ამოცანა, რომელსაც ვ. ი. ლენინი უსახავდა ისტორიულ მეცნიერებას, არის საზოგადოებრივი მოვლენების კონკრეტული ისტორიული პირობებში და მთლიანობაში შესწავლა.

ისტორიული მეცნიერების მიერ აღმოჩენილი კანონები, „პრაქტიკულ“ გამოყენებას“ პოულობენ ეპოქის ყველაზე პროგრესული კლასის ხელში, როდესაც იგი ხდება ამ კლასის პოლიტიკის მეცნიერული საფუძველი. ამისათვის აუცილებელია ორი უმთავრესი პირობის დაცვა: ერთი, ადამიანთა საზოგადოების ისტორია, საზოგადოებრივი ცხოვრების ფაქტები და მოვლენები შესწავლილ უნდა იქნას არა აბსტრაქტულად და ზოგადად, არამედ კონკრეტულად, კონკრეტულ-ისტორიულ პირობებში; მეორე, ადამიანთა საზოგადოების ისტორია, საზოგადოებრივი ცხოვრების ფაქტები და მოვლენები შესწავლილ უნდა იქნას არა იზოლირებულად, არამედ მთლიანობაში, ერთობლიობაში. მხოლოდ ამ გზით მიღებული დასკვნები და კანონები გამოდგებიან პროგრესული, რევოლუციური კლასის პოლიტიკის მეცნიერულ საფუძვლად.

კვლევის ასეთ მეთოდს წარმატებით იყენებდა ვ. ი. ლენინი, კერძოდ, ნაროდნიკების წინააღმდეგ ბრძოლის დროს, როდესაც ლენინი აკრიტიკებდა მეცნიერული კვლევის ნაროდნიკულ, აბსტრაქტულ მეთოდს, წერდა: „დაწყება საკითხებით — რა არის საზოგადოება, რა არის პროგრესი? — ეს ზომ ბოლოდან დაწყებას ნიშნავს. საიდან მიიღებთ წარმოდგენას საზოგადოებასა და პროგრესზე საზოგადოდ, როცა თქვენ ჯერ კიდევ არც ერთი საზოგადოებრივი ფორმაცია არ შეგისწავლიათ კერძოდ, თვით ეს ცნებაც კი ვერ დაგიდგენიათ, ვერც

² Н. Г. Чернышевский, Избр. соч. («Эстетика и критика»), 1934, гл. 125.

კი შესდგომიხართ რომელიმე საზოგადოებრივ ურთიერთობათა სერიოზულ ფაქტიურ შესწავლას, ობიექტურ ანალიზს? ეს ყველაზე თვალსაჩინო ნიშანია მეტაფიზიკისა, რომლითაც ყოველი მეცნიერება იწყებდა: სანამ არ იცოდნენ, თუ როგორ შესდგომოდნენ ფაქტების შესწავლას, ყოველთვის თხზავდნენ *a priori* ზოგად თეორიებს, რომლებიც ყოველთვის უნაყოფო რჩებოდნენ“³.

ვ. ი. ლენინი, ამასთან, გადაჭრით გმობდა ამა თუ იმ საზოგადოებრივ პროცესის შესწავლის დროს მოვლენათა საერთო ჯაჭვიდან ცალკეული ფაქტის ამოგლეჯას, მაგალითებით თამაშს. იგი დაბეჯითებით მოითხოვდა საზოგადოებრივი მოვლენებისა და ფაქტების შესწავლას მთლიანობაში. ვ. ი. ლენინი წერდა: „საზოგადოებრივი მოვლენების სფეროში არ არსებობს იმაზე უფრო გავრცელებული და უფრო უსაფუძვლო ხერხი, როგორიცაა ცალკეული ფაქტების ამოგლეჯა, მაგალითებით თამაში. მაგალითების შერჩევა საზოგადოდ ძალიან ადვილია, მაგრამ ამას არც არავითარი მნიშვნელობა აქვს, ანდა ის წმინდა უარყოფითი ხასიათისა იქნება. ვინაიდან მთელი საქმე ცალკეულ შემთხვევათა ისტორიულ კონკრეტულ ვითარებაში მდგომარეობს. ფაქტები, თუ მათ ავიღებთ მათს მთლიანობაში, მათს კავშირში, არათუ „ჯიუტი“ რამ, არამედ უსათუოდ დამამტკიცებელი საბუთიც არის. წვრილმანი ფაქტები, თუ ისინი აღებულია მთლიანის გარეშე, კავშირის გარეშე, თუ ისინი ნაწყვეტ-ნაწყვეტი და მოგონილია, სწორედ რომ მხოლოდ სათამაშოს ან კიდევ რაღაც უარეს რამეს წარმოადგენენ“⁴. იმისათვის რომ „ნამდვილად გაიცნოთ საგანი, საჭიროა, — გვირჩევდა ლენინი, — მოიცვათ, შეისწავლოთ ყველა მისი მხარე, ყველა მისი კავშირი და „გამეშვევება...“ ყოველმხრივობის მოთხოვნა უზრუნველგვყოფს შეცდომებისა და გახეხებისაგან“. მხოლოდ ასეთი კვლევის მიღებული დასკვნები და თეორიული დებულებანი შეიძლება დაედვას საფუძვლად პროგრესული, რევოლუციური კლასის პოლიტიკას.

მეორე ძირითადი ამოცანა, რომელსაც ვ. ი. ლენინი უსახავდა ისტორიულ მეცნიერებას, არის მეცნიერული კვლევის წარმართვა შედარებითი-ისტორიული მეთოდის გამოყენებით.

ვ. ი. ლენინმა თავის ერთ-ერთ ადრინდელ ნაშრომში აღნიშნა შედარებით-ისტორიული მეთოდის გამოყენების დიალექტიკურ-მატერიალისტური საფუძვლები: „მატერიალურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ანალიზმა, — აღნიშნავდა ლენინი, — ერთბაშად მოგვცა შესაძლებლობა შეგვენიშნა განმეორებითობა და სისწორე და საზოგადოებრივი ფორმაციის ერთ ძირითად ცნებად განგვეზოგადებინა სხვადასხვა ქვეყნის წესები. მხოლოდ ასეთმა განზოგადებამ შეგვაძლებინა გადავსულიყავით საზოგადოებრივი მოვლენების აწერისაგან (და მათი შეფასებისაგან იდეალის თვალსაზრისით) მათს მტკიცე მეცნიერულ ანალიზზე, რომელიც, მაგალითისათვის რომ ვთქვათ, გამოაცალკევებს იმას, რაც ერთ... ქვეყანას მეორისაგან განასხვავებს, და რომელიც იკვლევს იმას, რაც მათ საერთო აქვთ“⁵.

ვ. ი. ლენინი შედარებით-ისტორიულ მეთოდს იყენებდა ერთ შემთხვევაში, სხვადასხვა ეპოქის მსგავს მოვლენათა შეპირისპირებისათვის, მეორე შემთხვევაში, ერთი ეპოქის განსხვავებული მოვლენების შეპირისპირებისათვის.

³ ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 1, გვ. 155.

⁴ ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 23, გვ. 359—360.

⁵ ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 1, გვ. 150—151.

პირველს უწოდებენ შედარებით-ისტორიული მეთოდის გამოყენებას „ვერტიკალის“ მიხედვით, მეორეს — „ჰორიზონტალის“ მიხედვით.

ვ. ი. ლენინი შედარებით-ისტორიულ მეთოდს უმათავრესად იყენებდა თანამედროვეობის ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების არსისა და ხასიათის შესასწავლად. ამავე დროს უნდა ითქვას ისიც, რომ ლენინი აღნიშნულ მეთოდს იყენებდა ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების არა ფორმალური შეპირისპირებისათვის, არამედ წარსულის გამოცდილების გამოყენებისათვის, თანამედროვეობის კანონზომიერებათა მეცნიერული ანალიზისათვის. „მე შესაძლებლობა არა მაქვს, — წერდა ლენინი, — სისტემატურად შევაჯამო გასული წლის გამოცდილება, მე გადავხედე წარსულს მხოლოდ იმის თვალსაზრისით, თუ რა დაგვჭირდება ხვალ ან ზეგ ჩვენი პოლიტიკისათვის“⁶.

აქედან ორი დასკვნა მაინც გამომდინარეობს:

კ ე რ ე რ თ ი, ვ. ი. ლენინი დაბეჯითებით მოითხოვდა წარსულის მეცნიერულ შესწავლას, მაგრამ ეს მას სრულიადაც არ მიაჩნდა თვითმიზნად, არც საზოგადოების ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილების საშუალებად. მისთვის ხალხის თუ ერის წარსულის მეცნიერული ცოდნა აწმყოსა და მომავლის გასაღები იყო, მათი გარდაქმნისა და საზოგადოების პატრიოტული და ინტერნაციონალისტური სულისკვთებით აღზრდის საიმედო საშუალება.

ასევე უყურებდნენ წარსულის ისტორიას რუსეთის სოციალ-დემოკრატიის დიდი წინამორბედნი — ბ. ბელინსკი, ა. გერცენი, გ. ჩერნიშევსკი, ნ. დობროლიუბოვი და სხვები. „ჩვენ მივმართავთ წარსულს და გვეოთხებით, — წერდა ბელინსკი, — რათა აგვისხნას აწმყო და მივვითითოს ჩვენს მომავალზე“⁷. „მივაპყრობთ რა თვალს წარსულისაკენ, — წერდა გერცენი, — ჩვენ როგორც იანუსი ვიყურებით მომავლისაკენ“⁸.

„მეცნიერებას და ხელოვნებას ჩვენ ვუყურებთ როგორც ცხოვრების გასამჯობინებელ ღონისძიებათა, — წერდა ი. ჭავჭავაძე, — ჩვენ მეცნიერებასა და ხელოვნებას მოვსთხოვთ არსებითა პურსა ცხოვრებაში გამომცხვარსა და მშვიერთათვის მოსახმარეს და გამოსადეგსა. მეცნიერებამ უნდა გვიშველოს თავის გამოცნობილ ჭეშმარიტებებით ცხოვრების ახსნა და გაგება“⁹.

ა. წერეთელი, როდესაც მიესალმებოდა არქეოლოგთა V ყრილობას, აღნიშნავდა თანამედროვეობის შესწავლის დიდ მნიშვნელობას: „მეცნიერნო! დღეს თქვენ მოსულხართ მისთვის, რომ გაჩხრიკოთ ნანგრევები, ამოიღოთ იქედან ის ნაშთები და ზე-მიპუინოთ მათ შუქი მეცნიერებისა! დიდია თქვენი ის ღვაწლი, მაგაზედ ნაკლები არაა ჩვენი მადლობა! მართო ამითაც, ამ ერთითაც არ თავდება თქვენი სამსახური: თქვენ დღეს მაგალითს აძლევთ სხვებს, რომ იმათაც შეისწავლონ და გამოიკვლიონ ჩვენი აწმყო ისეთივე გულმოდგინებით და სიყვარულით, როგორითაც თქვენ იკვლევთ

6 ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 29, გვ. 163.

7 В. Г. Белинский, Избр. фил. соч., 1948, გვ. 348.

8 А. И. Герцен, Соч., т. IV, 1905, გვ. 137.

9 ი. ჭავჭავაძე, თხზ., სრ. კრებული, ტ. III, გვ. 68 (ხაზგასმა ჩვენი, — ი. კ.).

წარსულს და ეს აუცილებლად საჭირო არის დღეს, თითქმის გამოუკვლეველისა და უცნობის ჩვენის ქვეყნისათვის¹⁰.

„ყოველივე ის, რაც ჩვენი ქვეყნის აწმყოს არ ეკორესპონდირება, — წერდა კ. გამსახურდია, — საგნებით ამაო ხარჯვაა ენერგიისა და ქაღალდისა“¹¹. პროგრესული საზოგადოებრივი ძალები სხვანაირად ვერ განიხილავდნენ წარსულს, ისტორიას, თანამედროვეობას.

მეორე, ყოველი ისტორიული გამოკვლევა უნდა ეხმარებოდეს პროგრესულ საზოგადოებრივ კლასებს, ხელს უნდა უწყობდეს მათი პოლიტიკის გატარებას. ისტორიული მეცნიერება, რომელიც ამას უგულვებელყოფს, იგი ნამდვილად ვერ შეასრულებს თავის დიდ საზოგადოებრივ ფუნქციას.

მესამე ძირითადი ამოცანა, რომელსაც ვ. ი. ლენინი უსახავდა ისტორიულ მეცნიერებას, არის ისტორიზმის პრინციპის ბოლომდე თანმიმდევრული გატარება.

საზოგადოებათმეცნიერებაში ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობის ფაქტორია ისტორიზმი. ვერ ვიტყვით, რომ იგი მხოლოდ ისტორიის მატერიალისტური გაგების მიღწევა იყოს. მას იცნობს პროგრესულ-ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიაც. მაგრამ ისტორიზმის ნამდვილად მეცნიერული გაგება მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების სახელთანაა დაკავშირებული. ვ. ი. ლენინი წერდა: „მარქსისტული თეორიის უთუო მოთხოვნას ყოველგვარი სოციალური საკითხის გარჩევის დროს წარმოადგენს მისი ჩასმა განსაზღვრულ ისტორიულ ჩარჩოებში, ხოლო შემდეგ, თუ ლაპარაკია ერთ ქვეყანაზე (მაგალითად, ნაციონალურ პროგრამაზე ამა თუ იმ ქვეყნისათვის), იმ კონკრეტულ თავისებურებათა აღრიცხვა, რომლებიც ამ ქვეყანას სხვებისაგან განასხვავებენ ერთი და იმავე ისტორიული ეპოქის ფარგლებში“¹².

ისტორიზმი ისტორიული მატერიალიზმის ერთ-ერთი ძირითადი ქვაკუთხედი. „მარქსიზმის მთელი არსი, — წერდა ლენინი, — მთელი მისი სისტემა მოითხოვს, რომ ყოველი დებულება განვიხილოთ მხოლოდ (ა) ისტორიულად; (ბ) მხოლოდ სხვა დებულებებთან დაკავშირებით; (γ) მხოლოდ ისტორიის კონკრეტულ გამოცდილებასთან დაკავშირებით“¹³. საზოგადოებრივი მოვლენებისადმი ასეთი, ისტორიული მიდგომა მიაჩნდა ვ. ი. ლენინს მეცნიერული კვლევის აუცილებელ პირობად.

მეცნიერი, როცა ისტორიზმის პრინციპით ხელმძღვანელობს მას მხედველობაში აქვს ის გარემოება, რომ საზოგადოებრივი მოვლენები წარმოიშვებიან განსაზღვრული პირობების გავლენით და გაივლიან განვითარების რთულსა და წინააღმდეგობრივ გზას. ამის გამო ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა „ყველაზე საიმედო საზოგადოებრივი მეცნიერების საკითხში და აუცილებელი იმისათვის, რომ ნამდვილად შევიძინოთ ჩვევა ამ საკითხისადმი სწორად მიდგომისა და არ დავიბნეთ უამრავ წვრილმანებში ან ერთმანეთთან მეტრძოლ შეხედულებათა უდიდეს სხვადასხვაობაში, — ყველაზე მნიშვნელოვანი იმისათვის, რომ ამ საკითხს მეცნიერული თვალსაზრისით მივუდგეთ, — არის ის, რომ არ დავი-

¹⁰ ა. წერეთელი, თხზ. „სრ. კრებული, ტ. VI, გვ. 379.

¹¹ გაზ. „ლიტერატურული გაზეთი“, 1962 წლის 1 ივნისი.

¹² ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 20, გვ. 489.

¹³ ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 35, გვ. 255.

გიწყობთ ძირითადი ისტორიული კავშირი, ყოველ საკითხს შევხედოთ იმ თვალსაზრისით, თუ როგორ წარმოიშვა ისტორიაში განსაზღვრული მოვლენა, რა და რა მთავარი ეტაპები განვლო ამ მოვლენამ თავის განვითარებაში, და მისი ამ განვითარების თვალსაზრისით შევხედოთ, თუ რად იქცა ეს მოვლენა ამჟამად¹⁴.

ამრიგად, ვ. ი. ლენინი წარმატებით იყენებდა ისტორიზმის პრინციპს, როგორც წარსულის კვლევის მეთოდოლოგიურ იარაღს. ისტორიზმის პრინციპი, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს ისტორიული მოვლენის, ისტორიული საგნის თუ ფაქტის შესწავლას მის ყველა კავშირურთიერთობასა და გამომწვევებაში; მეორე, ისტორიული ფაქტის, ისტორიული მოვლენის განხილვას მოძრაობასა და განვითარებაში, ცვალებადობაში, და მესამე, ადამიანის მთელი პრაქტიკის შეტანას „საგნის სრულ განსაზღვრაში“, როგორც ჰუმანიტეტების კრიტერიუმად და როგორც პრაქტიკული განმსაზღვრელი საგნის კავშირისა იმასთან, რაც ადამიანს სჭირდება¹⁵.

საზოგადოებრივი მოვლენებისადმი მხოლოდ ასეთი ისტორიული მიდგომა, როგორც მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, იხსნის ისტორიულ მეცნიერებას, შემთხვევითობათა ქაოსად და ყოვლად უაზრო შეცდომათა გროვად გადაქცევისაგან. ამიტომ მატერიალისტური დიალექტიკის პრინციპი — ყველაფერი დამოკიდებულია პირობებზე, ადგილსა და დროზე — ისტორიული მეცნიერების სახელმძღვანელო პრინციპი გახდა.

მეოთხე ძირითადი ამოცანა, რომელსაც ვ. ი. ლენინი უსახავდა ისტორიულ მეცნიერებას, არის პარტიულობის პრინციპის ბოლომდე თანმიმდევრულად გატარება.

პარტიულობის პრინციპი მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის ერთ-ერთი საფუძველია ისტორიულ მეცნიერებაში. დოგმატიზმის წინააღმდეგ ბრძოლას, ზოგიერთი იყენებდა პარტიულობის პრინციპის დასაპირისპირებლად მეცნიერული ობიექტურობისადმი. ასეთი დაპირისპირების ცდა საბჭოთა ისტორიოგრაფიამ დროზე ამხილა, უკუაგდო და ერთგულ კიდეც ცხადჰყო ლენინური დებულების ჰუმანიტეტება იმის შესახებ, რომ პროლეტარული პარტიულობა პრინციპულად შეიცავს ობიექტურობას, რადგან პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესები საზოგადოებრივი განვითარების საერთო ტენდენციას ემთხვევა და მისი განხორციელების ძირითადი საშუალებაა.

პროლეტარული პარტიულობის დაცვა და მისი თანმიმდევრული გატარება მეცნიერულ მოღვაწეობაში მკვლევრისათვის ყოველთვის როდი იყო იოლი და უმტკივნეულო. მას გამუდმებით ესმოდა და ესმინა თავს ყოველი ჯურის ოპორტუნისტები „ტენდენციურობისათვის“, პროლეტარიატის კლასობრივ თვალსაზრისზე დგომისათვის და ა. შ. მაგრამ ნამდვილი მეცნიერი და ნამდვილი მკვლევარი როდი უშინდება ასეთ თავდასხმებს. ვ. ი. ლენინი თვითონ გვიჩვენებდა ასეთი თავდასხმების წინააღმდეგ მეცნიერის პრინციპული ბრძოლის ნამუშს. „აი ჩემი ბედი. — წერდა ვ. ი. ლენინი 1916 წლის 18 დეკემბერს ინესა

¹⁴ ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 29, გვ. 555—556.

¹⁵ ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 32, გვ. 102—103.

არმანდს, — ერთი საბრძოლო კამპანია მეორეს მოსდევს — პოლიტიკურ სისუ-
ლელეთა, უხამსობათა, ოპორტუნიზმის წინააღმდეგ და ა. შ.

ეს 1893 წლიდან. და უხამსების სიძულვილი ამის გამო. მაგრამ მე მაინც
არ გავცვლიდი ამ ბედს უხამსებთან ზავზე“¹⁶.

კლასობრივ საზოგადოებაში არ არსებობს და არც
შეიძლება არსებობდეს არაპარტიული, ზეკლასობრივი
საზოგადოებრივი მეცნიერება. მაგრამ ამასთან დაკავშირებით
იბადება კითხვა ხომ არ უშლის ხელს მეცნიერების პარტიულობა ობიექტური
გეშმარიტების აღმოჩენას?

მარქსიზმ-ლენინიზმი აღიარებს, რომ პარტიულობაც არის და პარტიულო-
ბაც. არის პროგრესული კლასის პარტიულობა და არის რეაქციული კლასის
პარტიულობა. რეაქციული კლასის პარტიულობა ხელს უშლის ისტორიული
განვითარების ობიექტურ კანონზომიერებათა აღმოჩენას, რადგან ეს კანონ-
ზომიერებანი რეაქციული კლასების გარდუვალი დაღუპვის მაჩვენებელია, ამი-
ტომ ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია ფაქტებისა და მოვლენების ემპირიული
აღწერით კმაყოფილდება, ხელს იღებს თეორიაზე, განზოგადებაზე; ან კიდევ,
თუ თეორიაზე ხელს ადებს ვერ ახერხებს, მაშინ ყველაზე უცუდესი, რეაქ-
ციული თეორიით ხელმძღვანელობს, ამის გამო მათ ამ დარგში, თეორიის დარგ-
ში, არაფერი არ დაეჭვრებათ.

სულ სხვაა პროგრესული კლასის პარტიულობა, პროლეტარული პარტი-
ულობა მეცნიერებაში. პროგრესულ კლასს, პროლეტარიატს არ ეშინია ობი-
ექტური კანონების აღმოჩენისა და მათი განხორციელების, ვინაიდან პროლე-
ტარიატის მიზნები და ამოცანები მთლიანად ემთხვევა ისტორიული განვითა-
რების საერთო ტენდენციას, მის მსვლელობას. ამიტომ პროლეტარიატი სისხლ-
ხორციელად დაინტერესებულია საზოგადოების განვითარების კანონთა შე-
მეცნებით, რათა საზოგადოება უფრო წარმატებით გარდაქმნას, ამიტომ
პროლეტარული პარტიულობა მეცნიერებაში ხელს
უწყობს მეცნიერული ობიექტურობის ბოლომდე თან-
მიმდევრულ გატარებას.

ვ. ი. ლენინმა მოგვცა ბურჟუაზიული ობიექტივიზმის კლასიკური დახა-
სიათება. გვიჩვენა ბურჟუაზიული ობიექტივიზმის შეზღუდულობა და უსუსუ-
რობა რთულ საზოგადოებრივ-ისტორიულ მოვლენებში გარკვევისას, რომ
ბურჟუაზიული ობიექტივიზმით ყოველგვარი სისაძაგლის გამართლება შეიძ-
ლება მოხერხდეს და ა. შ. ლენინი ობიექტივიზმს სრულიად სამართლიანად
უპირისპირებს მატერიალიზმს, მათ განიხილავს როგორც დაპირისპირებულ
ცნებებს: „ობიექტივისტი ლაპარაკობს ამა თუ იმ ისტორიული პროცესის
აუცილებლობაზე, — წერდა ლენინი, — მატერიალისტი სისწორით აღნიშნავს
ამა თუ იმ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციას და მისგან წარმოშობილ
ანტაგონისტურ ურთიერთობას. როცა ობიექტივისტი ამა თუ იმ ფაქტთა წყე-
ბის აუცილებლობას ამტკიცებს, მას ყოველთვის შეიძლება ფეხი დაუსხლტეს
და აღნიშნული ფაქტების აპოლოგეტის თვალსაზრისზე დადგეს“¹⁷, და მართ-
ლაც, ასე დამართათ „ლეგალურ მარქსისტებს“, ამტკიცებდნენ, რა ისინი კაპი-

¹⁶ ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 35, გვ. 267.

¹⁷ ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 1, გვ. 480—481.

ტალიზმის გარდუვალობას და აუცილებლობას რუსეთში, მოგვევლინენ კავი-ტალიზმის აშკარა აპოლოგეტებად.

მარქსისტული მატერიალიზმი ობიექტური მეცნიერებაა, იგი ბუნებასა და საზოგადოებას შეისწავლის ისე, როგორც ის არის, ყოველგვარი შელამაზებისა და შეკეთების გარეშე. მარქსისტული მატერიალიზმის დასკვნები საზოგადოების უდიდესი უმრავლესობის ინტერესებს ემთხვევა და გამოხატავს მას, ამიტომ „მატერიალისტი... ობიექტივისტზე უფრო თანმიმდევარია და უფრო ღრმად, უფრო სრულად ატარებს თავის ობიექტივიზმს. ის არ კმაყოფილდება პროცესის აუცილებლობაზე მითითებით, არამედ არკვევს, სახელდობრ, რომელი საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაცია აძლევს შინაარსს ამ პროცესს, სახელდობრ რომელი კლასი განსაზღვრავს ამ აუცილებლობას“¹⁸. და მის შემდეგ, რაც გაირკვა ის, თუ რომელი კლასი განსაზღვრავს ისტორიულ პროცესს, მის აუცილებლობას, „არც ერთ ცოცხალ ადამიანს არ შეუძლია არ მიეცხროს ამა თუ იმ კლასს (რაკი მან შეიგნო მათი ურთიერთდამოკიდებულება), არ შეუძლია არ გაიხაროს ამ კლასის წარმატებით, არ შეუძლია არ შეწყუხდეს მისი მარცხის გამო, არ შეუძლია არ აღშფოთდეს იმათ წინააღმდეგ. ვინც ამ კლასს მტრობს, იმათ წინააღმდეგ, ვინც ხელს უშლის მის განვითარებას“¹⁹. სხვაგვარად შეუძლებელია.

ადამიანი საზოგადოებრივი არსებაა და იგი არ შეიძლება გულგრილი იყოს საზოგადოებრივი მოვლენებისადმი. იდეალისტებისა და ყოველი ჯურის რეაქციონერთა მოთხოვნა ობიექტურობისა მხოლოდ თვალთმაქცობაა, მხოლოდ და მხოლოდ ნიღბია ობიექტურობისა და უპარტიოების დროშით გაატარონ ყველაზე მდაბალი, ყველაზე საძაგელი პარტიულობა, ერთ მუჟა ექსპლუატატორთა ინტერესებს რომ გამოხატავს ყოველთვის.

მარქსისტულ მატერიალიზმს არ შეუძლია თვალი დახუჭოს სინამდვილის წინაშე, ამიტომ იგი „შეიცავს, ასე ვთქვათ, პარტიულობას, რაც მოვლენათა ყოველი შეფასების დროს სავალდებულოს ხდის პირდაპირ და აშკარად დადგომას განსაზღვრული საზოგადოებრივი ჯგუფის თვალსაზრისზე“²⁰.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა პარტიულობის შესახებ ვ. ი. ლენინი წერდა: „ემპირიოკრიტიციზმის გნოსეოლოგიური სქოლასტიკის უკან არ შეიძლება არ დავინახოთ პარტიათა ბრძოლა ფილოსოფიაში, ბრძოლა, რომელიც საბოლოო ანგარიშში გამოხატავს თანამედროვე საზოგადოების მტრული კლასების ტენდენციებსა და იდეოლოგიას. ახალი ფილოსოფია ისევე პარტიულია, როგორც ორიათასი წლის წინათ იყო. მეგრძოლი პარტიები არსებითად მატერიალიზმი და იდეალიზმია. მხოლოდ დაფარული გელერტულ-შარლატანური ახალი სახელწოდებით ან ჭკუამოკლე უპარტიულობით“²¹.

მეცნიერებათა პარტიულობის ყოველი მოწინააღმდეგე საქმეს ისე სახავს, თითქოს თავს სწირავდეს ჭეშმარიტებას, თითქოს ჭეშმარიტებას იცავდეს პარტიულობისაგან, ტენდენციური, სუბიექტური განცდებისაგან, ემოციებისაგან. ცნობილია, ვ. ი. ლენინმა თუ როგორ გააკრიტიკა ნ. ა. რუბაკინი, რომელიც აცხადებდა, რომ არასოდეს არავითარ პოლემიკაში არ მიუღია მო-

18 ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 1, გვ. 481.

19 ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 2, გვ. 664.

20 ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 1, გვ. 481.

21 ვ. ი. ლენინი, მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი, 1955, გვ. 653.

ნაწილობა, რადგან „უმრავლეს შემთხვევაში პოლემიკა ერთ-ერთი საუკეთესო ხერხია ყოველგვარ ადამიანურ ემოციათა საშუალებით ჭეშმარიტების გაბუნდოვანებისათვის“. ამის გამო ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ რუზაკინს ვერ გაუგია ის, რომ „ადამიანურ ემოციათა“ გარეშე არ ყოფილა, არ არის და არც შეიძლება იყოს ჭეშმარიტების ადამიანური ძიება“²².

ვ. ი. ლენინი მარქსიზმის ძალასა და უძლეველობას ხედავდა იმაში, რომ იგი „... უმკაცრეს და უმაღლეს მეცნიერულობას (როგორც საზოგადოებრივი მეცნიერების უკანასკნელი სიტყვა) აერთებს რევოლუციონერობასთან, და აერთებს არა შემთხვევით, არა მარტო იმიტომ, რომ დოქტრინის დამფუძნებელი პირადად მეცნიერიც იყო და რევოლუციონერიც. არამედ აერთებს თვით თეორიაში შინაგანად და განუყრელად“²³.

ამრიგად, მეცნიერების პარტიულობა და მეცნიერულიობიექტურობა ერთმანეთს კი არ გამორიცხავენ, არამედ, ერთმანეთს ავსებენ.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული სრულებით არ ნიშნავს ბურჟუაზიული მეცნიერების მიღწევათა უკუღვდავს, მასზე უარისთქმას. ბურჟუაზიულ მეცნიერებს „შეუძლიათ მეტად საგულისხმო ნაშრომები მოგვცენ ქიმიის, ისტორიის, ფიზიკის სპეციალურ დარგებში“ მაგრამ მათ „ერთი სიტყვაც არ დაეჭერება, რაკი ლაპარაკი ფილოსოფიაზე ჩამოვარდება“²⁴. აქ მდგომარეობა ამ მხრივაც უცვლელია თვით ამ მეცნიერებათა ჩასახვის დღიდან მოყოლებული დღემდე, რადგან მეცნიერება საერთოდ, საზოგადოებათმეცნიერება განსაკუთრებით, არასოდეს არ მდგარა და არც შეიძლება იდგეს პარტიულობის გარეშე, პოლიტიკის გარეშე, ამიტომაც ისტორიული მეცნიერება ორ სისტემას შორის გაჩაღებული იდეოლოგიური ბრძოლის მოწინავე ცეცხლის ხაზი.

მეხუთე ძირითადი ამოცანა, რომელსაც ვ. ი. ლენინი უსახავდა ისტორიულ მეცნიერებას, არის ჩაგრული კლასების მიერ განხორციელებულ რევოლუციურ გადატრიალებათა, როგორც ბუნებრივი, კანონზომიერი და გარდაუვალი მოვლენის შესწავლა.

მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის: კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა შეიძლება განხორციელდეს არა ნელი ცვლილების გზით, არა რეფორმების გზით, არამედ კაპიტალისტური წყობილების მხოლოდ თვისობრივი შეცვლის გზით, რევოლუციის გზით. „მარქსიზმის მოძღვრებით... — წერდა ვ. ი. ლენინი, — ისტორიის ნამდვილი მამოძრავებელია კლასთა რევოლუციური ბრძოლა; რეფორმები ამ ბრძოლის არამთავარი შედეგია, არამთავარი იმიტომ, რომ ისინი გამოხატავენ უხეირო ცდებს — შეასუსტონ, მოადუნონ ეს ბრძოლა და სხვ. ბურჟუაზიულ ფილოსოფოსთა მოძღვრებით, პროგრესის მამოძრავებელია სოლიდარობა საზოგადოების ყველა ელემენტისა... პირველი მოძღვრება მატერიალისტურია. მეორე იდეალისტური. პირველი — რევოლუციურია. მეორე — რეფორმისტული. პირველი ასაბუთებს პროლეტარიატის ტაქტიკას თანამედროვე კაპიტალისტურ ქვეყნებში, მეორე — ბურჟუაზიის ტაქ-

²² ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 20, გვ. 310.

²³ ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 1, გვ. 387.

²⁴ ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 14, გვ. 437.

ტიკას²⁵. ამიტომ პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბოლომდე უნდა იქნას მიყვანილი; უკუგდებულის უნდა იქნას პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის ინტერესთა პარმონიის რეფორმისტული პოლიტიკა.

მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლა საკუთარი და მთელი ხალხის კლასობრივი და ეროვნული თავისუფლებისათვის ისტორიულად აუცილებელი და პროგრესული ბრძოლაა. რადგან იგი ისტორიული განვითარების ობიექტურ ტენდენციას ემთხვევა. ობიექტური კანონზომიერების განხორციელების საშუალებაა.

დიალექტიკური მატერიალიზმიდან ცნობილია, რომ განვითარება წარმოებს შინაგან წინააღმდეგობათა გახსნის, ამ წინააღმდეგობათა ბაზაზე დაპირისპირებულ ძალთა დაჯახების წესით, რათა დაძლეულ იქნას ეს წინააღმდეგობანი. განვითარების ამ კანონს ემორჩილება ბურჟუაზიული საზოგადოებაც. მასში დაპირისპირებულთა ბრძოლა ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლაა, რომელსაც საქმე მიჰყავს სოციალისტურ რევოლუციამდე, სოციალიზმის გამარჯვებამდე. ამიტომ პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა საკლებით ბუნებრივ და გარდუვალ მოვლენას წარმოადგენს. ისტორიული მეცნიერება, თუ მას სურს ემსახურებოდეს კაცობრიობის პროგრესულ ძალებს კაპიტალიზმსა და რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლაში, უნდა ააშკარავებდეს და ამოხსნიდეს კაპიტალისტური წესების წინააღმდეგობებს, წინ უნდა სწევდეს და ავითარებდეს კლასებისა და კლასთა ბრძოლის მარქსისტულ-ლენინურ თეორიას და ის უნდა მიჰყავდეს კომუნისტური საზოგადოების აშენებისა და კლასების ლიკვიდაციის გზებისა და მეთოდების დასაბუთებამდე. ამდენად, ისტორიული მეცნიერების, როგორც პოლიტიკური მეცნიერების, როლი ყოველდღიურად იზრდება, ისტორიის ქმნალობაში მასების შეგნებულის მონაწილეობის ზრდასთან დაკავშირებით. ამიტომ ცხადია, თუ რატომ უნერგავს მარქსიზმ-ლენინიზმი, ისტორიული მეცნიერება (ამ ცნების ფართო გაგებით) გამარჯვების რწმენას კაპიტალის ტყვეობაში მყოფ მშრომელთა მილიონიან მასებს.

მეექვსე ძირითადი ამოცანა, რომელსაც ვ. ი. ლენინი უსახავდა ისტორიულ მეცნიერებას, არის თანამედროვეობის შესწავლა.

თანამედროვეობა ხიდია წარსულსა და მომავალს შორის. ამ ხიდს გადაეყვართ არა მარტო მომავალში, არამედ აწმყოსა და მომავლის საჭიროებისათვის — წარსულშიც. მასზე დიდადაა დამოკიდებული არა მარტო ის, თუ როგორ მომავალს განუშაადებენ თავიანთ თავს ხალხები, ერები და ადამიანები, არამედ ისიც, თუ რა ადგილს დაიჭერენ ისინი ისტორიაში. ამიტომაც უნდა აღიჭურვონ ერები ისტორიული გამოცდილებით და დაბეჭითებით აკეთონ, პატიოსნად აშენონ ეს ხიდი — ჩვენნი თანამედროვეობა, თუ სურთ მოიახლოვონ ბედნიერი მომავალი და მტკიცედ დაიმკვიდრონ საპატიო ადგილი ისტორიაში. სწორედ ამ გარემოებამ და არა

²⁵ ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 11, გვ. 68—69.

ადამიანთა უბრალო ცნობისმოყვარეობამ განაპირობა ისტორიული მეცნიერების ჩასახვა და განვითარება. ამიტომ მას, როგორც ცოდნის გარკვეულ დარგს, თავიდანვე დაჰყვა დიდი საზოგადოებრივი ფუნქცია, თავიდანვე განისაზღვრა მისი სოციალური დანიშნულება.

ისტორიული მეცნიერების ასეთმა დანიშნულებამ განაპირობა ის დიდი ყურადღება, რომელსაც უთმობდნენ მას საზოგადოების პროგრესული ძალები. საკმარისია დავიმოწმოთ მარტო ნ. გ. ჩერნიშევსკი: „შეიძლება არ იცოდე, არ გრძნობდე მის წრეებას მათემატიკის, ბერძნული ან ლათინური ენების, ქიმიის შესწავლისაკენ, შეიძლება არ იცოდე ათასი მეცნიერება და მაინც იყო განათლებული ადამიანი. მაგრამ არ უყვარდეს ისტორია შეუძლია მხოლოდ იმ ადამიანს, რომელიც სავსებით განუვითარებელია გონებრივად“²⁶.


ამასთან უნდა ითქვას, რომ ისტორია, წარსული აინტერესებს საზოგადოების არა მარტო პროგრესულ, არამედ რეაქციულ ძალებსაც. მაგრამ ყველას არა ერთნაირად, არა ერთი და იმავე მიზნით. ახალგაზრდა, რევოლუციური კლასები ისტორიაში ეძებდნენ და ეძებენ აწმყოს მასალას და მომავლის გასაღებს, აქედან იღებს სათავეს მათი რევოლუციური რომანტიზმი. ხოლო საზოგადოების დრომოჰმული ძალები, რეაქციული კლასები წარსულს მისტირიან, როგორც ახალგაზრდობის წლებს, და აიდეალებენ მას, რაკი მომავალი მათ არაფერს უქადის სასიკეთოს. აქედან იღებს სათავეს მათი რეაქციული რომანტიზმი.

ახალგაზრდა, პროგრესული კლასების რევოლუციურ რომანტიზმს ყოველთვის კვებავდა და კვებავს ჯანსაღი ოპტიმიზმი, ურყევი რწმენა მომავლისადმი. თანამედროვეობა რევოლუციური კლასებისათვის ისტორიული მოღვაწეობის არენაა, ის სამშვედლოა, სადაც ისინი თავიანთ საუკეთესო მომავალს სჭედენ. ამიტომ მათ, ამ პროგრესულ-რევოლუციურ კლასებს, არ შეუძლიათ არ იყვნენ დაინტერესებულნი თანამედროვეობის მეცნიერული შესწავლით, მისი ისტორიის შექმნით. მაგრამ სულ სხვა მდგომარეობაშია საზოგადოების დრომოჰმული ძალები, რეაქციული კლასები. მათს რეაქციულ რომანტიზმს ყოველთვის კვებავდა და კვებავს ანტისაზოგადოებრივი იდეები, პესიმიზმი, უიმედობა და ურწმენობა მომავლისადმი, გულგატეხილობა აწმყოსადმი. თანამედროვეობა რეაქციული კლასებისათვის ისტორიული მოღვაწეობის დასასრულია, მათი აღსასრულის დასაწყისია. ამის გამო მათ სრულიად არ აინტერესებთ თანამედროვეობის ისტორიის შექმნა, მისი მეცნიერული შესწავლა, რომელიც რეაქციული კლასების გარდუვალი განადგურების აღიარება იქნებოდა მხოლოდ.

ამრიგად, თანამედროვეობის ისტორია სჭირდებათ საზოგადოების პროგრესულ ძალებს, რევოლუციურ კლასებს და ისინი ამას მოითხოვენ ისტორიული მეცნიერებისაგან. თანამედროვეობის ისტორია აფრთხობს საზოგადოების დრომოჰმულ ძალებს, რეაქციულ კლასებს და ისინი მას უარყოფენ

²⁶ Н. Г. Чернышевский, НПС, т. I, 1939, стр. 143.

2. „მაცნე“, ისტორიის... სერია, 1974, № 1.



როგორც მეცნიერებას, ასეთად მიაჩნიათ მხოლოდ შორეული წარსულის ისტორია.

ასეთია თანამედროვეობის ისტორიისადმი დამოკიდებულების სოციალური საფუძვლები.

დღეს ისტორიული მეცნიერებისაგან უფრო მეტ ყურადღებას მოითხოვენ თანამედროვეობის, ახლო წარსულის შესწავლისა და სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის მდიდარ გამოცდილებათა განზოგადებისადმი. მაგრამ არა იმიტომ, რომ შორეულ ეპოქათა შესწავლის აქტუალობას უარყოფენ, არამედ, *ჯერ ერთი*, იმის გამო, რომ ჩვენი ხალხის ახლო წარსული და თანამედროვეობა, მის შორეულ წარსულთან შედარებით, ნაკლებადაა შესწავლილი; *მეორე*, საბჭოთა ხალხის მდიდარ ისტორიულ გამოცდილებათა მეცნიერულ განზოგადებას დღეს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ხალხებისათვის, რომლებიც თავს აღწევენ კაპიტალის ტყვეობას და თავიანთი სოციალური და ეროვნული აღორძინებისაკენ მიემართებიან ისეთივე გზით, რომლითაც საბჭოთა ხალხმა მიაღწია მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვებებს ამ ნახევარი საუკუნის მანძილზე. და ბოლოს, *მესამე*, თანამედროვეობისა და ახლო წარსულის მეცნიერულმა შესწავლამ ახალი შრომითი გმირობისათვის უნდა აღაგზნოს კომუნიზმის შეგნებული მშენებელი — საბჭოთა ხალხი.

ეს მიზანი მაშინ იქნება გამართლებული, თუ თანამედროვეობის ან ახლო წარსულის შესახებ შექმნილი ისტორიული ნაშრომი იქნება არა დუნე, არამედ მგზნებარე, ბოლშევიკური პუბლიცისტიკის ცეცხლით გაღვავებული მოთხრობა საბჭოთა ადამიანების დიდ და საგმირო საქმეებზე; იგი უნდა აღაგზნებდეს მასებს ახალი საგმირო საქმეებისათვის კომუნიზმის მშენებლობის ყველა ფრონტზე²⁷. ასეთ ამოცანას უსახავდა ვ. ი. ლენინი ბოლშევიკ პუბლიცისტებსა და თანამედროვეობის ისტორიკოსებს. იგი წერდა: „ჩვენ უნდა ვაკეთოთ პუბლიცისტების მუდმივი საქმე — ვწეროთ თანამედროვეობის ისტორია და ვეცადოთ ვწეროთ იგი ისე, რომ ჩვენი ყოფაცხოვრების აღწერილობა შეძლებისდაგვარ დახმარებას უწევდეს მოძრაობის უშუალო მონაწილეებს და გმირ-პროლეტარებს იქ, მოქმედების ადგილზე, — ვწეროთ ისე, რომ ხელი შევუწყვთ მოძრაობის გაფართოებას, ბრძოლის ისეთი საშუალებების, ხერხებისა და მეთოდების შეგნებულად შერჩევას, რომლებსაც შეეძლებათ ძალების ნაკლები დახარჯვით მოგვცენ ყველაზე დიდი და ყველაზე მტკიცე შედეგები“²⁸.

აი, რა დიდ მნიშვნელობას აძლევდა ლენინი თანამედროვეობის ისტორიას. ამიტომ მისი შექმნა გადაუდებელ ამოცანად დგას დღეს საბჭოთა ისტორიკოსების წინაშე; რადგან როგორც ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, საჭიროა „... ძალების 99/100-ს დაევალოს იმის დამუშავება, რაც პრაქტიკულად და დაუყოვნებლივ არის საჭირო ჩვენი მშენებლობისათვის“²⁹.

ვ. ი. ლენინისათვის ისტორია წარმოადგენდა კანონზომიერ უწყვეტ პროცესს, რომლის გაგებაც საშუალებას გვაძლევს წინასწარ დავინახოთ საზოგადო-

27. ო. კაჭარავა, ლენინი და ისტორიული მეცნიერება, თბილისი, 1965, გვ. 178—191.

28. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 8, გვ. 108.

29. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 33, გვ. 14—15 (ხაზგასმა ჩვენია, — ი. კ.).

ბიბლიოთეკის
დანიშნულების
გამოყენება

ების მოძრაობის შემდგომი მიმართულება. ამრიგად, ლენინისათვის ისტორია და თანამედროვეობა განუყრელად იყო ერთმანეთთან დაკავშირებული³⁰. ვ. ი. ლენინის აზრით, საზოგადოების ისტორიული განვითარების ანალიზი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმ აზრით, რომ ახსნას წარსული, არამედ იმ აზრითაც, რომ უშიშრად განჭვრიტოს მომავალი მისი განხორციელებისაკენ მიმართული გაბედული პრაქტიკული მოღვაწეობისათვის.

მეშვიდე ძირითადი ამოცანა, რომელსაც ვ. ი. ლენინი უსახავდა ისტორიულ მეცნიერებას, არის ხელსაყრელი პირობების შექმნა თანამედროვეობის მეცნიერული ისტორიის შესაქმნელად.

ვ. ი. ლენინი უაღრესად მომთხოვნი იყო საერთოდ თავისთვისა და კოლეგების მიმართ, კერძოდ, მეცნიერებისადმი, განსაკუთრებით კი მეცნიერ-ისტორიკოსების მიმართ. ამიტომ მას, გრძნობდა რა პროფესიონალ-ისტორიკოსისა და მოყვარულ-ისტორიკოსის მთელ პასუხისმგებლობას, არ შეეძლო წინასწარი ხელსაყრელი პირობების შემზადების გარეშე მოეწოდებინა მეცნიერებისათვის ეწერათ თანამედროვეობის ისტორია.

თანამედროვეობის ისტორიის შესწავლის ხელსაყრელ პირობათა შორის ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან პირობად ვ. ი. ლენინი თვლიდა მიმდინარე ისტორიული პროცესის უშუალო შემოქმედთა მონაწილეობას თანამედროვეობის ისტორიის შექმნაში. ამის შესახებ ნათლად და გარკვევით გამოთქვა თავისი თვალსაზრისი ვ. ი. ლენინმა იმ რეცენზიაში, რომელიც მან დაწერა 1913 წელს სამაზრო კომიტეტის მდივნის ალ. ტოდორსკის წიგნზე „ერთი წელი შაშხანითა და გუთნით“. „ავტორი აგვიწერს, — აღნიშნავდა ლენინი, — ვესეგონსკის მაზრაში საბჭოთა ხელისუფლების მშენებლობისათვის წარმოებული მუშაობის ხელმძღვანელთა მოღვაწეობის ერთი წლის გამოცდილებას, — ჯერ სამოქალაქო ომს, ადგილობრივი კულაკების აჯანყებას და მის ჩახშობას, შემდეგ «ცხოვრების მშვიდობიან მშენებლობას». რაც შეიძლება ფართოდ უნდა გავავრცელოთ ეს წიგნი და ვისურვოთ, რათა მასაში და მასასთან მომუშავე, ნამდვილი ცხოვრების შიგ შუაგულში მოქმედ მუშაკთა რაც შეიძლება მეტმა რიცხვმა მოჰკიდოს ხელი თავისი გამოცდილების აღწერას. რამდენიმე ასეული ან თუნდაც რამდენიმე ათეული საუკეთესო, უაღრესად მართალი, მეტად სადა, საგულისხმო ფაქტიური შინაარსით მეტად მდიდარი ასეთი აღწერის გამოცემა შეუდარებლად უფრო სასარგებლო იქნებოდა სოციალიზმის საქმისათვის, ვიდრე ბევრი საგაზეთო თუ საყურნალო ნაშრომი და წიგნი გაწაფული ლიტერატორებისა, რომლებიც ძალიან ხშირად ქაღალდის იქით ცხოვრებას ვერ ხედავენ“³¹.

ამიტომ არის რომ დიდი ინტერესით იკითხება ისტორიულ პროცესში (რევოლუცია, სოციალისტური მშენებლობა, სამამულო ომი და ა. შ.) უშუალო მონაწილეთა ხელიდან გამოსული მემუარები, მოგონებები და ისტორიული ნარკვევები. ასეთ წიგნებს დიდი შემეცნებითი და აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვთ. დიდია მათი საზოგადოებრივი ფუნქცია და ემოციური ზემოქმედების უნარი.

³⁰ XIII международный конгресс исторических наук, Москва, 16—23 августа 1970 года, Доклады Конгресса, т. I, ч. I, гл. 45.

³¹ ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 28, გვ. 482—483.

გ. ი. ლენინის მიერ ისტორიული მეცნიერების წინაშე დასახულმა ამოცანებმა შემდგომი განვითარება და კონკრეტიზაცია ჰპოვეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებსა და კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებებსა და სიტყვებში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს წითელ ზოლად გასდევს აზრი იმის შესახებ, რომ კომუნიზმის მშენებლობის აუცილებელი პირობაა: კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა და ახალი ადამიანის ჩამოყალიბება, ამასთან, ყრილობამ აღნიშნა საზოგადოებრივ მეცნიერებათა უდიდესი როლი ახალი ადამიანის აღზრდასა და ჩამოყალიბებაში. აქ დიდია ისტორიული მეცნიერების როლი, იგი ახალი ადამიანის პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდის უებარი იარაღია. გარდა ამისა, ისტორიული მეცნიერება, თუ იგი თანამედროვეობის ნამდვილ სამსახურშია, ხელს უწყობს და აჩქარებს მასების შემოქმედებით მონაწილეობას კომუნიზმის მშენებლობაში, უკეთესობისაკენ თანამედროვეობის გარდაქმნაში. ამიტომაც რომ კომუნისტური პარტია განსაკუთრებით პირველხარისხიან ამოცანად უსახავს ისტორიულ მეცნიერებას მასების შემოქმედებითი შრომის შედეგებისა და გამოცდილების, თანამედროვეობის შესწავლა-განზოგადებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობამ, ხელმძღვანელობდა რა ლენინური პრინციპებით, ახალი ამოცანები დაუსახა საზოგადოებათმეცნიერებას. ამ ამოცანათა შორის ძირითადი და არსებითია ის, რომლის შესახებაც ამბობდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი: „ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა თ ა ს უ ლ უ ფ რ ო მ კ ვ ე თ რ ი შ ე მ ო ბ რ უ ნ ე ბ ა ა წ მ ყ ო ს ა დ ა მ ო მ ა ვ ლ ის ა ქ ტ უ ა ლ უ რ ი პ რ ო ბ ლ ე მ ის შ ე მ უ შ ა ვ ე ბ ის ა კ ე ნ, ა ი რ ა გ ვჭ ი რ დ ე ბ ა ჩ ე ვ ე ნ“³².

³² ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობას 1971 წლის 30 მარტს, თბილისი, 1971, გვ. 119.

Д. Г. ГУЛИА

АНГЛИЯ И БУХАРЕСТСКИЙ МИР 1812 ГОДА

Бухарестский мир, заключенный 16(28) мая 1812 года, знаменовал собой более чем пятилетнюю войну между Россией и Турцией, в продолжении которой на Дунайском фронте военных действий сменилось шесть русских главнокомандующих. Русско-турецкая война проходила на фоне бурных внешнеполитических событий. Наполеоновская Франция и буржуазно-аристократическая Англия — два наиболее экономически развитых государства того времени — боролись за гегемонию как в Европе, так и в колониях. И в эту борьбу — то явную, то скрытую, была вовлечена и Россия. Показателен тот факт, что в течение 1806—1812 гг. внешняя политика России дважды была переориентирована проанглийской на профранцузскую и вновь на проанглийскую.

Мир в Бухаресте Александр I назвал «богодарованным», ибо обстановка в Европе настолько накалилась, что вот-вот можно было ожидать взрыва.

Значение заключения мирного договора с Турцией в Бухаресте трудно переоценить. Этот договор знаменовал собой военную победу России над Турцией, так и политическую над Францией. Ведь Наполеон придавал важное значение участию турецкой армии на своем крайнем правом фланге в войне против России¹. Но мир был заключен и «пятьдесят тысяч русских были переброшены от берегов Дуная к Неману и левый фланг русских был обезопасен от французского наступления»². Правда, переговоры с Турцией были заключены слишком поздно для того, чтобы помешать нашествию наполеоновской армии, но дунайская армия сыграла большую роль при отступлении французов³. Некоторые английские историки считают, что русско-турецкий мирный договор во многом предопределил неудачный исход «русской кампании» Наполеона и способствовал его окончательному падению⁴.

Необходимо отметить, что изучаемый вопрос имеет важное значение как для истории «восточной» политики России, так и для истории русско-английских отношений.

Несмотря на то, что и в русской, и в советской, и в зарубежной историографии существует много работ, посвященных, как русско-турецкой войне 1806—1812 гг., так и международным отношениям того же периода, тем не менее вопрос о русско-английских отношениях периода войны и действительной роли Англии в заключении Бухарестского мира изучен весьма слабо.

¹ Н. И. К а з а к о в, «Из истории Бухарестского мирного договора 1812 г.», «История СССР», 1967, № 3, стр. 128.

² G. A. R. Marriott, «Castlereagh», L. 1936, стр. 192.

³ «The political History of England», V. XI. L. 1911, стр. 123.

⁴ E. F. Malcolm-Smith, «The life of Stratford Canning (Lord Stratford de Redcliffe)» L. (1933), стр. 49.

В зарубежной историографии вопрос о роли Англии в заключении Бухарестского мира затронуты в работах Р. В. Сетона-Ватсона (R. W. Seton-Watson), В. Д. Парьера (V. G. Puryear), Д. А. Р. Марриотта (G. A. R. Marriot) и др. Но, пожалуй, наибольший интерес представляет работа немецкого историка Пауля Рюттера: «Турция, Англия и русско-французский союз 1807—1812 гг.», написанная на основе Архивов британского министерства иностранных дел.

В Советской историографии изучаемый вопрос наиболее широко представлен в работе Н. И. Казакова: «М. И. Кутузов в период русско-турецкой войны. 1811—1812 гг. «Исследуемый» вопрос затрагивается, также и в работах О. П. Марковой, И. Г. Гуткиной и др.

В данной статье автором используются материалы, опубликованные в VI томе, осуществленного в СССР многотомного издания «Внешняя политика России XIX и начала XX века», а также в III томе сборника документов «М. И. Кутузов». В основу статьи, наряду с русской, советской и зарубежной литературой, опубликованными источниками, положены архивные источники, характеризующие русско-турецкие и русско-английские отношения исследуемого периода.

*
* * *

В марте 1811 года главнокомандующим Молдавской армией был назначен ученик и соратник Суворова М. И. Кутузов.

С прибытием его к армии, военные действия активизировались, хотя у Кутузова было почти в два раза меньше солдат, чем у турок⁵. Основные силы турецкой армии были расположены против центра русской армии и занимали крепости Видин и Шумлу.

В начале июня 1811 г. русскому командованию стало известно, что турки готовят мощное наступление в направлении крепости Рушук. Кутузов решил принять сражение и 23 июня (5 июля) произошла битва у Рушука. Несмотря на огромное превосходство в людях⁶, потеряв около 5 тысяч человек убитыми и ранеными, турки бежали. Но для того, чтобы принудить их к миру, этого было недостаточно. Войска великого визиря, скрывавшиеся в крепостях, были еще достаточно боеспособными. И Кутузов пошел на хитрость. Он перевел всю армию на левый берег Дуная и взорвал крепость Рушук, создав видимость отступления. В Константинополе ликовали — Оттоманская Порта считала, что русская армия обескровлена и настало время добить ее. В конце августа турецкие войска начали переправляться через Дунай. Дождавшись момента, когда турецкая армия была разделена на две части, Кутузов послал в обход, на правый берег Дуная, корпус генерала Маркова, который внезапным ударом уничтожил лагерь турецких войск. Переправившаяся же через Дунай основная часть турецкой армии, была обнаружена и прижата к берегу Дуная. В ночь на 3(15) октября великий визирь, бросив окруженную армию, бежал в Рушук⁷, а

⁵ В начале 1811 г. Александр I приказал отвести за Днестр пять из девяти дивизий Дунайской армии и четыре полка перебросить с Кавказа на Волынь для усиления 3-ей («обсервационной») армии. А. В. Фадеев, «Россия и Кавказ первой трети XIX в.», М., 1960, стр. 157.

⁶ У Кутузова было немногим более 15 тыс. человек и 114 орудий, а у турок — 60 тыс. и 78 орудий; П. А. Жилин, «Разгром турецкой армии в 1811 г.», М., 1952, стр. 30.

⁷ Подробнее о военных действиях в 1811 г. см. П. А. Жилин, Указ. соч.

11(23) октября Кутузов заключил с визирем перемирие. Через несколько дней остатки турецких войск капитулировали. Начались длительные переговоры о мире, который так был необходим России.

19 октября в Журжеве состоялось первое заседание мирной конференции между турецкими и русскими уполномоченными. Переговоры проходили в очень сложной обстановке. Каждый пункт договора вызывал ожесточенные споры⁸. И все же к 31 октября были обсуждены и приняты все основные статьи будущего русско-турецкого договора. Но в середине ноября турецкий уполномоченный Галиб-эфенди сообщил, что султан не утвердил основы выработанного договора и 31 декабря глава русских уполномоченных А. Я. Италинский объявил, что «так как султан отказал в ратификации оснований мира, принятых великим визирем, то император со своей стороны... приказал разорвать перемирие» и признал окруженную турецкую армию военнопленных⁹.

Но Кутузов прекрасно понимал, как важен и необходим для России мир с Турцией и поэтому невоспретил турецким представителям остаться в Бухаресте, не желая окончательно прерывать переговоры¹⁰. К концу 1811 г. отношения между Россией и Францией настолько ухудшились, что многие политики предсказывали начало военных действий в самом скором времени¹¹. Английский историк Сетон-Ватсон писал: «В течении 1811 г. отношения между Наполеоном и царем постепенно ухудшались в той степени, вкакой Россия выходила из континентальной системы»¹².

В предверии войны с Францией России было необходимо срочно заключить мир с Турцией и найти союзников для предстоящей борьбы с Наполеоном.

В первую очередь взгляд Александра I обратился к Австрии, своей бывшей союзнице в войне против Наполеона. В конце 1810 г. на находящегося в Вене русского дипломата П. А. Шувалова были возложены полномочия на ведение переговоров с министром иностранных дел Австрии Меттернихом, о возможности заключения союза с Австрией и совместных действиях в случае нападения Франции на одно из государств. Но переговоры ни к чему не привели. Австрийское правительство было недовольно ходом русско-турецкой войны, в частности, оно боялось, что к России отойдут турецкие владения в Европе — Молдавия и Валахия, на которые в Австрии давно имели виды. А надежда поживиться за счет Турции, с помощью Наполеона, окрепла после брака сестры австрийского императора Марии-Луизы с французским императором. И Меттерних угрожал, что если России удастся заключить выгодный мир с Турцией, то Австрия сблизится с Франци-

⁸ См. «Материалы к истории восточного вопроса в 1811—1813 гг.», М., 1901, Протоколы конференций в Журжеве, 1811, стр. 1—39.

⁹ Там же, стр. 39.

¹⁰ М. И. Кутузов Н. П. Румянцеву 3 (15) января 1812 г. М. И. Кутузов, Сборник документов, т. III, стр. 764—766.

¹¹ А. Б. Куракин Н. П. Румянцеву 2 (14) августа 1811 г. «Внешняя политика России XIX-начала XX века» (ВПР). Документы Российского Министерства иностранных дел, серия первая, 1801—1815 гг., т. VI, М., 1962, стр. 145, А. И. Чернышев Н. П. Румянцеву 7 (19) сентября 1811 г; Там же, стр. 171.

¹² R. W. Seton-Watson, «Britain in Europe», Cambridge, 1938, стр. 27.

ей¹³. А несколько позже австрийский посол в Константинополе (интернунций) Штюрмер получил от Наполеона награду — 10 тысяч лудиоров за старание затянуть русско-турецкие переговоры¹⁴.

Подводя итоги всему вышеизложенному, можно констатировать (на примере производства вина в Кахети и торговли им) факт развития торгового земледелия в пореформенной грузинской деревне. Этот процесс наглядно иллюстрирует высказанную В. И. Лениным мысль о том, что «основная черта пореформенной эволюции земледелия состоит в том, что оно принимает все более и более торговый, предпринимательский характер»⁵⁶.

Развитие торгового земледелия явилось прямым следствием перехода грузинской деревни от натурального хозяйства к товарному, денежному хозяйству.

⁵⁵ В 1889 г. из Марсея приехали несколько торговцев, которые закупили в Кахети вино для продажи в разных городах Франции (см. газ. «Иверия», 1889, № 603).

⁵⁶ В. И. Ленин, Полное собр. соч., т. 3, стр. 308.

მეორე ორჯონიძეძე

„ნასყიდი“ მიწის როლი გლეხის მეურნეობაში და
ბატონყმობისაგან თავდახსნის პროცესი XIX საუკუნის
რეფორმამდელი ხანის საქართველოში

საქართველოში მიწაზე კერძო საკუთრება, ე. წ. „ნასყიდობის“ ინსტიტუტი¹, აკად. ნ. ბერძენიშვილის აზრით, ჯერ კიდევ ძალიან ადრე, ფეოდალური ურთიერთობის წინა ხანაში, უკვე არსებობდა. იგი წერს, რომ „ყიდვა-გაყიდვის სფეროში იყო მოქცეული რაგინდარა მიწა, ე. ი. საკუთრების პრინციპი ფართოდ იყო გავრცელებული წარმოების ამ ძირითად საშუალებაზე, რაც თავისთავად საზოგადოებრივი ურთიერთობის მაღალი განვითარების ნიშანია“². მისი აზრით, ეს ინსტიტუტი საკუთრივ ქართულ ნიადაგზეა წარმოშობილი და მისი შემქმნელების საფუძველი ჩვენში ინტენსიური მიწათმოქმედება უნდა ყოფილიყო. ქართული ფეოდალური სამართალი ნასყიდობას მტკიცედ იცავდა. ვახტანგის სამართლის მიხედვით „ნასყიდი“ მამულის ხელისხლება ხელმწიფის მეტს არავის შეეძლო, მაგრამ მეფესაც როგორადაც არ უნდა დაესაჯა ყმა, ნასყიდი მაინც არ უნდა მოეშალა³. ნასყიდ მამულს არ ედო საბატონო გადასახადები და ასეთი მამულის პატრონს, გლეხი იქნებოდა ეს თუ ფეოდალი, სრული უფლება ჰქონდა როგორც თვითონ ჩათვლიდა საჭიროდ, ისე მოქცეოდა ამ მიწას — გაეყიდა, გაეჩუქებინა, მზითვად მიეცა და სხვ. მართალია, ფეოდალური დაქსაქსულობის პერიოდში საქართველოში ადგილი ჰქონდა ბატონის მხრიდან გლეხის ნასყიდი მიწის მითვისებას და მასზე გადასახადის დადებას, მაგრამ ეს ქართული ფეოდალური სამართლის იურიდიული ნორმების დარღვევა იყო და უნდა ვიგულისხმოთ, რომ შედარებით იშვიათ მოვლენას წარმოადგენდა — წინააღმდეგ შემთხვევაში სრულიად გაუგებარი იქნებოდა გლეხების შეუწელებელი სწრაფვა მიწების შეძენისადმი.

ადრეფეოდალურ-ბატონყმურ ხანაში გლეხების მიერ მიწების შეძენა შედარებით იშვიათი მოვლენა უნდა ყოფილიყო, ხოლო სასაქონლო-ფუტლადი ურთიერთობის და ვაჭრობა-ხელოსნობის განვითარებასთან დაკავშირებით მიწების ამოძრავება საკმაოდ შესაძლებელი გახდა და გლეხობაც მთელი ძალ-ღონით ცდილობდა შეეძინა მიწები, რათა ძირითადი საწარმოო საშუალების უზრუნველყოფის ბატონყმური ფორმებისაგან დაეღწია თავი. პროფ. ი. ანთელავა მიუთითებს, რომ გლეხების მონაწილეობა მიწების ყიდვა-გაყიდვაში XVIII ს-ის II ნახევრიდან განსაკუთრებით ინტენსიურ ხასიათს ღებულობს³. XIX საუკუნიდან მათი მონაწილეობა ხსენებულ ოპერაციებში კიდევ უფრო უნდა გაძლიერებულიყო, რასაც მოწმობს ხელნაწერთა ინსტიტუტის და ისტორიული არქივის სათანადო ფონდებში არსებული მიწის ნასყიდობის ათასობით სიგელ-გუჯრები. მაგრამ, ვინაიდან რეფორმამდელი ხანის რუსეთისათვის მიწის ყიდვა-გაყიდვაში ყმა-გლეხობის მონაწილეობა შედარებით უცხო მოვლენას წარმო-

¹ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბილისი, 1964, ტ. I, 33. 370.

² ვახტანგის სამართალი, მუხლი 160.

³ ი. ანთელავა, ცვლილებები XVIII საუკუნის საქართველოს ფეოდალურ მიწათმფლობელობაში „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1972, № 1, გვ. 95.

ადგენდა, რუსეთის ხელისუფლება არც საქართველოში დაინტერესებულა გლეხობის მიერ ნასყიდი მიწების ფართობის სტატისტიკური აღრიცხვით და ამ მოვლენის შესახებ მსჯელობა ჩვენ უმთავრესად არაპირდაპირი დოკუმენტების მიხედვით გვიხდება. სახელდობრ, ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, საწესდებო სიგელების შედგენის დროს, დასავლეთ საქართველოს დროებით-ჯალდებულმა გლეხებმა მომრიგებელ მოსამართლეებს წარუდგინეს 63 ათასზე მეტი მიწის ნასყიდობის სიგელი, შემდეგ წლებში კი 1876 წლამდე კიდევ დამატებით 21 ათასი სიგელი. აღმოსავლეთ საქართველოს გლეხობამ მარტო ერთი 1867 წლის განმავლობაში 1235 მიწის ნასყიდობის წიგნი წარადგინა⁴.

რუსეთის ხელისუფლება და ქართველი მემამულეები ყოველმხრივ ცდილობდნენ გლეხთა საკუთრების შეზღუდვას, ამ მიზნით ისინი მხოლოდ ნოტარიალური წესით დამტკიცებულ ნასყიდობის სიგელებს სცნობდნენ კანონიერად, რაც გლეხებს იშვიათად გააჩნდათ. შეზღუდვების მიუხედავად, სულ რაღაც 2 წლის, 1865—1867 წლების, განმავლობაში ქუთაისის გუბერნიის გლეხებმა წარდგენილი 19783 სიგელის საფუძველზე 10253 დესეტინა მიწის დამტკიცება შესძლეს⁵, 1871 წლისათვის კი დასავლეთ საქართველოში 15000 კომლს დაუმტკიცეს რეფორმამდელ ხანაში შეძენილი მიწები⁶.

გლეხობის ხელთ არსებული ნასყიდი მიწების შესახებ საინტერესო ცნობები გაბნეულია სხვადასხვა წლებისა და სხვადასხვა მაზრების კამერალურ აღწერებში, მაგრამ მათი სისტემატური აღრიცხვა მოცემულია მხოლოდ 1818 წლის გორის მაზრის საბატონო, სახელმწიფო და საეკლესიო გლეხების კამერალურ აღწერაში. ამიტომ 1818 წლის გორის მაზრის აღწერებს ჩვენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ. ამ აღწერის მონაცემებიდან შემდეგი სურათი ვლინდება. 1818 წელს გორის მაზრაში აღწერილი იყო 3275 საბატონო გლეხი, რომელთაც ბატონების მიერ მფლობელობაში მიცემული ჰქონდათ 15819 $\frac{1}{2}$ დღიური სახნავ-სათესად ვარგისი მიწა. ამათგან 361 კომლს, ანუ მათი საერთო რაოდენობის 11%-ს, ჰქონდა ნასყიდი მიწა სხვადასხვა რაოდენობით. სულ გორის მაზრის საბატონო გლეხების ხელთ იყო ნასყიდი მიწა 3597 დღიური, ანუ საერთოდ მათ მფლობელობაში არსებული მიწების 18,5% მათ საკუთრებას შეადგენდა. დღემდე გავრცელებული იყო აზრი, რომ ცალკეული გლეხების „ნასყიდი“ მიწების ფართობი უმეტესად 1—2 დღიურს არ აღემატებოდა. ჩვენი მასალიდან კი ირკვევა, რომ დიდი ფართობის მიწას გლეხები საკმაოდ ხშირად ყიდულობდნენ. 1—2 დღიური „ნასყიდი“ მიწის პატრონი 361 კომლიდან იყო 71 კომლი, ანუ 19%, 3-დან — 10-მდე დღიურის პატრონი 143, ანუ 40% და 10-დან 50 დღიურამდე 137, ანუ 38%⁷.

10, 20, 40 და მეტი დღიური ნასყიდი მიწის პატრონი გლეხების მეურნეობა თითქმის მთლიანად საკუთარ მიწებზე წარმოებდა და მის მფლობელს პირადი დამოუკიდებლობის მოპოვების საშუალებას აძლევდა, მაგ. სოფელ სათემოში მცხოვრებ სიმონ ფარასელაშვილს ჰქონდა 30 დღიური „ნასყიდი“ მიწა, ჰყავდა 18 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი და მოჰყავდა 200 კოდი მარ-

⁴ А. Панцхава, К вопросу о развитии аграрных отношений в дореформенной Восточной Грузии, М., 1957, გვ. 159; აღ. ბენდიანიშვილი, აგრარული ურთიერთობანი საქართველოში 1890—1917 წლებში, თბ., 1965, გვ. 93.

⁵ საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი (სცსია), ფ. 220, საქ. 883, ფურც. 154.

⁶ იქვე, ფ. 5, საქ. 2577, ფურც. 27.

⁷ სცსია, ფ. 254, ან. I, საქ. 542, ფურც. 1—752.

ცვლეული⁸, სოფ. ბერშუეთში მცხოვრებ დიმიტრი ბიძინაშვილს ჰქონდა 20 დღიური ნასყიდი მიწა, ჰყავდა 18 სული პირუტყვი, მოჰყავდა 200 კოდი მარცვლეული⁹, ბერშუეთელსავე გლეხს გოგია წიკლაურს ჰქონდა 12 დღიური ნასყიდი მიწა, მოჰყავდა 200 კოდი პური, ჰყავდა 20 სული მსხვილფეხა რქოსანი საქონელი და 300 ცხვარი, მეჭვრისხეველ დიმიტრი ხომამურიძეს ჰქონდა 50 დღიური ნასყიდი მიწა, მოჰყავდა 200 კოდი პური, და მრავალი სხვ. საფიქრებელია, რომ ჩვენ მიერ ჩამოთვლილი გლეხების მეურნეობაში დაქირავებული შრომაც იქნებოდა გამოყენებული, ასეთი გლეხები მიუხედავად იმისა, რომ ბატონყმურ ურთიერთობაში იყვნენ ჩაბმულნი, ჩვენ მაინც სოფლის ბურჟუაზიულ ელემენტებად მიგვაჩნია, ვინაიდან მათი მეურნეობა მთლიანად საკუთარ მიწებზე იყო გაშლილი და მათი მოსავლის 75—50% მაინც საბაზროდ უნდა ყოფილიყო წარმოებული. იმავე 1818 წელს გორის მაზრაში აღწერილი იყო 859 კომლი სახელმწიფო გლეხი, ამათგან ნასყიდი მიწა ჰქონდა 102 კომლს, ანუ 11,9%. მათ ნასყიდი მიწა ჰქონდათ 679 დღიური, ანუ საერთოდ სახელმწიფო გლეხების მფლობელობაში არსებული მიწების 18% მათი საკუთრება იყო. 748 კომლი საეკლესიო გლეხიდან ნასყიდი მიწა ჰქონდა 140-ს 1593 დღიურის რაოდენობით. ეს კი მათ მფლობელობაში არსებული მიწების 25,7%-ს შეადგენდა.

1818 წელს სულ გორის მაზრაში სამივე კატეგორიის გლეხი აღწერილი იყო 4878 კომლი, მათ ჰქონდათ სახელმწიფო, საბატონო, საეკლესიო მიწები 29203 დღიური, აქედან 5869 $\frac{1}{2}$ დღიური, ანუ მთელი მიწების 20,1% „ნასყიდი“ ანუ საკუთარი იყო. საკუთარი მიწა ეკუთვნოდა 600 კომლს, რაც მათი საერთო რაოდენობის 12,5%-ს შეადგენდა, აქედან 1-დან 2 დღიურამდე მიწა ჰქონდა 130 კომლს, ანუ 21,6%-ს და 10 და მეტი დღიური 215 კომლს ანუ 35,8%-ს, ე. ი. გლეხობის უმეტეს ნაწილს დიდი ფართობის ნასყიდი მიწები ჰქონდათ. იყო შემთხვევები, როდესაც გლეხებს „ნასყიდი“ ჰქონდათ 40, 50, 60, 80 და 200 დღიურიც კი. დიდი ფართობის ნასყიდი მიწა გლეხს სავსებით ათავისუფლებდა ამ ძირითადი საწარმოო საშუალებით მომარაგების ბატონყმური ფორმებისაგან. როგორც დავინახეთ გორის მაზრაში ჯერ კიდევ 1818 წელს გლეხობის მფლობელობაში არსებული მიწების $\frac{1}{5}$ უკვე საკუთარი იყო. რა თქმა უნდა, XIX ს-ის 30—40-იანი წლებიდან, როდესაც სწრაფი ტემპით წავიდა წინ სასაქონლო ფულადი ურთიერთობის განვითარება, გლეხობის გარკვეული ნაწილის ხელში კიდევ უფრო მეტი მიწის ფართობი მოიყრიდა თავს. უნდა ვიგულისხმოთ, რომ დაახლოებით ასეთივე მდგომარეობა იქნებოდა სხვა მაზრებშიაც. განსაკუთრებით ეს ითქმის დასავლეთ საქართველოზე, სადაც ყველაზე ძლიერად შეინიშნებოდა გლეხების მიღრეკილება მიწების შეძენისადმი. დ. გოგოლაძე წერს: 1855 წ. მარტო ქუთაისის მაზრაში 1617 კომლ სახ-ფო გლეხს ჰქონდა 5715 ქცევა ნასყიდი და 13081 ქცევა სახაზინო მიწა, ანუ მთელი მიწების $\frac{1}{3}$ მათ საკუთრებას წარმოადგენდა. დაახლოებით ასეთივე შეფარდება უნდა ყოფილიყო იმერეთ-გურიის საბატონო გლეხების მიწაიმფლობელობაშიც, რომელთა შესახებ 1865 წ. ქუთაისის სამოქალაქო გუბერნატორი აღნიშნავდა, რომ მათ სარგებლობაში არსებული მიწების $\frac{1}{3}$ ნასყიდ ანუ საკუთარ მიწებს უნდა შეადგენდეს¹⁰.

⁸ სცხია, ფ. 254, ან. I, საქ. 542.

⁹ იქვე.

¹⁰ დ. გოგოლაძე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარება გვიანფეოდალურ ხანაში, თბ., 1971, გვ. 184.

XIX ს-ის 80-იანი წლებისთვის კი ქუთაისის გუბერნიის სახ-ფო გლეხებს 43344 დესეტინა მიწა ჰქონდათ ნასყიდი. რა თქმა უნდა, ამ მიწების უმეტესი ნაწილი თუ არა, ნახევარი მაინც, რეფორმამდელ ხანაში უნდა ყოფილიყო შეძენილი. ე. ი. უკვე XIX ს-ის დასაწყისიდანვე, ბატონყმობის გაუქმებამდე კარგა ხნით ადრე გლეხობას სერობოზული იერში ჰქონდა მიტანილი ფეოდალურ საკუთრებაზე და ბატონყმობის რღვევა დაწყებული იყო, ვინაიდან, როგორც ცნობილია, ფეოდალური ფორმაციის მთავარი განმსაზღვრელი მომენტი გაბატონებული კლასის მიერ მიწის მონოპოლიური საკუთრება იყო.

XIX ს-ის რეფორმამდელი ხანის საქართველოში სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის და ვაჭრობა-ხელოსნობის განვითარების შედეგად გაძლიერდა გლეხობის მისწრაფება არა მარტო მიწების შეძენისა, არამედ პირადი თავისუფლების მოპოვებისაკენაც.

XIX ს-ის I ნახევარი საქართველოს ისტორიაში ბატონყმური ურთიერთობის გამწვავებით აღინიშნება. ფულზე გაზრდილი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ბატონები თვითნებურად ზრდიდნენ გლეხებზე დაკისრებულ ბეგარა-გადასახადებს, უჩვეულოდ ამძიმებდნენ მათ უფლება-მოვალეობებს. თავის მხრივ, გლეხობა ამ მოვლენას ბატონყმობისაგან თავისდაღწევისათვის ბრძოლის გააქტიურებით პასუხობდა. იგი ბატონყმობისაგან თავის დასაღწევად ყველა საშუალებას მიმართავდა; ეს იქნებოდა იურიდიული გზით თავისუფლების მოპოვება, მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან აყრა, სხვა კუთხეებში გაქცევა და ხიზნად დაჯდომა თუ გარკვეული საზღაურის გადახდით თავის გამოსყიდვა.

ბატონყმობისაგან თავგამოსყიდვა ქართული ფეოდალური სამართლით აკრძალული არ ყოფილა. ბატონისა და ყმის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, გარკვეული საზღაურის გადახდით გლეხს შეეძლო თავისუფლების მოპოვება. მაგრამ XVIII ს-მდე ასეთი შემთხვევები იშვიათი იყო. XVIII ს-ში, როგორც პროფ. ანთელავამ გამოიკვლია, ამ მოვლენამ შედარებით ფართო ხასიათი მიიღო. XIX ს-ის რეფორმამდელ ხანაში ეს პროცესი კიდევ უფრო ძლიერდება და XVIII ს-გან განსხვავებით ერთხელ თავგამოსყიდული გლეხის ხელახალი დაყმევების შემთხვევები თითო-ოროლა გამოჩნდის გარდა თითქმის აღარ გვხვდება. ერთი მხრივ, ყმა გლეხთა ეკონომიური ექსპლუატაციის გაძლიერება და მისი უფლებრივი მდგომარეობის გაუარესება იყო მიზეზი ამ პროცესის გაძლიერებისა. მეორე მხრივ კი სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარება ამ ურთიერთობაში ჩაბმული გლეხობის ნაწილს საშუალებას აძლევდა დაეგროვებინა სათანადო თანხა და პირადი თავისუფლების მოპოვებისათვის ეზრუნა. გარდა ამისა, ამ პროცესს ცარიზმის კანონმდებლობაც უწყობდა ხელს, რომელიც საქართველოში სახაზინო უწყებების ყმა-მამულის გამრავლებისაკენ იყო მიმართული. კერძოდ, 1831 წელს გამოცემული კანონის თანახმად დავალიანებული მეზატონის ყმა-მამულის საჯარო ვაჭრობით გაყიდვის დროს გლეხებს თავგამოსყიდვის უფლება ეძლეოდათ. 1842 წელს გამოსული კანონის თანახმად კი, ასეთივე უფლება ეძლეოდათ გლეხებს კერძო შეთანხმებით ყმა-მამულის გაყიდვის დროსაც. 1848 წლის კანონით კი ბატონყმობისაგან განთავისუფლებულ გლეხებს ნება ეძლეოდათ ჩარიცხულიყვნენ სახელმწიფო უწყებაში ან მოქალაქეებად ჩაწერილიყვნენ¹¹.

¹¹ И. Г. Антелава, Государственные крестьяне Грузии в первой половине XIX века, 1955, Сухуми, т. I, гл. 108.

გლეხების მიერ თავგამოსყიდვის შემთხვევები სტატისტიკურად აღრიცხული ცნობილია მხოლოდ ქუთაისის გუბერნიაში, ისიც 1850 წლიდან 1864 წლამდე. ამ აღრიცხვით ასეთი 1314 შემთხვევაა დადასტურებული, მაგრამ ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში სამართლიანად არის გაბატონებული აზრი, რომ მთლიანად საქართველოში XIX ს-ის I ნახევრის მანძილზე თავგამოსყიდვის შემთხვევები უფრო მეტი უნდა ყოფილიყო. ასეთივე ვარაუდი აქვს გამოთქმული დ. გოგოლაძეს, რომელსაც თავდახსნის 300-მდე საბუთი შეუსწავლია. ჩვენ ხელნაწერთა ინსტიტუტისა და ისტორიული არქივის სათანადო ფონდებში 1805 ასეთ საბუთს მივაკვლიეთ. ამ 1805 საბუთით ბატონყმობისაგან განთავისუფლდა 1967 კომლი, რაც კიდევ უფრო მეტ საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ XIX ს-ის რეფორმამდელი ხანის საქართველოში გლეხების მიერ თავგამოსყიდვის შემთხვევები არც თუ ისე იშვიათი მოვლენა უნდა ყოფილიყო. ჩვენ მიერ დამუშავებულ 1805 თავდახსნის წიგნიდან, მხოლოდ 516 არის გაცემული 1850 წლიდან ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის მიერ. ე. ი. 1314 ცნობილი, აღრიცხული შემთხვევიდან 516-მა საბუთმა, ანუ დაახლოებით $\frac{1}{3}$ -მა მოაღწია მხოლოდ ჩვენამდე. დანარჩენი 1289 საბუთიდან 927 აღმოსავლეთ საქართველოს შეეხება. 927 საბუთით აღმოსავლეთ საქართველოში თავისუფლება მიიღო 1087-მა კომლმა, რაც აღმოსავლეთ საქართველოს საბატონო გლეხების 6%-ს შეადგენს. უკვე მარტო ესეც კი საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ რეფორმამდელ ხანაში ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის რღვევა დაწყებული იყო. მაგრამ თუ გავიხსენებთ, რომ დასავლეთ საქართველოში თავგამოსყიდვის ცნობილი შემთხვევებიდან მხოლოდ $\frac{1}{3}$ -მა მოაღწია ჩვენამდე და ანალოგიურად ვიმსჯელებთ აღმოსავლეთ საქართველოზეც უნდა ვივარაუდოთ რომ აქაც ასეთი შემთხვევები გაცილებით მეტი იქნებოდა და საბატონო გლეხების 12—18% მაინც უნდა ჩავთვალოთ თავგამოსყიდულად. რაც არც თუ ისე ცოტაა.

ხშირი იყო შემთხვევები, როცა მეზატონისაგან გაქცეული და სხვა კუთხეში დასახლებული გლეხი მის ასაყრელად მოსულ მეზატონეს აღარ ემორჩილებოდა და ეს უკანასკნელიც იძულებული იყო სათანადო ანაზღაურების მიღებით თავისი ყოფილი ყმა გაეთავისუფლებინა. ეს უმთავრესად დასავლეთ საქართველოდან კახეთსა, ან ქართლში გამოქცეულ გლეხებს შეეხება. მაგალითად, 1841 წელს იმერელი თავადი დავით წულუკიძე შემდეგი შინაარსის თავდახსნილობის წიგნს აძლევს თავის ყმას იოსებ ყიზილგეიშვილს „... შენ გარდამოხველ იმერეთიდან უნებლიეთ ჩემდა და იმყოფებოდი თელავის ქალაქსა შინა, რომლისათვის მეც გარდმოხველ საქართველოს ყმათა ჩემთა გარდასასახლებლად მუნვე თავის სამკვიდრებელსა ადგილმამულსა, გარნა შენ არ ისურვე და არც დაემორჩილე დაეთანხმე ბრძანებასა ჩემსა იმერეთს გარდაყვანისათვის და მე ვინაიდგან მივხედე აზრსა და სინდისსა შენსა ესრეთითა სახითა, ამისთვის დაგიტევე ვითარცა ისურვე და დაგახსენეინე (თავი) ყმობისა ჩემისა თვინიერ შენი მამულისა“¹². ასეთივე შინაარსის საბუთს აძლევს 1818 წელს იმერელი აზნაური ვახტანგ სვანიძე საგარეჯოში გადახვეწილ თავის ყმებს სვიმონ, ხუცია, დათიკა და მახარე ზალიკანიანებს „მამის ჩვენის ნასყიდი იყავით და იმერეთიდან საქართველოში წამოხვედით, მოვედ მე თქვენ წამოსაყვანადა და აღარ

¹² სცსია, ფ. 254, ან. I, საქ. № 1956, ფურც. 58.

გამომყევით, პატიოსანნი კაცნი შუა შემოიყვანე და თავის დახსნა მთხოვეთ, მეც ვისმინე თქვენი თხოვნა და თავი დაგახსნევინე“¹³. მეზატონისაგან გაქცეულ გლეხს თავის დასახსნელად ფულის გადახდა უხდებოდა იმ შემთხვევაშიც კი, როცა ის დიდი ხნის წინათ იყო გადმოხვეწილი თავის „სამკვიდრო“ ადგილ-მამულიდან. ამ მხრივ ჩვენ ყურადღებას იპყრობს შემდეგი საბუთები: „... ესე განთავისუფლების წერილი მოგეც მე რაჰველმა სხიველმა აბაშიძე დავით მღვდლის შვილმა ზურაბ, შენ ჯაფარაშვილის როსტომისაგან მოსყიდულს დვალეთელს ქიტესა ჩერქეზოვს, ასე რომ პატარა ტფილისის ქალაქს გადმო-სულიყავ და იქ გეცხოვრა 16 წელიწადი და მას უკან ცოლიც შეგერთო, მე გადმოველ იმერეთიდან ტფილისში და ბატონყმობაზედ გამოველაპარაკე, რადგან შენი ნასყიდობის სიგელი მქონდა, შენ ჩემი გული შეიჯერე რითაც იყო და მე გამითავისუფლებიხარ“¹⁴. ასევე პატარობიდან წამოსული ყმის გან-თავისუფლებისათვის ფული აუღია აზნაურ ლევან გამყრელიძეს „... ასე რომ იყავ წამოსული აღრევე სიყმაწვილეში კახეთში სიღნაღის უეზდში სოფ. კაკა-ბეთში და ცოლიც შეგერთო მანდაური ქალი. ჩამოვედი შენ ასაყრელად და წასაყვანად და შენც შემევედრე სოფლის ხალხიც შუა შემოიყვანე. მეც პატივი გეც და გამოგართვი ფასი სრული...“¹⁵.

სულ ჩვენ მიერ განხილული საბუთებიდან 143 შემთხვევა გვაქვს ისეთი, როცა გაქცეული გლეხი აღარ თანხმდებოდა უკან დაბრუნებაზე და მეზატო-ნეები იძულებული იყვნენ გაეთავისუფლებინათ ისინი.

ბატონყმობისაგან თავდახსნისას გლეხები ცდილობდნენ სარგებლობაში მიცემული ადგილ-მამულის გამოსყიდვასაც, მაგრამ პირადი თავისუფლების მო-პოვება იმდენად სასურველად მიაჩნდათ, რომ ხშირად მთელი თავისი ადგილ-მამულის და სახლ-კარის დათმობასაც არ ერიდებოდნენ და უმიწაწყლოდ რჩებოდნენ თავს. ჩვენ მიერ განხილული საბუთებიდან 264-ში არ არის აღ-ნიშნული გლეხებმა უძრავ-მოძრავი ქონებით გამოისყიდეს თავი თუ არა, და-ნარჩენებიდან 813 უმიწაწყლოდ არის განთავისუფლებული და 728 ადგილ-მამულითა და მთელი თავისი საცხოვრებელით. ე. ი. უნდა ვივარაუდოთ, რომ განთავისუფლებული გლეხების დაახლოებით ნახევარი ქონების გამოსყიდვა-საც ახერხებდა. სამწუხაროდ, თავდახსნის წიგნებში იშვიათად არის მითითე-ბული გამოსყიდული მიწის ფართობი, მაგრამ იმ მცირერიცხოვანი საბუთები-დან. სადაც ეს აღნიშნულია, ჩანს, რომ ქონებით თავგამოსყიდული გლეხების უმეტესობა, ძირითადი საწარმოო საშუალებით — მიწით, სავსებით უზრუნ-ველყოფილი იყო. კერძოდ, 218 საბუთიდან, სადაც მითითებულია თავდახსნი-ლი გლეხის მიწის ფართობი, 75 კომლს შედარებით უმნიშვნელო 2-დან — 10 დლიურამდე მიწა ჰქონდა, 143 კომლის სახნავ-სათესი მიწის ფართობი კი 10 დლიურს აღემატებოდა, ქვემოთ ჩვენ მოგვაქვს ცხრილი, სადაც ამ შეძლებუ-ლი გლეხების უმეტესობის ქონება არის აღწერილი.

¹³ სცსია, ფ. 1450, დავთ. 36, საბ. 102, 1818 წ.

¹⁴ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Qd, საბ. № 72, 1810 წ.

¹⁵ იქვე, ფ. Hd, საბ. 9593, 1833 წ.

№	დამდგომელი	თვლები	ბატონი	(ივრ. ანგარიში) პროცენტული გამოთვლა	გამოს- ყილული ფურცლები	სხვა ქონება	სოფელი, სა- დაცეს მი- წეობა	არქივის ფონდი, საქმე, ფურცელი
1	2	3	4	5	6	7	8	9
1	1843	ბერუა თურმანიშვილი	დიმიტრი ერისთავი	20	1—1 დლ.	სახლი, საკარმიდამო ნაკვეთი	შინდისი	ფ. 254, ან. 1, საქ. 1378, ფურც. 87
2	1845	ლვინაშვილი	არჩილ მუხრან-ბატონი	23 1,2	—		დიდომი	იქვე, ფურც. 100
3	1846	აბრამ იმედაშვილი	ალექსანდრე ანდრონიკა- შვილი	20	1—1 დლ.		ვეჩინი	იქვე, ფურც. 125
4	1847	ლეთისა გნოლიძე	გიორგი ამილახვარი	35	2—4 1,2,,	სახლი სამეურნეო ნაგებო- ბებით, წისქვილი 4 დლი- ურ მიწაზე	ყარაბალი	იქვე, საქ. 1378, ფურც. 147
5	1847	გაბრიელ წრიალაშვილი	გიორგი ამილახვარი	55	31,2 დლ.	წისქვილი	ფხვენისი	იქვე, ფურც. 159
6	1847	მთა კიციანიძე	ბეჟან ამილახვარი	45	3—3 დლ.	სახლი სამეურნეო ნაგე- ბობებით, 12 სული ხარ- კამეჩი	ბერშუეთი	„ „ 172
7	1857	გიორგი ჯალანტიაშვილი	თეიმურაზ თარხნიშვილი	81,2	2—2 1,2 დლ.	სახლი სამეურნეო ნაგებო- ბებით	გორის მაზრა	ფ. 254, ან. 2, საქ. 2389, ფურც. 217
8	1842	გიორგი მჭედლიშვილი	ლევან ციციშვილი	15	—	სახლი სამეურნეო ნაგებო- ბებით, საკარმიდამო ნაკ- ვეთი, 11 სული ხარ- ძროხა	ლოესი	ფ. 254, ან. 1, საქ. 1955, ფურც. 23
9	1842	სოსია ტურაშვილი	ლევან ციციშვილი	15	4 დლ.	სახლი სამეურნეო ნაგებო- ბებით, საკარმიდამო ნაკ- ვეთი	ლოესი	იქვე
10	1842	ზოსიმე სტეფანაშვილი	გიორგი ერისთავი	6	1	სახლი სამეურნეო ნაგებო- ბებით, სამოსახლო, 2 დუქანი	ახალგორი	იქვე, ფურც. 34
11	1845	თომა კახანაძე	ლუარსაბ ვაჩნაძე	19	1	ზედუბნის ტყე	ზედუბანი	იქვე, საქ. 2207, ფურც. 10
12	1846	გიორგი ჯავახიშვილი	სოფიო სავარსამიძე	20	—	მოძრავი ქონება	ახმეტა	იქვე, ფურც. 43
13	1843	გაბრიელ შაბაიშვილი	დიმიტრი ერისთავი	30	2	—	შინდისი	იქვე, საქ. 2051, ფურც. 17
14	1844	იოსებ ჭამგლაშვილი	მფემია ანდრონიკაშვილი	17	3	—	შილდა	იქვე, ფურც. 36
15	1848	იოსებ შალკაშვილი	გიორგი მუხრანბატონი	32 1,2	—	—	დიდომი	ფ. 254, ან. 2, საქ. 2357, ფურც. 2—3
16	1843	მასარე ამირბარაშვილი	გიორგი მუხრანბატონი	31	—	3 სახლი, კალო, საბძელი	დიდომი	იქვე, ფურც. 4—5
17	1853	ესიკა დოლიძე	დავით ჯაყელი	2 1,2	5 დლ.	—	სოხურგეთი	იქვე, საქ. 2372, ფურც. 6
18	1853	დავით კიკვიძე	იესე ხუნდაძე	5	4 დლ.	—	ჩოხატაური	იქვე, ფურც. 11

19	1857	დავით კობრიძე	ივანე წულუკიძე	10	1/2 დღ.	7 1/2 დღიური ტყე	ფარცხანაძე-ნევი	იქვე, საქ. 2383, ფურც. 10
20	1862	დიანოზ აბზინაძე	გიორგი წულუკიძე	4	4 დღ.	2 1/2 დღიური ტყე	მჭირი	იქვე, საქ. 2427
21	1862	ნინია ჯუფაძე	ნიკოლოზ მიქელაძე	17	—	—	კულაში	იქვე
22	1862	ივანე პაპავა	ნიკოლოზ მიქელაძე	25	—	—	კულაში	იქვე
23	1862	დათია პაპავა	ალექსანდრე მიქელაძე	15	—	სამი სახლი	კულაში	იქვე
24	1862	გლაზუა ბენერიძე	სალომე შილაძე	10	—	—	წილობანი	იქვე
25	1860	დავით ბარკალაია	როსტომ მიქელაძე	15	7 1/2 დღ.	—	ჩხენიში	ფ. 254, ან. 2, საქ. 2543, ფურც. 2
26	1864	სიმონ მელუხა	ალექსანდრე გუგუჩავა	12 1/2	1	—	ძიმიტი	იქვე, საქ. 2451, ფურც. 21
27	1857	საყვარელა ერჯიბაძე	სიმონ აბაშიძე	12 1/2	1,2 დღ.	ტყე	დილიკაური	იქვე, საქ. 2536, ფურც. 131
28	1853	გიორგი სიხარულაძე	იასე ქლენტი	16	—	—	ამდოღება	იქვე, ფურც. 132
29	1843	გიორგი ტაბარაშვილი	მალალაშვილი	15	—	—	გორის მაზრა	იქვე, ან. 1, საქ. 2035
30	1843	თევდორე ხიზაბაგველი	მალალაშვილი	14	21/2 დღ.	1 წისქვილი	გორის მაზრა	იქვე
31	1843	ნინია რთველიაშვილი	მალალაშვილი	20	1 დღ.	—	გორის მაზრა	იქვე
32	1847	ზაქარია მჭედლიშვილი	მარიამ ვანაძე	30	5 დღ.	—	ანაგა	ფ. 254, ან. 2, საქ. 124, ფურც. 175
33	1848	იულთა აშარუმაშვილი	ალექსანდრე ერისთავი	—	2	სახლი სამეურნეო ნაგებობებით, 2 ეგნახი, 2 ბოსტანი, 2 საეგნახე ადგილი, 2 საწისქვილე ადგილი, 3 დუქანი, სამღებრო	ახალგორი	იქვე, ფურც. 214
34	1847	ვახილ გოგიშვილი	გიორგი ფავლენიშვილი	12	3/4 დღ.	1/4 დღიური ხეხილის ბაღი	ზემო ხვითი	იქვე, ფურც. 235
35	1850	შიო ბეწილაშვილი	ზაქარია ჭორჭაძე	20	3	—	ახმეტა	იქვე, ფურც. 291
36	1849	ვრიდონ ჭიტუაშვილი	სიმონ მაყაშვილი	10	4 დღ.	სახლი სამეურნეო ნაგებობებით	რუისპირი	იქვე, ფურც. 303
37	1849	ბეტრე მკალავიშვილი	სიმონ მაყაშვილი	20	10 დღ.	სახლი სამეურნეო ნაგებობებით	რუისპირი	იქვე, ფურც. 303
38	1850	ბეჩო ტუბიშვილი	იაკობ ზუბალაშვილი	18	1 1/2 დღ.	2 სახლი სამეურნეო ნაგებობებით	დოესი	იქვე, ფურც. 353
39	1850	ოთარა ზაქარაიშვილი	ქოხტა დუდუჩავა	7 1/2	6 1/2 დღ.	—	ოზურგეთის მაზრა	ფ. 254, ან. 2, საქ. 130 ფურც. 43
40	1851	გლაზა ხიზანაშვილი	ილია ორბელიანი	12	20 დღ.	სახლი სარდაფით 2 დღიურზე	გურჯაანი	იქვე, ფურც. 80—81
41	1851	სოლომონა დედლისშვილი	ილია ორბელიანი	12	6 დღ.	სახლი სარდაფით 1 დღიურზე	—	იქვე
42	1851	ბექანა ნინიაშვილი	ილია ორბელიანი	12	2 დღ.	სახლი, საკარმიდამო ნაკვეთი 2 დღიური	—	იქვე
43	1851	გლაზა საჭალეი	მელიტონ ამილახვარი	19	2	სახლი, სარდაფი, ეზო	ჭალა	იქვე, ფურც. 69
44	1837	აბრამ ქეხარაშვილი	ანდრონიკე მაყაშვილი	15	4 დღ.	სახლი, სამეურნეო ნაგებობები	რუისპირი	ფ. 254, ან. 2, საქ. 151
45	1837	გოგია ღარიბაშვილი	—	15	4 დღ.	—	—	იქვე
46	1837	რევაზ კალანდარიშვილი	—	10	2 დღ.	—	—	იქვე

„მ ა ე მ“ , მსტორიის... სერია, 1974, № 1.

1	2	3	4	5	6	7	8	9
47	1837	სოლომონ იგრიასვილი	ანდრონიკე მაყაშვილი	14	4 დლ.	—	—	იქვე
48	1851	ოტია ციხაძე	ივანე წულუკიძე	10	1 დლ.	სახლი ეზო-კარმიდამო	ფარცხანა-ყანგვი	ფ. 254, ან. 2, საქ. 152, ფურც. 216
49	1851	ზაქარია კობრიძე	ივანე წულუკიძე	20	3/4 დლ.	1 დლიური 5 დლიური ტყე	—	იქვე, ფურც. 234
50	1847	აღდგომელა სამხარაძე	დარეჯან მაჭავარიანი	17 1/2	1 1/2 დლ.	სახლი, კარმიდამო 2 დლ., ტყე 15 დლ.	წყალშაური	ფურც. 358
51	1857	გიორგი ზაქარაშვილი	გიორგი ფავლენიშვილი	12 1/2	1 დლ.	სამოსახლო 1 დლ., ტყე 30 დლ.	გორის მაზრა	იქვე, საქ. 190, ფურც. 33
52	1856	იაკობ სულაშვილი	ტარიელ ხიმშიაშვილი	29	1 დლ.	—	რუისი	იქვე, ფურც. 281
53	1851	გიტულა ჩხაიძე	გიორგი ებრაღიძე	3 1/2	2 1/2	2 დუქანი, ტყე — 10 დლ.	ოზურგეთი	იქვე, ან. 2, საქ. 2534, ფურც. 19
54	1850	მისესტრაძე	მაჩაბელი	15	—	სახლი, სამეურნეო ნაგებობები საკარმიდამო ნაკვეთი	დუმატხო	იქვე, საქ. 2095, ფურც. 11
55	1847	გლაზა ოსაძე	ზაქარია ჭორაშვილი	16	—	სახლი, სამეურნეო ნაგებობები	სატივე	ფ. 254, ან. 1, საქ. 2419, ფურც. 35—36.
56	1847	ილარიონ ფხაკაძე	—	20	—	სახლი, სამეურნეო ნაგებობები	სატივე	ფ. 254, ან. 1, საქ. 2419, ფურც. 35—36.
57	1847	სიმონ ლამაზაშვილი	—	15	—	—	—	იქვე
58	1846	მიქელ მისაშვილი	გიორგი წულუკიძე	10	1	ტყე	გუბი	იქვე, ფურც. 88
59	1848	ნიკოლოზ ქორიძე	სალომე ჯაიანი	15	1	—	ქონეთი	იქვე, ფურც. 128
60	1847	თამაზ პეტრიაშვილი	ბერი წულუკიძე	15	1	—	კახეთი	იქვე, 192
61	1864	ბიჭუნია ბალანჩივაძე	ალექსანდრე მიქელაძე	16	1	—	კულაში	ფ. 254, ან. 2, საქ. 448, ფურც. 93
62	1848	გიორგი თევდორაძე	ივანე ჯაყელი	20	—	—	აცანა	ფ. 254, ან. 1, საქ. 2419, ფურც. 131
63	1846	გაბრიელ მამრიკიშვილი	დავით კანდელაკი	20	—	—	ვანი	იქვე, ფურც. 203
64	1848	გოგინა მისეშვილი	ივანე წულუკიძე	11	2 1/2 დლ.	საკარმიდამო ნაკვეთი 3 დლ., ტყე 5 დლ.	გუბი	იქვე, ფურც. 114
65	1848	ბიჭია აბზიანიძე	ბექან ლოლობერიძე	15	1 დლ.	საკარმიდამო ნაკვეთი 3 დლ., ტყე 6 დლ.	ჩიხაიში	იქვე, ფურც. 124
66	1849	ლაზარე კუჭაიძე	ნესტორ წერეთელი	30	1 დლ.	სამოსახლო 2 დლ.	საყულისა	იქვე, ფურც. 167—168
67	1849	დავით კუჭაიძე	ნესტორ წერეთელი					
68	1848	გოგია ნიფარიშვილი	დავით ყენია	25	—	—	წილობანი	იქვე, ფურც. 213
69	1847	სიმონა რობაქიძე	მელანია იშხნელი	35	—	—	შორაპანი	იქვე, ფურც. 122
70	1848	ოტია შვანგირაძე	გიორგი იოსელიანი	20	1 1/2 დლ.	სახლი, ეზო 1 დლ., ტყე 30 დლ.	გვიშტიბი	იქვე, ფურც. 105

71	1846	სიმონა ნოზაძე	მარიამ წერეთელი	60	2 დლ.	3 სახლი	ჭუღაძის მახრა	იქვე, ფურც. 137
72	1845	მარკოზა ბოდოკია	ივანე აბაშიძე	110	4 დლ.	3 სახლი, სამეურნეო ნაგებობები	—	ფ. 254, ან. 2, საქ. 448, ფურც. 74
73	1855	სოლომონ ნატროშვილი	სოლომონ ჯანდიერი	20	3	სახლი, სამეურნეო ნაგებობები, 25 სული ხარკამეჩი	ვიანაძისი	იქვე, საქ. 190, ფურც. 221
74	1855	ლაზარე ყარანელაშვილი	— — —	10	1	სახლი, სამეურნეო ნაგებობები	—	იქვე
75	1855	სიმონ ყარანელაშვილი	— — —	10	2	სახლი, სამეურნეო ნაგებობები, 7 სული ხარკამეჩი	—	იქვე
76	1856	გლაზა ქიტიაშვილი	მარიამ ავალიშვილი	59 1/2	—	სახლი, სამეურნეო ნაგებობები	ხაშური	ფ. 254, ან. 2, საქ. 152, ფურც. 239
77	1856	ანტონა ბერძენაშვილი	ალექსანდრე დობრინსკი	100	—	ცალკე ნაკვეთად მდებარე სახნავი მიწები და ვენახები	ვარიანი	იქვე, ფურც. 167—168
78	1856	ტასია ჩეგელაშვილი	— — —				—	
79	1857	სოლომონ ზარდიაშვილი	რამაზ ანდრონიკაშვილი	20	3—5 დლ.	—	გურჯაანი	იქვე, საქ. 2383, ფურც. 15—20
80	1857	ფრიდონ იმერლიშვილი	რამაზ ანდრონიკაშვილი	20	1—1 დლ.	—	გურჯაანი	იქვე, საქ. 2383, ფურც. 15—20.
81	1857	ბეჟან იმერლიშვილი	— — —	20	4 დლ.	—	—	ფ. 254, ან. 2, საქ. 2383, ფურც. 15—20
82	1857	მიხა ზარდიაშვილი	— — —	20	4 დლ.	—	—	იქვე
83	1857	ბეჟან ზარდიაშვილი	— — —	20	4 დლ.	—	—	იქვე
84	1857	ანდრია ზარდიაშვილი	— — —	20	4 დლ.	—	—	იქვე
85	1857	ელეფთერ როსტიაშვილი	— — —	22	4 დლ.	—	—	იქვე
86	1857	სოლომონ როსტიაშვილი	— — —	30	9 დლ.	—	—	იქვე
87	1857	კიკო ზარდიაშვილი	— — —	21	4 დლ.	—	—	იქვე
88	1857	ლაზარე ზარდიაშვილი	— — —	15	3 დლ.	—	—	იქვე
89	1857	დათია არაქელაშვილი	— — —	15	3 დლ.	—	—	იქვე
90	1857	ფრიდონ კოჭლიშვილი	— — —	—	8 დლ.	—	—	იქვე
91	1857	ლევან კოჭლიშვილი	— — —	30	4 დლ.	—	—	იქვე
92	1857	დიმიტრი კოჭლიშვილი	— — —	15	4 დლ.	—	—	იქვე
93	1857	აბრამ კოჭლიშვილი	— — —	15	1 დლ.	—	—	იქვე
94	1857	ალექსი კოჭლიშვილი	— — —	20	2 დლ.	—	—	იქვე
95	1857	ნინია იმერლიშვილი	— — —	20	2 დლ.	—	—	იქვე
96	1857	პაპუა იმერლიშვილი	— — —	16	2 დლ.	—	—	იქვე
97	1857	გლაზა იმერლიშვილი	— — —	20	3 დლ.	—	—	იქვე
98	1857	ლუარსაბ იმერლიშვილი	— — —	30	2 დლ.	—	—	იქვე

1	2	3	4	5	6	7	8	9
99	1857	სოსია ნიკოლაშვილი	რამაზ ანდრონიკაშვილი	20	3 დლ.	—	გურჯაანი	ფ. 254, ან. 2, საქ. 2383, ფურც. 15—20
100	1857	სოლომონ ნიკოლაშვილი	— „ —	15	1 დლ.	—	— „ —	იქვე
101	1857	ოთარა ნიკოლაშვილი	— „ —	15	3 დლ.	—	— „ —	იქვე
102	1857	ტეტია ნიკოლაშვილი	— „ —	16	3 დლ.	—	— „ —	იქვე
103	1857	თამაზ მენაბდიშვილი	— „ —	15	2 დლ.	—	— „ —	იქვე
104	1857	დათია ზარდიაშვილი	— „ —	15	3 დლ.	—	— „ —	იქვე
105	1857	სოსია მენაბდიშვილი	— „ —	14	2 დლ.	—	— „ —	იქვე
106	1857	ზაქარია ტრანკაშვილი	დავით ერისთავი	49	3 1/4 დლ.	სახლი, სამეურნეო ნაგებობები, ხეხილის ბაღი 2 დღიური	ცხინვალი	ფ. 254, ან. 2, საქ. 152, ფურც. 3.

ცხრილში აღნიშნულ 106 კომლ გლეხს გამოუსყიდია სულ 2440 დღიური სახნავ-სათესი მიწა და ვენახი, რაც კომლზე საშუალოდ 23 დღიურს შეადგენს.

ზოგიერთ კომლს სახნავ-სათესი მიწა მცირე რაოდენობით ჰქონდა, სამაგიეროდ, ან დიდ ფართობზე გაშენებულ ვენახს ფლობდა, ან მისი ძირითადი საქმიანობა, ხვნა-თესვის ნაცვლად, ვაჭრობა-მრეწველობა იყო და საკუთარი დუქნები და სამღებროები ჰქონდა გახსნილი. მაგალითად, სოფელ ოზურგეთში მცხოვრებ ესიკა დოლიძეს 5 დღიური ვენახი ჰქონდა, სახნავ-სათესი მიწა კი მხოლოდ 2 $\frac{1}{2}$ დღიური; გურჯაანში მცხოვრებ ფრიდონა კოჭლიშვილს სახნავ-სათესი მიწა საერთოდ არ ჰქონდა, სამაგიეროდ ჰქონდა 8 დღიურზე გაშენებული ვენახი; სოფელ ახალგორში მცხოვრებ გიორგი ერისთავის ყოფილ ყმას ზოსიმე სტეფანაშვილს ჰქონდა 6 დღიური მიწა და 2 დუქანი, იმავე ახალგორში მცხოვრებ თუთუა აშარუმაშვილს კი სახნავ-სათესი მიწა საერთოდ არ ჰქონდა, სამაგიეროდ ჰქონდა 2 ვენახი, 2 ბოსტანი, 2 სავენახე ადგილი, 2 საწისქვილე ადგილი, 3 დუქანი, სამღებრო და სხვ. ჩვენ ყველა ესენი შეძლებულ გლეხთა ნუსხაში შევიყვანეთ, რამაც ძირს დასწია თითოეული კომლის მიერ გამოუსყიდული მიწის საშუალო ფართობი, მაშინ როცა, როგორც ცხრილიდან ჩანს, იყვნენ ისეთი გლეხები, რომელთაც 45, 55, 60 და მეტი დღიური მიწაც კი ჰქონდათ. ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს 3 კომლი, რომელთაგან ერთს მარკოზ ბოდოკიას 1845 წელს თავად ივანე აბაშიძისაგან გამოუსყიდია 4 დღიური ვენახი და 110 დღიური სახნავ-სათესი მიწა, ორს კი ანტონა ბერძენაშვილს და ტასია ჩეგელაშვილს სოფელ ვარიაში ცალკეულ ნაკვეთებად მდებარე სახნავი მიწებისა და ვენახების გარდა გამოუსყიდიათ ერთი მთლიანი 100 დღიურიანი ნაკვეთი სახნავი მიწა ე. წ. ზოდაბუნი. მარკოზ ბოდოკიას ოჯახი 9 სული-საგან შედგებოდა, აქედან მამაკაცი იყო 4. რა თქმა უნდა, 110 დღიური სახნავი მიწისა და 4 დღიური ვენახის დამუშავებას გაცილებით მეტი მუშახელი დასჭირდებოდა და მის მეურნეობაში დაქირავებული მუშახელი იქნებოდა დასაქმებული. იგივე ითქმის ტასია ჩეგელაშვილისა და ანტონა ბერძენიშვილის მეურნეობებზეც. მართალია, ამ ორივე კომლში მამაკაცი 13 იყო, მაგრამ 100 დღიური ზოდაბუნისა და ცალკეული ნაკვეთი სახნავ-სათესი მიწებისა და ვენახების დამუშავებას კიდევ უფრო მეტი მუშახელი სჭირდებოდა. უნდა ვიგულისხმოთ, რომ დაქირავებულ მუშახელს იყენებდნენ ცხრილში ჩამოთვლილი სხვა გლეხების მეურნეობებშიც. მაგ. გაბრიელ წრიალაშვილის მეურნეობაში, რომელსაც 55 დღიური სახნავ-სათესი მიწა, 3 $\frac{1}{2}$ დღიური ვენახი და 1 წისქვილი ჰქონდა. ოჯახში კი მამაკაცი მხოლოდ 3 იყო; პეტრე მკალავიშვილის მეურნეობაში — ჰქონდა 20 დღიური სახნავ-სათესი მიწა, 10 დღიური ვენახი, ჰყავდა 24 სული მსხვილფეხა რქოსანი საქონელი და 60 ცხვარი. ოჯახში იყო 8 მამაკაცი აქედან 4 მცირეწლოვანი; ჩვენ მიერ უკვე მოხსენიებულ აშარუმაშვილის მეურნეობაში, რომლის საქმიანობა ისე მრავალფეროვანი იყო (მევენახეობა, მებოსტნეობა, ვაჭრობა-ხელოსნობა), რომ მხოლოდ ოჯახის წევრები (6 მამაკაცი) ვერ გაართმევდნენ თავს და სხვ.

ეჭვს გარეშეა, რომ ცხრილში აღნუსხული გლეხების მეურნეობაში წამყვანი ადგილი საქონლის საბაზროდ წარმოებას უნდა ჰქონოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი სათანადო ფულადი თანხის დაგროვებასა და მნიშვნელოვანი ქონებით თავის გამოსყიდვას ვერ მოახერხებდნენ. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ქონებით განთავისუფლებული გლეხების ნაწილი, რომელთა მიწის ფართობი საბუთებში მითითებული არ არის, ასევე შეძლებული იქნებოდნენ, განსაკუთრებით ისინი, ვინც გამოსყიდვისათვის მნიშვნელოვანი თანხა გადაიხადეს.

XIX ს-ში ყველა თავდახსნილი გლეხი როგორც წესი სახელმწიფო უწყებაში გადადიოდა, მაგრამ ფაქტიურად ქონებით თავდახსნილი ყმა უკვე მესაკუთრე გლეხს წარმოადგენდა და სოფლის ბურჟუაზიულ ელემენტს მიეკუთვნებოდა.

ეხლა, რაც შეეხება გამოსასყიდი თანხის რაოდენობას, სამწუხაროდ, ქართულ დიპლომატიკაში თანხის აღნიშვნა არ იყო მიღებული. როგორც წესი ნასყიდობისა თუ თავდახსნის წიგნებში თანხის რაოდენობის ნაცვლად წერდნენ: „მივიღეთ ფასი სრული რითაც ჩვენი გული შესჭერდებოდა“. მხოლოდ XIX ს-ის 40—50-იან წლებიდან თანდათანობით გვხვდება საბუთები, სადაც თანხა მითითებულია. ასეთი საბუთი ჩვენ გვაქვს სულ 647, მათმა გულდასმით შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ გამოსასყიდი თანხის რაოდენობა 50-დან 3000 მანეთამდე ვერცხლით მერყეობდა და უმთავრესად გლეხის ეკონომიურ შეძლებასა და ბატონისა და გლეხის ურთიერთშეთანხმებაზე იყო დამოკიდებული. 547 კომლიდან 1000 და მეტი მანეთი გადაუხდია 80-ს, ე. ი. ყოველი მერვე კომლი გამოსასყიდად საკმაოდ მნიშვნელოვან თანხას იხდიდა. ათას-ათასი მანეთი გადაუხდია 41 კომლს, დანარჩენ 39-ს კი 1000 მანეთზე მეტი. ქვემოთ ჩვენ შევცდებით ყველა ამ 39 კომლის დასახელებას.

1843 წელს დავით კაკიაშვილმა მიწაწყლიანად გამოსხნისათვის თავად ლექტორ მაჩაბელს გადაუხადა 1200 მანეთი ვერცხლით¹⁶, დავით და გლახუა მოდებამდემა უძრავ-მოძრავი ქონებით განთავისუფლებისათვის გადაიხადეს 1700 მანეთი¹⁷, ქუთაისის მაზრაში თარელიშვილმა თავად იოანე ერისთავს ადგილ-მამულით თავგამოსყიდვისათვის გადაუხადა 1300 მანეთი¹⁸, სოფელ ნერბანში დათიკო და სოლო არევაძეებმა 1200 მანეთად გამოსყიდეს თავი¹⁹. სოფ. კოდლოში კი დუღარელიძეებმა თავად ერასტი ანდრონიკაშვილს 1500 მანეთი გადაუხადეს²⁰. სოფ. სალანძილში მცხოვრებმა გლეხმა ხახუტა კიკნაძემ კი ადგილმამულით განთავისუფლებაში გადაიხადა 1700 მანეთი²¹, ლახუნდარელმა სიმონ აბულაძემ — 1900 მანეთი²², შორაპნელმა დათიკა ნერბანიძემ — 2200 მანეთი²³, დავით კობრეიძემ — 1200 მანეთი²⁴, კულაშელმა ებრაელმა ელო მოძღვრიშვილმა — 2000 მანეთი²⁵, ზოლო ონში მცხოვრებმა ებრაელმა არონა

¹⁶ სცსია, ფ. 254, ან. I, საქ. 1378, ფურც. 72.

¹⁷ იქვე, ან. 2, საქ. 2403, ფურც. 42.

¹⁸ იქვე, საქ. 2409, ფურც. 19.

¹⁹ იქვე, ფ. 254, ან. 2, საქ. 2357, ფურც. 18—19.

²⁰ იქვე, საქ. 2359, ფურც. 1—3.

²¹ იქვე, საქ. 2427, ფურც. 2.

²² იქვე, საქ. 2376, ფურც. 31.

²³ იქვე, საქ. 2378, ფურც. 6.

²⁴ იქვე, საქ. 2383, ფურც. 10.

²⁵ იქვე, საქ. 2427.

ხიტიბაშვილმა 2070 მანეთი²⁶, კიკოლა იამანიძემ — 1600 მანეთი²⁷, ლაზარე ჭაინდრაყამ — 1500 მანეთი²⁸, 1836 წელს გლახა ჯავახოვს 11 სულისაგან შემდგარი ოჯახის უმიწაწყლოდ გამოსასყიდად ბორის ჭილაშვილისათვის გადაუხდია 1200 მანეთი²⁹. ასევე 1200 მანეთი მიუცია 1850 წ. ოზურგეთის მაზრა, სოფ. ქვემო ხევში მცხოვრებ ოთარა ზაქარეიშვილს აზნაურ კოხტა დუდუჩავასათვის 8 სულისაგან შემდგარი ოჯახის, 13 ქცევა ვენახისა და 15 ქცევა მიწის გამოსასყიდად³⁰, 1854 წ. ქუთაისის მაზრა სოფ. ფუთში მცხოვრებ გლეხს გოგია თითბერიძეს ადგილ-მამულითა და მთელი საცხოვრებლით 1210 მანეთად გამოუსყიდია თავი³¹, 1857 წელს ქუთაისის მაზრა სოფ. ჯიხაიში მცხოვრებ ზაქარია ბეჭაიას მთელი თავისი ქონება 1 დუქნის გარდა 1310 მანეთად გამოუსყიდია³². ებრაელ შამილა ელაშვილს გიორგი წულუკიძისათვის 1850 წელს მთელი თავისი ქონებისა და 9 სულისაგან შემდგარი ოჯახის გამოსასყიდად 1760 მანეთი მიუცია³³, ასევე 1760 მანეთი გადაუხდია ადგილმამულისა და თავის დასახსნელად შაქარა მიქატაძეს 1858 წელს³⁴, გიორგი ყორღანაშვილის ყმა, ივანე ბალკინაშვილს 1854 წელს მთელი თავისი უძრავ-მოძრავი ქონებით 2000 მანეთად დაუხსნია თავი და როგორც საქმიდან ჩანს იმავე წელს თბილისის მოქალაქის წოდებაც მოუპოვებია³⁵, 1832 წელს თომა ანდრონიკაშვილს სოფელ ახმეტაში 10.000 მანეთად 41 კომლი ყმა უმიწაწყლოდ გაუთავისუფლებია³⁶. ეს ფული ანდრონიკაშვილს ხაზინის ვალის დასაფარავად სჭირდებოდა. მართალია, ამ შემთხვევაში თითოეულ კომლს დიდი თანხა არ გადაუხდია, მაგრამ ჩვენ ყურადღებას ის გარემოება იპყრობს, რომ ერთი სოფლის გლეხებმა ერთბაშად შესძლეს 10000 მანეთის გადახდა, რაც იმ დროისათვის არცთუ ისე მცირე თანხა იყო; 1859 წელს, შორაპნის მაზრის სოფელ ფუთში მცხოვრებ გლეხებს მამუკა სარალიძეს³⁷ და ივანე თითბერიძეს³⁸ თავისა და ქონების გამოსასყიდად აზნაურ ჩხეიძისათვის თითოეულს 1200 მანეთი მიუციათ; ქუთაისის მაზრის სოფელ ბარში მცხოვრებ მარკოზა ხაბეიშვილს კი მამაპაპისეული და კეთილ შენაძენი ადგილმამულისა და თავის გამოსყიდვისათვის 2000 მანეთი გადაუხდია³⁹. 1300 მანეთი გადაუხდია რაჭის სოფ. უწერაში მცხოვრებ გლეხს მამუკა მეტრეველს მიწაწყლითა და მთელი თავისი საცხოვრებლით თავდახსნისათვის⁴⁰; ქუთაისელ მიქელა ქორიძეს კი თავად სიმონ ავალიანისათვის 1857 წელს ადგილმამულისა და 2 დუქნის გამოსასყიდად 1800 მანეთი⁴¹

²⁶ სცსია, საქ. 152, ფურც. 142.

²⁷ იქვე, საქ. 2427.

²⁸ იქვე, საქ. 2536, ფურც. 107.

²⁹ იქვე, საქ. 124, ფურც. 74.

³⁰ იქვე, საქ. 130, ფურც. 43.

³¹ იქვე, საქ. 151, ფურც. 17.

³² იქვე, საქ. 190, ფურც. 19.

³³ იქვე, საქ. 2534, ფურც. 5.

³⁴ იქვე, საქ. 206, ფურც. 304.

³⁵ იქვე, საქ. 2101, ფურც. 57.

³⁶ იქვე, ფურც. 64—67.

³⁷ იქვე, საქ. 206, ფურც. 171.

³⁸ იქვე, ფურც. 305ა.

³⁹ იქვე, ფურც. 263.

⁴⁰ იქვე, ფ. 254, ან. 2, საქ. № 190, ფურც. 223.

⁴¹ იქვე, ფურც. 251.

მიუცია, ხოლო 31 სულისაგან შემდგარი ოჯახის უმიწაწყლოდ დასახსნელად გორის მაზრა სოფ. ყელქეუელში მცხოვრებ გლეხს გიორგი ონიაშვილს თავად დიმიტრი აბაშიძისათვის 2400 მანეთი მიუცია⁴². ქუთაისის მაზრის სოფ. მაღლაკში მცხოვრებ ბეჟან დეისაძეს კი თეიმურაზ ნიჟარაძისათვის 9 სულისაგან შემდგარი ოჯახისა და ადგილმამულის გამოსასყიდად 2200 მანეთი⁴³ გადაუხდია, ასევე 2200 მანეთი მისცა 1858 წელს გრიგოლ ორბელიანს თბილისელმა სომეხმა ვაჭარმა როსტომ ალიბეგოვმა 4 სულისაგან შემდგარი ოჯახის, მამულისა და დუქნების გამოსასყიდად⁴⁴. შორაპნის მაზრის სოფ. დილიკაურში მცხოვრებმა ბუჭუა ოტიაშვილმა მთელი თავისი უძრავ-მოძრავი ქონებით 2500 მანეთად დაიხსნა თავი⁴⁵, რაჭველმა მარკოზა ასანიძემ კი 31 სულისაგან შემდგარი ოჯახისა და მამულის დასახსნელად 3000 მანეთი მისცა სალომე წერეთელს⁴⁶ და სხვ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ცხრილში აღნუსხული მნიშვნელოვანი ქონებით განთავისუფლებული გლეხების გამოსასყიდი თანხა თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა მითითებული არ არის. რა თქმა უნდა, მათ მიერ ქონებისა და თავის დასახსნელად გადახდილი თანხა 1000 და 1000 მანეთზე მეტი იქნებოდა.

წვეს განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს საბუთი, საიდანაც ჩანს, რომ 1857 წელს გურჯაანში თავად რამაზ ანდრონიკაშვილის ყმა-მამულთა საჯარო ვაჭრობის დროს ერთბაშად თავი გამოისყიდა 57-მა კომლმა⁴⁷, ამთგან 1 კომლს ჰქონდა 30 დღიური სახნავ-სათესი მიწა და 9 დღიური ვენახი, 30 დღიური მიწა და 2 დღიური ვენახი ჰქონდა 2 კომლს, 30 დღიური მიწა და 1 დღიური ვენახი — 1 კომლს, 20 დღიური მიწა და 4 დღიური ვენახი — 15 კომლს, 16 დღიური მიწა და 2 დღიური ვენახი — 3 კომლს, 15 დღიური მიწა და 3 დღიური ვენახი — 8 კომლს, 15 დღიური მიწა და 1 დღიური ვენახი — 1 კომლს, 14 დღიური მიწა და 2 დღიური ვენახი — 1 კომლს, 12 დღიური მიწა და 2 დღიური ვენახი — 1 კომლს, 10 დღიური მიწა და 3 დღიური ვენახი — 2 კომლს, 10 დღიური მიწა და 1 დღიური ვენახი 3 კომლს და 10 დღიურ მიწაზე ნაკლები — 19 კომლს. ამ 57-მა კომლმა ზემოთ ჩამოთვლილი ადგილმამულთა თავგამოხსნისათვის საჯარო ვაჭრობის დროს ერთბაშად 30116 მანეთი გადაიხადა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო ვაჭრობის დროს გლეხებს ეძლეოდათ 1 თვიანი ვადა, თუ ისინი ამ ხნის განმავლობაში გამოსასყიდი თანხის შეტანას ვერ მოახერხებდნენ, მაშინ საჯარო ვაჭრობით გაიყიდებოდნენ. შეიძლება ვინმეს ეჭვი შეეპაროს, რომ გლეხები მეფასშეს მიმართავდნენ და თავის გამოსყიდვას უმთავრესად ნასესხები ფულით ახერხებდნენ, მაგრამ ეს ასე არ ყოფილა. ნასესხები ფულით თავგამოხსნის შემთხვევაში კრედიტორისათვის ქონების დაგირავება უნდა მომხდარიყო იმავე სასამართლოში, სადაც ხდებოდა თავდახსნის წიგნების დამტკიცება ან საჯარო ვაჭრობის აქტების შედგენა-გაფორმება. სულ 1805 საბუთიდან 3 შემთხვევა გვაქვს მხოლოდ ისეთი, როცა გლეხებმა ნასესხები ფულით დაიხსნეს თავი, ერთხელ 1837 წელს მაყაშვილის ყმამამულის საჯარო ვაჭრობის დროს 6 კომლმა გლეხმა ისესხა დავით თამაშვეკისაგან გამოსასყიდი თანხა 3520 მანე-

⁴² სცსია, ფ. 254, ან. 2, საქ. № 190, ფურც. 216—220.

⁴³ იქვე, ფურც. 36.

⁴⁴ იქვე, ფურც. 68.

⁴⁵ იქვე, საქ. 2427.

⁴⁶ იქვე, საქ. 151, ფურც. 100.

⁴⁷ იქვე, ფ. 254, ან. 2, საქ. 2383, ფურც. 15—20.

თი და მასთანვე, დააგროვე 1 წლით მთელი თავისი ქონება, მეორედ 1855 წელს სოლომონ ჯანდიერის 3 კომლმა ყმამ ისესხა თელაველ ვაჭარ მილდისოვისაგან 845 მანეთი და მესამედ 2 კომლმა გლახა ზურაბიშვილმა და ზაქარია იმერლიშვილმა გამოსასყიდი თანხა 445 მანეთი ისესხა საეკლესიო გლეხის სოსია ნაცარაშვილისაგან და მასთანვე დააგირავა მთელი თავისი გამოსყიდული ქონება. დანარჩენ შემთხვევაში, კი გლეხები გამოსყიდული ქონების სრული ბატონ-პატრონები იყვნენ.

ყოველივე ამის შემდეგ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში 40-იანი წლებიდან სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა განვითარებული იყო. მასში აქტიურ მონაწილეობას იღებდა სოფლის მშრომელი მოსახლეობა და ბევრი მათგანი მნიშვნელოვანი თანხის დაგროვებასა და უძრავ-მოძრავი ქონებით ბატონყმური ურთიერთობიდან თავის გამოსყიდვას ახერხებდა. ადგილმამულიანად განთავისუფლებული გლეხების უმეტესობა მესაკუთრე გლეხი იყო და სოფლის ბურჟუაზიას წარმოადგენდა. უმიწაწყლოდ განთავისუფლებული გლეხების ნაწილი კი სოფელში რჩებოდა და იძულებული იყო სამუშაო ძალის გაყიდვით ერჩინა თავი, ნაწილი ქალაქებში სახლდებოდა და დღიური მუშებისა და წვრილმან ვაჭარ-ხელოსნების რიგებს ავსებდა. კერძოდ, უმიწაწყლოდ განთავისუფლებული 813 კომლიდან 278 კომლი თბილისში, გორში, თელავში, ქუთაისში, სიღნაღში და სხვ. ქალაქებში დასახლდა და ახლად დასახლებულ მოქალაქეთა ანუ граждane-ს რიცხვს მიეწერა.

ყოველივე ეს ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის კრთხისისა და მისი რღვევის მაჩვენებელი იყო.

ვალერიან ითონიშვილი

ჯვრის უღელტეხილის სახელწოდებანი

ამიერ და იმიერკავკასიის ურთიერთ დამაკავშირებელ გზებსა და გადასასვლელებს შორის უმნიშვნელოვანეს მაგისტრალს წარმოადგენდა ისტორიული წყაროებით კარგად ცნობილი „არაგვის კარის“ ანუ „დარიალის“ გზა, შემდგომში საქართველოს სამხედრო გზად წოდებული, ხოლო არაგვისა და თერგის ხეობებში გამავალი ამ გზის უბნებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა დარიალის კარს და ჯვრის უღელტეხილს.

არსებული პოლიტიკური სიტუაციისა და სოციალ-ეკონომიური ვითარების შესაბამისად დარიალის კარი ხან საქართველოს ჩრდილოეთი საზღვრის ჩამკეტი სიმაგრე იყო და ხანაც „გზა მშუდობისა“¹, როდესაც ქართველ ხელისუფალთა მიერ დარიალის სიმაგრეთა შემომტკიცება და მშვიდობის გზის შექმნა „იყო არა თავდაცვის აქტი ჩრდილოეთიდან მოწოლილ მომთაბარეთა შემოსევის წინააღმდეგ, არამედ ღონისძიება შეტევისა და გავლენის მიზნით კავკასიის მთიანეთსა და იმიერკავკასიის ხალხებზე“, როდესაც „გზა მშუდობისა“ გარკვეულ ეპოქაში „საჭირო და აუცილებელი იყო იმ მნიშვნელოვან კულტურულ ურთიერთობისათვის, როგორიც საქართველოსა და ამიერკავკასიისა თუ „ჩრდილოას“ ქვეყნებს შორის არსებობდა“².

სახელმწიფოებრივ ღონისძიებათა განხორციელებაში ორმხრივი გამოყენების შესაძლებლობა დარიალის ხეობის როლს განსაკუთრებით ზრდიდა კავკასიონის ქედის სხვა გადასასვლელებთან ერთად და მათზე კონტროლსაც ქვეყნისათვის უძველესი დროიდანვე სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭებოდა³.

დარიალის ხეობის ესოდენ დიდ მნიშვნელობას განსაზღვრავდა მისი მდებარეობა. ჯვრის უღელტეხილს, რომელიც სასაზღვრო ზოლიდან საკმაოდ დიდი მანძილითაა დაშორებული, არ შეიძლება ასეთივე როლი შეესრულებინა გარეშე ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობის სფეროში. სამაგიეროდ საგარეო ურთიერთობაში დარიალის კორიდორის გამოყენების შესაძლებლობა წელიწადის გარკვეულ დროს მაინც უშუალოდ ჯვრის უღელტეხილზე იყო დამოკიდებული. ზამთრის პერიოდში, როდესაც დიდი თოვლის, ნამქერებისა და ზვავების გამო ამ უბანში გზა იკეტებოდა, დარიალის ხეობასთან კავშირიც წყდებოდა და ძალაუფლებურად მეზობელ ქვეყნებთან კონტაქტების საშუალებაც ისპობოდა. ასეთ ვითარებაში ჩრდილო კავკასიასთან ამ მაგისტრალით დაკავშირების შესაძლებლობას მხოლოდ ხევი (ყაზბეგის რაიონი) ინარჩუნებდა, მაგრამ

¹ და ვ ი თ ა ღ მ ა შ ე ნ ე ბ ლ ი ს ისტორიკოსი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითის, „ქართლის ცხოვრება“, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, I, თბილისი, 1955, გვ. 336.

² ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბილისი, 1966, გვ. 56.

³ Г. М е л и к и ш в и л и, К истории древней Грузии, Тбилиси, 1959, гв. 292—293.

ჯვრის უღელტეხილის ჩაკეტვის გამო ხევი თავის მხრივ საქართველოს სხვა კუთხეებთან კონტაქტს ვეღარ ახორციელებდა. საქმეს არ შეელოდა გუდამაყრის ხეობასთან ხევის (კერძოდ, სნოს ხეობის) დამაკავშირებელი კიბე-ქვე-ნა მთა-ბურსაჭირის უღელტეხილი, რომლის გამოყენება დიდთოვლიან ზამთარში ასევე შეუძლებელი იყო.

როგორც ვხედავთ, მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობაში დარიალის ხეობასთან ერთად სათანადო მნიშვნელობა ენიჭებოდა ჯვრის უღელტეხილსაც. მისი მნიშვნელობა ასევე დიდი იყო საკუთრივ საქართველოს კუთხეების ურთიერთკავშირისათვის, რამდენადაც თავისი გეოგრაფიული მდებარეობით იგი წარმოადგენს მთიულეთისა და ხევის სასაზღვრო მიჯნას, ანუ არაგვისა და თერგის წყალგამყოფ მთას. როგორც ერთი, ისე მეორე ხეობისაკენ დახრილობა იწყება იმ წერტილიდან, სადაც აღმართულია ქვის სვეტი წარწერით ნიშნად იმისა, რომ საქართველოს სამხედრო გზის უკიდურეს სიმაღლეს ზღვის დონიდან შეადგენს 2395 მეტრი. ამ სვეტიდან სამხრეთისაკენ, საიდანაც მშვენივრად მოჩანს მთიულეთის მომხიბლავი პანორამა, გზა მკვეთრი ზიგზაგებით ეშვება მდ. არაგვის სანაპიროსაკენ და ალპურ ზონას თანდათანობით სცვლის არაგვის ქალები და ტყიანი ფერდობები. რაც შეეხება ადგილმდებარეობას უღელტეხილის უმაღლესი წერტილიდან ჩრდილოეთისაკენ, მგზავრის თვალწინ იშლება ფართო ალპური ზეგანი, რომლის დახრილობა ასეთივე მიმართულებით უაღრესად თვალსაჩინო ხდება. სამიოდე კილომეტრის შემდეგ დაღმართი ეშვება მთებს შორის მოქცეულ ვიწრო ხეობაში, რომელსაც ბოლო უწყდება ხევის სოფ. ალმასიანთან. ამ ხეობის მთელ სიგრძეზე ორივე მხრიდან აღმართულია მაღალი მთები შვეული დახრილობის ფერდობებით, საიდანაც დაქანებული თოვლის ზვავებით იხერგება ხეობა და იკეტება გზა. ხეობაში მოედინება ორი პატარა მდინარის (მთის წყალაჟ, თეთრი წყალი) ნაერთი — შემდგომში ბიდარად წოდებული (ამის შესახებ ქვემოთ), რომელიც წყლის მარაგს იკრებს ჯვრის უღელტეხილის წყაროებიდან და თოვლის ნაღნობიდან, ეშვება ჩრდილოეთისაკენ, აღმოსავლეთი მხრიდან ჩაუვლის სოფ. ალმასიანს, სოფ. კობის ახლოს ერწყმის უხათის წყალს (რომელიც ნაროვანის წყლისა და მილიონას წყლის შენაერთია) და ამ სახით უერთდება მდ. თერგს⁴.

ზღვის დონიდან ესოდენ დიდი სიმაღლის, მკაცრი ჰავის, ხანგრძლივი დიდ-თოვლიანობისა და მოსავლისათვის არახელსაყრელი პირობების გამო ჯვრის უღელტეხილის ცენტრალური მონაკვეთი დაუსახლებელია. რაც შეეხება მის კალთებსა და მისადგომებს, როგორც სამხრეთის, ისე ჩრდილოეთის მხრიდან რამდენიმე სოფელი მდებარეობს. უმაღლესი წერტილიდან სამხრეთის მიმართულებით უღელტეხილის კალთებზე და მის ქვემოთ გაშლილ დიდ პლატოზე, რომელსაც ამის შესატყვისად ადგილობრივმა მოსახლეობამ უწოდა დიდველი, ხოლო ლიტერატურაში მის აღსანიშნავად უმთავრესად გვხვდება კაიშაურის ხეობა, განლაგებულია შემდეგი სოფლები: გუდაური, ქუმლისციხე, სეთურთკარი (სეთურები), სოყურთკარი (სოყურიანი), ჯალმინთკარი (ჯალმინი), კაიშაურთკარი (კაიშაური) და ზაქათკარი (ზაქანი). ჩრდილოეთის მხრიდან უღელტეხილის მისადგომებთან კი დასახლებულია ხევის ორი სოფელი — ალმასიანი და კობი.

⁴ ამ წყლების სახელწოდებათა შესახებ იხ. ვ. ი თ თ ნ ი შ ვ ი ლ ი, ხევის ტოპონიმია, თბილისი, 1971, გვ. 10, 11, 12, 22, 46, 47, 49, 50.

უღელტეხილის სამხრეთ მხარეზე მდებარე ზოგიერთი სოფელი (სეთურთ-კარი, ჯალუმანთ-კარი, კაიშაურთ-კარი, ზაქათ-კარი) შეტანილია არაგვის ხეობის (სახელდობრ ხადის თემის) მოსახლეობის 1774 წლის აღწერაში⁵. ეს სოფლები ასეთივე სახელწოდებით⁶ გვხვდება არაგვის ხეობის 1781 წლის აღწერაში⁷. უღელტეხილის მეორე მხარეზე მდებარე ორი სოფლიდან კობი იხსენიება გერგეტის (ხევი) სამების „მატიანე მოსაქსენებელი სულთაჲ“-ში, კერძოდ, ამ მატიანის ნაწილში — გერგეტელ საყდრისშვილთა საბუთში⁸, რომელიც დაწერილია 1439 წელს⁹. ხადის სოფლების ჩამოთვლისას უღელტეხილის სამხრეთი მხრის დასახლებიდან გიულდენშტედტის ნაშრომშიც დასახელებულია ოთხი სოფელი (ზაქათკარი, კაიშაურთკარი, ჯალუმინი, სეთურთკარი)¹⁰, ხოლო უღელტეხილის მეორე მხარეს არსებული სოფლებიდან არაერთგზისაა ხსენებული კობი¹¹. უღელტეხილის მიდამოებში მდებარე დანარჩენი სოფლები (ალპასიანი, გუდაური, ქუმლისციხე, სოყურიანი) დამოწმებულ წყაროებში არ გვხვდება.

აღნიშნული ოთხი სოფლიდან გუდაური, როგორც საგზაო პუნქტი თავისი საფოსტო განყოფილებითა და ქარვასლით, დაარსებული უნდა იყოს XIX საუკუნის 60-იანი წლების შემდეგ, როდესაც გუდამაყრის ხეობაში გზის გაყვანის პროექტი უარყოფილ იქნა, ამ პროექტით განხორციელებული, მაგრამ დაუმთავრებელი ათწლიანი (1837—1847 წწ.) მუშაობა უნაყოფო აღმოჩნდა, ძირითადად მაგისტრალმა კვლავ ჯვრის უღელტეხილი გადაჰკვეთა (ჯერ კაიშაურის ხეობის გავლით, ხოლო შემდეგ 1861 წლიდან გაყვანილი მლეთის აღმართის მეშვეობით)¹², მლეთის აღმართზე გზის გაყვანის შემდეგ სოფ. კაიშაური გზის მიღმა დარჩა და მლეთა-კობის შუაში ახალი სადგურის შექმნის საჭიროება დაისახა.

⁵ ვ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, მასალანი საქართველოს სტატისტიკურის აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში, ტფილისი, 1907, გვ. 431, 432, 439.

⁶ ზემოხსენებული სოფლების სახელწოდებანი ამ სახითაა შეტანილი როგორც 1774, ისე 1781 წლის აღწერაში.

⁷ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, აღმოსავლეთ საქართველოს XVIII ს. ხალხის აღწერის დავთრები, თბილისი, 1967, გვ. 107—108.

⁸ ქ. შ ა რ ა შ ი ძ ე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVIII სს.), მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბილისი, 1954, გვ. 271.

⁹ იქვე, გვ. 247.

¹⁰ გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გ. გ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ს გამოცემა, I, თბილისი, 1962, გვ. 267.

¹¹ გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, II, თბილისი, 1964, გვ. 25, 27, 31, 63, 225, 229, 245, 263. ამ ნაშრომის ერთ ადგილას (გვ. 63) სოფ. კობი დასახელებულია იქ, სადაც ჩამოთვლილია ხევის სოფლების დიდი ნაწილი, იქვეა აღნიშნული ზევსურეთის რამდენიმე სოფლის სახელწოდება და ყველა მათგანს (როგორც მოხვევების, ისე ზევსურეთის სოფლებს) მიაკუთვნებს ოსურ მხარეს, თუმცა მისივე განმარტებით, „მოსახლეობა თავის თავს ეძახის, აგრეთვე, ზევსურეთს“ (გვ. 63). აშკარაა, რომ გიულდენშტედტმა ერთიმეორეში აურია ხევისა და ზევსურეთის სოფლები, ზევსურეთი თერგის ხეობაში მოათავსა (ე. ი. ზევს უწოდა ზევსურეთი) და რაც მთავარია მოხვევებისა და ზევსურეთის სოფლები სრულიად გაუშართლებლად მიაკუთვნა ოსურ მხარეს.

¹² Н. Д у н к е л - В е л и н г, О постройке шоссейной дороги от Тифлиса до Владикавказа и стоимость ее, Газ. «Кавказ», 1858, № 56, 1859, № 28; მ ი ს ი ვ ე, Военно-Грузинская дорога, Газ. «Кавказ», 1863, №№ 72, 75—78; Е. В е й д е н б а у м, Путеводитель по Кавказу, Тифлис, 1888, გვ. 265—300; В. К р и в е н к о, Очерки Кавказа, С.-П., 1893; გვ. 25; ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ხევი, ტფილისი, 1934, გვ. 58—59; И. А р д ж е в а н и д з е, Военно-Грузинская дорога, Тбилиси, 1954, გვ. 17—34; В. Д о л и д з е, Р. Ш м е р л и н г, Военно-Грузинская дорога, Тбилиси, 1956, გვ. 7—8.

ჯვრის უღელტეხილის მისადგომებთან მეორე (ჩრდილოეთის) მხრიდან ასეთსავე როლს ასრულებდა სოფ. ალმასიანი. ჩვენ ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით¹⁴, მისი დაარსებაც საკომუნიკაციო პუნქტის შექმნის ინტერესებს პასუხობდა და ამდენად საფიქრებელია, რომ აქ დასახლებაც მომხდარიყო XIX ს. დასაწყისში. ყოველ შემთხვევაში, ალმასიანის შესახებ უფრო აღრინდელი ცნობა არ გვგვულება. დაახლოვებით ამავე პერიოდში უნდა წარმოქმნილიყო პატარა დასახლებული პუნქტი სოყურიანი ანუ სოყურთკარი (ამის შესახებ ქვემოთ), ხოლო მასთან შედარებით მოზრდილი და უფრო ადრე დაარსებული სოფელი ჩანს ქუმლისციხე. ვახტანგ ბატონიშვილის (ერეკლეს ძის) გამგებლობაში არსებული სოფლების სიაში (1803 წ.) შეტანილია სოფ. ქუმლისციხეც, სადაც იმ დროისათვის უცხოვრია 13 კომლს. სოყურიანი და ალმასიანი ამ სიაში შეტანილი არ არის.

ჯვრის უღელტეხილის მისადგომებზე განლაგებულ სოფლებს შორის სეთურთკარში, ჯალმინთკარში, კაიშაურთკარში და ზაქათკარში ოდითგანვე ცხოვრობენ ქართველები (მთიულები). საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ყველა ამ სოფლის სახელწოდება უკავშირდება გვართა სახელებს (სეთურიძე, ჯალმაიძე, კაიშაური, ზაქაიძე), რაც გენეტიკურ კავშირშია მონოგენური დასახლების ფორმასთან¹⁵. გუდაური, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, XIX საუკუნის აღწერებში შეტანილი არ არის, რაც იმით აიხსნება, რომ ის წარმოადგენდა მომსახურე პერსონალით (მთიულების, ოსების, რუსი მოხელეების თითო-ოროლა ოჯახით) დასახლებულ საგზაო სადგურს, რომელსაც არ მიუღია მთის სოფლის ტიპური სახე. გუდაური ასეთივეა დღესაც და ასეთივე იყო ის 1928—1929 წწ., როდესაც მისი მოსახლეობა 31 სულს ითვლიდა¹⁶. სხვა სოფლებში (ქუმლისციხე, სოყურიანი, ალმასიანი, კობი) ცხოვრობენ ჩამოსახლებული ოსები. როგორც ზემოთ ითქვა, 1803 წელს ქუმლისციხეში ცხოვრობდა 13 კომლი¹⁷. 1816 წელს აქ აღრიცხულ იქნა 11 კომლი სახელმწიფო გლეხი¹⁸, 1873 წლის მონაცემებით მისი მოსახლეობა შეადგენდა 15 კომლს¹⁹, 1886 წელს 14 კომლს²⁰, ხოლო 1928—1929 წწ. ქუმლისციხეში იმყოფებოდა 137 სული²¹. XIX საუკუნის პირველი ნახევრის აღწერებში სოყურიანი არ იხსენიება. ცალკე დასახლებულ პუნქტად ის არც 1873 და 1886 წლების აღწერებშია აღნიშნუ-

¹⁴ Записка Н. С. Ч и л я е в а о горских народах по Военно-Грузинской дороге 1827 года, Акты собранные Кавказской археографической комиссией (ქვემოთ ყველგან АКАК), Тифлис, 1878, გვ. 352.

¹⁵ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, I, ტფილისი, 1928, გვ. 150—151; ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, მთიულეთი, ტფილისი, 1930, გვ. 78; რ. ხ ა რ ა ძ ე, აღ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, მთიულეთის სოფელი ძველად, თბილისი, 1965, გვ. 15—17.

¹⁶ ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, მთიულეთი, გვ. 62—63.

¹⁷ АКАК, II, გვ. 82.

¹⁸ Камеральное описание ущельям, состоящим в заведивании генерал-майора Казбека казенным крестьянам, составленное в 1816 году. ЦГИА Груз. ССР, ф. 254, оп. 1, арх. №.436, л. 25, 26.

¹⁹ Н. Н и к и ф о р о в, Экономический быт государственных крестьян Душетского уезда, Тифлисской губернии, Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края, т. V, Тифлис, 1887, გვ. 94—95.

²⁰ Свод статистических данных о населении Закавказского края, извлеченных из посемейных списков 1886 г., (შემდგომში შემოკლებით: Свод....) Тифлис, 1893, გვ. 140—141.

²¹ ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ხევი, გვ. 80—81.

ლი. 1873 წლის კამერალურ აღწერაში შეტანილია 30-კომლიანი სოფელი „Кайшаури с отсельком Сокурткари“²². 1886 წ. კაიშაურში ცხოვრობდა 35 კომლი, საიდანაც 29 კომლი ქართველი იყო, ხოლო 6 კომლი ოსი²³. მამასა-დამე, სოყურიანი წარმოადგენდა 6-კომლიან დასახლებულ პუნქტს, რომელიც XIX ს. 90-იანი წლების მონაცემებითაც კი ჯერ კიდევ ცალკე სოფლად სახელ-დებული არ ყოფილა და სოფ. კაიშაურის უბნად ითვლებოდა. 1928—1929 წწ. აღწერაში ის შეტანილია ცალკე სოფლად 100 სული მცხოვრებით²⁴. აღმასიან-ში 1816 წელს ცხოვრობდა 8 ოჯახი²⁵, 1873 წელს 12 კომლი²⁶, 1886 წელს 19 კომლი²⁷, ხოლო 1928—1929 წწ. 385 სული²⁸. კობში 1816 წ. ირიცხებოდა 5 ოჯახი²⁹, 1873 წ. 29 კომლი³⁰, 1886 წ. 41 კომლი³¹, ხოლო 1928—1929 წწ. 262 სული³².

დამოწმებული წყაროების მიხედვით ნათლად გამოჩნდა, რომ ზემოხსენე-ბულ სოფლებს შორის, სადაც XIX ს. მონაცემებით ოსების ცხოვრება დას-ტურდება, ყველაზე ადრე იხსენიება სოფ. კობი (XV ს.), მაგრამ XIX საუკუნეში ოსების იქ ცხოვრების ფაქტი არ გამოგვადგება იმის საბუთად, რომ კობი XV საუკუნეშიც ოსებით დასახლებულ სოფლად წარმოვიდგინოთ. გერგეტელ საყდრიშვილთა საბუთში კობი დასახლებულია ხევის განაპირა პუნქტად. „შე-ვიყარენით ჭევი ჭეობით — კობით და გუჭლეთამდი“³³ — ასეა განსაზღვრული ხევის, როგორც მოხვევებით დასახლებული ტერიტორიული ერთეულის ფარგ-ლები ზემოხსენებულ საბუთში, რომელიც გვაცნობს თემის ყრილობის გადა-წყვეტილებას ხევის სოფლების მიერ გერგეტელ საყდრიშვილთათვის „მზე-ვლების“ მიცემის შესახებ.

საბუთში არაფერია ნათქვამი იმდროინდელი ხევის მცხოვრებთა ეთნიკურ ვინაობაზე, ვინაიდან თავისთავად ცხადი იყო, რომ ზემოაღნიშნული ვალდე-ბულება ვრცელდებოდა მოხვევებით დასახლებულ ხეობაში კობიდან გველე-თამდე. ამ დროს ხევის ტერიტორიაზე, კერძოდ, კობსა და მის მიდამოებში, ოსე-ბის ცხოვრება გამოირიცხულია. ხევის ზოგიერთ პუნქტში (თოთი, ახხოტი, უხა-თი, კობი, თოლგოთი) მათი დასახლება მიმდინარეობდა უმთავრესად XVIII—XIX სს. ეს პროცესი შედარებით ადრე დაიწყო თერგის ხეობის სათავეებში (თრუსოს ხეობა), სადაც ვახუშტის დროისათვის ჯერ კიდევ შერეული მოსახ-ლეობა იყო („მოსახლენი არიან ოსნი, დვალნი“³⁴), მაგრამ ისევე როგორც სა-ქართველოს მთიანეთის რიგ სხვა ხეობაში, თრუსოს ხეობაშიც თანდათანობით ინტენსიურ ხასიათს ღებულობდა ოსების ჩამოსახლება და მათ მიერ ადგილობ-

²² Н. Н и к и ф о р о в, დასახ. ნაშრომი, გვ. 94—95.

²³ Свод. . ., გვ. 140—141.

²⁴ ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ხევი, გვ. 80—81.

²⁵ ЦГИА Груз. ССР, ф. 254, оп. I, арх. № 436, л. 20.

²⁶ Н. Н и к и ф о р о в, დასახ. ნაშრომი, გვ. 88—89.

²⁷ Свод. . ., გვ. 140—141.

²⁸ ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ხევი, გვ. 78—79.

²⁹ ЦГИА Груз. ССР, ф. 254, № 436, л. 20.

³⁰ Н. Н и к и ф о р о в, დასახ. ნაშრომი, გვ. 94—95.

³¹ Свод. . ., გვ. 140—141.

³² ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ხევი, გვ. 80—81.

³³ ქ. შ ა რ ა შ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 271.

³⁴ ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1941, გვ. 66.

რივი მკვიდრი მოსახლეობის — დვალების შევიწროება³⁵. ასეთ ვითარებაში, როდესაც ოსები სათავეებიდან დაყოლებით მთელ თრუსოს ხეობაში სახლდებთან, ამ ხეობის კარებთან ახლო მდებარე კოშკში მათი შეღწევაც XVIII საუკუნის მიწურულში უნდა მომხდარიყო. უნდა ვიფიქროთ, რომ კოშკში ამ დროისათვის მკვიდრი მოსახლეობა (ქართველები) აღარ იმყოფება. ოსების მიერ იქ ფეხის მოკიდების ჟამს სოფელი რომ მოსახლეობისაგან დაცლილი არ ყოფილიყო, გაუგებარი იქნებოდა XIX საუკუნის დასაწყისში მისი ესოდენ მცირე-კომლიანობა (მხოლოდ 5 კომლი 1816 წ.). დაახლოვებით ასევე XVIII ს. ბოლო ხანებში უნდა მომხდარიყო თრუსოს ხეობიდან ოსების გადასვლა ქუთაისისკენ, სადაც 1803 წ. 13 კომლი იმყოფებოდა, ხოლო XIX ს. დასაწყისიდან იმავე ხეობიდან გამოსული ოსები მკვიდრებიან აღმასიანსა და სოყურთანში.

საქართველოს ტერიტორიაზე დასახლების, დვალთა თანდათანობითი ასიმილაციის და ქართველ მთიელთა მეზობლად ოსთა ცხოვრების შედეგად ქართულ-დვალურ სამყაროში ოსური მოვლენებიც ფეხს იკიდებდა. ბუნებრივია რომ ადგილთა სახელების ნომენკლატურაშიც ხდებოდა ოსური სახელწოდებების შემოღწევა, რის გამო ზოგი ადრინდელი ქართულ-დვალური ტოპონიმი დავიწყებას ეძლეოდა. ეს შეიმჩნევა საკუთრივ ჯვრის უღელტეხილისა და მისი მიდამოების ტოპონიმიკაშიც. აქაურ მთებს, მწვერვალებს, სახნავ-სათიბ-საძოვრებს, გზა-ბილიკებს, წყაროებს, მდინარეებს თუ ნამოსახლარებს შემოხიზნულმა მოსახლეობამ არაერთი ახალი სახელი შეარქვა, მაგრამ ადგილზე გამოკითხვისა და ისტორიული წყაროების მეშვეობით შესაძლებელი გახდა როგორც დღემდე მოქმედი სახელების დადგენა, ისე ხმარებიდან ამოვარდნილი ზოგიერთი ძველი სახელწოდების აღდგენა³⁶. მოქმედ ქართულ ტოპონიმთაგან უმრავლესობა გვხვდება მოხეურ ლექსიკაში, ხოლო ნაწილი ოსთა მიერაც იქნა შეთვისებული. რაც შეეხება ადგილთა ისტორიულ სახელებს, ისინი შემოუნახავს ერთი მხრივ ძველ ქართულ წყაროებს, ხოლო მეორე მხრივ მოხეურ ლიტერატურას.

ჯვრის გადასასვლელის რამდენიმე სახელწოდებიდან დღეისათვის ყველაზე გავრცელებულ ოფიციალურ სახელად მიღებულია ჯვრის უღელტეხილი, რასაც უკავშირებენ გადასავალზე ჯვრის არსებობას. მართლაც, ცნობილია, რომ საქართველოში რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ ქვის პატარა ჯვარი აქ პირველად აღუმართავთ 1803 წელს³⁷. იმავე ადგილზე ჯვარი მეორედ 1809 წელს დაუდგამს გაბრიელ ყაზბეგს (ალ. ყაზბეგის პაპას, მთის მმართველს)³⁸, ხოლო მესამედ გენერალ ერმოლოვს 1824 წელს³⁹. ასეთი მონაცემე-

³⁵ ამ საკითხზე იხ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბილისი, 1965, გვ. 60—61; დ. გვრიტიშვილი, დვალთა ვინაობისა და ოსთა ჩამოსახლების საკითხისათვის, „მომოხილველი“, I, თბილისი, 1949, გვ. 109—121; გ. თოგოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან, სტალინბორი, 1958, გვ. 171 და შმდ.; В. Гамрекли, Двалы и Двалетия в I—XV вв., Тбилиси, 1961, და სხვები.

³⁶ გ. თოგოშვილი, ხევის ტოპონიმიკა, გვ. 9—13; 44—51.

³⁷ М. Ворончиков, Письмо из Грузии в Астрахань от 7 февраля 1804 года, жур. «Вестник Европы», ч. XXI, 1805, гв. 63.

³⁸ Руководство для проезжающих Кавказские горы, жур. «Отечественные записки», ч. XII, 1822, гв. 217.

³⁹ Е. Марков, Очерки Кавказа, С.-Петербург—Москва, 1887, гв. 114. ამის შესახებ ა. პუშკინიც შენიშნავს: «Здесь поставлен гранитный крест, старый памятник, обновленный Ермоловым» (А. Пушкин, Путешествие в Арзрум во время похода 1829 года, Полное собрание сочинений, т. IV, Москва, 1949, гв. 42).

ბის საფუძველზე თითქოს ძნელი არ იყო იმის ახსნა, თუ რატომ ეწოდა აღნიშნულ გადასავალს ჯვრისა. როგორც ერთ-ერთ ნაშრომში ითქვა, უმრავლესობა ამტკიცებდა, რომ აღნიშნული სახელი წარმოიშვა 1824 წლიდან ქვის ჯვრის დადგმის გამო. ასეთ შთაბეჭდილებას ჰქმნიდა წარწერა მარმარილოს დაფაზე: „Во славу божью и в управление генерал от инфантерии Ермолова, поставлен приставом горских народов майором Канановым в 1824 г.“⁴⁰. მაგრამ გადასავლელის სახელწოდება არც ამ ღონისძიებას უკავშირდება და არც იმაზე ადრე ჯვრის ორჯერ აღმართვას.

ზემოხსენებული ადგილის ტოპონიმიკაში სიტყვა ჯვარი რუსეთთან საქართველოს შეერთებამდე ბევრად ადრე ყოფილა ცნობილი, რაც დასტურდება სარწმუნო მონაცემებით. მხედველობაში გვაქვს XIV—XV სს. ქართული საისტორიო წყაროები და სამართლის ძეგლები, რომლებშიც ხსენებულია ჯუართა ყელი სწორედ ჯვრის გადასავალის აღსანიშნავად. ამ მხრივ საყურადღებოა ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატეანისა და „ახალი ქართლის ცხოვრების“ მეორე ტექსტის ის ადგილი, სადაც აღწერილია სამეფო ხელისუფლებისათვის ბრძოლის ეპიზოდი ვახტანგ ადარნასეს ძესა და ვახტანგის ბიძის — დავით დემეტრეს ძეს შორის. ამ ბრძოლაში მცირეწლოვანი ვახტანგი დამარცხდა, „დავით დაიპყრა მეფობა და არარაჲ მისცა ძმისწულსა თჳსსა ვახტანგს“, მაგრამ ვახტანგს მხარში ამოუდგა ქსნის ერისთავი შალვა და ტახტის მაძიებელ უფლისწულს ურდოში წაჰყვა. ამასობაში დავით მეფე მონღოლებს განუდგა და შალვას საერისთავო დალაშქრა. 7 წლის შემდეგ ვახტანგი და შალვა ურდოდან დაბრუნდნენ და აჯანყებული დავითის წინააღმდეგ ურიცხვი ლაშქარი გამოიყვანეს. „მაშინ დავით დგა ბაზალეთს. და ვითარცა ცნა მოსლვაჲ მათი, მიჰმართა ციხესა დარიალისასა და მიუდგა უკანა სპაჲ ყოველი, და შეიარეს არაგვ და განრდავეს ჯუართა ყელი და ჩავიდეს დარიალს და მოადგეს დავითს ციხესა გუელეთისასა“⁴¹.

დამოწმებული წყაროების ანალოგიურად გიორგი ბრწყინვალის (1314—1346) „ძეგლის დადების“ მიხედვითაც ჯუართა ყელი წარმოადგენს ხეგმითიუღეთის მიჯნას, ანუ მითუღეთის მოსახლეობისათვის საგანგებოდ შედგენილი სამართლის გავრცელების რაიონის ერთ-ერთ საზღვარს. აღნიშნული ტოპონიმი ამ სახითა და მნიშვნელობითაა შეტანილი „ძეგლის დადების“ შესავალში, რომელშიც კანონმდებელი შემდეგი სახით შემოფარგლავს კანონთა მოქმედების ასპარეზს „ჯუართა ყელს აქეთ, კადა-ცხატოს, ზანღუკის კეცს, კიბეთ ქუეშეთ და მენესოს ზემოთ ეს განაჩენი დავდევი“⁴².

ვახუშტი ბაგრატიონის დახასიათებით, „მითუღეთის ჩრდილოთ არს კეევი. გარდავალს გზა კეცს, კადის დასავლეთიდან, კავკასსა ზედა. არამედ არს დაბალი (ე. ი. მოვაკებული ადგილი, ზეგანი ბრტყელი ზედაპირით. — ვ. ი.) და უტყეო; ზამთარს ვერა ვლის ამას ზედა ცხენი თოვლის სიდიდითა; ზაფხულ არს

⁴⁰ Н. Квезерели - Копадзе, Военно-Грузинская дорога, Тбилиси, 1967, გვ. 99.

⁴¹ ძეგლი ერისთავთა, ტექსტი გამოსცა შ. მესხიამ, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. 30, თბილისი, 1954, გვ. 347; შდრ. ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, II, თბილისი, 1959, გვ. 443.

⁴² ი. დოლიძე, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, თბილისი, 1957, გვ. 104.

ბალახიანი, ყვავილიანი“. მისივე განმარტებით, „ამას უწოდებენ ყელი ს ხოლო ჩრდილოთკენ ერთვის ქვეის მდინარეს ქვეი, და უწოდებენ შთასავალს“⁴³.

იმ წყაროებისაგან განსხვავებით, რომლებშიც ჯვრის უღელტეხილის ისტორიულ სახელწოდებად ჯუართა ყელი იხსენიება, ვახუშტი ამ გადასასვლელის აღწერილობისას გამოყოფს ორ ტოპონიმს — ყელსა და შთასავალს. ეს ორი ტოპონიმი ჯვრის უღელტეხილის ორი სხვადასხვა მონაკვეთის აღმნიშვნელია. მათ შორის ყელი წარმოადგენს უღელტეხილის უკიდურესი სიმაღლის გადამკვეთ კორიდორს და ის იდენტურია XIV-XV სს. წყაროებით ცნობილი ჯუართა ყელისა, ხოლო შთასავალი არის ამ წყაროებისთვის უცნობი სახელწოდება იმ ვიწრო ხევისა, რომლითაც მგზავრი ყელიდან ანუ ჯუართა ყელიდან თერგის ხეობისაკენ ეშვება. ხევის აღწერაში ვახუშტი შთასავალის ნაცვლად ასახელებს, აგრეთვე, ჩასავალს, როდესაც მას საორიენტაციო მნიშვნელობას ანიჭებს ერთ შემთხვევაში თრუსოს ხეობის ლოკალიზაციისათვის (... ამ ჩასავალს ზეით არს თრუსო სამ ქვეად“⁴⁴), ხოლო მეორე შემთხვევაში ხევის ისტორიული ძეგლების მდებარეობის საჩვენებლად... („ჩასავალს ქვეით არს, ჩრდილოთ კერძ, არაგვის დასავლით, ციხე არშისა“⁴⁵).

დაბალ, უტყეო, ზამთარში დიდთოვლიან და ზაფხულში ბალახიან-ყვავილიან ადგილს, რომლის ისტორიული სახელწოდებაა ჯუართა ყელი ანუ ყელი, ხევში დღემდე ეწოდება ჯორი (ჯვარი) ანუ ჯორთვაკე (ჯვართვაკე)⁴⁶, ხოლო უღელტეხილს მთლიანად, რომლის ერთ ნაწილსაც ჯვართვაკე შეადგენს, მოხევეები ეძახიან მთას. ტოპონიმი ჯორთვაკე შინაარსობლივად ვახუშტისეული დაბალი-ის იდენტურია, რამდენადაც ორივე მათგანი ჯვრის უღელტეხილის ამ მონაკვეთს მოვაკებულ ადგილად გვიხასიათებს. რაც შეეხება მთა სახელწოდებას, ამ შემთხვევაში მასაც ტოპონიმის მნიშვნელობა ენიჭება და არა ზოგადი გეოგრაფიული ცნებისა ყველა მაღლობის აღსანიშნავად რომ იხმარება. მოხევეთა მეტყველებაში ჯვრის უღელტეხილის მიმართ ეს ტოპონი-

⁴³ ვახუშტი, აღწერა... გვ. 66.

⁴⁴ იქვე, გვ. 66.

⁴⁵ იქვე, გვ. 67.

⁴⁶ საქართველოს სამხედრო გზის ერთი მონაკვეთის საორიენტაციო პუნქტების ჩამოთვლისას ჯ. გეასალია ჯვართვაკის შემდეგ ასახელებს ჯვართაყელს: „გუდაური—ჯვართ ვაკე—ჯვართა ყელი კობი“ (ჯ. გეასალია, საქართველოს სამხედრო გზის ისტორიისათვის, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1972, № 2, გვ. 35), რომლის მიხედვით ჯვართაყელი ემთხვევა ჩასავალს. სინამდვილეში კი, როგორც უკვე დავინახეთ, ჯვართვაკე და ჯვართაყელი ერთიმეორეს ფარავენ, რომლის ქვემოთაა ვახუშტისეული შთასავალი ანუ ჩასავალი. ასევე გაუგებრობას იწვევს ჯვართვაკისა და ჯვარის ცალ-ცალკე გამოყოფა: „გუდაური—ჯვართ ვაკე—ჯვარი—კობი“ (ჯ. გეასალია დასახ. ნაშრომი, გვ. 35), რამდენადაც ჯვართვაკე I და ჯვარი ერთი და იმავე ადგილის ორი სახელწოდებაა. ნაშრომში, აგრეთვე, აღნიშნულია, რომ გზოვანიდან (მთა ფასანაურის პირდაპირ) მოჩანს „თეთრი არაგვის თითქმის მთელი ხეობა, დიდვაკე, ჯვართა ყელი“ (ჯ. გეასალია, დასახ. ნაშრომი, გვ. 36). ეტყობა რომ აქ ტოპონიმი დიდვაკე ნახმარია დიდველის მნიშვნელობით, რაც ჯვართაყელთან ერთად გზოვანიდან მოჩანს. თუ დიდვაკეში მართლაც დიდველია ნაგულისხმევი, მაშინ ჯვართაყელიც თავის ადგილზეა დასახელებული. ჯვართაყელი რომ ჩასავალში წარმოგედგინა, როგორც ეს ზემოთ აღინიშნა, გზოვანიდან ის ვერ გამოჩნდებოდა. მაშასადამე, ჯვართაყელის, ჯვართვაკის და ჯვარის ცალ-ცალკე ადგილებად დასახელება და ჩასავალის ანუ შთასავალის ადგილზე მისი ლოკალიზაცია გაუმართლებელია.

სხვათა შორის, ჩვენი ყურადღება მიიპყრო ჯ. გეასალიას ნაშრომის იმ ადგილმაც, სადაც აღნიშნულია, თითქმის ლუღიდან „არიან წარმოშობით ლუღუშაურები“ (ჯ. გეასალია, დასახ. ნაშრომი, გვ. 34), რომლის დასაბუთების არავითარ ცდას ავტორი არ იძლევა და, ჩვენი ღრმა რწმენით, არც არსებობს ამის საფუძველი.

6. „მაცნე“, ისტორიის... სერია, 1974, № 1.

მი ისეა დამკვიდრებული, რომ მეზავრის მიერ მთის ხსენება (მაგალითად: „მთაზე ცხენი დამივარდა“, „მთის გადავლა სახიფათოა“...) არც კი იწვევს მსმენელის შეკითხვას, თუ ამაში სახელდობრ რომელი მთა იგულისხმება. როდესაც სხვა რომელიმე მთაზეა საუბარი, ასეთ შემთხვევაში კაცი ან მთის სახელს აღნიშნავს (არბუხელაჲ, ნაროვანი, ღუნჭიანაჲ...), ანდა იტყვის, რომ „მთაჲი ცხორი მიმიდის“, „მთაჲი თივები დამრჩა“ და ა. შ. როგორც ვხედავთ, მოხვედრის მეტყველებაში მკვეთრად აღიფერენციკებული „მთაზე წასვლა“ და „მთაჲი საქმიანობა“, რომელთაგან პირველისნაირ გამონათქვამში იგულისხმება ჯვრის უღელტეხილი, ხოლო მეორეში სხვა ნებისმიერი მთა. მაშასადამე, ტოპონიმი მთა წარმოადგენს მთელი ჯვრის უღელტეხილის სახელწოდებას. ამის შესაბამისად, ჯვრის უღელტეხილიდან ჩამომდინარე წყალს, რომელიც იწყება საკუთრივ ჯორთვაკიდან ანუ ჟუართა ყელიდან, ხევში ეწოდება მთის წყალაჲ. სათავიდან ორიოდ კილომეტრის ქვემოთ მას დასავლეთის მხრიდან ერთვის თეთრი წყალი, რომელიც ასეთივე სახელწოდებითაა შესული XVIII საუკუნის მიწურულისა და XIX საუკუნის დასაწყისის საბუთებში (ქართულში — თეთრი წყალი, ხოლო რუსულში მისი ზუსტი თარგმანით — Белая река)⁴⁷. მთხრობლების განმარტებით, წყლის ეს სახელწოდება დაკავშირებულია მთის სახელწოდებასთან (თეთრი მთა), საიდანაც წყალი გამოდის. მთის ამგვარი სახელწოდება აიხსნება თეთრი ქანების არსებობით, მაგრამ წყლის ზემოქსენებლური სახელწოდება საკუთრივ წყლის თვისების დახასიათებასაც იძლევა. მთის წყალაჲსა და თეთრი წყლის შენაერთს, რომელიც ღრმა ხევით მდ. თერგისაკენ მიექანება, ეწოდება როგორც მთის წყალაჲ, ისე თეთრი წყალი. მშრალ ამინდში ის მართლაც თეთრი და ანკარაა, მაგრამ წვიმიანობისა და თოვლის დნობის დროს ძალიან დიდდება და ღრმა ხევში ყვითელი ფერის ქანებას ჩამორეცხვის შედეგად იმღვრება. ამ ხევში წარმოქმნილ ღვარცოფს არაერთხელ დაუზარალებია სოფ. აღმასიანი, რომელსაც ამჟამად ბეტონის კედელი იცავს.

ისტორიული ჟუართა ყელის ანუ ვახუშტისეული ყელის აღსანიშნავად აღ. ყაზბეგის „მამის მკვლელობა“ გვხვდება ჯვართვაკე („ჯვართვაკეს რომ საძოვრებია, თემმაც იცის და ხალხმაცა, რომ ადამის ჟამიდგან ჩვენი სოფლისა ყოფილა...“)⁴⁸, რაც კუთხური (მოხევური) ჯორთვაკის ლიტერატურულ ფორმას წარმოადგენს.

არსებული მონაცემების მიხედვით ნათლად გამოჩნდა, რომ ჯერ კიდევ XIV—XV სს. ისტორიულ წყაროებსა და სამართლის ძეგლებში ფიგურირებს ტოპონიმი ჟუართა ყელი, რომლის შესატყვისია ვახუშტის მიერ ლოკალიზებული ყელი, აღ. ყაზბეგისათვის კარგად ცნობილი ჯვართვაკე და მოხვეურ დიალექტში შემონახული ჯორთვაკე ანუ ჟორი. აღნიშნული ვითარება ამ სახელწოდების სიძველეზე მიგვიბრუნებს და გამორიცხავს XIX საუკუნის პირველ ნახევარში იქ ჯვრის დადგმის გამო მისი წარმოშობის შესაძლებლობას. ჯვრის აღმართვას მხოლოდ ხელი უნდა შეეწყო აღნიშნული

⁴⁷ მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, ნ. ბერძენიშვილის რედ., ტ. III, თბილისი, 1955, გვ. 133; Дело правителя Грузии о удостоверении осетинца Бидары проживающего на Кайшаурской горе, согласно грамотами грузинских царей, ЦГИА Груз. ССР, ф. 16, д. 3, л. 2, 3, 4; შდრ. АКАК I, Тифлис, 1866, გვ. 526—527.

⁴⁸ აღ. ყაზბეგი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, თბილისი, 1948, გვ. 186.

ტოპონიმის შენარჩუნებისათვის, ხოლო მის რამდენჯერმე დადგმა-განახლების ღონისძიებაში შესაძლებელია დავინახოთ ტრადიციის გაგრძელება-გახანგრძლივება, ე. ი. საფიქრებელია აქ ჯვარი მდგარიყო რუსეთთან საქართველოს შეერთებამდე და დასაშვებად მიგვაჩნია ვივარაუდოთ, რომ ადგილის ისტორიული სახელწოდებაც ამ მოვლენასთან ყოფილიყო დაკავშირებული.

ჯვრის უღელტეხილის ზემოხსენებულ სახელწოდებათა გარდა XIX საუკუნის წინა პერიოდის წყაროების მიხედვით სხვა რომელიმე სახელწოდების არსებობა ჯერჯერობით არ დადასტურდა. სამაგიეროდ XIX საუკუნეში ამ გადასასვლელს გაუჩნდა კიდევ ერთი სახელწოდება — ბ ი დ ა რ ა ლ, რომელიც მომდინარეობს პიროვნების საკუთარი სახელიდან.

საქართველოს სსრ ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცულია არაერთი დოკუმენტი, რომელშიც იხსენიება ოსი ბიდარა. მის სახელზე პირველად ერეკლე მეორეს გაუცია სიგელი, რომლის რუსული თარგმანიც აქვე მოგვყავს:

«Мы, царь Ираклий, определяем сим Трусовскому жителю осетинцу Батию, поселившемуся на Белой речке, жалованье в год по восемнадцати штук бязи, а провянту сын наш Вахтанг; с поборов Арагви будет отпускать ежегодно; а сверх сего, буди кто из проезжих к нему прибудет и остановится, то каждый должен ему отдавать с человека по одной штуке бязи, да и тем, кои еще кроме его из осетинцев прибудет для поселения на той речке, таковой же определяем збор; проезжие должны давать по две штуки бязи или за каждую штуку по два абазы, из какового сбора получать Бидаре девятую часть, а последние разделять по равному количеству с товарищами. 27 ноября 1794 года. Подлинной закреплён его высочества царя Ираклия печатью»⁴⁹.

1800 წლის 27 იანვარს ბიდარასათვის წყალობის სიგელი განუახლებია გიორგი მეთორმეტეს, რომელიც თავის დასაბუთებაში იმეორებს ერეკლეს სიგელის შინაარსს. მათ შორის შეიმჩნევა მცირედი შინაარსობლივი სხვაობა: ერეკლეს მიერ ხსენებული ბათი აღარ გვხვდება გიორგის სიგელში; განახლებული სიგელის მიხედვით ბიდარა ინარჩუნებდა წელიწადში 25 მანეთის მიღების უფლებას, როგორც ერეკლეს მიერ ნაწყალობევი ჯამაგირს, მაგრამ ერეკლეს სიგელში რატომღაც ფულადი ანაზღაურების შესახებ არაფერია აღნიშნული⁵⁰.

1801 წლის 12 თებერვლის ბრძანებით ერეკლეს გადაწყვეტილება და გიორგის დასტური ასევე ხელახლა დაამტკიცა უფლისწულმა დავითმა⁵¹. ქართველ მეფეთაგან ბიდარასათვის ნაბოძები უფლებები ძალაში დაუტოვებიათ რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებსაც. ბიდარას მიერ წარდგენილი წყალობის სიგელების საფუძველზე კნორინგს 1802 წ. 10 მაისს მისთვის მიუცია მოწმობა⁵², რომელიც ადასტურებდა ჯამაგირის დატოვებას გიორგი მეთორმეტის სიგელში აღნიშნული ნორმებით (წელიწადში 25 მანეთი ფულად, 50 კოდი ხორბალი, 50 კოდი ქერი და მგზავრებისაგან სამასპინძლოს გადახდა). კნორინგმა ამ გადაწყვეტილების აღსრულება იმავე წლის 6 ივნისს დაავალა

⁴⁹ ЦГИА Груз. ССР, ф. 16, д. 3, л. 4, შდრ. АКАК I, გვ. 526.

⁵⁰ იქვე.

⁵¹ იქვე, გვ. 527.

⁵² იქვე.

კოვალენსკის⁵³, ხოლო ამ უკანასკნელმა 9 ივლისს დუშეთის მაზრის კაპიტან-ისპრავნიკის სახელზე გასცა ორდერი⁵⁴, რომელიც ითვალისწინებდა ბიდარას-თვის გასამრჯელოს განახლებას, სოფ. გორისციხეში 20 ძელის მოჭრის უფლებას და სოფ. მჭადიჯვარში წართმეული ცხენის უკან დაბრუნებას. ვახტანგ ბატონიშვილთან მოლაპარაკების შემდეგ 1802 წ. 16 ივლისს კაპიტან-ისპრავნიკმა კოვალენსკის სახელზე დაწერილ რაპორტში⁵⁵ აღნიშნა: უფლისწული ვახტანგი ორდერში აღნიშნულ პირობებს ადასტურებს, მაგრამ არ თვლის მიზანშეწონილად სოფ. გორისციხეში ძელების მოჭრას იმ მოტივით, რომ ამ პატარა ტყიდან მასალა პირველ რიგში საჭიროა ხიდებისათვის⁵⁶. იგი თანახმაა ბიდარამ ხეები მოჭრას მისი საბინადროდან იქვე ახლოს სადმე⁵⁷.

მალე კოვალენსკიმ კაპიტან-ისპრავნიკს შეახსენა, რომ კნორინგისაგან ნაწყალობევი ღია ფურცელის მიხედვით ბიდარას სხვა სახის ულუფასთან ერთად წელიწადში ეკუთვნის მეფეებისაგან დაწესებული 50 კოდი ხორბალი და 50 კოდი ქერი, რასაც დანაკლისით ღებულობდა. კოვალენსკი კაპიტან-ისპრავნიკს ავალბებს, რომ ბიდარას დანაკლისი შეუვსონ მოვალე სოფლებმა და შედეგი მოახსენოს პირადად მას⁵⁸.

დამოწმებული დოკუმენტები გვიჩვენებენ თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ერეკლე მეორე დარიალის გზის მოწესრიგებას და მგზავრობისათვის სათანადო პირობების შექმნას. ამას თავისი გამართლება ჰქონდა განსაკუთრებით რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში გზის როლის გაზრდისა და მასზე მოძრაობის გაფართოების გამო. სხვა ღონისძიებებთან ერთად (ხიდების შეკეთება-მშენებლობა, გამცილებელი რაზმების გამოყოფა...) ერეკლემ ყურადღება მიაქცია გზის სახიფათო უბნებს, კერძოდ, ჯვრის გადასასვლელს და გადაწყვიტა იქ შეექმნა მუდმივი დასახლებული პუნქტი. ერეკლეს კარგად ესმოდა, რომ ასეთ რთულ მეტეოროლოგიურ გარემოში დასახლებისა და ოჯახებში დაკისრებულ მოვალეობათა შესრულების რეალურ საფუძველს წარმოადგენდა მატერიალური დაინტერესება. ამიტომ მან დააწესა ყოველწლიური ჯამაგირი, რამაც მართლაც მიიზიდა ზოგიერთი მთიელი, მათ შორის პირველ ყოვლისა დამოწმებულ საბუთებში ხსენებული ბიდარა.

დოკუმენტები გვაცნობენ როგორც მისთვის განკუთვნილი ჯამაგირის მოცულობას და რაობას (ფული, ნატურა, სამასპინძლო ქირა), ისე მის მოვალეობასაც. იგი ვალდებული იყო დახმარებოდა მგზავრებს უამინდობის დროს, რაც აქ ხშირად კატასტროფის მომასწავებელი იყო. ადგილობრივ მოსახლეობაში ჩვენ მიერ ჩატარებული გამოკითხვითაც დადასტურდა, რომ ბიდარას ოჯახში მგზავრებს ღებულობდნენ და უმასპინძლდებოდნენ, ხოლო ქარბუქისა და მო-

⁵³ ЦГИА Груз. ССР, ф. 16, д. 3, л. 2.

⁵⁴ იქვე, л. 5.

⁵⁵ იქვე, л. 6.

⁵⁶ სოფ. გორისციხე მდებარეობს ხევში, მდ. თერგის მარცხენა ნაპირზე, სადაც დღესაც პატარა ტერიტორია სოფ. გორისციხესა და სოფ. ტყარშეტს შორის ტყითაა დაფარული. ამ ადგილს ეწოდება ქედური, რომელზედაც წარსულში დასახლებული იყო სოფ. ქედური (ვ. ი თ ნ ი შ ვ ი ლ ი, ხევის ტოპონიმია, გვ. 19, 21, 74, 81, 85). როგორც ზემოხსენებული დოკუმენტის შინაარსიდან ჩანს, იმ დროსაც აქ ტყეს პატარა ტერიტორია ეჭირა, აქიდან მასალის გამოტანა მოსახლეობას არ შეეძლო და მასალის ეს მცირე მარაგი პირველ რიგში ხმარდებოდა გზისა და ხიდების აშენება-შეკეთების მეტად საჭირო საქმეს.

⁵⁷ როგორც ჩანს, ვახტანგ ბატონიშვილს მხედველობაში ჰქონდა კიშპურის ტყე.

⁵⁸ ЦГИА Груз. ССР, ф. 16, д. 3, л. 7.

სალოდნელი ზეგავიანობის დროს ბიდარა და მისი ოჯახის წევრები მათდამი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდნენ. იმისათვის, რომ მგზავრებისათვის ენიშნებინათ თავშესაფარი პუნქტის ახლო მდებარეობა, ისინი ზარებს რეკავდნენ და ცეცხლს ანთებდნენ, ხოლო გზის სახიფათო ადგილებში ხშირად საშველადაც გადიოდნენ. მთხრობლებისათვის ასევე კარგად არის ცნობილი, რომ სამაგიეროდ ისინი მთავრობისაგან ღებულობდნენ ჯამაგირს, ხოლო მგზავრებისაგან გასამრჯელოს.

დაახლოებით ასეთი სურათი გვეხატება 1794—1802 წწ. წერილობითი წყაროებისა და ხევეში შეკრებილი ცნობების მიხედვით. შემდგომში ბიდარამ სათანადო როლი შეასრულა, აგრეთვე, ოჯახების იქ დასახლების საქმეში, რითაც დაინტერესებული იყო ჯერ ერეკლე მეორე, ხოლო შემდეგ რუსეთის ხელისუფლებაც. ბიდარას შთაგონებით თრუსოს ხეობიდან რამდენიმე ოჯახმა გამოიჩინა ჯვრის უღელტეხილის მიდამოებში დამკვიდრების სურვილი, რაც კარგად ჩანს ოფიციალურ პირთა საქმიანი მიმოწერიდან 1808—1809 წლებში.

გენერალ-მაიორ ახვერდოვის სახელზე დაწერილ რაპორტში პოდპოლკოვნიკი გაბრიელ ყაზბეგი 1808 წლის 12 ივლისს აღნიშნავს, რომ თოვლიან მთაზე⁵⁹ ადრე დასახლებულმა ბიდარამ, რომელიც ქართველი მეფეებისა და რუსეთის ხელისუფალთაგან გასამრჯელოს ღებულობდა, თრუსოს ხეობიდან გამოიყვანა რამდენიმე ოსი (თუთი, სამირა, ბეგდაია, კროკი და გაბუ)⁶⁰ თავიანთი ოჯახებით იქ მუდმივად დასახლებისა და მგზავრების თუ სამხედრო ნაწილებისადმი სამასპინძლო ვალდებულებათა შესრულების პირობით. ყაზბეგს ეს სასარგებლო ღონისძიებად ესახება და შუამდგომლობს, რათა ამ ოჯახებს, რომლებმაც გადმოსახლების წელს ჰქონდათ ვერ მოიყვანეს, დახმარება აღმოუჩინონ (ფული, პური) და კაიშაურის ტყიდან სამშენებლო მასალის გამოტანის ნება დართონ, ხოლო თავის მხრივ მშენებლობაში სათანადო დახმარებას აღუთქვამს⁶¹.

ყაზბეგის რეკომენდაციის საფუძველზე ახვერდოვმა 1808 წლის 29 ივლისს თხოვნით მიმართა გრაფ გუდოვიჩს⁶² და ყაზბეგს აცნობა, რომ გუდოვიჩისაგან თანხმობის მიღებისთანავე ანანურის საერო პოლიციას მითითებას მისცემდა სამშენებლო მასალით სარგებლობის ნებართვის შესახებ⁶³. იმავე წლის 2 აგვისტოს გუდოვიჩმა თანხმობა განაცხადა როგორც ოსების დასახლებაზე, ისე ყოველი ოჯახისათვის ერთდროული დახმარების მიცემაზე (კომლზე 5 ჩეტვერტი

⁵⁹ თუ ყაზბეგის ამ რაპორტში ჯვრის უღელტეხილის აღსანიშნავად იხსენიება თოვლიანი მთა (Снеговая гора), 1808—1809 წწ. სხვა საბუთებში ორჯერ გვხვდება Крестовая гора (დ. 599, ლ. 17, 18), ხოლო დანარჩენებში—Каишаурская гора. 1794—1802 წწ. საბუთებიდან კი ქართველ მეფეთა სიგელებში ბიდარას სამოსახლოდ აღნიშნულია თეთრი წყალი (Белая речка), კნორინგის მოწმობაში თეთრი წყალი დასახლებულია კაიშაურის მთის ნაწილად, ხოლო სხვა საბუთებში ხსენებულია Каишаурская гора (დ. 3, ლ. 5, 6, 7).

⁶⁰ ყველა სხვა რაპორტშიც ყაზბეგი ასახელებს 5 ოჯახის მეთაურს (დ. 599, ლ. 5, 6, 15, 17). რამდენიმე დოკუმენტში ასევე ნაჩვენებია 5 ოჯახი (ლ. 8, 9, 13), მაგრამ ზოგან რატომღაც საკითხი დგას 7 ოჯახის დასახლებაზე, ხოლო იქვე მათი ჩამოთვლისას ისევ 5 კაცის სახელია ნაჩვენები (ლ. 7, 10, 11). ასეთი უზუსტობა დოკუმენტების დაუდევრად გაფორმების მიზეზით აიხსნება.

⁶¹ ЦГИА Груз. ССР. ф. 16, д. 599, л. 1.

⁶² იქვე, ლ. 2.

⁶³ იქვე.

პური)⁶⁴. ამის საფუძველზე ახვერდოვმა ყაზბეგს დაავალა, რომ აღნიშნულ გადაწყვეტილების აღსრულებამდე ოსებისათვის ჩამოერთვა კაიშაურის მთაზე მუღმივად დამკვიდრების პირობის ხელწერილები, ხოლო ამისი თავმდები ყოფილიყო ბიღარა თავისი შვილებით⁶⁵. 1808 წლის 24 აგვისტოს რაპორტში ყაზბეგი ახვერდოვს ატყობინებს, რომ წერა-კითხვის უცოდინარობის გამო ოსებმა ხელწერილები ვერ მისცეს, მაგრამ ბიღარას თავსდებობით სიტყვიერად შეპფიცეს სამუდამოდ აქ დამკვიდრება. თანაც სთხოვეს მასალით სარგებლობის ნებართვის დაჩქარება, რომ თოვლის მოსვლამდე მოასწრონ სახლების გაკეთება⁶⁶. 4 სექტემბერს ახვერდოვმა მიმართა საქართველოს სახაზინო ექსპედიციას ამ ოჯახებისათვის განსაზღვრული პურის შესაძენად საჭირო ფულის გამოყოფის შესახებ⁶⁷, რაც მეორე დღესვე განხორციელდა⁶⁸. იმავე დღეს ახვერდოვმა პურის ყიდვა და ოჯახებზე განაწილება დაავალა ანანურის მაზრის კაპიტან-ისპრავნიკს⁶⁹, მასალის გაცემა ამავე მაზრის საერობო პოლიციის გამგეობას⁷⁰, ხოლო ამ დავალებათა შესრულების შედეგების შეტყობინება სთხოვა ყაზბეგს⁷¹.

როგორც სათანადო საბუთებიდან ჩანს, ოჯახებს პური მიუღიათ⁷², მაგრამ ისინი არ დაუკმაყოფილებიათ სამშენებლო მასალით, რის გამო იქიდან კვლავ ძველ სამოსახლოში დაბრუნებულან. ყაზბეგი ამაში ადანაშაულებს ანანურის კაპიტან-ისპრავნიკსა და საერობო პოლიციას⁷³. მისი რაპორტის საფუძველზე ახვერდოვი დამნაშავეებს მკაცრად აფრთხილებს, რათა დროულად გამოასწორონ ეს ხარვეზი და მოახალშენებებს არ გაუტრუონ აქ დამკვიდრების იმედი⁷⁴.

მომდევნო საბუთები გვიჩვენებენ, რომ ოსებმა ერთდროული დახმარებაც იცოტავეს და წყალობის გადიდება მოითხოვეს. ეტყობა ყაზბეგმაც ისე გაიგო, თითქოს ახვერდოვმა მათ დაუნიშნა ყოველწლიური ულუფა. ამიტომ 1809 წ. 7 აგვისტოს ახვერდოვს ის წერს, რომ ბიღარასთან ერთად პური ყოველწლიურად სხვებსაც მიეცეს. ამასთან ერთად შუამდგომლობს, რომ მეურნეობის მოსაწყობად ყოველ ოჯახს გამოუყონ ფულადი დახმარება, ისევე როგორც ასეთი დახმარება ბიღარამ მიიღო ქართველ მეფეთა დროს⁷⁵. საპასუხო წერილში ახვერდოვმა განმარტა, რომ მათ ყოველწლიური ულუფა კი არ დაენიშნათ, არამედ მიეცათ მხოლოდ ერთდროული დახმარება პირველ დასახლებასთან დაკავშირებით. რაც შეეხება მოხუც ბიღარას, ხაზინიდან ის პურს იღებს არა იმ პირობით, რომ სხვებსაც უწილადოს, არამედ პირადი დამსახურების გამო იმ ულუფის სამაგიეროდ, რასაც მას აძლევდნენ ჯერ კიდევ ქართველი მეფეები⁷⁶.

⁶⁴ ЦГИА Груз. СССР, ф. 16, л. 599, л. 3.

⁶⁵ იქვე, л. 4.

⁶⁶ იქვე, л. 5.

⁶⁷ იქვე, л. 7.

⁶⁸ იქვე, л. 8.

⁶⁹ იქვე, л. 9.

⁷⁰ იქვე, л. 10.

⁷¹ იქვე, л. 11.

⁷² იქვე, л. 14.

⁷³ იქვე, л. 15.

⁷⁴ იქვე, л. 16.

⁷⁵ იქვე, л. 17.

⁷⁶ იქვე, л. 18.

ამით მთავრდება მიმოწერა დასახლების პირობების შესახებ. როგორც ჩანს, ოსებმა ბოლოს და ბოლოს მიიღეს სამშენებლო მასალა, შესაძლებელია კიდევ ფულადი დახმარებაც და ჯვრის უღელტეხილის მიდამოებში დასახლდნენ. უნდა ვიფიქროთ, რომ მიმოწერაში ხსენებული ხუთი ოჯახიდან თუ ყველა არა, უმრავლესობა მაინც, დასახლდა სოყურიაში, რომელიც, როგორც ზემოთ დავინახეთ, XIX საუკუნის 70—80-იანი წლების კამერალურ აღწერებში იხსენიება სოფელ კაიშაურის უბნად. ჩვენ სწორედ 1808—1809 წწ. საბუთები გვქონდა მხედველობაში, როდესაც აღვნიშნავდით, რომ სოყურიანი წარმოადგენს XIX საუკუნის დასაწყისში წარმოქმნილ დასახლებულ პუნქტს. გამოირიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ ზოგიერთმა მათგანმა საცხოვრებლად აირჩია სოფ. ქუმლისციხე, რასაც არსებითი მნიშვნელობა არ ენიჭებოდა მათი ცხოვრების პირობებისათვის. გზის პირად მდებარე ამ ორივე სოფლის მკვიდრს საგზაო სამუშაოებში (გზის შეკეთება, ტვირთზიდვა, მგზავრების გადაყვანა...) ჩაბმისა და საშოვარზე გასვლის თანაბარი შესაძლებლობა გაუჩნდა, მაგრამ მათ არ შეეძლოთ კონკურენცია გაეწიათ ბიდარასათვის. ეს იმიტომ, რომ მათ მერ სამოსახლოდ ამორჩეული ადგილი გადასასვლელის ისეთ საჭირობოროტო პუნქტს არ წარმოადგენდა, როგორც საკუთრივ ბიდარას სამოსახლო. ამიტომ არც არსებობდა იმის საფუძველი, რომ ხელისუფლებას საგანგებოდ აღენიშნა მათი დამსახურება და რაიმე სახის წყალობით დაეთასებინა. სამაგიეროდ ბიდარას ეს წყალობა არ მოჰკლებია, ხოლო სიბერეში პენსიითაც უზრუნველყოფილი იყო (წელიწადში 125 მან.). ბიდარას გარდაცვალების შემდეგ (1832 წ.) მისი ოჯახისთვის პენსიის მიცემა შეუწყვეტიათ, რაც გაუსაჩივრებიათ ბიდარას გვარის უხუცეს წარმომადგენლებს. ამის საფუძველზე ბარონი როზენი 1833 წლის 15 თებერვალს გრაფ კანკრინს სთხოვს, რათა ბიდარას მრავალრიცხოვან გაჰირვებულ ოჯახს, რომლის ყოფნა ამ პუნქტში უსათუოდ საჭიროა მგზავრთა უსაფრთხოებისათვის, პენსია აღუდგინონ და აძლიონ მანამდე, სანამ საქართველოს სამხედრო გზა მიმართულებას არ შეიცვლის⁷⁷.

როგორც ვხედავთ, ბიდარას სახელი გვხვდება 1794—1833 წწ. ყველა ზემოხსენებულ დოკუმენტში. ამ დოკუმენტების მიხედვით, ბიდარა თრუსოს ხეობიდან ჯვრის უღელტეხილზე გადმოსახლა ერეკლე მეორემ 1794 წელს, ხოლო შემდეგ ბიდარას თავკაცობით იმავე ხეობიდან კიდევ რამდენიმე ოჯახი გადმოვიდა. რუს მოხელეთა მიმოწერაში ბიდარას სამოსახლოდ სახელდებულია კაიშაურის მთა ან ჯვარის მთა, მაგრამ არც ერთი ამ სახელწოდებათაგანი ნიშანდობლივ ვერ გვაცნობს ბიდარას სახლ-კარის მდებარეობას. სამაგიეროდ ქართველ მეფეთა სიგელებსა და კნორინგის მოწმობაში მის ადგილსამყოფელად დასახლებულია თეთრი წყალი. 1800 წლის სპილენძის მადნის შემოსავლისა და ხარჯის ნუსხაში ასევე იხსენიება ბიდარა, როგორც „თეთრ წყალზე მსახლობელი“⁷⁸.

აღნიშნული ადგილის დათვალიერებამაც დავგარწმუნა, რომ ბიდარა ცხოვრობდა ჯვრის უღელტეხილის ჩრდილოეთ მხარეზე, ვახუშტისეული შთასავალის ანუ ჩასავლის თავში, მთის წყალაჟსა და თეთრი წყლის შესაყარს შუა მდებარე ქედზე, ე. ი. ზედ ჯვრის უღელტეხილზე და არა „ყაზბეგსა და ჯვრის

⁷⁷ АКАК VIII, Тифлис, 1881, გვ. 47—48.

⁷⁸ მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, III, გვ. 133.

უღელტეხილს შორის⁷⁹. ამ ქედზე შემორჩენილია სასაფლაო და საცხოვრებელ ნაგებობათა ნაშთები. უნდა ვიფიქროთ, რომ სამასპინძლო შემოსავლით დაინტერესებულ ბილარასა და მის შთამომავალთა დასახლებაში სასტუმროდ უფრო მეტი სახლი გამოიყენებოდა, ვიდრე საცხოვრებლად. ამაზე მიგვანიშნებს 1800 წლის შემოსხენებულ ნუსხაში დაცული ცნობა იმის შესახებ, რომ ამ გზაზე გამოვლისას რუსეთის ჯარს ბილარას „ასოცი ძირი თივა დაეჭმიათ და სამი სახლი დაუქცევიათ და დაუწომათ“⁸⁰. ბუნებრივია, რომ ბილარას ოჯახს სამივე სახლი საცხოვრებლად არ დაჭირდებოდა და თუ იმაზე მეტი ნაგებობა არ გაიჩნდა, სამიდან ორი, ალბათ, სასტუმროდ უნდა ყოფილიყო განკუთვნილი.

საყურადღებოა ერთი გარემოებაც. ყველა აქ დამოწმებულ დოკუმენტში „თეთრ წყალზე მსახლობელი“ პიროვნების სახელია ბილარა. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ ორი დოკუმენტი — ყველაზე ადრინდელი (ერეკლეს სიგელი) და ყველაზე გვიანდელი (როზენის წერილი კანკრინისადმი 1833 წ.). პირველში გვხვდება ორი სახელი — ბ ა თ ი და ბ ი დ ა რ ა. ამ სიგელს ახლავს წარწერა, თითქოს ის ერეკლემ მისცა ორ ძმას (ბათის და ბილარას), მაგრამ მისი შინაარსი აშკარად იმის მაჩვენებელია, რომ იგი მხოლოდ ერთ კაცზეა გაცემული. რაც შეეხება 1833 წ. დოკუმენტს, აქ იხსენიება თოთია ბილარაშვილი, მაგრამ ამ შემთხვევაშიც გაუგებრობას უნდა ჰქონდეს ადგილი, რამდენადაც საქმე ეხება ერეკლეს დროიდან დამსახურებული პიროვნების გარდაცვალების შემდეგ ოჯახისთვის პენსიის მიცემის საკითხს. ასეთ პიროვნებას კი წარმოადგენდა ბილარა, რომლის ვინაობა აქ უცნაურადაა გაფორმებული — მისი საკუთარი სახელი გამოყენებულია გვარის სახელად.

აღნიშნულ დოკუმენტებზე დაყრდნობით ზოგიერთ ნაშრომში ბილარას ვინაობის აღსანიშნავად გვხვდება თოთია ბილარაშვილი ანუ ბ ა ი დ ა რ ა შ ვ ი ლ ი⁸¹, ბ ა თ ი ბ ი დ ა რ ა შ ვ ი ლ ი⁸² ან ბ ა თ ი ბ ი დ ა რ ო ვ ი⁸³. ამის მიხედვით, თოთია და ბათი მიჩნეულია სახელად, ხოლო ბილარა მათ წინაპრად, ეპონიმად. გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ ბათი თუ თოთია იყოს ბილარას ზედმეტი სახელი. ამის გარკვევას შევეცადეთ ბილარას შთამომავალ მთხრობლებთან, მაგრამ მათ არ დაადასტურეს, რომ ბილარას რქმეოდა ბათი ან თოთია.

სოფ. კობში 1968 წლის ზაფხულში ჩაწერილი მასალის მიხედვით, ბილარა (ოსური გამოთქმით ბ ჯ ნ დ ა რ) გვარად ბოცოევი ყოფილა, რომელსაც ახალგაზრდობა გაუტარებია თრუსოს ხეობაში, სოფ. ჭიმარაში. ის იქვე დაცოლშვილებულა და თეთრ წყალზე დასახლების დროს უკვე ჰყოლია ორი შვილი — ბისიკო და ალექსანდრე, რომელთაც მამის სახელის მიხედვით მიუღიათ გვარი ბ ი დ ა რ ო ვ ი. ასე წარმოიშვა ახალი გვარი, რომელთაც ითვლის ხუთ თაობას. ბილაროვები ჯვრის უღელტეხილიდან ჩამოსახლებულან 1941 წელს. მათ ერთ ნაწილს, ბუღასოვებთან ერთად, ერთხანს უცხოვრიათ სოფ. თოლგოთში, რომლისა დღეს დარჩენილია მხოლოდ ნასოფლარი და მდებარეობს მდ. თერგის მარცხენა ნაპირზე, სოფ. კობის პირდაპირ. ბილაროვების უმრავლესობა, რომ-

⁷⁹ გ. თოგოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობა XV—XVIII სს., თბილისი, 1969, გვ. 40.

⁸⁰ მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, III, გვ. 133.

⁸¹ И. Арджеванидзе, Военно-Грузинская дорога, Тбилиси, 1954, გვ. 197.

⁸² Н. Квезерели-Копадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 100-101.

⁸³ გ. თოგოშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 40.

ლებიც ცხოვრობდნენ სოფ. თოღოთსა და სოფ. აღმასიანში, საცხოვრებლად წასულან ჩრდილო ოსეთში. სოფ. აღმასიანში 1968 წ. ბიდარას შთამომავლობიდან დაგვხვდა მხოლოდ ორი კომლი — ფიტო (დიმიტრი) და ბაბი ბიდაროვების ოჯახები. ფიტო ბიდაროვი (დაბად. 1895 წ.), რომელმაც ეს ცნობები მოგვაწოდა, არის ბიდარას შვილიშვილის შვილი (მეოთხე თაობის წარმომადგენელი).

ჯვრის უღელტეხილზე ბიდარას დასახლების შემდეგ ამ ადგილის ისტორიულ ტოპონიმიაში ახალი სახელწოდებაც შემოვიდა. კაცის სახელი პირველ რიგში შეარქვეს მის სამოსახლო პუნქტს. 1816 წ. კამერალურ აღწერაში უკვე შეტანილია დასახლებული პუნქტი ბ ი დ ა რ ა⁸⁴, სადაც ამ დროისათვის ცხოვრობდა ორი ოჯახი: თუთი ბოცოშვილისა⁸⁵ (11 სული) და ქურაუყო ქოქოშვილისა (12 სული). ერთ-ერთ დოკუმენტში, რომელიც გვაცნობს 1828 წ. მომხდარ შემთხვევას, ჯვრის უღელტეხილის მიდამოებიდან ჯვართვაქსთან (Джаварт-ваке) ერთად სხენებულია ბ ი დ ა რ ა ს მ თ ა (... „Угнали с Бидарской горы“...) ⁸⁶. ტოპონიმი ბიდარა გვხვდება, აგრეთვე, აღ. ყაზბეგის ერთ-ერთ ლექსში („კისერში წაჰყარ, ძუნძულით გადაატარე ბიდარა...“) იქვე მოცემული განმარტებით: „ბიდარა — ხევში გასავალი ღელე და მთა არის“ ⁸⁷.

ხევის ტოპონიმის შესწავლამაც გვიჩვენა, რომ ჯვრის უღელტეხილზე ბიდარას დასახლების შემდეგ მოხვედრებმა და ხევის ტერიტორიაზე მცხოვრებმა ოსებმა ჯვართვაქს უწოდეს ბ ი დ ა რ ა მ || ბ ე ნ დ ა რ, დასახლებულ პუნქტს, სადაც ბიდარა და მისი შთამომავლობა ცხოვრობდა — ბ ი დ ა რ ა მ ს ო ფ ე - ლ ი || ბ ე ნ დ ა რ ჯ ყ ა უ, ქვის ხიდს თეთრ წყალზე — ბ ი დ ა რ ა მ ს ხ ი დ ი || ბ ე ნ დ ა რ ჯ ხ ი დ, რუსების მიერ აშენებულ ყაზარმას — ბ ი დ ა რ ა მ ს კ ა - ზ ა რ მ ა მ (ხუთვერსიან რუკაზე აღნიშნულია ბ ა ი დ ა რ ა, როგორც ყაზარმა. ამაში უნდა იგულისხმებოდეს როგორც ყაზარმა, ისე ბიდაროვების სამოსახლო პუნქტი), მთის წყალაშსა და თეთრი წყლის შენაერთს — ბ ი დ ა რ ა მ ს წ ყ ა ლ ი || ბ ე ნ დ ა რ დ ო ნ, ხოლო ხევის (ვახუშტისეული შთასავალი || ჩასავალი), რომელშიც ეს წყალი მოედინება, ოსურად ეწოდება ბ ე ნ დ ა რ ა დ ა გ (ბიდარას ხევი) ანუ ბ ე ნ დ ა რ ქ ო მ (ბიდარას ხეობა).

პატარა მდინარე ბ ა ი დ ა რ ა -ს იხსენიებს თავის მოგზაურობის დღიურში ალექსანდრე დიუმა, რომელსაც ამ მდინარის ნაპირზე მდებარე სოფლიდან ქარბუქის დროს ზარის რეკვა გაუგონია⁸⁸ (ქარბუქში რომ იქ ზარს რეკავდნენ, ამის შესახებ ზემოთ ითქვა). მისი წიგნის 1964 წლის ქართულ გამოცემაში აკ. გაწერელიამ განმარტა, თითქოს ავტორისეულ „Baïadara“-ში „უნდა იგულისხმებოდეს ბაიდარა, მდინ. ყოფ. ზაქათალის ოლქში“ ⁸⁹. ამასთან დაკავშირებით გაკეთებული შენიშვნის შემდეგ, რომ მწერალი ეხება ჯვრის უღელტეხილის მდი-

⁸⁴ ЦГИА Груз. ССР, ф. 254, оп. 1., арх. № 436, л. 21.

⁸⁵ საეჭვოდ არ მიგვაჩნია, რომ თუთი ბოცოშვილი იგივე ბიდარა ბოცოვია, რომელიც ამ შემთხვევაში იხსენიება კვლავ მეორე სახელით. თუთის სახეშეცვლილი ფორმაა 1833 წ. საბუთში სხენებული თოთია.

⁸⁶ История Юго-Осетии в документах и материалах (1800-1864 гг.). Составитель И. Н. Цховребов, т. II, Сталинир, 1960, გვ. 366, 370.

⁸⁷ აღ. ყაზბეგის, თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, თბილისი, 1949, გვ. 14.

⁸⁸ აღ. დიუმა, კავკასია, თბილისი, 1964, გვ. 363.

⁸⁹ იქვე, გვ. 503.

ნარეს⁹⁰, რომელიც მან რამდენიმე ადგილას გადალახა საქართველოს სამხედრო გზით მოგზაურობის დროს, დიუმას წიგნის ახალი (1970 წ.) ქართული გამოცემის შენიშვნებში შესწორება იქნა შეტანილი.

ამგვარად, ხევის ტერიტორიის ერთი მონაკვეთის — ჯვრის უღელტეხილის მიკროტოპონიმიკა ხასიათდება სხვადასხვა დროის სახელწოდებების თანაარსებობით. ისტორიული ტოპონიმების გვერდით ახალი სახელწოდებების დანერგვა განაპირობა XVIII საუკუნის დასასრულსა და XIX საუკუნის დასაწყისში განხორციელებულმა ღონისძიებებმა. ქართველი მთიელების მეზობლად ოსების დასახლებამ ტოპონიმიკის სფეროშიც გარკვეული ცვლილებები შეიტანა, მაგრამ ძნელი არ არის იმის შემჩნევა, რომ ჯვრის გადასასვლელის ზემოხსენებულ სახელწოდებათა შორის ადრინდელია ქართული წყაროებით ცნობილი ჯ უ ა რ თ ა ყ ე ლ ი მისი ხალხური (მოხევური) შესატყვისებით (ჯ ო რ ი, ჯ ო რ თ ვ ა კ ე), ხოლო გვიანდელი ტოპონიმია ბ ი დ ა რ ა ჯ, რომელიც აღნიშნული ქართული ტოპონიმების გვერდით დამკვიდრდა ბიდარა ბოცოევისა და მისი შთამომავლობის იქ დასახლების გამო.

⁹⁰ ლ. ჭ ი ა ლ ა შ ვ ი ლ ი, მცირე შენიშვნა, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1965, № 8.

ხეობები და შენიშვნები

თინა მორჩაძე

სამთავროს ანტიკური პერიოდის კერამიკული მასალის პეტროგრაფიული შესწავლა

საბჭოთა კავშირში¹ და უცხოეთშიც² ფართო გავრცელებას პოულობს საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდების გამოყენება არქეოლოგიაში (მაგალითად: მეტალოგრაფიის, ქიმიური, მათემატიკური, ფიზიკური, პეტროგრაფიული). ასეთი კომპლექსური შესწავლა საუკეთესო შედეგებს იძლევა.

ჩვენ განვიხილეთ, კერამიკის შესწავლისას გამოგვეყენებინა პეტროგრაფიული მეთოდი (ამ მეთოდებით შეიძლება შესწავლილ იქნას ყველა არამეტალური არქეოლოგიური მასალა, როგორცაა: ქვა, მინა, კერამიკა და სხვ.) და მოგვეხდინა კერამიკული მასალის კლასიფიკაცია პეტროგრაფიული შედგენილობის საფუძველზე; შეგვესწავლა საკერამიკო მასალა მიკროსკოპის ქვეშ, დაგვედგინა საკერამიკო ნედლეულის სადაურობა და გადაგვეწყვიტა კერამიკის დამუშავების ტექნოლოგიის ზოგიერთი საკითხი.

ამ მიზნით მცხეთასა და მის მიდამოებში (კოდმანი, ნიჩბისი, არაგვისპირი), აგრეთვე, ცხავატში აღებულ იქნა საკერამიკო თიხის ნიმუშები, გარდა ამისა მოპოვებულ იქნა თანამედროვე კერამიკა, დამზადებული როგორც ქარხნული წესით, ასევე კუსტარულად. კერამიკის დამზადების ტექნოლოგიის ზოგი საკითხის გარკვევისათვის ჩვენ მიერ მცხეთასა და საქართველოს სხვა რაიონების საკერამიკო თიხებისაგან დამზადდა ცომის ფირფიტები, რომელიც გამოიწვა სხვადასხვა ტემპერატურაზე, რათა დაგვედგინა თუ რა ცვლილებას განიცდის ესა თუ ის მინერალი ტემპერატურის გავლენით.

შესასწავლი კერამიკული მასალა, მოპოვებული სამთავროს სამაროვანზე მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ³ 1937—58 წწ., შერჩეულ იქნა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური განყოფილების ფონდში.

ცნობილია, რომ მცხეთასთან⁴, მდინარე არაგვის მარჯვენა ნაპირზე, ფართოდ არის განვითარებული მხოპლიოცენური ნალექები, წარმოდგენილი კონ-

¹ О. Ю. Круг, Петрографический анализ керамики, АН СССР, Институт археологии, изд. „Наука“, Москва, 1965.

² A. Shepard, Ceramics for the Archaeologist, „Carnegie Instituts Washington Publ, Washington, 1956, გვ. 609, D. Selling, Wihingirreitiche und Frühmittliche Keramik in Schweden, Stogholm, 1955.

³ მცხეთა — არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები (ავტორთა ჯგუფი), თბილისი, ტ. I, 1949.

⁴ Природные ресурсы Грузинской ССР, т. II, изд. АН СССР, Москва, 1959.

გლომერატების, ქვიშაქვებისა და თიხების მორიგეობით. იქვე არაგვის გასწვრივ, ზედასარმატულ-პონტურ ნაცხორის წყების გადარეცხილ ზედაპირზე, განლაგებულია ლიოსის თიხები, რომლებიც ძირითადად ნაცხორის წყების გადარეცხვის პროდუქტს წარმოადგენს. ეს თიხები ფართოდ გამოიყენება დღესაც, როგორც საკერამიკე ნედლეული. აქ ზევიდან ქვევით განირჩევა:

1. ღია ნაცრისფერი თიხა კირქვის ნატეხებით, კვარცის მარცვლებით და თაბაშირით, სიმძლავრე 1,60—3 მ.

2. თიხა წვრილმარცვლოვანი ქვიშისა და იშვიათად კირქვის ნატეხები, სისქე 2,2—6 მ.

დასახელებულ ადგილებში გავრცელებული თიხები, შედგენილობის მიხედვით 2 ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

პირველი მათგანი (ცხიმოვანი) მიკროსკოპის ქვეშ ხასიათდება ერთგვაროვანი მომწვანო ფიფქისებური პელიტომორფული თიხური ძირითადი მასით. მასში ტერიგენული მასალა უმნიშვნელო რაოდენობით (0,5—1%-მდე) გვხვდება და წარმოდგენილია მადნეული მინერალებით, იშვიათად წვრილმარცვლოვანი (0,001 მმ-მდე) პლაგიოკლაზებისა და კვარცის მარცვლებით (0,5—1%) გვხვდება განახშირებული მცენარეული დეტრიტი.

ჯვარედინ ნიკოლში ქანს ოქროსფერი გადაკრავს, ახასიათებს ქეჩისებური აღნაგობა. კარბონატობა მასში 12%-მდეა. ზოგ ნიმუშში კალციუმის კარბონატის რაოდენობა 25%-მდე აღწევს (ქანში გაბნეული ფაუნის ნიჟარის ხარჯზე).

მეორე ჯგუფის თიხებისათვის (ლიოსისებური) დამახასიათებელია მომწვანო მოყვითალო ფერის ღრუბლისებური ალევროპელიტური ძირითადი მასა, რომელიც ჯვარედინ ნიკოლში იზოტროპულია. მასში ჩაფლულია ალევროპელიტური ზომის ტერიგენული მასალა (40—45%): პლაგიოკლაზების, კვარცის მარცვლები, ქარსისა და ქლორიტის ფირფიტები, მკავე ეფუზური ქანის ნატეხები. გვხვდება, აგრეთვე, მადნეული მინერალების (პირიტი) მარცვლები მცენარეული დეტრიტი (5—10%).

ზოგიერთ ნიმუშში აღინიშნება უბნები, სადაც ტერიგენული მასალის რაოდენობა (60—70%) გაზრდილია, ხოლო პელიტური ზომა — ფსამიტურში გადადის, ქანი ქვიშიან თიხას წარმოადგენს, ამ ტიპის ქანებში კალციუმის კარბონატის რაოდენობა 15%-ს შეადგენს.

ამრიგად, მცხეთასა და მის მოსაზღვრე რაიონებში ორი ტიპის თიხა გამოიყოფა, რომელიც მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან ძირითადი მასისა და ტერიგენული მასალის ხასიათით.

მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილების მიერ გადმოცემული ანტიკური პერიოდის კერამიკული მასალა მიკროსკოპული შესწავლის საფუძველზე 5 ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

პირველი ჯგუფის კერამიკული მასალა მაკროსკოპულად ერთფენოვანია მოწითალო ფერის წვრილი და საშუალომარცვლოვანი, ანგობირებული, ანდა უანგობო, იშვიათად სუსტად კარბონატული (უმეტესად საღ მონატეხზე).

მიკროსკოპის ქვეშ გამავალ სხივში მოყავისფროა (აგურისფერი) ფერფლისებური ალევროპელიტური ძირითადი მასა და შლიფის $\frac{2}{3}$ შეადგენს. $\frac{1}{3}$ ტერიგენულ მასალას უჭირავს, უკანასკნელი წარმოდგენილია; პლაგიოკლაზების, ქარსის ფირფიტების, კვარცისა და პირიტის მარცვლებით. კარბონატობა აქ 12%-დან 24%-მდე აღის.

ჩვენ მიერ დამზადებული ეტალონების შედარების საფუძველზე, შესაძლებლობა გვაქვს ვივარაუდოთ, რომ პირველი ჯგუფის კერამიკა, როგორც ჩანს, 800°C , იშვიათად კი 900°C ტემპერატურაზე უნდა იყოს გამომწვარი. მაღალი ტემპერატურის გამო თიხის ძირითადი მასა იზოტროპული გახდა, ხოლო ტერიგენული მასალა შემკვრივდა, ალაგ-ალაგ იგი შებოლილია და მღვრიე (ბიოტიტები გაწითლებული და დამსკდარი).

მეორე ჯგუფის კერამიკაც ერთფენოვანია, მიკროსკოპის ქვეშ გამავალ სხივში მოშავო-მოყავისფრო და ფერფლისებური, ალევროპელიტურ ძირითადი თიხური მასისაგან შედგება, რომელშიც მცირე რაოდენობით ალევროპელიტური ზომის ტერიგენული მასალაა გაფანტული, იშვიათად შეიმჩნევა ქანის მოდიდო ნატეხებიც, რომელსაც ჯვარედინ ნიკოლში სუსტი ორმაგი გარდატეხა ახასიათებს. ტერიგენული მასალა საღია, როგორც ჩანს, ამ ჯგუფის კერამიკის გამოწვა შედარებით დაბალ ტემპერატურაზე ხდებოდა (700°C -ზე, იშვიათად 800°C -ზედაც).

მესამე ჯგუფის კერამიკა ფენოვანია და სუსტად კარბონატული, გვხვდება როგორც უანგობო, ასევე ანგობირებული.

მიკროსკოპის ქვეშ, თიხური ძირითადი მასა მოშავო-მოყავისფრო პელიტო-მორფული აღნაგობით ხასიათდება. ჯვარედინ ნიკოლში იზოტროპულია.

მესამე ჯგუფის კერამიკაში, ტერიგენული მასალა პირველი და მეორე ჯგუფის ტერიგენული მასალის ნარევს წარმოადგენს, იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ აქ მაკრო და მიკროფაუნის ნატეხებიც გვხვდება. მათ ხარჯზე კალციუმის კარბონატის რაოდენობა გაზრდილია 45%-მდე. გამოწვის ტემპერატურა უტუოდ 900°C -ზე უფრო მაღალი და (თუმცა ზოგი უფრო დაბალ ტემპერატურაზეც არის გამომწვარი, მაგ. ნიმ. № 11786 და სხვ.) გამოწვის მაღალი ტემპერატურით აიხსნება თიხური მასის გამუქება და გამკვრივება.

მეოთხე ჯგუფის კერამიკა მუქი ფერისაა და მსხვილმარცვლოვანი; ზედაპირზე არაკარბონატულია, ხოლო საღ მონატეხზე მარილმჟავა სუსტად მოქმედებს. ეს კერამიკა ანგობირებულია, იშვიათად უანგობოც გვხვდება.

მიკროსკოპის ქვეშ გამავალ სხივში მოშავო-მოყავისფრო ალევრო-ფსამიტური ღრუბლისებური ძირითადი მასა შეიმჩნევა, მასში ჩაფლულია: პლაგიოკლაზების, ავგიტის, კვარცის მარცვლები და ქარსის (ბიოტიტი) ფირფიტები. აქა-იქ გვხვდება მყავე ეფუზური ქანის ნატეხები, შეინიშნება გალიმონიტებული უბნები, კარბონატობა შედარებით დიდია — 45%-დან 55%-მდე.

ჯვარედინ ნიკოლში ძირითადი მასა ნაცრისფერია და იზოტროპული; ქარსი (ბიოტიტი) გაწითლებული და დაბზარული, ქანის ნატეხები დამსკდარი, რაც გამოწვის მაღალ ტემპერატურაზე მიგვითითებს. კერამიკის ამ ჯგუფის გამოწვა დაახლოებით 900°C — 1000°C -ზე ხდებოდა.

მეხუთე ჯგუფის კერამიკაში რამდენაღმე განსხვავებული შედგენილობის ნიმუშებია. ისინი მოწითალო აგურისფერია და წვრილმარცვლოვანი. მათი ზედაპირი წითლად არის გაპრიალებული. ზედაპირი და სარჩული არაკარბონატულია, საღ მონატეხზე კი სუსტად კარბონატული.

მიკროსკოპის ქვეშ გამავალ სხივში ჩანს მოწითალო აგურისფერი, პელიტო-მორფული, ფიფქისებური ძირითადი მასა, რომელშიაც დიდი რაოდენობით გვხვდება ქარსის ფირფიტები (მხოლოდ ბიოტიტები).

ჯვარედინ ნიკოლში ძირითადი მასა იზოტროპულია, ამ ჯგუფის კერამიკას გამოწვის მაღალი ტემპერატურა ახასიათებს (900°C — 1000°C).

როგორც აღწერიდან ჩანს, პირველი და მეორე ჯგუფის კერამიკა ერთმანეთთან ახლოს დგას როგორც ძირითადი მასის, ასევე ტერიგენული მასალის მიხედვით. ჩანს, ამ ჯგუფის კერამიკისათვის გამოყენებული იყო ერთი და იგივე მასალა; ისინი ერთი მეორისაგან განსხვავდებიან მხოლოდ დამუშავების ტექნოლოგიით. გასამკლევებელი მასალა სხვადასხვა ზომით და სხვადასხვა რაოდენობით არის ხმარებული. გარდა ამისა გამომწვარია სხვადასხვა ტემპერატურაზე.

პირველი ჯგუფი — გამომწვარია უფრო მაღალ ტემპერატურაზე, რის გამოც მისი ძირითადი მასა და ტერიგენული მასალა შედარებით მეტად სახეცვლილია, ვიდრე მეორე ჯგუფის კერამიკა, რომლის ძირითადი და ტერიგენული მასალა ნაკლებ დამწვარი და გარდაქმნილია. ჩვენი აზრით, პირველი და მეორე ჯგუფის კერამიკის დამზადებისათვის გამოყენებულია ცხიმოვანი თიხები, რადგან ამ თიხებისაგან გამომწვარი ფირფიტები თავისი შედგენილობით მსგავსია აღნიშნული კერამიკისა.

მესამე ჯგუფის კერამიკა ფენოვანია, მისი დამზადებისას გამოყენებულია პირველი და მეორე ჯგუფის კერამიკის მასალა; მაგრამ აქ გადიდებულია კარბონატობის რაოდენობა ფაუნის ნატეხების ხარჯზე, რაც I და II ჯგუფისათვის არ არის დამახასიათებელი. გამოწვის ტემპერატურაც უფრო მაღალია (900°C , ზოგჯერ მეტი), ვიდრე I და II ჯგუფის კერამიკისა. ამ ჯგუფის კერამიკის დამზადებლად გამოყენებულია ცხიმოვანი და ლიოსისებური თიხების ნარევი.

მეოთხე ჯგუფის კერამიკა, განსხვავდება სხვა დანარჩენისაგან როგორც ძირითადი მასით (სტრუქტურით, ტექსტურით), ასევე ტერიგენული მასალის შედგენილობით, ხასიათდება გამოწვის მაღალი ტემპერატურით (1000° -ზე მეტი).

ეს ჯგუფი დამზადებულია მცხეთაში გავრცელებული ლიოსისებური თიხებისაგან.

ცალკე გამოყოფილი მეხუთე ჯგუფის წითელპრიალა ნიმუშები (№ 7016, 7017) განსხვავდებიან ზემოთ აღწერილებისაგან როგორც ძირითადი მასის და ტერიგენული მასალის მინერალოგიური შედგენილობით (სტრუქტურით, ტექსტურით), ასევე დამუშავების ტექნოლოგიით. ისინი არ შეესაბამებიან არც მცხეთის და არც საქართველოს სხვა მეზობელ რაიონებში გავრცელებული თიხების შედგენილობას; ამის საფუძველზე ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ჭურჭელი შემოტანილი უნდა იყოს.

ის გარემოება, რომ ლითოლოგიური შედგენილობით I, II და III ჯგუფი თითქმის არ განსხვავდება ერთმანეთისაგან (განსხვავება ჩანს მხოლოდ დამზადების ტექნოლოგიაში), გვაფიქრებინებს, რომ მცხეთაში არსებობდა კერამიკული წარმოების რამდენიმე კერა ან მათი დამზადება ანტიკური პერიოდის სხვადასხვა დროში ხდებოდა.

ამრიგად, მცხეთის ანტიკური პერიოდის კერამიკული მასალის პეტროგრაფიულმა შესწავლამ საშუალება მოგვცა დაგვედგინა, გამოყენებული ნედლეულის ხასიათი, მისი სადაურობა, მოგვეხდინა კერამიკული მასალის ზუსტი კლასიფიკაცია და გამოგვეკვლია ტექნოლოგიის ზოგიერთი საკითხი; განგვესაზღვრა და დაგვეჯგუფებია გაურკვეველი კერამიკული ნატეხიც კი, რომლის ფორმისა და დანიშნულების აღდგენა უკვე შეუძლებელია.

МОРЧАДЗЕ Т. А.

ПЕТРОГРАФИЧЕСКОЕ ИЗУЧЕНИЕ КЕРАМИЧЕСКОГО МАТЕРИАЛА АНТИЧНОГО ПЕРИОДА САМТАВРО

Резюме

Керамические изделия Самтавро античного периода по петрографическому составу удалось разбить на 5 групп. Изделия первой и второй групп изготовлены из жирной глины, четвертой — из лесовидного суглинка (Мцхетского района).

Для изготовления керамики третьей группы применялся материал обоих типов.

Керамика пятой группы по вещественному составу отличающаяся от остальных, возможно, является привозной (или относится к привозной).

თამაზ ბარაძე

დასავლეთ საქართველოს ზოგიერთი გეოგრაფიული ადგილის ლოკალიზაციისათვის

„წამება დავით და კონსტანტინესი“ მნიშვნელოვანი წყაროა ადრე ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიისათვის. მეტად საინტერესოა იმ ადგილთა ლოკალიზაცია, რომლებიც უშუალოდ დავით და კონსტანტინეს მოწამეობრივ სიკვდილთან არის დაკავშირებული.

მეტაფრასტული თხზულების ცნობით დავით და კონსტანტინე „არგუეთისა დიდნი და დიდებულნი... მთავარნი“¹ მურვან ყრუს ლაშქრობის დროს არაბებმა ჩაიგდეს ტყვედ. არაბთა მხედართმთავარი თავდაპირველად გამაჰმადიანებას შეეცადა. როდესაც მურვან ყრუ დარწმუნდა, რომ ეს შეუძლებელი იყო „განაჩინა წმიდათა მათთვის სიკუდილი... რაჟთა პირველად ტანჯნენ გუემითა უწყალომთა, ზეკიდებითა თავდამოქცევით და მერმე შეუკრნენ კელნი და ფერკნი და ქედთა მათთა დაჰკრნენ ლოდნი მძიმენი და ესრეთ შთაყარნენ იგინი მდინარესა მას ფასონსა, რომელ არს ენითა ქართულითა რიონი“².

არაბთა მხედართმთავრის ბრძანებისამებრ... „მიიყვანნეს წმიდანი იგი ადგილსა მას, რომელსა განეჩინა მძლავრსა, მდინარესა ტბასა მასზედა, რომელსაცა შენ არს ტაძარი წმიდათა კოზმან და დამიანესი... განიშიშულნეს იგინი და დაჰკიდნეს თავდაღმართ და გუემნეს გუემითა უწყალომთა... შეუკრნეს კელნი და ფერკნი მათნი და ლოდები მძიმები დაჰკრეს ქედთა მათთა... შთაყარნეს მტარვალთა მათ წმიდანი იგი ტბასა“³...

მეორე დღეს ქართველებმა დავით და კონსტანტინეს ცხედარი „იპოვნეს კიდესა თანა ტბისასა კერთვისსა ზედა მდებარენი... წარმოემართნეს... ზედა კლდისასა, ადგილსა მას, რომელსა ჰქვან წყალწითელ... იყო უკაცურ და დარღუეულ ეკლესიაჲ... და მას შინა დაკრძალნეს გუამნი წმიდათა მოწამეთანი“⁴.

თხზულების მოყვანილი ადგილი აშკარად შეიცავს წინააღმდეგობას მურვან ყრუს ბრძანებით დავით და კონსტანტინე რიონში უნდა დაეხრჩოთ. სინამდვილეში კი ისინი კოზმან და დამიანეს სახელობის ტაძრის მახლობლად ტბაში ჩაყარეს⁵.

დავით და კონსტანტინეს განსვენების ადგილად მოწამეთას ტაძარი არის მიჩნეული. მათი მარტვილობის ადგილი მის სიახლოვეს უნდა იყოს საძებნი.

¹ წამება დავით და კონსტანტინესი, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. III, თბ., 1971, გვ. 251.

² იქვე, გვ. 258.

³ იქვე, გვ. 259—260.

⁴ იქვე, გვ. 252.

⁵ ტექსტის ეს წინააღმდეგობა აღნიშნული აქვს ე. გაბიაშვილს, იხ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. IV, თბ., 1968, გვ. 251.



სურ. 1.



სურ. 2.

სინამდვილეში ეს ასე არ უნდა იყოს. ამაში ჩვენ დაგვარწმუნა ზემო იმერეთში ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიციის დროს მოპოვებულმა მასალამ.

სოფელ ამაშუკეთის თავზე არის ვრცელი მთა კოზმანის სახელწოდებით. აქ ყველაზე მაღალ ადგილას შემორჩენილია კოზმანის სახელობის ეკლესია. იგი ერთნავიანია, მცირე ზომის. ნაგებია აქვე მოჭრილი, კარგად დამუშავებული ქვით (იხ. სურათი 1). ეკლესიას მხოლოდ ერთი შესასვლელი აქვს სამხრეთიდან. შესასვლელთან ზღურბლის ქვაზე ნუსხახუცური წარწერაა, რომელიც თითქმის არ იკითხება ეკლესიიდან, სამხრეთით, სამასამდე მეტრის დაშორებით, შემორჩენილია ციხის ნანგრევები, რომელიც ფართო თხრილითაა გამოყოფილი. ჩრდილო და დასავლეთი მხრიდან, რომელიც ადგილად მისადგომია, ციხის ტერიტორიაზე შეინიშნება ნაგებობათა კვალი. აქვე შემორჩენილია დიდი მოცულობის ცისტერნა. ციხეს ორი მხრიდან ფრიალო კლდეები საზღვრავს. სამხრეთით კლდეს ფართო ნაპრალი აქვს. მშენებლებს თავის დროზე ეს ნაპრალი ამოუყვანიათ, შემდეგ კი ნაპრალის თავზე ამოუყვანიათ თალი, რომელიც იჭერდა ციხე-გალავნის სამხრეთ ნაწილს (იხ. სურათი 2).

კოზმანის მთის აღმოსავლეთით, ორიოდ კილომეტრის დაშორებით, სოფელ ბუინეში მოედინება მდინარე ბუინეურა, რომლის მარცხენა შენაკადია წყალწითელა. ეს პატარა მდინარე კოზმანის მთის სიახლოვეს მოედინება. სოფლებს ბუინეცა და გესამანიას შორის, მთაში, დგას „ტბეთის წმიდა გიორგის“ ეკლესია. იგი ნაგებია ნაგლეჯი ქვით კირზე, ერთნავიანია. შესასვლელი მხოლოდ სამხრეთის მხრიდან აქვს. ეკლესიის ძირითადი ნაწილის გადასურვა თაღოვანია, აბსიდისა კი გუმბათოვანი. ამ ეკლესიის სიახლოვეს, მთაში, შემორჩენილია ტბა, თუმცა ძალზე დამშრალი.

კოზმანი ეს შემოკლებული კოზმან და დამიანეა. ასე, რომ „წამება დავით და კოსტანტინეს“ მეტაფრასულ ტექსტში მოხსენიებული, არგვეთის დიდებულების მოწამებორივ სიკვდილთან დაკავშირებული ადგილები: კოზმან და დამიანეს ტაძარი (იქვე ციხეც), პატარა მდინარე — წყალწითელა და ტბა. ერთმანეთისაგან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით მდებარეობს ძირულას ხეობის ზემო წელში. აქვეა „ტბეთის წმიდა გიორგის“ ეკლესიაც, რომელიც თავდაპირველად იმ ტბის სახელობაზე იქნებოდა აგებული, სადაც არგვეთის მთავრებმა მიიღეს მოწამებორივი სიკვდილი. წმიდა გიორგის სახელი ამ ეკლესიამ იმის შემდეგ მიიღო, როდესაც ეკლესიის სახელის თავდაპირველი მნიშვნელობა დავიწყებული იყო.

ასეთი დამთხვევა არ უნდა იყოს შემთხვევითი. იგი მოწმობს, რომ დავით და კოსტანტინეს მოწამებორივი სიკვდილი, სწორედ აქ ძირულას ხეობაში უნდა მიეღოთ. ეს ადგილები უნდა ყოფილიყო აღნიშნული მარტვილობის თავდაპირველ რედაქციაში; მეტაფრასის ტექსტიდან, რომელიც XII საუკუნისა უნდა იყოს⁶, ჩანს, რომ მას სხვა თხზულება უსწრებდა წინ: „ვითარცა გვსწავიეს ესე ძველთა უწყებათაგან, იყვნეს წმიდანი ესე მოწამენი... სანახებისაგან არაგუეთისა“⁷.

„წამება დავით და კოსტანტინეს“ უძველეს რედაქციაში, არგვეთის მთავართა სიკვდილთან დაკავშირებით, მდ. ძირულის ზემო წელში განლაგებულ ადგილთა მოხსენიება, კარგი დადასტურებაა იმ ფაქტისა, რომ ადრეფეოდალურ ხანაში საზღვარი ქართლსა და არგვეთს შორის ლიხის ქედზე გადიოდა.

⁶ კ. კ ე ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1941, გვ. 497.

⁷ წამება დავით და კოსტანტინესი, გვ. 251.

7. „მ ა ც ნ ე“, ისტორიის... სერია, 1974, № 1.

მანანა შილაკაძე

ქართული ფანდურის წარმომავლობის შესახებ

მუსიკის ისტორიის რიგი საკითხების შესწავლისას ხალხურ სამუსიკო ტერმინებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ. დიდი ქართველი მეცნიერის ივ. ჯავახიშვილის ფუძემდებლურ ნაშრომში¹ საკმაოდ დიდი აქვს დათმობილი ხალხურ მუსიკალურ ტერმინოლოგიას. ქართველმა მეცნიერმა ხალხური ტერმინების ანალიზზე დაყრდნობით ფრიად სერიოზული საკითხები წამოჭრა და გაარკვია.

ქართულ ხალხურ სამუსიკო ტერმინოლოგიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საკრავთა სახელწოდებებს. ამჯერად შევეხებით ერთ-ერთ მათგანს, კერძოდ, ფანდურს.

სიტყვა „ფანდური“ საინტერესოა კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით. მისი სხვადასხვა ვარიანტი ბევრ ენაში გვხვდება სიმებიანი და, კერძოდ, ლუტნისებური საკრავის აღმნიშვნელად. ამ სიტყვით დაინტერესებულან მუსიკისმცოდნენი, ეთნოგრაფები, ლინგვისტები და გამოუთქვამთ კიდევ გარკვეული მოსაზრებანი. სწორედ ამ მოსაზრებათა ერთგვარ შეჯერებას ისახავს მიზნად წინამდებარე სტატია.

ქართულად „ფანდური“ ეწოდება სამსიმიან ჩამოსაკრავ ყელ-მუცლიან ე. წ. ლუტნისებურ საკრავს.

ფანდურისებრი საკრავები ანალოგიური სახელწოდებებით ცნობილია როგორც კავკასიის, ასევე ევროპისა და აზიის ხალხებში. ასეთებია: ჩეჩნურ-ინგუშური დეჩქ-ფონდურ, ოსური ფანდირ, სომხური ფანდირი, აზერბაიჯანული ფანდურა, ინდური tanbur || tanpura, თურქულ-სპარსული tanbur, ეგვიპტური tanbur, რუსული бандура, ესპანური banduria, იტალიური mandola || pandora, პროვანსული mandora, ფრანგული mandoira².

ზემოჩამოთვლილ სიტყვებს შორის „ფანდურს“ მეტ-ნაკლებად დაშორებულია სიტყვები ტ ა ნ ბ უ რ და მ ა ნ დ ო რ ა. სპეციალურ ლიტერატურა-

¹ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბილისი, 1938.

² К. В е р т к о в, Г. Б л а г о д а т о в, Э. Я з о в и ц к а я, Атлас музыкальных инструментов народов СССР, М., 1964, გვ. 101, 110; А. С. Ф а м и н ц ы н, Домра и родственные ей музыкальные инструменты русского народа, СПб., 1891, გვ. 110; В. М. Б е л я е в, музыкальные инструменты Узбекистана, М., 1933, გვ. 76; В. И. А б а е в, Историко-этимологический словарь осетинского языка, т. I, М.-Л., 1958, გვ. 342; С. А. А б д у л а е в а, Об одном музыкальном инструменте средневекового Азербайджана, Доклады АН АзССР, т. 24, № 9, 1968, გვ. 96—97; ე. კ ო ტ ე ტ ი შ ვ ი ლ ი, ხალხური პოეზია, ქუთაისი, 1934, გვ. 284; ჰ. ა ქ ა რ ი ა ნ ი, სომხური ენის ისტორია, ტ. I, ერევანი, 1940, გვ. 143—144 (სომხ. ენაზე); A. B u c h n e r, Musikinstrumente der Völker, Prag, 1968, გვ. 171; E. V a l e n t i n, Handbuch der Instrumentenkunde, Regensburg, 1954, გვ. 192.

ში მიღებულია, რომ სიმებიანი საკრავის სახელწოდება ტანბურ ნაწარმოებია pandur-იდან³. რაც შეეხება მანდოლა-მანდოლინას, ესენიც pandura-დან ნაწარმოებ სიტყვებად ითვლება. ცნობილი გერმანელი მუსიკისმცოდნე კ. ზაქსი აკრიტიკებს მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც სახელწოდება მანდოლინა საკრავის კორპუსის ნუშისებრ (Mandel) ფორმასთანაა დაკავშირებული და მანდოლინა — სიტყვას განიხილავს fandur—pandura—bandura—mandora—mandola რიგში⁴. ასეთივე აზრისაა ინგლისელი მეცნიერიც ფ. გალპინ⁵.

მაგრამ სადაურია თვით სიტყვა, მისი ძირი? რომელი ენიდან გავრცელდა სხვა ენებში?

სამეცნიერო ლიტერატურაში გაზიარებულია და საკამათო არ გამხდარა აზრი, რომ ეს სიტყვა ბერძნულიდან გავრცელდა ევროპის ხალხთა ენებში, ხოლო თვით ბერძნულში კი გადასულია მცირე აზიიდან. ასე ფიქრობდა მაგ., პ. აჭარაიანი. სომეხი მეცნიერის აზრით, ბერძნულიდან გაფორმდა ლათინური და თურქული pandura, საიდანაცაა მიღებული ბულგარული და სერბული pandura || pandur || bandur, უკრაინული bandura, ქართული ფანტური || ფანდური, ჩაჩნური p'andur, ოსური fändur || fändir (ამასთან, პ. აჭარაიანი ამ სიტყვას ქართულში სომხურის გზით შემოსულად არ მიიჩნევს)⁶.

XIX ს. გამოჩენილი რუსი მუსიკისმცოდნე ა. ს. ფამინცინი რუსულ-უკრაინულ „ბანდურას“ უკავშირებდა არა ბერძნულ პანდურას, არამედ, არაბულ ტანბურს, თვითონ სიტყვა კი, მისი აზრით, რუსულში შემოსულია პოლონურიდან XVII საუკუნეში⁷. მ. ფასმერისა⁸ და ა. პრეობრაჟენსკის⁹ მიხედვით რუსული ბანდურა ბერძნული წარმომავლობისაა, მხოლოდ რუსულში დამკვიდრებულა პოლონური გზით. ეთნოგრაფ ს. ა. ტოკარევის¹⁰ აზრით, რუსული ბანდურა კავკასიური წარმოშობისაა.

ვ. აბაევი იზიარებს იმ აზრს, რომ „ფანდურ“ სიტყვა არის მცირეაზიულ-ბერძნული და აქედან გავრცელებული ევროპულ ენებში. მაგრამ თვით ოსურში იგი მას კავკასიურიდან შესულად კი არ მიაჩნია, არამედ სკვითურიდან¹¹.

ვ. აბაევის ამ მოსაზრებას საკმაოდ დამაჯერებლად აკრიტიკებს ი. ხაშბა¹².

ლექსიკოგრაფიულ ლიტერატურასა და ენციკლოპედიებში აღნიშნულია, რომ პანდურა საკრავიცა და სახელწოდებაც წინა აზიიდან არის საბერძნეთში

³ C. Sachs, Real-Lexikon der Musikinstrumente, Berlin, 1913, გვ. 374—376; F. W. Galpin, The Musik of the Sumerians, Cambridge, 1937, გვ. 35; მისივე A textbook of european musikal instruments, London, 1946, გვ. 92.

⁴ C. Sachs, Handbuch der Musikinstrumentenkunde, Leipzig, 1930, გვ. 218.

⁵ F. W. Galpin, A textbook..., გვ. 92.

⁶ პ. აჭარაიანი, ძველი სომხური ლექსიკონი, ტ. VI, ერევანი, 1926, გვ. 1147—1149 (სომხ. ენაზე).

⁷ А. С. Фаминцын, Домра...

⁸ М. Фасмер, Этимологический словарь русского языка, I, М., 1964, გვ. 120.

⁹ А. Г. Преображенский, Этимологический словарь русского языка, I, М., 1959, «Бандура».

¹⁰ С. А. Токарев, Этнография народов СССР, М., 1958, გვ. 284.

¹¹ В. И. Аббаев, Историко-этимологический словарь осетинского языка, I, М.-Л., 1958, გვ. 342, Его же, Осетинский язык и фольклор, т. I, М.-Л., 1949, გვ. 68.

¹² И. Хашба, Абхазские народные музыкальные инструменты, Сухуми, 1967, გვ. 73—74.

გადასული და აქედან გავრცელდა რომის იმპერიაში, სპარსეთში, ჩრდილოეთ აფრიკის არაბებში¹³.

ევროპაში ეს სახელი ფართოდ გავრცელდა. ისეთი სიმებიანი საკრავების სახელებიც კი, რომლებიც შუა საუკუნეებში გაჩნდნენ ევროპაში, pandura — სიტყვიდან წარმოსდგა. ასეთებია „ფიდელი“, „მანდოლინა“, კ. ზაქსი, როდესაც ფიდელ-ვიოლას ეტიმოლოგიას არკვევს, აღნიშნავს, რომ ეს სიტყვა აზიიდანაა ათვისებული და უკავშირდება კავკასიური სიმებიანი საკრავის აღმნიშვნელ სიტყვას fändir (=pandur || tanbur)¹⁴. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „მანდოლინა“ც pandura-დანაა ნაწარმოები.

სპეციალურ ლიტერატურაში აღმოსავლური და ევროპული ლუტნისებური საკრავის წინაპრად მიჩნეულია შუმერული ყელ-მუცლიანი სიმებიანი საკრავი, რომლის სახელიც უნდა ყოფილიყო pantur¹⁵, რაც შუმერულად ნიშნავს პატარა მშვილდს (pan — რკალი, მშვილდი¹⁶, tur — პატარა¹⁷), გალპინი შენიშნავს, რომ pan დასავლეთ აზიის ხალხთა ბევრ ენაზე რკალისებურ არფას ნიშნავს¹⁸.

თუ გავითვალისწინებთ სპეციალურ ლიტერატურაში აღიარებულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მშვილდიდან არის წარმოშობილი უძველესი სიმებიანი საკრავი არფა, საიდანაც მოგვიანებით სხვა სიმებიანი საკრავები (მათ შორის ლუტნისებურიც) განვითარდა, მაშინ ზემომოტანილი ეტიმოლოგია დამაჯერებელი ჩანს. აღნიშნული ეტიმოლოგია „ფანდურისა“ წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად არგუმენტს იმის სამტკიცებლად, რომ უძველესი სიმებიანი საკრავი არფა მშვილდიდან არის წარმოშობილი და აქედან განვითარდა სიმებიან საკრავთა სხვა სახეობა, კერძოდ, ლუტნისებური საკრავები¹⁹. ამ მოსაზრების მართებულობას, ჩვენი აზრით, მოწმობს პირველ რიგში ის, რომ „პატარა მშვილდის“ მნიშვნელობის მქონე სიტყვა შერჩა ლუტნისებურ საკრავებს სახელად ბევრ ენაში, იმ საკრავებს, რომლებიც მშვილდთან არავითარ მსგავსებას არ ავლენენ. საინტერესოა, რომ სიტყვა „ლუტნია“ც მშვილდს უკავშირდება. იგი მომდინარეობს არაბული 'Ud — სიტყვიდან, რაც „ლუნვად ჯოხს“²⁰ (მშვილდს? — მ. შ.), ხეს²¹ ნიშნავს.

ცნობილია, რომ ლუტნისებურ საკრავთა წარმოშობა სიმებიანი საკრავების განვითარების მოგვიანო ეტაპზე ხდება. ის წარმოიშვა და განვითარდა არფის ტიპის საკრავიდან, რომელიც, თავის მხრივ, ვიმეორებთ, მშვილდისებური იარაღიდან არის წარმოშობილი²².

¹³ Encyclopaedia Britanika, vol. 17, London; Энциклопедический музыкальный словарь, М., 1959, «Лютня».

¹⁴ C. Sachs, Handbuch..., გვ. 180.

¹⁵ F. W. Galpin, The musik..., გვ. 35.

¹⁶ იქვე, გვ. 37; K. Jaritz, Schriftarchäologie der altmesopotamischen Kultur, Graz, 1967, გვ. 129, 65; A. DeimeI, Sumerisches Lexikon, III, Roma, 1932, გვ. 843; R. Labat, Manuel d'épigraphie akkadienne, Paris, 1963, გვ. 197, № 439.

¹⁷ F. W. Galpin, The musik..., გვ. 37.

¹⁸ იქვე.

¹⁹ A. Buchner, Musikinstrumente..., გვ. 171.

²⁰ იქვე.

²¹ C. Sachs, Handbuch..., გვ. 219; F. Kluge, Etymologisches Wörterbuch der deutschen Sprache, Berlin, 1957.

²² Э. Тэйлор, Первобытная культура, М., 1939, გვ. 167; Р. И. Грубер, История музыкальной культуры, т. I, ч. I, М.-Л., 1941, გვ. 141; В. М. Беляев, ук. раб., გვ. 152; A. Buchner, Musikinstrumente..., გვ. 171; C. Sachs, Handbuch..., გვ. 236; F. W. Galpin, The musik..., გვ. 37.

ის ფაქტი, რომ ყელ-მუცლიან საკრავს შერჩა სახელწოდება *pantur*, ბა-
ღებს კითხვას — ხომ არ აღნიშნავდა ეს სიტყვა საზოგადოდ მუსიკალურ სიმე-
ბიან საკრავს? დაახლოებით ისევე, როგორც ამას აქვს ადგილი დღეს ოსურში
და ჩეჩნურ-ინგუშურში. ამ ენებში ფანდირ ეწოდება ყოველგვარ საკრავს (ჩა-
მოსაკრავსაც, ხემიანსაც), ოსურში, გარმონსაც კი²³. გამოთქმულია მოსაზრე-
ბაც, რომ ოსურში ფანდირ თავდაპირველად არფისებურ საკრავს ერქვა და მო-
გვიანებით იქცა საკრავის ზოგად სახელწოდებად²⁴.

„ფანდურ“ და მის ვარიანტებს შორის ყველაზე ძველი ჩანს შუმერული
სახელწოდება საკრავისა. და არა მარტო სახელწოდება. ფანდურისებრი საკრა-
ვების პროტოტიპად მიჩნეულია ორსიმიანი საკრავი, გამოსახული თიხის ნამ-
ტვრევზე ქ. ნიფურში მდებარე ღვთაება ბელუს (იგივე მარდუქი) ტაძრიდან,
რომელსაც ძვ. წ. 2500 წლით ათარიღებენ²⁵.

გალპინი ამ საკრავის ანალოგიებად მიიჩნევს ქართულ ფანდურსა და სომ-
ხურ ფანდირს²⁶.

ფინელი მკვლევარი ე. კოლარი საეჭვოდ მიიჩნევს ქართული და სომხუ-
რი ფანდურ-ფანდირ სიტყვების შუმერულ *pantur* — სიტყვასთან ნათესაო-
ბას, თუმცა ამ ეჭვს არაფრით არ ასაბუთებს. მაგრამ გალპინისეულ ეტიმო-
ლოგიას *pantur* — სიტყვისა იზიარებს და უფრო მეტიც, ვარაუდობს, რომ ძვე-
ლი ეგვიპტური არფის სახელი *ban*, *ben* || შუმერულ *giš ban* || *giš pan*-ს
(=მშვილდი) უკავშირდება²⁷.

ეგვიპტური არფის *ban* || *ben* სახელწოდებასთან დაკავშირებით არ შეიძ-
ლება არ გავისენოთ თავის დროზე დიდი ქართველი მეცნიერის ივ. ჯავახი-
შვილის მიერ დასმული კითხვა ქართული მუსიკალური ტერმინების „ბანისა“
და „ებანის“ ნათესაობის შესახებ. მოვიტანთ ამონაწერს მისი ნაშრომიდან:
„მართლაც, ნუთუ შემთხვევითია, რომ აკომპანემენტს, შეხმობა-აყოლებას ბანი
ეწოდება და აკომპანემენტისა და დამღერებისათვის განკუთვნილ საკრავსაც
ებანი ერქვა, რომელიც ქნარისა და ჩანგის სინონიმებადაც გვევლინება. ძნელი
დასაჯერებელია, რომ აქ სრულებით შემთხვევითი, მხოლოდ გარეგნული, ბგე-
რითი მსგავსება იყოს. ქართულ სახელს ებანს არსად თვისტომნი არ უჩანს ეგ-
ვიპტურს გარდა, სადაც ასეთსავე საკრავს „ტე ბუნი“ ანუ „ტებუნი“ ეწოდე-
ბოდა. სამწუხაროდ, ვერ გამოვარკვეე, არსებობს თუ არა რაიმე ეტიმოლოგია
ეგვიპტური სახელისათვის, მაგრამ ვფიქრობ, რომ ქართული ებანისა და ძველ-
ეგვიპტურ ტებუნისა და არც ქართული ბანისა და ებანის მსგავსება შემთხვე-
ვითი არ უნდა იყოს და ძირი მათ საერთო უნდა ჰქონდეთ“²⁸.

²³ В. И. Аббаев, Историко-этимологический..., გვ. 342. К. Цхурбаева, Не-
которые особенности осетинской народной музыки, Орджоникидзе, 1959, გვ. 73; К. Вер-
тков... и др., Атлас... გვ. 101, 110.

²⁴ И. Хашба, ук. раб., გვ. 73—74.

²⁵ К. Закс, Музыкальная культура Вавилона и Ассирии, в кн.: Музыкальная кул-
тура древнего мира, Л., 1937, გვ. 98—100; F. W. Galpin, The musik of the sumerians...,
გვ. 37.

²⁶ F. W. Galpin, The musik..., გვ. 37.

²⁷ E. Kolari, Musikinstrumente und ihre Verwendung im alten Testament, Helsin-
ki, 1947, გვ. 59.

²⁸ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 315.

ებანი არის სიმეზიანი საკრავი, რომლის ზუსტი აღნაგობა ცნობილი არაა, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ იგი არფისებური საკრავი იყო, განკუთვნილი შებანებისათვის, სიმღერის თანხლებისათვის²⁹.

თუ შემთხვევითი არ არის და კანონზომიერია, ერთი მხრივ, ძველი ეგვიპტური არფისა და ძველი ქართული არფისებური საკრავის სახელწოდებათა მსგავსება, და მეორე მხრივ, ძველი ეგვიპტური არფის სახელწოდების კავშირი ზუმერულ pan-თან, მაშინ კიდევ უფრო უმაგრდება საფუძველი ვარაუდს, რომ ებანი უძველესი არფისებური საკრავია.

აქ მეორე მნიშვნელოვანი საკითხიც წამოიჭრება. თუ ქართული სამუსიკო ტერმინების — „ბანისა“ და „ებანის“ მსგავსება კანონზომიერია, ხოლო „ბანის“ გაჩენა ქართულ ხმიერ მუსიკაში მრავალხმიანობას მოასწავებს, მაშინ დაისმის კითხვა — საკრავიერი მუსიკის განვითარება საქართველოში მუსიკალური აზროვნების განვითარების რომელ სტადიას უკავშირდება?

ამგვარად, ქართული საკრავის სახელი შეესატყვისება ანალოგიურ კავკასიურ, წინა-აზიურ და აქედან ევროპაში გავრცელებულ საკრავთა სახელწოდებებს. ყველა ეს სახელწოდება ერთი ძირის სიტყვების სახით წარმოგვიდგება. მათ შორის უძველესი ზუმერულია და ეტიმოლოგიაც ზუმერულში მოეძებნება. „ფანდური“ ზუმერულიდან მომდინარე სიტყვად უნდა მივიჩნიოთ.

„ფანდური“ ქართულ წერილობით წყაროებში გვხვდება IX ს-დან. პირველად ის დამოწმებულია იპოლიტეს თხზულების ქართულ თარგმანში, რომელიც ნ. მარის აზრით, თარგმნილია სომხურიდან არა უგვიანეს IX ს-სა³⁰. ნ. მარის გამოკვლევის საფუძველზე ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობდა ფანდურ-სიტყვის ქართულში გაცილებით ადრე არსებობას³¹.

ცხადია, რომ სიტყვა უცხოური წარმოშობისაა და ქართულში შემოსულია. მაგრამ იბადება კითხვები — საკრავიც შემოსულია თუ მხოლოდ მისი სახელწოდება? რა გზით არის შემოსული? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ჯერჯერობით გაგვიძნელებს.

თავისთავად ის ფაქტი, რომ ქართული საკრავი სახელწოდებით და კონსტრუქციით ემსგავსება წინა აზიის უძველესი ხალხების საკრავებს და ანალოგები მოეპოვება კავკასიაში, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია, და საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ სამუსიკო საკრავი ფანდური კულტურის სხვა ელემენტებთან ერთად შედის კავკასიისა და წინა აზიის უძველესი მოსახლეობის კულტურულ საგანძურში.

²⁹ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 135—138; გრ. ჩიკვაძე, სამუსიკო საკრავი ებანი და მისი როლი, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VII, 1955, გვ. 51—64.

³⁰ Н. Марр, Ипполит, Толкование песни песней, Тексты и разыскания по армянно-грузинской филологии, Кн. II, СПб., 1901, гв. XVIII.

³¹ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 150—151.

ზაზა ალექსიძე

რელიგიური სიტუაციის შესახებ VI საუკუნის კავკასიაში

კავკასიის ეკლესიებმა თავისი დამოკიდებულება მსოფლიო ეკლესიაში მიმდინარე დოგმატური კამათისადმი პირველად დვანის 506 წლის საერთო კრებაზე გამოთქვეს. როგორც ჩანს, კრებამ მიიღო ზენონის „ჰენოტიკონი“ და მხარი დაუჭირა ბიზანტიის კეისართა დიოფიზიტებისა და მონოფიზიტთა შემარიგებლურ პოლიტიკას¹. ამის შემდეგ, VI ს-ის შუა ხანებამდე ქართული და სომხური წყაროები გარკვეულს არაფერს ამბობენ მათი ეკლესიების მრწამსის შესახებ. წყაროების ასეთი სიჩუმე ირიბად უნდა მოწმობდეს, რომ კავკასიის ეკლესიების პოზიციაში მნიშვნელოვანი ცვლილება არ მომხდარა, ან კიდევ, რაც უფრო სავარაუდოა, მომხდარი ცვლილება საგანგებო საეკლესიო კრებას არ გაუფორმებია.

ამასობაში ბიზანტიისა და ირანის რელიგიურმა პოლიტიკამ მნიშვნელოვანი ძვრები განიცადა. ზენონისა (474-491) და ანასტასის (491-518) შემარიგებლური და ანტინესტორიანული კურსი ანასტასის კეისრობის მეორე ნახევარში (507-508 წლებიდან მოკიდებული) პრომონოფიზიტურ განწყობილებებში გადაიზარდა², ხოლო იუსტინე კეისრიდან მოყოლებული კი რადიკალურად შეიცვალა ანტიმონოფიზიტუზმით. ბიზანტიის კეისართა რელიგიურ პოლიტიკას სარკესავით შებრუნებულად ასახავდა ირანის სახელმწიფოს ოფიციალური პოზიცია: იგი ჯერ იმპერიისგან დევნილ ნესტორიანობას უჭერდა მხარს თავის ქვეშევრდომ ქვეყნებში, ხოლო შემდეგ შევიწროებულ მონოფიზიტთა მფარველი გახდა. კავკასიის ქვეყნების რელიგიურ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე ორივე იმპერიის გავლენა აეტოკვფალიის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის მებრძოლ ეკლესიებს არჩევანს ურთულებდა, მერყევ მდგომარეობას უქმნიდა და თავისი პოზიციების აშკარად გამოხატვას უძნელებდა. მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, მაინც არის შესაძლებლობა, გამოინახოს ორიენტირები რელიგიური სიტუაციის გასარკვევად VI ს-ის I ნახევრის კავკასიაში.

იუსტინიანე კეისრის კარის ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი 527-531 წწ-ში სპარსელთა წინააღმდეგ წარმოებულ ომებში მონაწილეობდა. ამიტომ მისი ცნობების უმრავლესობა თვითმხილველისა და უშუალო მონაწილის შთაბეჭდილებას წარმოადგენს. ცხადია, პროკოპისათვის ნათელი იქნებოდა კავკასიის ქვეყნების იდეოლოგიური ორიენტაციები, რადგან ბიზანტიის კეისრის კარი

¹ ზ. ალექსიძე, მასალები დვანის 506 წლის საეკლესიო კრების ისტორიისათვის, „მაცნე“, ისტორიის... სერია, 1973, № 3; აქვე იხ. საკითხთან დაკავშირებული თეორიები, ლიტერატურა და წყაროები, შდრ. აგრეთვე, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, 1973, გვ. 276.

² P. Charanis, Church and State in the Later Roman Empire: The Religious Policy of Anastasius the First, 491—518, Madison Wisconsin, 1939, გვ. 25—43.

ცხოველ ინტერესს იჩენდა ასეთი საკითხებისადმი. დაახლოებით 523 წლის ამბებთან დაკავშირებით ისტორიკოსი წერს:

„თუმცა კავადს განზრახვა ჰქონდა რამენაირად შეჭრილიყო რომაელთა მიწა-წყალზე, მაგრამ მან ეს მაშინვე ვერ მოახერხა, რადგან მას შემდეგი დაბრკოლება შესვდა. იბერები, რომელნიც აზიაში ცხოვრობენ, დამკვიდრებულან სადღაც კასპიის კარებთან, რომელიც მათგან ჩრდილოეთით არის... ეს ხალხი ქრისტიანები არიან და ამ სარწმუნოების წესებს ყველაზე უკეთ იცავენ, რომელთაც ჩვენ ვიცნობთ, ხოლო ძველთაგანვე სპარსელთა ქვეშევრდომები გამხდარან“³.

პროკოპი კესარიელმა de bello persico 550 წელს დაასრულა. მაშასადამე, მისი შეხედულებით, 523-550 წწ-ში [სპარსეთის ქვეშევრდომ] ქრისტიან ხალხებს შორის იბერები ყველაზე უფრო მართლმადიდებლები ყოფილან. ცხადია, ქალკედონიტი ისტორიკოსი მართლმადიდებლობაში ქალკედონიტობას გულისხმობს. მართალია, პროკოპი კავკასიის სხვა ხალხების მრწამსის შესახებ არაფერს ამბობს, მაგრამ ეტყობა მათ არა თვლის სანიმუშო ქრისტიანებად.

ქართველთა შესახებ ამ ხანისათვის სხვა პარალელური საკონტროლო მასალა არ მოგვეპოვება. არც ის ვიცით, რა პოზიცია დაიკავა ქართულმა ეკლესიამ ანასტასი კეისრის პრომონოფიზიტური პოლიტიკის პერიოდში. სომხებში VI ს-ის პირველი ათეულის დასასრულიდან, ჩანს, მონოფიზიტობისაკენ გადაიხარნენ, რის მოწმობაც უნდა იყოს ბაბგენ სომეხთა კათალიკოსის მეორე ეპისტოლე „სპარსელ მართლმადიდებელთადმი“. თუ იგი გვიან შექმნილი ან ინტერპოლირებული არ არის, როგორც ამას ვარაუდობს ჰევრი სპეციალისტი⁴.

551 წელს⁵ სომხურმა ადგილობრივმა საეკლესიო კრებამ დვინში პირველად დაადასტურა ოფიციალურად კავკასიის ერთ-ერთი უძველესი და ავტორიტეტული ეკლესიის როგორც იდეოლოგიური (მონოფიზიტურობა), ისე პოლიტიკური (ირანი) არჩევანი. სომხეთის ეკლესიამ ამ კრებაზე ჩამოაყალიბა თავისი მრწამსი და საწესო რიტუალი.

სომეხთა წელთაღრიცხვის დასაბამს უფალმა ნერსესმა მეექვსე კრება მოიწვია დვინში — თავისი კათალიკოსობის მე-4 წელს, ხოსრო სპარსელთა მეფის ხელმწიფობის 24-ე წელს და იუსტინიანე კეისრის მე-14 წელს. ეს კრება უფალმა ნერსესმა ქალკედონის კრების საწინააღმდეგოდ მოიწვია, რადგან ეს ქალკედონის კრების აღსარების წუმბის სენი გახშირდა და თანდათან სულ უფრო აღემატა ერთბუნებოვანთა სარწმუნოებას. დაიდო აღსარების ერთობა უფალ ნერსესის მიერ გადაწყვეტილი განსაზღვრებებით — დაამტკიცეს ჯვარ და უპირველესად შობისა და ნათლისღების გაერთიანება..., დაურღვეველი კანონით ორი ბუნების შეერთებით ერთობა... და ხაჩეცარი სამწმიდაობაში“⁶.

³ გეორგიკა, 2, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1965, გვ. 48.

⁴ ქართული თარგმანისათვის იხ. ზ. ალექსიძე, მასალები დვინის 506 წლის საეკლესიო კრების ისტორიისათვის, გვ. 150-152. აქვე იხ. მითითებები ტექსტის გამოცემებზე (გვ. 145) და სათანადო ბიბლიოგრაფია (შენ. 20, 35).

⁵ წყაროებში მოცემული თარიღებისა, მათი ინტერპრეტაციისა და სათანადო ლიტერატურის შესახებ იხ. La Narratio de rebus Armeniae, éd. critique et comm. par G. G a r i t t e, Louvain, 1952, გვ. 130—142; იხ. აგრეთვე, N. G a r s o i a n, The Paulician Heresy, 1967, გვ. 237—238. ზ. ალექსიძე, არსენი საფარელის ტრაქტატის — „განყოფისათჳს ქართლისა და სომხითისა“ — კრიტიკისათვის (i. d. ანაქრონიზმები), „მაცნე“, ისტორიის..... სერია, 1972, №4, გვ. 121—124.

⁶ Գիրք բրբգ, ՏԻ., 1901, გვ. 221.

ასე განსაზღვრა დვინის II კრების მნიშვნელობა სომხეთის საეკლესიო კრების მეისტორიემ და გამოჩენილმა მონოფიზიტმა მოღვაწემ იოანე ოძუნელმა VIII ს-ის 20-იან წლებში. იოანე ოძუნელზე ადრე და შემდეგაც ზოგი მონოფიზიტი მოძღვარი და ისტორიკოსი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ სომხური სარწმუნოების აღსარებას გრიგოლ განმანათლებლის შემდეგ აღარ შეუკვლია სახე და სომხური ეკლესია თავიდანვე დაუპირისპირდა ქალკედონის კრების განსაზღვრებებს. ამიტომ ძველ სომხურ საისტორიო მწერლობაში ზოგჯერ მიჩქმალულია დვინის II კრების მნიშვნელობა როგორც ერთი უღელტეხილისა სომხური ეკლესიის ისტორიაში, ან კიდევ მისი ღონისძიებები დვინის 506 წლის კრებას მიეწერება⁷. რაც შეეხება ქალკედონურ მწერლობას, იგი ერთსულოვნად იმ აზრისაა, რომ სომხურმა ეკლესიამ ოფიციალურად (ეკლესიურად) მონოფიზიტობა სწორედ ამ კრებაზე აღიარა⁸. ცხადია, ქალკედონიტ მოძღვრებს, პირიქით, სურდათ დაესაბუთებინათ, რომ ქართლი თავიდანვე მომხრე იყო ქალკედონის კრების დადგენილებათა, მაგრამ სათანადო საბუთების უქონლობის გამო, ამ დებულებას მხოლოდ მდუმარედ გულისხმობდნენ.

სომხური ეკლესიის მიერ აშკარად გამოხატული დოგმატურ-პოლიტიკური პოზიცია ბუნებრივად მოითხოვდა კავკასიის სხვა ეკლესიებისგან თავისი დამოკიდებულების გამოხატვას ძეზობელი ეკლესიის მიერ გადადგმული ნაბიჯისადმი. მართლაც, ერთი XIV ს-ის სომხური საეკლესიო ქრონიკა წერს:

„უფალი ნერსეს ბაგრევანდელი სოფელ აშტარაკიდან — 5 წელი. მან მოიწვია კრება დვინში სპარსელთა მეფის ბრძანებით ბერძენთაგან გამოსაყოფად, შობისა და ნათლისღების დღესასწაულთა ერთ დღეს დასადგენად (რადგან თუ ქრისტე ღმერთი და კაცი იყო შეერთებული, ერთადაც უნდა ვიდღესასწაულოთ შობა და ნათლისღება, ერთ და არა სხვადასხვა დღეს) და სამწმიდაობისთვის ხაჩეცარის დასამატებლად. და გამოეყო [სომხეთი] ბერძენთაგან. ამ კრებაზე ქართველები და მეოთხე სომხეთი განდგნენ სომხეთთან ერთობისგან — სივნიელებიც, აგრეთვე, [განდგნენ] და შემდეგ კვლავ შეუერთდნენ — და წინაღუდგნენ იერუსალემში წაუსვლელობას“⁹.

ქრონიკის ავტორის თვალსაზრისა ნათელია: სპარსელთა ხელშეწყობით დაიშალა ერთიანი იდეოლოგიური ბანაკი — საბერძნეთი, სომხეთის სპარსული ნაწილი, სომხეთის ბიზანტიური ნაწილი, ქართლი, [ალბანეთი] და სივნიეთი. ეპეი არ არის, რომ იგი სწორედ იდეოლოგიურ ბანაკს კულისხმობს და არა ორგანიზაციულს. „საეკლესიო ქრონიკა“, როგორც ჩანს, პერიოდულად ივსებოდა და რედაქციულ ცვლილებებს განიცდიდა. ჩვენ მიერ მოტანილი ციტატა ძველ ფენას უნდა ეკუთვნოდეს, რადგან იგი გამოყენებული აქვს (თუმცა მნიშვნელოვნად შეცვლილი) არსენი საფარელს (X ს-ის შემდეგ). ცნობილია არსენი საფარელის წყაროც:

⁷ ზ. ალექსიძე, მასალები დვინის 506 წლის საეკლესიო კრების ისტორიისათვის, გვ. 158—161.

⁸ იქვე, შენ. 30.

⁹ Cl. Galano, Conciliationis Ecclesiae Armenae cum Romana, I, Rome, 1650, გვ. 85. ციტირებულია უ. გარიტის მიერ Narratio de rebus Armeniae-სთვის დართული კომენტარების მიხედვით, გვ. 140.

წმიდა გრიგოლის შემდეგ
სომხეთში შემდგარი წმიდა
კრებების შესახებ

განყოფინათჳს ქართლისა
და სომხეთისა

„მეექვსე კრება მოიწვია ნერსეს მიჯინმა დვინში და გამოეყო სომხეთი საბერძნეთსა და იერუსალემში წასვლას, რისთვისაც დიდი [ჯილდო] აღუთქვა ხოსრომ, სპარსეთის მეფემ, ნერსეს. და ამ კრების მიერ განეწორა ქართლი და მეოთხე სომხეთი სომეხთაგან ხელდასმას, ხოლო ალბანელნი და სივნი-ელნი ერთხანს [განეწორნენ] და კვლავ შეუ-ერთდნენ“.

„არამცირედი აღთქმამა ყო სუასრო მე-
ფემან ნერსე კათალიკოზისა მომართ, რომელსა ეწოდა „შუაჲ“ (ესე არს სომეხურად „მიჯინ“), რომლითა შეაჩეია უგულისცმოდ გული მისი, ქმნა კრებაჲ პირველი დვინს და განეშორნეს სჯულითა ბერძენითა და იერუსალემს. ზოლო ქართლი ყოველი და მთოთხედი სომხითისაჲ განეყენეს ჯელთ-დასხმასა სომეხთავან, არამედ ჰერინ და სივნელნი ჟამ ერთ განეყენეს და კულად შეეირინეს“¹⁰.

როგორი კომენტარი შეიძლება გაუკეთდეს ამ სამი წყაროს მონაცემებს? 1. „საეკლესიო ქრონიკას“ ქალკედონის მომხრეთა შორის აკლია ალბანეთი, რაც უშეკველად მისი გადამწერის ბრალია. 2. „საეკლესიო ქრონიკის“ უძველესი ფენის ცნობა რელიგიური ერთიანობის შესახებ მასზე დამოკიდებულ მეორე წყაროს იერარქიულ ერთიანობად გაუგია. 3. განხილული წყაროები მონოფიზიტებისაგან ალბანელთა და სივნიელთა გამიჯვნას ღვინის II კრებით ათარიღებენ. ალბანეთის შესახებ ცნობის სხვა მონაცემებით გაკონტროლება არა ხერხდება. სივნიელთა გამოცხადება კი ღვინის II კრების გადაწყვეტილებათა მოწინააღმდეგედ მცირე ანაქრონიზმია¹¹. 4. ქართველთა დაპირისპირებას აღნიშნული კრების დადგენილებებისადმი მოწმობს სამუელ ანელის „ჟამთა-იღმწერლობა“, სადაც 557 წ-ის ქვეშ ნათქვამია: „აქ წერია ქართველთა გამოყოფა“. მართალია სამუელის თხზულებაში ანაქრონიზმები გვხვდება (ნერსე II კათალიკოსობა და ღვინის II კრება 527 წლისათვის გადააქვს), მაგრამ ამ შემთხვევაში მისი ცნობა საყურადღებოა, რადგან იგი ქართველთა გამოყოფის შესახებ წერს უშუალოდ სომეხთა ეროვნული წელთაღრიცხვის დადების, გრიგოლ მანაჭიჭირა-რაჟიკისა და იზიდ-ბოზიდის შესახებ ცნობების შემდეგ, რაც მის თარიღში დიდ შეცდომას გამორიცხავს¹². გარდა ამისა, აღნიშნულ გამოყოფას იგი არ ურევს საეკლესიო განხეთქილებაში, რომელსაც 607 წლით ათარიღებს და მონაწილე პირებსაც (კირონ და აბრაამ კათალიკოსები) სწორედ ასახელებს¹³.

ამრიგად სომხური წყაროების ჩვენებები ბუნებრივად აგრძელებენ პროკობი კესარიელის ცნობებზე დაყრდნობით ჩვენ მიერ აღდგენილ სურათს.

¹⁰ შდრ. ეპისტოლეთა წიგნი, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და კომენტარებით გამოსცა ზ. ალექსიძემ, თბილისი, 1968, გვ. 064; აქვე იხ. წყაროების პუბლიკაციასა და ლიტერატურაზე მითითება. ტექსტისათვის იხ. აგრეთვე, ზ. ალექსიძე. არსენ საფარელის „ზანყოფისათჳს ქართლისა და სომხეთისა“: ქართული წყაროთმცოდნეობა, IV, თბ., 1973, §V.

¹¹ კრების გადაწყვეტილებებთან დაკავშირებულ დოკუმენტებს ზელს აწერდა სივნიეთის ეპისკოპოსი პეტრე. იხ. **Գիլք թղթոց**, გვ. 70, 72, 73, 79, პეტრე სივნიელის შესახებ იხ. **Ն. Ա. ԽԱՆԱՆ, Պետրոս Եպիսկոպոս Մխչեան, ՀԱ, 1903, 1904**, სივნიეთის გამოყოფის შესახებ წყაროებისა და ლიტერატურისათვის იხ. Narratio..., გვ. 210, 213.

¹² Ս ա մ ու է լ ի ք ա հ ա Ն յ ի Ա ճ Ե ց ո յ Հ աւարմունք ի գրոց պատմագրաց, Վաղ., 1893, թ. 75.

13 0139, 88. 79.

დვინის 506 წლის საერთო კრების შემარიგებლური განსაზღვრებანი ქართულმა და სომხურმა ეკლესიებმა სხვადასხვაგვარად გაიგეს: ჩანს, პირველმა მასში მემარჯვენე ქალკედონიტობა დაინახა, ხოლო მეორემ — მემარჯვენე მონოფიზიტობა. შემდეგი პერიოდი ამ ეკლესიების ისტორიაში იყო პოზიციების სულ უკეთ განსაზღვრის ხანა, რაც VI ს-ის II ნახევრის დასაწყისში სომეხთა მხრიდან საგანგებო საეკლესიო კრებით და უკიდურესად მემარცხენე მონოფიზიტობის (ივლიანიტობის) აღიარებით დამთავრდა. ქართლს, როგორც ჩანს, ასეთი კრება არ მოუწვევია, რადგან თავის მრწამსსა და საწესო რიტუალში მას რადიკალური ცვლილებები არ მოუხდენია. სცილსა და ქარიბდას (ბიზანტია და ირანი) შორის ფარვატერის ძიებაში იგი ქალკედონის კრებაზე უარს თუ არ ამბობდა, არც აქტიური ანტიმონოფიზიტობის გზას დასდგომია. ასეთი მდგომარეობა ირანის მესვეურებს იმედს უტოვებდა. რომ სომხური ეკლესიის საშუალებით ოდესმე შეძლებდნენ მცხეთის გამოთიშვას კონსტანტინეპოლის ორბიტიდან.

VI ს-ის 60-იანი წლების მიწურულს ერთხელ კიდევ სცადა სომხურმა ეკლესიამ ერთიანი მონოფიზიტური ბანაკი შეექმნა კავკასიაში. *Narratio de rebus Armeniae*-ს ცნობით სომეხთა კათალიკოსმა იოანე გაბელენელმა მისწერა ვრთანეს სივნიეთის ეპისკოპოსს, აბას ალბანეთის კათალიკოსს და ქართლის ეკლესიას...

„ხოლო მისწერეს მათ აბას ალბანთა ქვეყნის კათალიკოსს ამნაირი ეპისტოლე: მოდი, შეუერთდი ჩვენ სარწმუნოებას ქრისტე ღმრთის ერთი ბუნებისა და სამწყმიდობის გალობაში «რომელი ჩვენთვის ჯუარს ეცუ»-ს თქმაში. ხოლო იგი არ დაეთანხმა.

და [მისწერეს] სივნიეთის ეპისკოპოს ვრთანესს იგივე, მაგრამ ისიც არ დაეთანხმა [და] თქვა: უნეტარესი ეპისკოპოსები ჩემამდე პეტროსი და გრიგორიოსიც ასე ამბობდნენ «წყმიდაო ღმერთოს», არც რაიმეს შევმატებ და არც დავაკლებ.

ასევე მისწერეს ქართველებსაც, რომლებმაც მკაცრად უპასუხეს და არ შეიწყნარეს მოსმენილი, არამედ უპატიოდ გამოაძევეს მოციქულნი, როგორც მწვალებელთა მოწაფენი და ურიული მოძღვრების განმარტებელნი.

არავინ დაემორჩილა მათ ნებას, გარდა სომხურენოვანი [თემებისა] ტაშირის, ძორაფორის და გარდმანისა, რომლებიც ქვეყნები (*resp.* ხეხუბი) არიან, და ზოგი არცახელისა“¹⁴.

აღწერილი სიტუაცია *Narratio*-ს მიხედვით 571 წლის აჯანყების შემდეგ და ხოსროს სპარსეთში გამეფებამდე (590) ხდება (VI ს-ის 70-იან და 80-იან წლებს შორის). ჩვენამდე მოღწეული სივნიელთა¹⁵ და ალბანელთადმი¹⁶ გაგზავნილი ეპისტოლეები კი აჯანყებამდეა დაწერილი¹⁷. ქართველებთან შებაექ-

¹⁴ La *Narratio de rebus Armeniae*, §§ 85—89.

¹⁵ Գիլք բղրց, 23. 78—80.

¹⁶ იქვე, 23. 81—84; აგრეთვე, Մովսեսի Կաղանկատուցու Պատմութիւն Աղուանից աշխարհի Թիփ., 1912, 23. 137—142.

¹⁷ ს., ა. ს. ს. ს. ს., Թიბოქ Մակարայ Բ. Նրուսադէի հայրապետի առ Վրթանէս Եպիսկոպոսապետ Սիւնեաց, Յաղագս Կարգաց Եկեղեցւոյ, ՀԱ, 1930, 23. 536; მისივე, Մովսէս Դասխուրանցի (Կոչուած Կաղանկատուացի) և իր Պատմութիւն Աղուանից, ՀԱ, 1953, 23. 573.

რებაც, ჩვენი აზრით, არის VII ს-ის დამდეგს მომხდარი საეკლესიო განხეთქილება და არა სხვა რამ უცნობი ეპიზოდი, ვინაიდან: **1.** Narratio დიდი განხეთქილების შესახებ სხვაგან აღარაფერს ამბობს. **2.** შეუძლებელია, ქართულ და სომხურ ეკლესიებს შორის ასეთი შეჯახება მომხდარიყო და იგი არ დასტოვბოდა მოსე ელივარდელისა და კირონ მცხეთელის მიმოწერას¹⁸. **3.** არსენი საფარელი Narratio-ს მიხედვით წერს თავის თხზულებას (ზოგჯერ სიტყვასიტყვითაც იწერს), მაგრამ ამ კონფლიქტს ცალკე არ გამოყოფს, რადგან თვლის, რომ ამის შესახებ უკვე ილაპარაკა, როცა შეეხო კირონის, აბასისა და გრიგოლ სივნიელის ოპოზიციას დვინის კრების დადგენილებების მიმართ¹⁹. **4.** აბრაამ სომეხთა კათალიკოსის ენციკლიკურ ეპისტოლეში ვკითხულობთ: „ჩვენზე უწინარეს საკათალიკოსო ხარისხზე მყოფებმა საჭიროდ მიიჩნიეს მიეწერათ ალბანეთში, ხოლო ჩვენ — ქართლში კირონისათვის“²⁰. ცხადია, აბრაამის სიტყვებში სწორედ ის სიტუაცია იგულისხმება, რომელიც აღწერილია Narratio-ში. **5.** Narratio-ს მონათხრობში ქართლიდან სომხეთის ეკლესიის წარმომადგენელთა გამოძევების შესახებ აშკარად მოჩანს ჩანასახი პეტრე „მგლის“ ქართველთაგან ჩაქოლვის ლეგენდისა²¹, რომელიც, განსხვავებული ვარიანტების მიუხედავად, ქრონოლოგიურად საეკლესიო განხეთქილებას უკავშირდება.

ქალკედონური წყაროების მიხედვით (მაკარი იერუსალიმელის ეპისტოლე ვრთანეს სივნიელისადმი²², იოანე იერუსალიმელის ეპისტოლე აბას ალბანთა კათალიკოსისადმი²³, Narratio, „განყოფისათჳს“), სივნიელნი და ალბანელები არ დაუპირისპირდნენ ქალკედონის კრებას, ხოლო მონოფიზიტური წყაროების თანახმად, მაშინვე დაემორჩილნენ სომხეთის კათალიკოსის ბრძანებას. შემდგომ ვითარებას თუ გავითვალისწინებთ (აბრაამ სომეხთა კათალიკოსს ქართულთან ერთად 609 წელს ალბანური ეკლესიის შეჩვენებაც მოუხდა), უპირატესობა ამ საკითხში ქალკედონური წყაროების ცნობებს უნდა მივანიჭოთ.

ამრიგად, VI ს-ის II ნახევრის მანძილზე ქართლში ალბანეთი და სივნიეთი მხარს ქალკედონიტობას უჭერენ, თუმცა აქტიურ ანტიმონოფიზიტურ განწყობილებასაც არ ამჟღავნებენ. მონოფიზიტობა Narratio-ს მიხედვით, სცნეს მხოლოდ ტაშირის, ძორაფორის, გარდმანისა და არცახის ხევების სომხურენოვანმა თემებმა²⁴. ე. ი. იმ ნარევი პროვინციების სომხურმა მოსახლეობამ, რომლებიც სულ ორი საუკუნის წინ შეუერთდნენ ქართლსა და ალბანეთს. ეს ცნობა სრულ თანხმობაშია იმ სიტუაციასთან, რომელიც კარგად ვი-

¹⁸ იხ. ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 123—131.

¹⁹ ქართული წყაროთმცოდნეობა, გვ. 136, §V.

²⁰ ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 120. თარგმანი შესწორებულია უხტანესის ვარიანტის მიხედვით.

²¹ ი. ს. ხოთაძე, II. შათაშვილის რამდენიმე ქართული წყარო, ქართული, 1871, გვ. 91; ი. ს. ხოთაძე, II. შათაშვილის რამდენიმე ქართული წყარო, ქართული, 1961, გვ. 41. იხ. აგრეთვე, Л. М. Еликсет-Беков, Грузинский извод сказания о посто „араджавор“, Христианский Восток, 1917, вып. V.

²² კრიტიკულად დადგენილი ტექსტისათვის იხ. ზ. ალექსიძე, ლს, 1930, გვ. 569—578. იქვე იხ. მითითებები ხელნაწერებსა, აღრიხდელ გამოცემებსა და ლიტერატურაზე, გვ. 509—569.

²³ Արարատ, 1896, გვ. 252—256. ახალი გამოცემისთვის იხ. ზ. ალექსიძე, ლს, 1953, გვ. 591—594, ეგრძე ენაზე თარგმანისათვის იხ. Oriens Christianus, 1912, გვ. 64—79.

²⁴ შტრ. ზ. ალექსიძე, ლს, 1953, გვ. 470, 2. Բարբիկյան, „Narratio de rebus Armeniae“, ჩინარსენ რარգანისეანძე ძნე ჩასაბ ძი ჩაქ-ქაიქიქიანსკან სიქნაოქ-ქიოქ: Բანքեր Մառնադարանի, 1962, № 6, გვ. 466, შენ. 66.

ცით 605-609 წლებში ქართველ და სომეხ მოღვაწეთა მიმოწერიდან: ტაშირი და ძორაფორი გუგარეთის პროვინციებია და სწორედ გუგარეთის სომხურ-ენოვანმა თემებმა მიმართეს დახმარებისათვის დვინის საკათალიკოსოს ქართველთა ეროვნულ-რელიგიური პოლიტიკისაგან დაცვის სათხოვნელად²⁵.

VI ს-ის დასასრულს მონოფიზიტებმა ერთხელ კიდევ სცადეს ქართლის საკათალიკოსო საყდრის ხელში ჩაგდება. არ არის გამორიცხული, რომ ამ დროს ქართლს სათავეში ედგა პროირანული და მონოფიზიტური ორიენტაციის ერისმთავარი სტეფანოზ I. ქართლის კათალიკოსის ტახტზე დვინის კათოლიკე მონასტრის წინამძღვრისა და აიარატიის გავარის ქორეპისკოპოსის კირონ სკუტრელის (საქუდრიელის?) ასვლას თითქმის მონოფიზიტთა პოზიციები უნდა გაემაგრებინა. პირიქით მოხდა. კირონმა წამოიწყო დიდი ეროვნულ-რელიგიური პოლიტიკა, რომლის მიზანიც იყო ქართლის განაპირა პროვინციების მთლიანად გაქართველება და არაქართული თემების სამუდამოდ მცხეთის საკათალიკოსოსათვის დამორჩილება. „ყოველი ქართლის“ პოლიტიკურ შემოკრებას, რომელიც უფრო ადრე გუარამ კურაპალატმა დაიწყო, კირონ კათალიკოსმა მტკიცე იდეოლოგიური საფუძველი შეუქმნა. ასეთი პოლიტიკის წარმატება მხოლოდ მაშინ იყო მოსალოდნელი, თუ ქართლის ეკლესია „სომხური სჯულისაგან“ განსხვავებულ მრწამსს აირჩევდა და ამავე დროს დვინის 500 წლის კრებით დაწყებულ შემარიგებლურ ხაზს მკვეთრად არ გადაუხვევდა. ქართული საზოგადოება მომზადებული შეხვდა კირონის ღონისძიებებს. სომხეთისა და ქართლის ეკლესიებს შორის განხეთქილება გარდაუვალი გახდა.

VI-VII სს-ის მიჯნაზე კავკასიის იდეოლოგიურ ფრონტზე ძალთა განლაგებაში კიდევ ერთი ტენილი აღინიშნა: ტ ა ო ს ს ა ე პ ი ს კ ო პ ო ს ო ჩ ა მ ო ს ც ი ლ და დ ვ ი ნ ი ს ს ა კ ა თ ა ლ ი კ ო ს ო ს. Narratio-ს და არსენი საფარელის ცნობით, 604-610 წწ-ში სპარსელებმა ბიზანტია დაამარცხეს კავკასიაში და სომხეთის მონოფიზიტ კათალიკოსს აბრაამ ალბათანელს შესაძლებლობა მისცეს სომხეთის ბიზანტიური ნაწილის ქალკედონური სამწყსოები შეერთებინა.

„... მაშინ მწვალებელმა აბრაამ კათალიკოსმა აიძულა იოანეს სამწყსოს ეპისკოპოსები, დაეწვევლათ ქალკედონის კრება, წინააღმდეგ შემთხვევაში გაცლოდნენ სომხეთს. ეს უკანასკნელნი არ დაემორჩილნენ: მათგან ზოგი ტაოში გადავიდა, ზოგი — რომაელთა ქვეყანაში და უცხოებაში აღესრულა“²⁶.

ჟ. გარიტის სამართლიანი შენიშვნით, ტაოს ასეთ კონტექსტში დასახელება გამორიცხავს მის ორგანიზაციულ კავშირს როგორც კონსტანტინეპოლის, ისე დვინის ეკლესიებთან²⁷. ტაოს საეპისკოპოსო VII ს-ის დამდეგს თუ დამოუკიდებელი არ არის, მცხეთის კათალიკოსის სამწყსოში უნდა შედიოდეს. ამ დაკვირვებას ამაგრებს „ეპისტოლეთა წიგნი“ დაცული დოკუმენტები: ტაოს წარმომადგენლები არ მონაწილეობენ 606-607 წწ-ის დვინის კრებებში, სადაც შემუშავებულ იქნა სპეციალური საეკლესიო კანონები და დაიდო კავკასიის მონოფიზიტურ სამწყსოთა ერთიანობის აღთქმის ხელწერილები. ს ი ვ ნ ი ე თ ი ს

²⁵ ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 3—14. 29—35.

²⁶ La Narratio de rebus Armeniae, §115, შდრ. არსენი საფარელი, §§ V, XIV.

²⁷ La Narratio de rebus Armeniae, გვ. 266—267

ეკლესია ამავდროულად კრებებზე კვლავ დაუბრუნდა სომხეთის საპატრიარქოს²⁸.

მაგრამ კავკასიის რელიგიურ ცხოვრებას ამით სტაბილური მდგომარეობისათვის არ მიუღწევია. ჯერ კიდევ გასავლელი იყო ვნებათღელვებისა და ძალთა გადაჯგუფებების მთელი საუკუნე. ჯერ კიდევ წინ იყო, ე. წ. „სპარსული კრება“, კარნუ-ქალაქისა და მანაზკერტის კრებები. ნათელი მხოლოდ ის იყო, რომ ქართლმა რთულ პოლიტიკურ სიტუაციებში გზისგამკვლევ იდეოლოგიურ ორიენტირად ქალკედონური მრწამსი აირჩია²⁹.

²⁸ ეპისტოლეთა წიგნი, §§§ XIV, XV, XVI.

²⁹ ამ კონსპექტურ წერილში ავტორი განიხილავს მხოლოდ იმ ცნობებს, რომლებიც ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე ნაკლებად იყო გამოყენებული. მთლიანად პრობლემა და მასთან დაკავშირებული ყველა წყარო შესწავლილი იქნება სპეციალურ მონოგრაფიაში.

ოლია ტაბაღუა

ახალი ცნობები ქეთევან დედოფლის წამების შესახებ

1624 წლის სექტემბერში ირანის ქალაქ შირაზში, შაჰ-აბას I განკარგულებით, მოწამებორივი სიკვდილით დასაჯეს ქეთევან დედოფალი. ამ ფაქტს ბევრი ქართველი და უცხოელი ავტორი ეხება¹.

XVI საუკუნის ბოლოს გაძლიერდა ირანის სახელმწიფო. შაჰ მოჰამედ ხოდაბანდეს უფროსი ვაჟი — ჰამზა მირზა, ჯერ კიდევ მამამისის მმართველობის დროს გახდა ფაქტიური რეგენტი. 1579 წელს მან ცოლად შეირთო კახე-

¹ ა. ჭყონია, მასალა საქართველოს ისტორიისათვის, მოგზაურის პიეტრო დელა ვალეს მოხსენება საქართველოზე, ურბანუს მერვესადმი, 1627, „ივერია“, 1879, № 3; მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბილისი, 1902; ფ. გორგჯანიძე, ისტორია, ს. კაკაბაძის გამოცემა, თბილისი, 1926; წამება ქეთევან დედოფლისა, თეიმურაზ I, ტექსტი, გამოკვლევა, ლექსიკონი ალ. ბარამიძისა და გ. ჯავახიას რედაქციით, თბილისი, 1934; ზ. ავალიშვილი, თეიმურაზ I და მისი ზოგმა „წამება ქეთევან დედოფლისა“, პარიზი, [1938; ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია, ი. ჯავახიშვილი, საქართველოს ისტორია, I, თბილისი, 1948; გრ. ხუცესმონაზონი, „ცხოვრება და წამება ქეთევან დედოფლისა“, ტრ. რუხაძე, ლიტერატურული ძიებანი, V, 1949; აკ. გაწერელია, ლიტერატურული ძიებანი, „ლიტერატურული გაზეთი“, 1954 წ. 6 აგვისტო; გ. ხავეთასი, ნარკვევები გერმანული ლიტერატურის ისტორიიდან, თბილისი, 1953, გვ. 211—215; გ. გაჩეჩილაძე, გ. ნადირაძე, ერთი უცნაური შესწორების გამო, „ლიტერატურული გაზეთი“, 1956 წ. 17 თებერვალი; ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, თბილისი, I, 1958; ა. ბიბიჩაძე, გრიფიუსის „ქეთევან დედოფლის“ ისტორიულ წყაროთა შესახებ, ა. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწიფო პედ. ინსტ. შრ. XVIII, ქუთაისი, 1958, გვ. 69—91; შ. რევიშვილი, საქართველოს თემა ევროპულ დრამატურგიაში, „საბჭოთა ხელოვნება“, 1960, № 9; ი. კენჭიშვილი, ინგლისური წიგნი ქეთევან დედოფალზე, „მნათობი“, 1961, № 1, გვ. 163—168; დავით ქორიძე, საზოგადოებრივი ქართველი ქალები, თბილისი, 1965, გვ. 100—110; ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, თბილისი, 1967; შ. რევიშვილი, ქართულ-გერმანული ლიტერატურული ურთიერთობიდან, 1969; Н. Бердзенишвили, И. Джавахишвили, С. Джанашиа, История Грузии, часть I, Тбилиси, 1946; Н. К. Орловская, Грузия в литературах Западной Европы XVII—XVIII веков, Тбилиси, 1965, გვ. 105—110; მ. სემიონოვა, ქეთევანი და დეკოვები, გაზ. „სამშობლო“, 1973, წ. ოქტომბერი, № 19; A Letter Relating the Martyrdom of Ketevan... Oxford, 1633; Claude Malingre, Histoire tragiques de notre temps. Paris, 1635; M. Tamarati, L'Eglise Géorgienne des origines jusqu'à nos jours, Rome, 1910; Z. Avalishvili, Teimuraz I and his poem «The martyrdom of Queen Ketevan», «Georgica» № 4 and 5; A. Gryphius, Catherina von Georgien, oder bewährte Beständigkeit, Stuttgart, 1887; L. Pariser, Quellenstudien zum Andreas Gryphius Trauerspiel «Catherina von Georgien», „Zeitschrift für vergleichende Literaturgeschichte“, V. Band. Berlin, 1892, Z. Zygulski, A. Gryphius «Catherina von Georgien» nach ihrer französischen Quellen untersucht, Lwow, 1932; Roberto Gulbenkian, L'Ambassade en Perse de Luis Pereira de Lacerda et des Pères Portugais de l'Ordre de Saint-Augustin, Belchior dos Anjos et Guilherme de Santo Agostinho, 1604—1605, Lisbon, 1972; Nino Salia, Documents portugais sur le martyre de la Reine Ketevan de Géorgie, «Bedi Kartlisa revue de kartvelologies», Paris, 1973, vol. 31, გვ. 62—70.

თის მეფის ალექსანდრე II ქალიშვილი². 1587 წელს ჰამზა მირზა მოკლა მისმა დალაქმა³. ტახტზე ავიდა ჰამზა მირზას ძმა — შაჰ-აბას I სახელწოდებით (1587—1629).

შაჰ-აბასმა შექმნა ირანის ცენტრალიზებული იმპერია და შეუდგა დაპყრობითი ომების განხორციელებას. 1602 წელს მან დაარღვია თურქეთთან დადებული საზავო ხელშეკრულება და დაიწყო ომი. მისი მიზანი იყო აღედგინა თურქეთთან 1555 წლის ხელშეკრულებით დადგენილი საზღვრები. მან დაამარცხა თურქეთის ჯარები და 1603 წლის ნოემბერში ალყა შემოარტყა ერევანს. შაჰ-აბასმა მოსთხოვა კახეთის მეფე ალექსანდრე II და ქართლის მეფე გიორგი X თავიანთი ლაშქრით გამოსულიყვნენ თურქეთის წინააღმდეგ. 1604 წლის მარტში ალექსანდრე II და გიორგი X ჯარები მონაწილეობდნენ შაჰ-აბასის მიერ ერევნის ციხე-სიმაგრის ასაღებად წარმოებულ ბრძოლებში. ამ ბრძოლებს მეთაურობდა შარიფ მეჰმედი⁴.

ამ ლაშქრობაში „საქართველოს ქრისტიან მთავარს“ ალექსანდრე II თან ახლდა თავისი ერთ-ერთი შვილიშვილი⁵. ალექსანდრეს ლაშქარს ეროვნულობისა და სარწმუნოების სიმბოლოდ წინ უძღოდა საქართველოს დროშა და წითელ გამკვირვალე ქსოვილში გახვეული სამი ჯვარი; „ამის დანახვა, — აღნიშნავს ერთ-ერთი პორტუგალიელი მისიონერი, — ჩემთვის დიდად სასიამოვნო იყო“⁶.

როცა შაჰ-აბასი თავისი ლაშქრით უკვე თურქეთის ტერიტორიაზე იმყოფებოდა (58 ლიეზე⁷ თავრიზიდან და 4 ლიეზე საქართველოს საზღვრებიდან), შაჰთან გამოცხადდა პოლონეთის მეფის საიდუმლო ელჩი, რომელმაც თავისი მეფის სახელით შაჰ-აბასს I შესთავაზა მეგობრობა და კავშირი თურქეთის წინააღმდეგ⁸. ამავე დროს, კახეთში ალექსანდრე II კარზე უფლისწულ გიორგისთან ჩასულა რუსეთის საელჩოს წარმომადგენლობა 30-კაციანი ამალით, რომელთაც ტატიშჩევი და ივანოვი მეთაურობდნენ⁹.

1605 წლის იანვარში შაჰ-აბასმა ალექსანდრე II ნება დართო დაბრუნებულიყო სამშობლოში. მან დატოვა შაჰის ბანაკი და არდებილში ჩავიდა. 8 მარტს იგი უკვე კახეთში — ძეგამში იყო¹⁰. შაჰ-აბასმა მას თან გააყოლა „კონსტანტინე მირზა — უფროსი შვილი — რენეგატი“¹¹, ხოლო მისივე შვი-

² R. Gulbenkian, Op. cit., გვ. 30; W. E. D. Allen, Russian Embassies to the Georgian Kings (1589—1605), Cambridge, 1970, vol. I, გვ. 259.

³ R. Gulbenkian, Op. cit., გვ. 30; Encyclopédie de l'Islam, vol. III, გვ. 161

⁴ R. Gulbenkian, Op. cit., გვ. 93; W. E. D. Allen, Op. cit., გვ. 418—420.

⁵ „ეს იყო თეიმურაზი, რომელიც შემდგომ ხანგამოშვებით მეფობდა 1605-დან 1664 წლამდე“, იხ. „კახეთის ბაგრატიონების გენეალოგია“, W. E. D. Allen, Op. cit., vol. II, გვ. 592; R. Gulbenkian, Op. cit., გვ. 102, 158.

⁶ R. Gulbenkian, Op. cit., გვ. 102, 158.

⁷ ლიე — სიგრიძის ძველი ფრანგული საზომი; უდრის 4, 5 კმ.-ს.

⁸ A Chronicle of the Carmelites in Persia, London, 1939, vol. I, გვ. 92, note 3; Père Gregorio Petrovicz, Les Arméniens au service de la Diplomatie du Royaume de Pologne; W. E. D. Allen, Op. cit., vol. I, გვ. 366; R. Gulbenkian, Op. cit., გვ. 103, 159.

⁹ R. Gulbenkian, Op. cit., გვ. 103, 158; W. E. D. Allen, Op. cit. გვ. 378.

¹⁰ R. Gulbenkian, Op. cit., გვ. 104, 160; W. E. D. Allen, Op. cit., vol. II, გვ. 455.

¹¹ R. Gulbenkian, Op. cit., გვ. 104, 160.



მარცხნივ: ავგუსტინელ მამათა მიერ ქეთევან დედოფლის კათოლიკელ მოქცევის მომენტი; ცენტრში: ქეთევან დედოფლის წამების სცენა; მარჯვნივ: მამა ამბროზიო დოს ანელის 1628 წელს ქეთევან დედოფლის ნეშტის ნაწილებს გადასცემს მის შვილს — მეფე თეიმურაზ 1.



ავგუსტინელ მამათა მიერ ქეთევან დედოფლის კათოლიკედ მოქცევის მომენტი.



ქეთევან დედოფლის წამების სცენა.



მამა ამბროზიო დოს ანგოსი 1628 წელს ქეთევან დედოფლის ნეშტის ნაწილებს
გადასცემს მის შვილს — მეფე თეიმურაზ I.

ლიშვილი თეიმურაზი მძევლად დაიტოვა. გათვალისწინებული იყო ორ-ათასიანი კახთა ლაშქრით კონსტანტინეს დაბრუნება შაჰის ბანაკში, შაჰი მას მისცემდა 4 ათასიან ლაშქარს და ეს 6 ათასიანი არმია კონსტანტინეს მეთაურობით მონაწილეობას მიიღებდა თურქეთის წინააღმდეგ ომში.

დაბრუნდა რა კახეთში ალექსანდრე II, 12 მარტს მან სადილო გამართა თავისი შვილის — კონსტანტინეს ჩამოსვლასთან დაკავშირებით. სადილს ესწრებოდა დაახლოებით 40—50 კაცი. სადილობისას კონსტანტინემ მოჰკლა მამა და ღვიძლი ძმა გიორგი. დახოცილთა გვამები კონსტანტინემ ალავერდის ეკლესიაში გადაატანინა, ხოლო მათი თავები შაჰ-აბასს გაუგზავნა¹³. კონსტანტინემ თავი კახეთის მეფედ გამოაცხადა, მაგრამ მან მხოლოდ ექვსი თვე იმეფა¹⁴.

1604 წლის 14 თებერვალს ლუის პერეირა დე ლაჩერდამ და ორმა პორტუგალიელმა მამა ავგუსტინელმა დატოვეს გოა. 22 აპრილს მათ გაიარეს ორმუზზე და ჩავიდნენ ისფაჰანში. მაგრამ მათ იქ დაყვეს მხოლოდ რამდენიმე დღე, ვინაიდან შაჰი ამ დროს იყო ერზერუმის რაიონში. 1604 წლის 10 ოქტომბერს ლუის პერეირა დე ლაჩერდამ და მისმა თანმხლებმა პირებმა მიაღწიეს შაჰ-აბასის ბანაკს, ელჩმა შაჰს გადასცა თავისი მეფის წერილი. პორტუგალიის მეფის წარმომადგენელი შაჰმა კარგად მიიღო და გაგზავნა ყაზვინში. მათ ყაზვინში დაყვეს სამი თვე.

დენისონ როსის მიხედვით, წერს რ. გულბენკიანი, ალაჰ-ვერდი ხანი იყო გამაჰმადიანებული ქართველი¹⁵. ხოლო პიეტრო დელა ვალე წერს, რომ ალაჰ-ვერდი ხანი იყო „წარმოშობით ქრისტიანი სომეხი, მაგრამ ქართველთა ქვეყნიდან, იგი პირველად გაყიდეს როგორც მონა 30 სეხენად; მაგრამ მას შემდეგ, ის არაერთგზის გაყიდეს და გამოიცვალა რამდენიმე მკაცრი პატრონი — ქალაქელები, თუ ხელოსნები, ბოლოს იგი განაწესეს შაჰის სამსახურში...“¹⁶ მისი ერთ-ერთი შვილის დედა იყო ქართველი. ერთ დროს მას დავალებული ჰქონდა ქეთევან დედოფლისა და მისი ორი შვილიშვილის — ლევანისა და ალექსანდრეს დაცვა¹⁷. გოვეა კი ზოგადად მიუთითებს, რომ ალაჰ-ვერდი ხანი იყო ქრისტიანი, მაგრამ არ აზუსტებს სომეხი იყო, თუ ქართველი¹⁸.

¹² R. Gulbenkian, Op. cit. გვ. 103.

¹³ R. Gulbenkian, Op. cit., გვ. 105; W. E. D. Allen, Op. cit. გვ. 460; კახეთში კონსტანტინეს ჩამოსვლას და ალექსანდრეს მკვლელობას ზოგი ავტორი სხვანაირად აღწერს. მაგალითად: შაჰ-აბასმა კახეთის მეფეს ალექსანდრე II მოსთხოვა თავისი შვილიშვილი მძევლად. ალექსანდრემ გაუგზავნა მცირეწლოვანი თეიმურაზი. შაჰს არ მოსწონდა ქართლისა და კახეთის ლტოლვა რუსეთისაკენ. როცა თეიმურაზი ირანში ჩაიყვანეს, შაჰმა კახეთში გაგზავნა ალექსანდრეს გამაჰმადიანებული შვილი კონსტანტინე. შაჰმა მას კახეთის მეფობა უბოძა და დაავალა მამისა და ძმის მოკლა. კონსტანტინეს დიდი შეხვედრა მოუწევს ძეგამში. მან შაჰის ძღვენი მიართვა მამას. ამ დროს საიდუმლო აგენტებმა მოკლეს ალექსანდრე და გიორგი... იხ. დ. ქოროძე, დასახ. ნაშრ., გვ. 102.

¹⁴ W. E. D. Allen, Op. cit., გვ. 455; R. Gulbenkian, Op. cit. გვ. 93, 104—105.

¹⁵ R. Gulbenkian, Op. cit., გვ. 44.

¹⁶ იქვე, Pietro della Valle, Les fameux voyages de..., Paris, 1670—1675, t. III, გვ. 450—452.

¹⁷ R. Gulbenkian, Op. cit., გვ. 44; W. E. D. Allen, Op. cit., vol. I, გვ. 263—264.

¹⁸ R. Gulbenkian, Op. cit., გვ. 44.

ანტონიო გოვეა მოგვითხრობს, რომ პორტუგალიელი მამა ბელშიორ დოს ანჟოსი შაჰ-აბას I კარზე მოლაპარაკებას აწარმოებდა საქართველოს ერთ-ერთი მხარის) მეფე ალექსანდრესთან, რათა ამ უკანასკნელთან ერთად გამგზავრებულიყო საქართველოში. მაგრამ ამას ხელი შეუშალა ლუის პერეირა დე ლაჩერდამ, რომელსაც არ უნდოდა, რომ წმ. მამებს განეხორციელებინათ ეს მოგზაურობა¹⁹.

შემდგომ, როცა ირან-თურქეთის ომის დროს პორტუგალიელი მამები იმყოფებოდნენ შაჰის ბანაკში, ისინი კვლავ შეხვედრიან კახეთის მეფე ალექსანდრე II და ჰქონიათ მასთან საუბარი. მათ ასევე უსაუბრიათ „ქართველ ეპისკოპოსთან, რომელიც თან ახლდა ალექსანდრეს“. საუბრის დროს პორტუგალიელი მისიონერები დაინტერესდნენ გაევით: „ხომ არ მიეცემოდათ შესაძლებლობა იქონიონ რომაული ეკლესია, თუ ისინი მოისურვებენ გამგზავრებას საქართველოში მეფესთან ერთად“²⁰.

სხვა ადგილას აღნიშნულია, რომ ისინი ესაუბრნენ კახეთის მეფე ალექსანდრე II და მის ორ არქიეპისკოპოსს კახეთში წმ. ავგუსტინის ორდენის მისიონერთა დაფუძნებისა და იქ ეკლესიის აგების შესაძლებლობის შესახებ²¹.

მამა ბელშიორ დოს ანჟოსის სურვილი ყოფილა, რომ ის პირველი გამგზავრებულიყო საქართველოში მეფე ალექსანდრესთან ერთად 1605 წელს, მაგრამ ამისი ნება მას არ დართო ლუის პერეირა დე ლაჩერდამ.

პორტუგალიელი მამებიდან პირველი ჩასულა საქართველოში მამა გილჰერმი 1608—1610 წლებში. მამა ჟუან ტადეი და სან ელისეოს ცნობით, როცა ის ჩავიდა თეიმურაზ პირველთან შაჰ-აბასის წერილით, კახეთის მეფე და ქართველი მღვდლები თხოვდნენ მას, რათა კვლავ დაბრუნებულიყო საქართველოში²².

შაჰ-აბასს საკუთარი გეგმები ჰქონდა საქართველოს მიმართ. მას არ აწყობდა კასპიის ზღვის სანაპიროებზე რუსეთის გამოჩენა და კავშირ-ურთიერთობა, რომელიც მყარდებოდა საქართველოსა და რუსეთს შორის. შაჰს სასურველი შედეგი ვერ მოუტანა ქრისტიანი ალექსანდრესა და გიორგის მუხანათურმა მოკვლამ და კახეთის ტახტზე გამაჰმადიანებული კონსტანტინეს დასმამ. მამის მკვლელობა და რენეგატი კონსტანტინე ხალხმა არ მიიღო. კახეთში მოხდა აჯანყება. მათ დასახმარებლად ქართლის მეფე გიორგი X ლაშქარი გაგზავნა. აჯანყებულებმა კონსტანტინე მოჰკლეს, ხოლო ალექსანდრე II ძმის შვილი ბაგრატ ბატონიშვილი ფარულად მოსკოვში გაგზავნეს.

შაჰ-აბასი იძულებული გახდა დროებით უკან დაეხია. 1606 წელს მან აღიარა ქრისტიანი მეფეები: კახეთში თეიმურაზ I, ხოლო ქართლში — ლუარსაბ II. შაჰ-აბასი დროებით შეურიგდა ამ მდგომარეობას, მაგრამ იგი ემზადებოდა ახალი შეტევისათვის.

1612 წელს დამთავრდა ომი ირანსა და თურქეთს შორის და დაიღო საზავო ხელშეკრულება. შაჰ-აბასმა მიიღწია 1555 წლის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საზღვრების აღდგენას თურქეთთან. 1613 წლის ოქტომბერში შაჰ-აბასმა დაიწყო ლაშქრობა საქართველოს წინააღმდეგ მისი სრული დაპყრო-

¹⁹ R. Gulbenkian, Op. cit., გვ. 16.

²⁰ იქვე.

²¹ R. Gulbenkian, Op. cit. გვ. 76—77; W. E. D. Allen, Op. cit., vol. I, გვ. 204.

²² R. Gulbenkian, Op. cit., იქვე.

ბის მიზნით. იგი დიდძალი ლაშქრით შეიჭრა ყარაბაღის პროვინციაში²³ და გაუგზავნა კახეთის მეფეს შეიკრიბები მოთხოვნით: ნიშნად ერთგულებისა მიეცა მძევლები შაჰისათვის. კახეთის მეფემ თეიმურაზ I-მა, თავადების რჩევით, შაჰ-აბასს გაუგზავნა თავისი დედა — ქეთევან დედოფალი და უმცროსი შვილი — ალექსანდრე. შაჰი ამით არ დაკმაყოფილდა და მოითხოვა მძევლად თეიმურაზის უფროსი შვილი — ლევანიც. თეიმურაზი ერთხანს უარს ამბობდა შაჰის ამ მოთხოვნის შესრულებაზე, მაგრამ ბოლოს იძულებული გახდა, ამაზეც დათანხმებულიყო. მან შაჰს გაუგზავნა ლევანი და ბევრი სხვა თავადის ვაჟიშვილები.

შაჰ-აბასი არც ამით დაკმაყოფილდა. მძევლების მიღების შემდეგ მან ისურვა თვითონ თეიმურაზ მეფე ხლებოდა მას ყარაბაღში. ეს კი უკვე მეტისმეტი იყო. კახეთისა და ქართლის მეფეებმა — თეიმურაზმა და ლუარსაბმა გადაწყვიტეს იარაღით წინააღმდეგობა გაეწიათ თავხედი შაჰ-აბასისათვის.

შაჰ-აბასმა ქეთევან დედოფალი და თეიმურაზის შვილები გაგზავნა აშრაფ-ში²⁴, სადაც ისინი დაპატიმრებულ იქნენ. თვითონ კი უზარმაზარი ლაშქრით გამოემართა საქართველოსკენ.

ირანის ლაშქარმა ააოხრა და ააწიოკა მთელი აღმოსავლეთი საქართველო; დაანგრია ეკლესიები, გაანადგურა სოფლის მეურნეობა, კერძოდ, ვენახი. ქართლისა და კახეთის მეფეებმა თავი შეაფარეს იმერეთს. შაჰმა მოსთხოვა იმერეთის მეფე გიორგის გადაეცა მისთვის ქართლისა და კახეთის მეფეები, მაგრამ იმერეთის მეფემ შაჰს თავაზიანი უარი შეუთვალა. თვითონ შაჰმაც თავი აარიდა თურქეთთან ურთიერთობის გართულებას და არ დაიწყო ომი იმერეთის წინააღმდეგ. შაჰ-აბასმა მიზანს ვერ მიაღწია — ვერ დაიმორჩილა ვერც კახეთი და ვერც ქართლი. იგი უკმაყოფილო დაბრუნდა ირანში. თავისი ხალხი კი აღმოსავლეთ საქართველოში დატოვა.

1615 წლის სექტემბერში მთელი კახეთი მოიცვა აჯანყებამ. მას ნოდარ ჭორჭაძე და დავით ჯანდიერი მეთაურობდნენ. აჯანყება ქართლსაც მოედო. ქართლ-კახეთში აჯანყების ჩასახშობად შაჰ-აბასმა 15-ათასიანი ლაშქარი გამოგზავნა, მაგრამ ირანელები დაამარცხეს ქართველებმა თეიმურაზ მეფის მეთაურობით.

აჯანყება არ ცხრებოდა, იგი კიდევ უფრო ფართოვდებოდა. 1616 წლის გაზაფხულზე შაჰ-აბასი დიდძალი ლაშქრით წამოვიდა საქართველოსკენ. ბრძოლები ერთი წელი გაგრძელდა. შედეგი მეტად მძიმე იყო საქართველოსათვის: კახეთმა თავისი მოსახლეობის $\frac{2}{3}$ დაკარგა, ასიათასზე მეტი ქართველი შაჰ-აბასმა ირანის შიდა რაიონებში (ფერეიდანი, მაზანდარანი) გადაასახლა.

საქართველოდან წაყვანილ უამრავ ტყვეს შორის, როგორც აღვნიშნეთ, იყვნენ მძევლები: თეიმურაზ I-ის დედა — ქეთევან დედოფალი და თეიმურაზის ორი ვაჟი — ლევანი და ალექსანდრე.

ქეთევან დედოფალი დიდხანს იყო ტყვეობაში. შაჰ-აბასის მრავალგზისი ცდა — აეძულებინა იგი რჩული შეეცვალა, უშედეგოდ მთავრდებოდა. ვანრის-ხეხულმა შაჰმა იმით, რომ თეიმურაზ I ირანის საწინააღმდეგო კავშირს ეძებდა თურქეთთან, ხოლო ქეთევან დედოფალი უარს ამბობდა გამაჰმადიანებაზე, გას-

²³ სხვა ცნობით, იგი მიაღმა განჯას.

²⁴ სხვა ცნობით, გაგზავნა შირაზში.

ცა განკარგულება დაესაჭურისებინათ ლევან და ალექსანდრე ბატონიშვილები, ხოლო ქეთევან დედოფალი შირაზში გადაეყვანათ (1620 წ.).

შირაზის ბეგლარ-ბეგს შაჰისაგან დავალებული ჰქონდა აეძულებინა ქეთევან დედოფალი გამაჰმადიანებულიყო, მაგრამ ბეგლარ-ბეგის ცდებს შედეგი არ მოჰყოლია. მაშინ ამ უკანასკნელმა აცნობა შაჰს, რომ, მიუხედავად მისი მოქმედებისა, ქეთევან დედოფალი გადაჭრით უარს ამბობდა რჯულის შეცვლაზე²⁵.

შირაზში ქეთევან დედოფალს კავშირი ჰქონდა ევროპელ მისიონერებთან, რომელთაგან ის დიდ სულიერ მხარდაჭერას ღებულობდა: ისინი მას ზიარებას აძლევდნენ²⁶, ხოლო სპარსელები კი სისტემატურად აწამებდნენ, რასაც იგი მამაცურად იტანდა²⁷.

იმ დროს შირაზში იყო პორტუგალიელი მისიონერი მამა ამბროზიო დოს ანჟოსი. იგი დაუკავშირდა ქეთევან დედოფალს და მის თანხლებ პირებს, რომელთა რიცხვი 40-ს აღწევდა. ქეთევან დედოფალი სალოცავად დადიოდა მამა ამბროზიო დოს ანჟოსის ეკლესიაში და დიდ მიღრეკილებას იჩენდა კათოლიკური სარწმუნოებისადმი.

ასე გადიოდა დრო. მაგრამ შაჰ-აბასი ვერ ისვენებდა. მან შირაზში გავზავნა თავისი რამდენიმე მინისტრი. მათ დავალებული ჰქონდათ ემოქმედათ შაჰის სახელით და მიეღწიათ ქეთევან დედოფლის გამაჰმადიანებისათვის. თუ ქეთევან დედოფალი გამაჰმადიანდებოდა, შაჰი მას ცოლად შეირთავდა და მისცემდა უამრავ საჩუქარს. თუ იგი ამაზე უარს იტყოდა, მას მოელოდა სიკვდილი ტანჯვა-წამებით. ქეთევან დედოფალმა უპასუხა, რომ ის არავითარ შემთხვევაში „არ მიატოვებს თავის ქრისტეს, ჩვენს ღმერთს“²⁸.

როცა თხოვნამაც ვერ გაჰყრა, მინისტრებმა უბრძანეს მას მომზადებულიყო წამებისათვის. მას უთხოვია რამდენიმე წუთით თავისუფლება. მინისტრებმა დააკმაყოფილეს მისი თხოვნა. იგი შევიდა თავის სამლოცველოში, ილოცა და ღმერთს სთხოვა ძალა, რათა მამაცურად გადაეტანა ტანჯვა. დედოფალი განივიდა თავისი ოთახიდან და შაჰის მინისტრებს მიმართა შემდეგი სიტყვებით: „ახლა კი შეგიძლიათ მომექცეთ ისე, როგორც შაჰმა ბრძანა“.

ამ დროს კოცონი უკვე გაჩაღებული ყოფილა, სადაც რკინის მაშებს (საყენეტებს) ახურებდნენ. ქეთევან დედოფალს ხელ-ფეხი შეუკრეს, გავარვარებული რკინის მაშით ჯერ ერთი ძუძუ მოგლიჯეს, ხოლო შემდეგ — მეორე.

გრძნობადაკარგული დედოფალი ჩურჩულთ მანც ლოცულობდა. როცა მან სული დალია, მას კოცონიდან მუგუზლები დააყარეს. ეს მოხდა 1624 წლის 22 სექტემბერს.

„ქეთევან დედოფალი, რომელსაც პორტუგალიელები გუატევანდას უწოდებდნენ, — წერს რობერტო გულბენკიანი, — იყო ქართლის ბაგრატიონების გვერდითი შტოდან, მუხრანის ბატონის აშოთანის შვილი. ის გათხოვდა კახეთის მეფე დავითზე დაახლოებით 1581 წელს“²⁹.

²⁵ Nino Salia, Op. cit. გვ. 67—68.

²⁶ M. Tamarati, Op. cit. გვ. 482; Nino Salia, Op. cit., გვ. 66.

²⁷ იქვე.

²⁸ M. Tamarati, იქვე.

²⁹ R. Gulbenkian, Op. cit., გვ. 55. რ. გულბენკიანის ეს ადგილი დაზუსტებას მოითხოვს: ქეთევანი დაიბადა 1575 წ. იგი 12 წლის, ე. ი. 1587 წ. გაათხოვეს კახეთის მეფის ალექსანდრე II უფროს ვაჟზე დავითზე. დავითმა მხოლოდ 6 თვე იმეფა. იგი 1601 წელს გარდაიცვალა.

დავითისა და ქეთევანის შვილი იყო თეიმურაზ I, რომელიც კახეთში მეფობდა 1605—1663 წწ.

ქეთევან დედოფალი უჭკვიანესი და ულამაზესი ქალი ყოფილა. ასე იხსენიებს ყველა ვინც კი მას შეხვედრია და ვისაც მასთან საუბარი ჰქონია. იგი ყველაფრით სამაგალითო იყო: ქცევით, პატიოსნებით, გონებასამსჯილობით, ქრისტიანობისადმი თავდადებით.

იტალიელი პატრი გრიგოლ ორსინი 1624 წელს ირანში იყო. 1626 წელს რომში გაგზავნილ წერილში იგი აღწერდა ირანელების მიერ აღმოსავლეთ საქართველოს აოხრებას და ქეთევან დედოფლის წამებას³¹.

ქეთევან დედოფალს შეხვდა და იგი ანუგეშა პიეტრო დელა ვალემ, რომელმაც ეს აღწერა თავის მოგზაურობაში და პაპისადმი (ურბან VIII) წარდგენილ მოხსენებითს ბარათში. პიეტრო დელა ვალეს სიტყვებით: „ბოლო დროებში ქეთევან დედოფალს კარმელიტიანების წესის პატრები ეწეოდნენ სულიერად და მათი ჩაგონებით გამხსნელებული კათოლიკედ აღესრულა“³².

ქეთევან დედოფლის შირაზში წამების ამბავი ცნობილი გახდა საქართველოსა და ირანის ფარგლებს გარეთაც. 1640 წელს ავგუსტინელმა მამებმა რომში „პროპაგანდა ფიდეს“ გაუგზავნეს წერილი, სადაც აღწერილია ქეთევან დედოფლის წამება³³.

აი როგორ აღწერს ამ საშინელ სცენას მისივე შვილი — თეიმურაზ I თავის პოემაში „წამება ქეთევან დედოფლისა“:

პირველად ცეცხლი დააგზნეს, მაშეც ჩაყარეს რკინანი,
მაშინ რაღაცა მოეხენეს საწველნი სისხლთა მდინანი.

უთხრეს, თუ: „რჯულზე მოიქეც, დააგდე იგი წინანი,
და თვარე სასჯელი ეს არი, რა ნახო, შენცა ინანი“...

მერმე გაუბეს ხელ-ფეხი, გაძაბეს განა მაჯები,
გაზით დაგლიჯეს ძუძუნი, დადვეს მხურვალე საჯები,
ბარები შუბლსა შემოსდვეს, ყველა ქნეს მათი აჯები,

და აღმა ახეთქნეს კეფანი, ვა, თქმითა აქ ვისაჯები.³⁴

როგორც უკვე აღვნიშნეთ, იმ პერიოდში და შემდგომშიც ძალით წაყვანილი ბევრი ქართველი იტანჯებოდა ირანში. ისინი ქეთევან დედოფლის მსგავსად მამაცურად იტანდნენ წამებას, მაგრამ სამშობლოს არ ღალატობდნენ. სწორედ ამ თემაზე, უფრო გვიან, შეიქმნა ქართული ხალხური ლექსი: „ამას ამბობდა ქართველი“.

ასე ამბობდა სპარსეთში
დატყვევებული ქართველი:
რაც უნდა მტანჯონ, მაწამონ,
მე არ გავხდები სპარსელი.
ხეზე დამკიდონ, ქვეშ ცეცხლი,
შემინთონ ისე ვიწვოდე,
მაშინაც ვეტყვი ჩემს მტარვალს;
მე ქართველი ვარ იცოდე!

რა ვუთხრა მე იმ ქართველსა
ვის ტანჯვა გასჭირვებია,
ანდა ისეთსა, რომელსაც
დიდება გაჰკირვებია.
ქეთევან, შალვა, დიმიტრი.,
ვისაც რომ დავიწყებია
და სააკაძე გიორგი
ერთხელ არ გახსენებია!³⁵

ლა. იხ. დ. ქოროძე, დასახ. ნაშრ., გვ. 100; გრ. ჰ. უცესმოწონი, „ცხოვრება და წამება ქეთევან დედოფლისა“; ტრ. რუხაძე, ლიტერატურული ძიებანი, V, 1949.

³⁰ იხ. დ. ქოროძე, დასახ. ნაშრ., გვ. 109; გ. რეხვიაშვილი, სეოფილა იოსელიანის სრული ტექსტისათვის, გაზ. „სახალხო განათლება“, 1960 წ. 24 თებერვალი.

³¹ მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 86, 610.

³² იქვე, გვ. 88.

³³ M. Tamarati, Op. cit., გვ. 482—484.

1972 წელს ლისაბონში „პორტუგალიის ეროვნულმა გამომცემლობამ“ გამოაქვეყნა სომეხი ისტორიკოსის რობერტო გულბენკიანის წიგნი სათაურით: „ლუის პერეირა დე ლაჩერდას და წმ. ავგუსტინის ორდენის პორტუგალიელი მამების ბელშიორ დოს ანჟოს და გილჰერმ დე სანტო ავგუსტინოს ელჩობა სპარსეთში 1604—1605 წწ.“³⁵.

როგორც ავტორი წინასიტყვაობაში აღნიშნავს, ეს წიგნი გამოსულა ირანის მონარქიის შექმნის 2500 წლისთავთან დაკავშირებით³⁶. წიგნის შინაარსიდან აშკარად ჩანს, რომ მის ავტორს დიდძალი შრომა გაუწევია არქივებსა და წიგნთსაცავებში. განსაკუთრებით მდიდარი მასალა უპოვნია ლისაბონის დელა ტორე დო ტომბოს ეროვნულ არქივში. კერძოდ, ეს არის, აღმოსავლეთის მისიების წევრ ავგუსტინელ მამათა ხელნაწერები, სადაც ასახულია მათი მოგზაურობები და შთაბეჭდილებები.

წიგნი მოიცავს 194 გვერდს; ნაშრომი მდიდარია ილუსტრაციებით, ფოტოებით (მათ შორის ქეთევან დედოფლის წამების ამსახველი 4 ფოტო), რუკებით (აღმოსავლეთში მისიონერთა მოღვაწეობის ადგილების აღნიშვნით), ხელნაწერთა ფოტოპირებით და სხვ. ნაშრომს დართული აქვს დოკუმენტები პორტუგალურ ენაზე.

ამრიგად, რობერტო გულბენკიანის წიგნი შეიცავს მეტად საინტერესო ახალ მასალებს ირანში სომხებისა და ქართველების მოღვაწეობისა და საქართველო-ირანს შორის ურთიერთობის შესახებ.

რობერტო გულბენკიანის ამ წიგნში პირველად გამოაქვეყნდა ქეთევან დედოფლის წამებასთან დაკავშირებული რამდენიმე სურათი. ისინი ავტორს აღმოუჩენია ლისაბონში და გრასას ყოფილ მონასტერში. როგორც ავტორი წერს, ამ მონასტრის ერთ-ერთ დარბაზში აღმოჩნდა 30 მეტრი სიგრძისა და 8 მეტრი სიგანის პანო. მისი ავტორი უცნობია. ეს ნამუშევარი თარიღდება XVIII საუკუნის პირველი ნახევრით. პანოზე გამოხატულია პორტუგალიელი წმ. ავგუსტინოს ორდენის მისიონერების ირანში მოღვაწეობის სცენები³⁷. აქ

³⁴ თეიმურაზ I., ტექსტი, გამოკვლევა და ლექსიკონი ალ. ბარამიძისა და გ. ჯავახიას რედაქციით, თბილისი, 1934, გვ. 132, 134.

³⁵ Roberto Gulbenkian, L'Ambassade en Perse de Luis Pereira de Lacerda et des Pères Portugais de l'Ordre de Saint-Augustin, Belchior dos Anjos et Guilherme de Santo Agostinho 1604—1605, Lisbon, 1972. ამ წიგნის (პორტუგალიიდან) მიღებაში დიდი დახმარება გამოიწიეს ახალგაზრდა ფრანგმა ქართველოლოგმა ბერნარ უტიემ და პროფ. კ. სალიამ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ მათ.

³⁶ R. Gulbenkian, Op. cit., გვ. 7; იხ. ასევე, ნინო სალია, დასახ. ნაშრ.; ი. ტ ა ბ ა ლ უ ა, ისტორიამ შემოინახა. პორტუგალური ცნობები ქეთევან წამებულის შესახებ, გაზ. „კომუნისტი“, 1973 წ. 3 ივნისი; ი. ტ ა ბ ა ლ უ ა, ახალი ცნობები ქეთევან დედოფლის წამების შესახებ, გაზ. „სამშობლო“, 1973 წ. ივლისი, № 13 (318).

³⁷ დე კასტელი შენიშნავს: „სპარსეთიდან ახლახან დაბრუნებულმა მისიონერმა ამბროჯიომ მიაბო, რომ მისიონერმა ავგუსტინელებმა შირაზში ქეთევანის წამების მომენტები დახატეს და თავიანთ მონასტერში ხატად ჰქონდათ შენახული“. იხ. დონ კ რ ი ს ტ ო ფ ო რ ო დ ე კ ა ს - ტ ე ლ ი, რელაციონი და ჩანახატი ალბომი XVII საუკუნის საქართველოზე (ხელნაწერის სახით), გამოსაცემად მოამზადა ბ. გ ი ო რ გ ა ძ ე მ. მანვე მოამწოდა ეს ცნობა, რისთვისაც მას მადლობას ვუძღვნი.

არის სცენები ნეტარი მამების: ნიკოლო დე მალოსი ასტრახანში, ხოლო გილჰერმ დე სანტო ავუსტინოსი ნახჭევანში მწვალებლობის შესახებ 1614 წელს.

აქვეა მოთავსებული სურათები ქეთევან დედოფლის შესახებ³⁸. ეს დღემდე არ იყო ცნობილი, ვინაიდან და გრასას მონასტერი დიდი ხანია სამხედრო ყაზარმად გადააქციეს და მის კედლებზე გამოხატული სცენები დაიფარებას მიეცა. ამდენად, რობერტო გულბენკიანის წიგნი ამ სურათებითა და ზოგიერთი ცნობის გამო საინტერესოა ქართული ისტორიოგრაფიისათვის.

ცნობილია, რომ 1627 წელს, როცა თეიმურაზ I შეურიგდა ირანის შაჰს, სთხოვა ამ უკანასკნელს გამოეგზავნა მისთვის დედამისის გვამი, რომელიც ისფაჰანში ავგუსტინთა მონასტერში ინახებოდა. შაჰ-აბასმა შეასრულა თეიმურაზის თხოვნა. იმავე წელს სამმა მისიონერმა ითავა მისი წადება საქართველოში. ისინი კიდეც გზას გაუდგნენ, მაგრამ გზაში ავად გახდნენ, ერთი გარდაიცვალა, ხოლო ორი უკან დაბრუნდა. ხელმეორედ სცადეს ნეშტის წამოღება, მაგრამ ისევ ავადმყოფობამ შეუშალათ ხელი. მესამედ 1628 წელს წამოვიდნენ და ივნისში მიაღწიეს გორამდე. ესენი იყვნენ პორტუგალიელი ავგუსტინელი მამებო ამბროზიო დოს ანჟოსი და პედრო დოს სანკტოსი. მათ თეიმურაზ I გადასცეს ქეთევან დედოფლის ნეშტის ნაწილი. მეფეს პატივით მიუღია ისინი, თავის სასახლეში დაუყენებია. ქეთევან დედოფლის ნეშტი ჩაუწყვიათ ძვირფას კუბოში და დიდი პატივით დაუსაფლავებიათ.

რობერტო გულბენკიანის წიგნში ვკითხულობთ: ქეთევან დედოფლის „რელიკიები, თავისა და სხვა ძელების ერთი ნაწილი გადასცეს მის შვილს თეიმურაზ პირველს 1628 წელს პორტუგალიელმა ავგუსტინელმა მამებმა ამბროზიო დოს ანჟოსმა და პედრო დოს სანკტოსმა“³⁹. ქეთევან დედოფლის ნეშტის სხვა ნაწილი ისფაჰანიდან გოაში (ინდოეთი) წაუღიათ და იქ მოუთავსებიათ და გრასას მონასტერში. ეხება რა წმ. მამა გილჰერმის ნეშტის ადგილსამყოფელის საკითხს, რ. გულბენკიანი წერს, რომ მისი სხეულის ერთი ნაწილი „გადაიტანეს ისფაჰანში, შემდეგ — გოაში. იგი მოათავსეს შავი ქვის კუბოში და გრასას მონასტრის კაპიტულში, ისფაჰანში მისიის პიონერის მამა ფრ. იერონიმო და კრუზასა და ქეთევან დედოფლის ძელებთან ერთად“⁴⁰.

„ქეთევან დედოფალი, — წერს რობერტო გულბენკიანი, — ჩაირიცხა წმიდანთა რიგებში, როგორც ქართული ეკლესიისათვის წამებული“⁴¹.

დღემდე ცნობილი იყო, რომ წამებული ქეთევან დედოფლის ნეშტის ერთი ნაწილი პორტუგალიელმა მისიონერებმა ჩაიტანეს გორში და ჩააბარეს მის შვილს — თეიმურაზ მეფეს⁴², მაგრამ ნეშტის სხვა ნაწილზე არსებობს სხვადასხვა აზრი: ერთნი ფიქრობდნენ, რომ ის ევროპაში წაიღეს და თითქოს

³⁸ R. Gulbenkian, Op. cit. გვ. 56—57.

³⁹ იქვე, გვ. 55.

⁴⁰ იქვე. გოა — ქალაქი ნავსადგური ინდოეთში (მის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე); 1510 წ. დაიპყრეს პორტუგალიელებმა; 1542 წ. იეზუიტმა მისიონერებმა იქ გაავრცელეს კათოლიკური სარწმუნოება. დღეს პანჯიმ (ნოვა-გოა), 1961 წლის დეკემბრიდან ინდოეთის ხელშია.

⁴¹ იქვე.

⁴² M. Tamarati, Op. cit., გვ. 508.

ნამიურის (ბელგია) ერთ-ერთ მონასტერში მოათავსეს, „მაგრამ ნამიურში ამ რელიკვიების ძებნა, უშედეგოდ დამთავრდა“ — შენიშნავს ნინო სალია⁴³.

სხვა ადგილას ვკითხულობთ: ქეთევან დედოფლის ნეშტის ნახევარი გორში თეიმურაზ მეფესთან გაგზავნეს, მეორე ნახევარი კი — ევროპაში წაიღეს და თითქოს, რომში წმ. პეტრეს ტაძარში მოათავსეს⁴⁴.

რობერტო გულბენკიანის წიგნში მითითება იმის შესახებ, რომ ქეთევან დედოფლის რელიკვიების ერთი ნაწილი პორტუგალიელმა მისიონერებმა წაიღეს გოაში და იქ და გრასას მონასტერში შეინახესო, სერიოზული ყურადღების ღირსია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რობერტო გულბენკიანის წიგნში მოთავსებულია ოთხი სურათი. საერთო ფონზე გამოსახულია სამი სცენა: მარცხნივ, ქეთევან დედოფალი, პორტუგალიელ წმ. მამებს შორის კათოლიკედ მოქცევის მომენტში⁴⁵, ცენტრში, ქეთევან დედოფლის წამება; მარჯვნივ, წმ. მამა ამბროზიო დოს ანჟოსი გადასცემს ყუთს თეიმურაზ მეფეს გორში 1628 წელს. იგივე სამი სცენა ცალ-ცალკეა გადიღებული (აქვე ვათავსებთ აღნიშნულ სურათებს).

И. М. ТАБАГУА

НОВЫЕ СВЕДЕНИЯ О МУЧЕНИЧЕСТВЕ ЦАРИЦЫ КЕТЕВАН

Резюме

После опустошения Картли и Кахети (Восточная Грузия) в 1614—1616 гг. шах Ирана Аббас I переселил более ста тысяч грузин во внутренние районы (Ферейдан, Мазандаран) страны. Среди многочисленных пленных была царица Кетеван — мать царя Кахети Теймураза I и его два сына (Леван и Александр), которых Аббас взял в качестве заложников.

Все попытки шаха принудить царицу Кетеван изменить своей вере окончились безрезультатно. 22 сентября 1624 г. по приказу Аббаса царицу Кетеван замучили в Ширазе.

Вопроса о мученичестве Кетеван касались многие грузинские и иностранные авторы. О нем говорится в данной статье. Книга историка Р. Гульбенкяна, — «Посольство в Персию Луиса Перейра де Лачерда и португальские отцы ордена св. Августина Бельшиора дос Анжос и Гильерма де Санта Агостино в 1604—1605 гг.» — изданная «Национальным Комитетом Португалии» в 1972 г. на французском языке (с приложением документов на португальском языке), содержит интересные новые материалы о деятельности армян и грузин в Иране, об отношениях между Грузией и Ираном, о мученичестве царицы Кетеван.

⁴³ Nino Salia, Op. cit. გვ. 68.

⁴⁴ იხ. „მწყემსი“, 1894, № 1, გვ. 15; „საქართველოს კალენდარი“, 1893, გვ. 417—418; იხ. ასევე, Z. Avalishvili, Teimuraz I and his poem «The Martyrdom of Queen Ketevan», «Georgica», № 4 and 5, გვ. 17—42.

⁴⁵ საკითხი იმის შესახებ, მიიღო თუ არა ქეთევან დედოფალმა კათოლიკობა, დღემდე არაა დაზუსტებული.

В 1627 г., когда царь Теймураз I примирился с Аббасом он попросил его прислать останки своей матери — царицы Кетеван. Аббас исполнил его просьбу. В 1628 г. португальские миссионеры привезли и вручили останки царицы Кетеван в г. Гори ее сыну.

В книге Р. Гульбенкяна сказано: «Ее останки, череп и кости, но не все были вручены ее сыну в 1628 году португальцами, отцами Августинцами Амброзио дос Анжосом и Педро дос Санктосом».

Часть останков царицы Кетеван находится в Гоа в монастыре да Граса. Говоря об останках св. отца Гильэрма, Р. Гульбенкян пишет, что «часть тела была перевезена в Испаган, затем в Гоа, ее поместили в гробницу из черного камня в капители монастыря да Граса вместе с костями пионера миссии в Испогане отца Фр. Йеронимо да Круз и царицы Кетеван».

До сих пор было известно, что одну часть останков царицы Кетеван португальские миссионеры привезли и вручили в г. Гори ее сыну Теймуразу I. Но о других частях останков существовали разные мнения: одни предполагали, что их повезли в Европу и поместили в одном из монастырей в Наморе (Бельгия), другие предполагают, что их поместили в Риме в храме св. Петра. Однако ни там, ни тут подтверждающих фактов не нашли. Поэтому в книге Р. Гульбенкяна указание на то, что часть останков замученной в Ширазе царицы Грузии Кетеван хранится в монастыре да Граса в Гоа (Индия), заслуживает внимания.

В книге Р. Гульбенкяна опубликованы рисунки, связанные с мученичеством в Ширазе царицы Кетеван. На общем фоне даются три сцены: слева царица Кетеван среди португальских св. отцов в момент обращения в католичество; в центре мученичество царицы Кетеван и справа св. отец Амброзио дос Анжос вручает останки царицы Кетеван ее сыну — царю Теймуразу I в г. Гори в 1628 г. Далее в книге помещены рисунки, где все эти же сцены даются в более крупном плане. Эта мозаика, которую автору удалось обнаружить на стенах бывшего монастыря да Граса в Лисабоне, до сих пор не была известна.

დ ი ს კ უ ს ი ა დ ა გ ა ნ ს ი ლ ვ ა

ბამოსმაურება პროფ. ირ. ანთელავას წერილზე „ცვლილებები XVIII საუკუნის საქართველოს ფეოდალურ მიწათმფლობელობაში“¹

ნაშრომი ფრიად საყურადღებო საკითხს ეხება: სასაქონლო მეურნეობის განვითარებასთან დაკავშირებით ნასყიდობის ინსტიტუტის განხორციელებას XVIII საუკუნის საქართველოში. ფეოდალური საზოგადოების საფუძველი მიწაზე საკუთრების უფლებაა. საკუთრების იერარქიული ხასიათი განსაზღვრავს ფეოდალური საზოგადოების პოლიტიკურ ორგანიზაციას. მიწის ფეოდალურ საკუთრებაში მომხდარი ცვლილებანი საბოლოო ჯამში იწვევენ ფეოდალური საზოგადოებისა და მისი პოლიტიკური ორგანიზაციის შესაბამის ცვლილებებს, გარდაქმნებს.

ავტორი აღნიშნავს, რომ მიწის ყიდვა-გაყიდვაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ გლეხები; ამასთანავე მკითხველის ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ XVIII საუკუნის II ნახევარში გლეხები უფრო მეტად ყიდულობდნენ მიწებს, ვიდრე ფეოდალები, რაც იმის დამადასტურებელი უნდა იყოს, რომ ფეოდალური საზოგადოების საფუძვლები ირყევა, ირღვევა.

ამასთან დაკავშირებით ისმის კითხვა: მიწის ყიდვა-გაყიდვაში როგორ მონაწილეობდნენ გლეხები, როდესაც ისინი ყმები იყვნენ, ხოლო ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით, „ყმისა ყველაფერი ბატონისა არის“ (მუხ. 258), გლეხების სხვადასხვა კატეგორიები არსებობდა, იყო თავისუფალი გლეხების კატეგორიაც, მაგრამ გლეხების ასეთი ფენა უფრო გარდამავალი საფეხურის იყო და ამიტომ მიწის ყიდვა-გაყიდვაში მათ მონაწილეობას არ ჰქონდა დიდი მნიშვნელობა.

ირ. ანთელავა ასაბუთებს, რომ სწორედ ყმა გლეხები იყვნენ მიწის ყიდვა-გაყიდვის მონაწილენი. რასაკვირველია, გლეხი — შეზღუდული იყო როგორც სამოქალაქო ბრუნვის მონაწილე, როგორც სამართლის სუბიექტი, მას ნასყიდობის ხელშეკრულებაში მონაწილეობის მიღება შეეძლო მხოლოდ ბატონის ნებართვით და ეს გარემოება აღნიშნულია კიდევ ვახტანგის სამართლის წიგნში (მუხ. 160, 163). მიუხედავად ამისა, როგორც წყაროებიდან ირკვევა, გლეხების მიერ მიწაზე ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დადებას XVIII საუკუნეში მასიური ხასიათი მიუღია. იგი მართებულად ასაბუთებს, რომ XVIII საუკუნის მასალების მიხედვით საწარმოო ძალთა განვითარება იქით მიდის, რომ გლეხების მონაწილეობა მიწების ყიდვა-გაყიდვაში თანდათანობით იზრდება.

¹ „მაცნე“ ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1972, № 1, გვ. 95.

თავისთავად, უადრესად მნიშვნელოვანია ნაშრომი იმ მხრივ, რომ მასში წამოყენებულია პრობლემა XVIII საუკუნეში საქართველოს ეკონომიური განვითარების ძირითადი მიმართულების შესახებ, ე. ი. თუ საით და როგორ მიმდინარეობს საზოგადოების განვითარება, მაგრამ კიდევ უფრო საყურადღებოა, რომ საინტერესო პრობლემის გადაწყვეტას ავტორი ცდილობს ციფრობრივი მასალის მონაცემების მიხედვით. ეს მეთოდი პირველად ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში მის მიერ არის გამოყენებული აღნიშნული მნიშვნელოვანი პრობლემის შესასწავლად. მას კოლოსალური შრომა ჩაუტარებია, ყოველმხრივ შეუსწავლია 2390 ნასყიდობის სიგელი. დაწვრილებით შეუსწავლია და დაუდგენია ხელშეკრულების მხარეები, მათი ვინაობა (საზოგადოების რომელ ფენას ეკუთვნიან ისინი). ამ სკრუპულოზური შრომის შედეგად მას შეუდგენია ცხრილი, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ XVIII საუკუნის პირველ ნახევარში გამოყიდველთა 49,4 პროცენტი ფეოდალია, ხოლო გლეხი — 50,6. ამავე ხანებში მყიდველები პროცენტულად ასე წარმოგვიდგება: ფეოდალები — 53,3, გლეხები — 46,7 პროცენტი. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში (1751—1800 წწ.) სურათი იცვლება: გამყიდველთა შორის 52,2% ფეოდალია, ხოლო 47,8% — გლეხი, მყიდველია: ფეოდალი — 35,6%, გლეხი — 64,4 პროცენტი.

ყურადღებას იქცევს ის მკვეთრი განსხვავება, რომელიც არის XVIII ს. პირველსა და მეორე ნახევარს შორის: მეორე ნახევარში მიწის მყიდველებში იზრდება მიწის მყიდველ გლეხთა რიცხვი და ფეოდალ მყიდველთა რიცხვი კი მცირდება, სამაგიეროდ იზრდება მიწის გამყიდველ ფეოდალთა რიცხვი.

საინტერესოა, აგრეთვე, ნაშრომში მოყვანილი მეორე ცხრილი, რომელშიც ნაჩვენებია, რომ 60%-ზე მეტი მიწის თითოეული ნაკვეთი, რომლებიც ყიდვა-გაყიდვის ობიექტი იყო, 2 დღიურს არ აღემატებოდა.

მეორე ცხრილის მონაცემები წარმოადგენს პირველი ცხრილის მაჩვენებლების დასაბუთებას: თუ პირველ ცხრილში ჩვენ ვხედავთ გლეხების მზარდ მონაწილეობას მიწების შესყიდვაში, მეორე ცხრილში ასახულია ეს მონაწილეობა იმით, რომ გაყიდული მიწების უმრავლესობა წვრილი ნაჭრების სახით არის წარმოდგენილი, რაც ისტორიული ვითარების სავსებით შესაბამისია, რამდენადაც გლეხობა შეიძლებოდა მხოლოდ მიწის წვრილი ნაჭრების მყიდველები ყოფილიყვნენ.

ავტორი, აგრეთვე, ჩერდება აღნიშნული ცხრილების შედგენის სიძნელებზე. მრავალი შემთხვევითი გარემოება არის მხედველობაში მისაღები ცხრილის მაჩვენებლების გამოყვანისას, მაგრამ, ავტორის მართებული თქმით, 2390 ნასყიდობის დოკუმენტის შესწავლა „საკმარისია იმისათვის, რომ მკვლევარმა სათანადო, მიახლოებითი დასკვნები მაინც გააკეთოს“. ეს მოსაზრება სავსებით დამაჯერებელია.

დასკვნა: ავტორს საინტერესო მეთოდით, საყურადღებო პრობლემა გადაუწყვეტია; შეიძლება ითქვას, რომ ამ გზით საკითხის შესწავლა ყველაზე საიმედო საშუალებაა და შრომა ყოველმხრივ მაღალ შეფასებას იმსახურებს.



მარქსიზმის კლასიკოსები მსოფლიო კაპიტალიზმის ისტორიას XVI საუკუნიდან იწყებენ, მაგრამ იმასაც აღნიშნავენ, რომ ყველა ქვეყანა ერთდროულად არ გადასულა ახალ ფორმაციაზე, რომ თითქმის ყველა რეგიონში არსებობდა კაპიტალიზმის ჩასახვა-განვითარების სპეციფიკური პირობები.

საბჭოთა ისტორიული მეცნიერების ამოცანაა დაადგინოს რუსეთის იმპერიის კაპიტალიზმის ადგილი მსოფლიო კაპიტალიზმის სისტემაში. ხოლო ეროვნულ რესპუბლიკათა ისტორიკოსები, ამასთან ერთად, სწავლობენ ამ ფორმაციის ადგილობრივ თავისებურებებს.

კაპიტალიზმის გენეზისის პრობლემა აქტიურად დგას ქართველი საბჭოთა ისტორიკოსების წინაშე. როდის დაიწყო კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვა, რა სტადიები გაიარა და როდის მიაღწია გაბატონებულ მდგომარეობას ახალმა საზოგადოებრივმა წყობილებამ, რა თავისებურებით ხასიათდება კაპიტალიზმის განვითარების პროცესი საქართველოში — ეს საკითხები საკმაო ხანია იპყრობს ქართველ ისტორიკოსთა ერთი ნაწილის ყურადღებას.

ნ. ბერძენიშვილის, გ. ნათაძის, ს. კაკაბაძის, ა. როგავასა და სხვათა ნაშრომებში გამოთქმულია მოსაზრება, რომ XVIII საუკუნის საქართველოში უკვე არსებობდა კაპიტალისტური ურთიერთობის ჩანასახები. ნ. ბერძენიშვილი ამ დასკვნამდე მიიყვანა სამღებროების სოციალ-ეკონომიური ხასიათის შესწავლამ, გ. ნათაძე — რამდენიმე მემამულური მეურნეობის ანალიზმა, ა. როგავა — ზედნაშენურ კატეგორიებზე (სახელმწიფო წყობილება, სამართალი) დაკვირვებამ და სხვ. მაგრამ ეს თვალსაზრისი ჯერ კიდევ არა საკმარისად დასაბუთებულ პიპოთეზად ითვლება. ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, მასალამდებელია ი. ანთელავას დასახელებული ნაშრომის გამოსვლა.

XVIII საუკუნის საქართველოს ფეოდალური მიწათმფლობელობის მდგომარეობა, მისი ევოლუცია კაპიტალიზმის გენეზისის პრობლემასთან კავშირში, აქამდე არავის გაუხდია სპეციალური კვლევის ობიექტად. ამიტომ გასაგებია, რომ ი. ანთელავას, შეიძლება ითქვას, ყამირის გატეხა მოუხდა.

საკვლევი საკითხის გარშემო მეტად მწირი პირველწყაროები არსებობს. შემორჩენილია თითქმის მხოლოდ მიწის ნასყიდობის სიგელები და ისინიც ყოველთვის როდი იძლევიან მყიდველისა და გამყიდველის სოციალური ვინაობის დადგენის შესაძლებლობას. ი. ანთელავას ძალიან შრომატევადი საქმიანობა ჩატარებია საქართველოს სახელმწიფო ისტორიული არქივისა და ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებზე, გადმოუწერია და შეუსწავლია 2390 ნასყიდობის სიგელი.

აღნიშნული დოკუმენტების საფუძველზე ავტორმა შეადგინა ბევრისმთქმელი ცხრილი, საიდანაც კარგად ჩანს ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების მასშტაბი საერთოდ და მასში მონაწილე სოციალური ფენების ვინაობა, კერძოდ, XVIII საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში, ავტორის დაკვირვებით, თითქმის არ შეიმჩნევა ფეოდალური მიწათმფლობელობის შემცირებისა და უწოდებრივ მიწათმფლობელობაზე გადასვლის ტენდენცია. საუკუნის მეორე ნახევარში კი საგრძნობ ძვრებს აქვს ადგილი — თავადაზნაურობა გაცილებით მეტ მიწას ყიდის და ნაკლებს ყიდულობს. გლეხობა კი, პირიქით, თანდათან აფართოებს საკუთარი მიწის ფონდს. ნაყიდი საკუთრება ხელშეუხებელი იყო. მას ქართული ფეოდალური სამართალი იცავდა. ამიტომ, როგორც მართებულად დაასკვნის

ავტორი, გლახობა ყოველგვარ საშუალებას მიმართავდა მიწის ყიდვისათვის. „ამით იგი ცდილობდა თავი დაედგინა მიწით მომარაგების ფეოდალურ-ბატონყმური წესისაგან და გამხდარიყო დამოუკიდებელი მეურნე“ (გვ. 106). რამდენადაც ფეოდალის მიწაზე საკუთრების უფლება შეადგენდა ბატონყმობის ერთ-ერთ მთავარ საფუძველს, ყმაგლეხთა მცირე ნაწილის მესაკუთრედ გადაქცევაც კი ფეოდალური მიწათმფლობელობისა და ბატონყმური ურთიერთობის კრიზისის დაწყების მაჩვენებელი იყო.

ჩვენ ვეთანხმებით ი. ანთელავას ნაშრომში გატარებულ მაგისტრალურ ხაზს, მის ძირითად დასკვნას, მაგრამ გვაქვს ორიოდ შენიშვნა და სურვილი.

1. ავტორი მართებულად აღნიშნავს, რომ XVIII ს. პირველ ნახევარში არ შეიმჩნეოდა უწოდებრიო მიწათმფლობელობაზე გადასვლის ტენდენცია, გლეხები და ფეოდალები თითქმის თანაბრად მონაწილეობდნენ მიწის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებში. მაგრამ ამ მოვლენას აქვს, აგრეთვე, მეორე მხარე, რაც ნაშრომში უყურადღებოდაა დატოვებული. ავტორს უნდა აღენიშნა, რომ მამულების ამოძრავება, თავადაზნაურთა აქტიური მონაწილეობა მიწის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებში საგვარეულო მიწათმფლობელობის კრიზისის მაჩვენებელია. თანდათან იზრდებოდა მემამულურ მიწათმფლობელობაში ნასყიდი, სათავისო ადგილ-მამულის ფართობი, ძლიერდებოდა საკუთრების ინდივიდუალიზაციის პროცესი, რაც ფეოდალიზმის უფრო მაღალ საფეხურზე ასვლის მაუწყებელი იყო. ეს კი თავის მხრივ ხელს უწყობდა მეურნეობის რაციონალიზაციას, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარებას და მიწის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების კიდევ უფრო გაფართოებას.

2. ი. ანთელავა აღნიშნავს, რომ მან ყურადღება მიაქცია მამულების ყიდვა-გაყიდვის პროცესს, ყმა-მამულის ერთად გაყიდვის ფაქტები კი უყურადღებოდ დატოვა, რადგან მისი აზრით, ყმაგლეხის გაყიდვის დროს მყიდველად, როგორც წესი, ფეოდალი იგულისხმება და ამდენად, მიწათმფლობელობასა და სოციალურ ურთიერთობაში არავითარი ცვლილება არ ხდება. პატივცემულ ავტორს მხედველობიდან გამორჩა ის გარემოება, რომ XVIII ს. საქართველოს ფეოდალური სამართალი არც ვაჭარსა და გლეხს უკრძალავდა ყმა-მამულის ერთად ყიდვას. XVIII—XX სს. მიჯნაზე საქართველოში საკმაოდ დიდწილი იყვნენ ყმა-მამულიანი ვაჭრები და გლეხები. ამდენად, ძირძველი თავადაზნაურობის მონოპოლიას ყმა-მამულის მფლობელობაზე ამ მხრივაც ემუქრებოდა საფრთხე, ესეც გარკვეული ცვლილებების მაუწყებელი მოვლენაა.

3. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანა მეტ-ნაკლები მასშტაბით მიწის საკუთრების მონოპოლიასთან ერთად იცნობს მიწის როგორც მეურნეობის ობიექტის მონოპოლიასაც. ინგლისში, მაგალითად, ლენდლორდებმა მიწის საკუთრების მონოპოლია XX ს-მდე შეინარჩუნეს, მაგრამ მიწაზე მეურნეობის წარმოების მონოპოლია ჯერ კიდევ XVI—XVIII სს-ში დაუთმეს ბურჟუა მოიჯარეებს, ფერმერებს. პრუსიაში ორივე სახის მონოპოლიას მემამულეები ინარჩუნებდნენ. როგორი იყო ვითარება XVIII ს-ის საქართველოში? სასურველი იყო ავტორს გამოერკვია მიწის იჯარით გაცემის როლი მემამულურ მეურნეობაში და იჯარით აღებული მიწის მნიშვნელობა გლეხური და სხვა ტიპის მეურნეობისათვის.

4. ავტორი ნაშრომის ერთ ადგილას, თითქოს სხვათა შორის, წერს, რომ ხშირად მიწის გაყიდვას წინ უძღოდა მისი დაგირავებაო. მაგრამ, სამწუხარ-

როდ, გამოკვლევაში ეს მოვლენა გაშუქებული არ არის. სასურველი იყო ავტორს შეესწავლა მეცახშეობა და მასთან მიმართებაში მიწის დაგირავების პროცესი. ამით იგი, შესაძლოა, დამატებით მასალას მიიღებდა ფეოდალური საკუთრების დაწყებული რღვევის საილუსტრაციოდ.

შენიშვნების ერთი ნაწილი, ალბათ, იმითაა განპირობებული, რომ განსახილველი გამოკვლევა უფრო ვრცლად მოფიქრებული ნაშრომის ნაწილია. გაგრძელებაში, იმედია, ავტორი შეავსებს ამ ხარვეზს. უკვე გამოქვეყნებული გამოკვლევა კი მაღალ მეცნიერულ და თეორიულ დონეზეა შესრულებული. ავტორმა თითქმის სრულიად დაუმუშავებელ პრობლემას მოჰკიდა ხელი, ბევრი ახალი მასალა შემოიტანა სამეცნიერო ბრუნვაში, საყურადღებო მოსაზრებებით და დასკვნებით გაამდიდრა ჩვენი ცოდნა XVIII ს-ის საქართველოს მიწათმფლობელობის ხასიათზე. ი. ანთელავას ეს გამოკვლევა დამაჯერებლობას მატებს თეზისს XVIII ს-ის საქართველოში კაპიტალისტური ურთიერთობის ჩანასახების არსებობის შესახებ.

ალექსანდრე გენდიანიშვილი

* * *

გესურს გამოვთქვათ ზოგიერთი მოსაზრება პროფ. ირ. ანთელავას სადისკუსიო სტატიის ძირითადი დებულებების შესახებ. სარეცენზიო ნაშრომის განხილვის წესით წარმოდგენა, აპრიორული მოსაზრებებისაგან თავშეკავება, მთავარი დასკვნების ნაკლებად კატეგორიულობა, უკვე თავისთავად საკმაოდ, ხაზგასმით მიუთითებს საკვლევი პრობლემის სირთულეზეც და მისი დამუშავებისას სიფრთხილის აუცილებლობაზეც. ალბათ, ამიტომაც ირ. ანთელავას მსჯელობა მეტად თავისებურად აგებული. აქ წინ წამოწეულია ფაქტობრივი მასალა, მშრალი მეცნიერული სტატისტიკა, რომელსაც დასმული საკითხის გადაჭრაში განმსაზღვრელი ფუნქცია აქვს დაკისრებული. უმთავრესი დასკვნები (მათ ავკარგიანობაზე დაწვრილებით შევჩერდებით ქვემოთ) გამომდინარეობს სწორედ ამ ფაქტობრივი მასალიდან. ირ. ანთელავა ახდენს მის ილუსტრირებას, თეორიული განზოგადება უფრო მოგვიანებით იწყება, მაგრამ ეს ინტერპრეტაცია უკვე ილუსტრირებული (და ამდენად ფაქტობრივი) შედეგის შესაძლებლობის დამტკიცებისათვის სჭირდება უფრო, ვიდრე თვით მიღებული შედეგის გამოკვეთილად ჩვენებისათვის (შედეგი უდავოა, ფაქტია „მამულების ამოძრავება“). ერთი სიტყვით, ირ. ანთელავას სადისკუსიო სტატიის დედააზრს წარმოადგენს მტკიცება, რომ XVIII საუკუნის II ნახევარში საქართველოში (ქართლ-კახეთის სამეფოში) დაიწყო ფეოდალიზმის რღვევისა და ახალი საზოგადოებრივი წყობილების (კაპიტალიზმის) ჩასახვა--განვითარების ნელი, მაგრამ დაჟინებითი პროცესი.

სანამ შევეჩებოდეთ თვით ამ სტატიის ძირითად მიზანდასახულობას და ავტორის მიერ შემოთავაზებული კვლევის ორიგინალურ მეთოდს, საჭიროა გავერკვეთ, როგორ განიხილავს ქართული ისტორიოგრაფია ჩვენთვის საინტერესო პრობლემას და საერთოდ დასაშვებია თუ არა მძაფრი სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიური კრიზისის პირობებში პროგრესული ცვლილებები სამეურნეო ცხოვრებაში.

საქართველოში ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის რღვევისა და წარმოების კაპიტალისტური წესის განვითარების ნიშნების გამოვლენა და მეც-

ნიერული დამუშავების დასაწყისი აკად. ნ. ბერძენიშვილის სახელს უკავშირდება. რასაკვირველია, ეს სრულიადაც არ ნიშნავს, თითქოს აღნიშნული საკითხები სხვებს შეუღმნეველი დარჩათ. პირიქით, საკმაოდ ბევრს ლაპარაკობდნენ საქართველოში კაპიტალიზმის გენეზისზე მკვლევარი ზაქარია ჭიჭინაძე, პროფესორები სარგის კაკაბაძე, გიორგი ნათაძე, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი აპ. როგავა, მაგრამ მათი მოსაზრებანი ან ევროპული ქვეყნების ეკონომიური განვითარების ანალოგიით გაკეთებული წინასწარული დასკვნებიდან ამოდიოდა, ან „სავაჭრო კაპიტალიზმისათვის“ დამახასიათებელი ზოგიერთი ნიშნის წინწამოწევიდან, არსად ჩანდა კაპიტალისტური წარმოების წესის დანერგვის საილუსტრაციო მასალა. ზ. ჭიჭინაძე მიუთითებდა მხოლოდ ერეკლე II-ის ცდებზე: რომ სომეხი ნეგოციანტების მეშვეობით მოეწყო ევროპული ტიპის საწარმოები. ს. კაკაბაძე და გ. ნათაძე წარმოების სპეციფიკური კაპიტალისტური წესის ჩვენების გარეშე დაჯერებით მიუთითებდნენ მხოლოდ ტეხილზე, რომლითაც XVIII საუკუნეში აღ. საქართველო მთლიანად გაემიჯნა შუა საუკუნეებს. აპ. როგავას გაზვიადებული მსჯელობა „ახალი საქართველოს“ (ბურჟუაზიული) საქართველოს შესახებ ზედნაშენური კატეგორიების არც თუ მთლად მართებული ინტერპრეტაციითაა შეპირობებული და, რასაკვირველია, დასმული საკითხის სრულყოფილად გადაჭრისათვის სრულიადაც არაა საკმარისი.

აკად. ნ. ბერძენიშვილმა აღწერა და განაზოგადა კაპიტალისტური წარმოების არსებობის ფაქტი XVIII საუკუნის საქართველოში („სამღებროთა შესახებ XVIII ს. საქართველოში“). შემდეგში ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატმა დ. გოგოლაძემ, იგივე წესი საკმაოდ დამაჯერებლად დაადასტურა XVIII ს. საქართველოს სამთამადნო და სამთო-საქარხნო წარმოების შესწავლის ნიადაგზე.

მაგრამ ქართული ისტორიოგრაფია უკანასკნელ ხანამდე თითქმის არ შეხებია მიწაზე კერძო საკუთრების ევოლუციის პრობლემას, რაც, ჩვენი აზრით, თვით საზოგადოებრივ-ეკონომიური ცხოვრების გარდაქმნის ერთ-ერთი, მაგრამ თითქმის უმთავრესი საფუძველია. არ ვდაობთ, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს წარმოების (ძირითადად, მრეწველობის) გაღრმავება-განვითარების პროცესის განმსაზღვრელ ტენდენციასაც, მაგრამ უფრო ხშირად კაპიტალისტური წესის დანერგვა რეწვაში ყოველთვის არ მიგვიითებს სამეურნეო-ეკონომიური ცხოვრების ბუნებრივი წინსვლის ხასიათზე, არც თუ იშვიათად ასეთი მოვლენები (სამთო მრეწველობის გაჩენა, მეტალურგიის ჩასახვა, დაქირავებული შრომის გამოყენება და სხვ.) იმის კლასიკური მაგალითია, როგორ მოქმედებენ ზედნაშენური კატეგორიები ბაზისზე. ცნობილია, რომ პოლიტიკური მოტივებით დაჩქარებული სახელმწიფოებრივი პროტექციონიზმი და მერკანტილიზმი ხელოვნურად ქმნის, ამტკიცებს, ავითარებს (ქვეყნის სამხედრო-ეკონომიური პოტენციალის სწრაფად ასამაღლებლად) ახალ საწარმოებს წარმოების თვისებრივად ახალი წესით, ქმნის მათ ზოგჯერ თვით ფეოდალური სახელმწიფოს სოციალური საყრდენის საწინააღმდეგო თვისებრიობითაც კი. პრაქტიკული აუცილებლობიდან გამომდინარე ასეთმა ნაბიჯებმა შემდეგში, შესაძლებელია, ახლა უკვე სოციალ-ეკონომიური შინაარსით, თვითონვე შეუტიონ მასაზრდოებელ საფუძველს — ფეოდალურ მონარქიას, მაგრამ დასაწყის ეტაპზე მაინც ზევიდანაა დანერგილი, იძულებითი, ხე-

ლოგნური და საკმაოდ სუსტია. ეს უდავო შემთხვევა (პოლიტიკური კრიზისიდან თავდაღწევის საშუალებად სოციალ-ეკონომიური პროგრესის გამოყენება), სამწუხაროდ, დაეწეებოდა. სწორედ ეს იწვევს გაუთავებელ კამათს კაპიტალისტური წყობის ჩანასახების გაჩენის ქვედა ქრონოლოგიური საზღვრის შესახებ. დაუდგენელია, საიდან შეიძლება ამ პროცესის თვალის მიდევნება: XIII საუკუნის I მეოთხედიდან, XVIII საუკუნის II ნახევრიდან თუ XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან? თავისთავად ამ სამი კონკრეტული პერიოდის გამოკვეთა გარკვეულად საკითხისადმი რეალური მიდგომის ანარეკლია. მეფეთ მეფე თამარის ეპოქა ლოგიკურად გულისხმობდა შესაბამის განვითარებას. საქართველო ბუნებრივად უნდა მისულიყო სამეურნეო ცხოვრებაში ახალი ნიშნების გაჩენამდე, მაგრამ ისტორიულმა ძნელებდობამ (საგარეო ფაქტორი) შეაჩერა ეს პროცესი და ხანგრძლივი ჩიხი (სტაგნაცია) გამოიწვია...

მაგრამ დავუბრუნდეთ XVIII საუკუნეს. რა მოხდა ამ დროს? აღმოსავლეთ საქართველოს გაერთიანება და შედარებითი ეკონომიური აღმავლობა დამთავრდა ასევე შედარებითი პოლიტიკურ სტაბილიზაციას, რამაც გარკვეული შედეგებიც გამოიღო. მაგრამ მთავარი ეს როდი იყო (პოლიტიკური სტაბილიზაცია აღინიშნებოდა XVII საუკუნის შუალედში უფრო მყარი ეკონომიური აღმავლობის პირობებშიც) — მთავარი ის იყო, რომ XVIII საუკუნეში განვითარებამ თვისებრივი სიახლის ხასიათი შეიძინა...

საინტერესოა, არის თუ არა რაიმე კავშირი XVIII საუკუნის საქართველოს ეკონომიურ განვითარებასა და XIX საუკუნის 30-იანი წლების სოციალურ ძვრებს შორის? ალბათ, ოღონდ ძალზე სუსტი და მცირე. XVIII საუკუნეში ეროვნული სახელმწიფო ჰქმნიდა ეროვნულ პოლიტიკურ პერსპექტივას და ხელს უწყობდა ეროვნული ეკონომიკის გარდაქმნასაც. („ეროვნული“ თავისთავში არ გულისხმობს მხოლოდ ეთნიკურად ერთგვაროვანს, ქართული სახელმწიფოებრიობის პირობებში არაქართული წარმოშობის ელემენტების მაღალი პროცენტი წარმოებაში თვით წარმოების ეროვნულ შინაარსს არაფერს აკლბდა), ეროვნული სახელმწიფოებრიობის გაქრობამ თითქმის გააქრო ეს ტენდენცია. ეს პროცესი შესანიშნავად გამოიხატა როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში. რუსეთთან შეერთების პირველ ეტაპზე სოციალური პროგრესის თვალსაზრისით საქართველო გარეგნულად, პირიქით „უკან წავიდა“, განმტკიცდა ბატონყმობა, ეს იმიტომ, რომ არავითარ „გარდამავალი ხანა“ (აბ. როგავა) XVIII საუკუნის საქართველოში არ არსებობდა, იყო მხოლოდ სამეფო ხელისუფლების ცდა ქვეყნის ფინანსების მოწესრიგების მიზნით მრეწველობის აღმავლობისა... სამეფოს დაცემას თან გადაჰყვა ეს „პროგრესიც“.

XIX საუკუნეში განვითარების სრულიად განსხვავებული, ახალი შინაარსით და ახალი პირობებით ამოზრდილი, უკვე მყარი და უწყვეტი ტენდენცია იწყება. უბრალოდ უკვე რუსეთის ერთ-ერთ რიგით პროვინციად გარდაქმნილი საქართველო აიყოლია მეტროპოლიამ, რუსეთის იმპერიის მასშტაბით მიმდინარე პროცესმა კავკასიის ქედიც გადმოლახა. XIX საუკუნეში არ შეიძლება უშუალოდ გაგრძელებულიყო XVIII საუკუნის განვითარება. პირიქით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დასაწყისში რუსეთმა შეაფერხა კიდევაც ფეოდალური რღვევა, მოსახლეობის სოციალური დიფერენციაციის პროცესს დაუ-

პირისპირდა ეკონომიური დასაქმებულობის პოლიტიკა. ცალკეულ ეთნიკურ ჯგუფებს სოციალური წრის ფუნქცია დაეკისრა¹.

ირ. ანთელავამ ამჯერად გვერდი აუარა ამ საკითხებს². სამაგიეროდ, მან წინ წამოსწია უფრო ძირითადი საკვლევი ობიექტი — ქართული სოფელი, მიწათმფლობელობა, ფეოდალური ურთიერთობის საფუძველთა საფუძველი. ეს იმიტომ, რომ „ფეოდალური წყობილება იშლება იქ და მაშინ, სადაც და როდესაც მიმდინარეობს მისი ეკონომიური საფუძვლის, მიწაზე ფეოდალის მონოპოლიური მფლობელობის, მოშლისა და უწოდებრივო (ბურჟუაზიული) საკუთრების განვითარების მეტ-ნაკლებად საგრძნობი პროცესი“³. სწორედ ამ პროცესის ჩვენება-განალიზების ერთ-ერთი პირველი ცდის პრიორიტეტი თანამედროვე ისტორიოგრაფიაში, უდავოდ, ეკუთვნის ირ. ანთელავას (აღნიშნული საკითხებით 30-იან წლებში დაინტერესდა გ. ნათაძე, მაგრამ მისი ნაშრომი დაუმთავრებელი და რატომღაც დავიწყებულიც დარჩა).

საკვლევი ობიექტის ძირითადობა თავისთავად განსაზღვრავს სარეცენზიო ნაშრომში განხილული პრობლემის მნიშვნელობას. მხოლოდ სოფლის მეურნეობაში მომხდარი ცვლილებების ხარისხით არის შესაძლებელი საქართველოს მთელი სოციალ-ეკონომიური ცხოვრების წინაარსის შეფასება. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, თუ ირ. ანთელავა დაასაბუთებს, რომ შერყეულია ფეოდალური საკუთრება მიწაზე, დაწყებულია ნატურალური მეურნეობის გარდაქმნა სასაქონლო მეურნეობად (საბაზრო პროდუქციის მაწარმოებელ მსხვილ რაციონალურ მეურნეობებად), მაშინ თავისთავად უნდა დავადასტუროთ, რომ დაწყებულია ძველი ფორმაციის (ფეოდალიზმის) საწინააღმდეგო და ახალი ფორმაციის (კაპიტალიზმის) მასაზრდოვებელი მოვლენები. მაგრამ როგორ უნდა გაირკვეს, „პირდაპირი ცნობების შემცველი წყაროების თითქმის სრული უქონლობის“⁴ პირობებში, ამ უძნელესი საკითხების მოელი წყება? ირ. ანთელავამ აირჩია შეიძლება არცთუ მთლად მოხერხებული და საიმედო, მაგრამ დაახლოებით რეალური დასკვნების მისაღებად საკმარისი და, რაც მთავარია, თითქმის ერთადერთი გზა — საფუძვლიანად შეისწავლა მიწის ნასყიდობის სიგელები (სულ შეისწავლა 1700—1800 წწ. 2 390 სიგელი). სწორედ კვლევის ამ ორიგინალური მეთოდის მომარჯვებით იქნა მიღებული მეტად საინტერესო სურათი:

¹ ჰიპოთეზური სახით წარმოდგენილი ჩვენს ზემოთ მოყვანილი დებულება პრინციპში ეწინააღმდეგება ქართული ისტორიოგრაფიის (გ. ნათაძე, ნ. ბერძენიშვილი და სხვ.) თითქმის ერთობლივ მტკიცებას, რომ XVIII ს-ნის სამეურნეო ცხოვრების ახალმა ნიშნებმა უშუალო გაგრძელება ჰპოვეს XIX საუკუნეში. ამ მოსაზრებებს და მათ შემამაგრებელ არგუმენტაციას ჩვენ ვიცნობთ.

რასაკვირველია, არ შეგვიძლია უარყოთ, რომ XVIII ს-ნის ზოგიერთ სოციალურ „ძვრებს ეკონომიკაში“ გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდათ შემდგომ ეტაპზეც. მაგრამ, ჯერ ერთი, ეს მნიშვნელობა არ გაცილებია ზედაპირულ ხასიათს. ქვეყანამ უფრო რაციონალური წარმოების პრაქტიკა და გამოცდილება შეიძინა მხოლოდ, ეს იყო და ეს! მეორეც, თავისთავად „სიახლეც“ საგრძნობლად სუსტი იყო და უმეტესად ზელოვნურად ზევიდან დანერგილი. ე. წ. კაპიტალისტური „უქონლის“ ჩამოყალიბებაში მას თითქმის არავითარი როლი არ შეუსრულებია.

² ეს, ალბათ, აიხსნება იმით, რომ ირ. ანთელავას სტატია მხოლოდ ნაწილია მომავალი ვრცელი მონოგრაფიისა. „ცვლილებები XVIII საუკუნის საქართველოს სოფლის სოციალ-ეკონომიურ ცხოვრებაში“.

³ ირ. ანთელავა, ცვლილებები XVIII, საუკუნის საქართველოს ფეოდალურ მიწათმფლობელობაში, „მაცნე“, ისტორიის..., სერია, 1972, № 1, გვ. 95.

⁴ იქვე, გვ. 96.

9. „მაცნე“, ისტორიის... სერია, 1974, № 1.

1. XVIII საუკუნეში მასობრივი ხასიათი მიიღო მიწების ამოძრავებამ;
2. XVIII ს-ნის I ნახევარში მიწის გამყიდველთა რიცხვში აშკარად ჰა-
ბობს გლეხური ნაწილი (გაყიდვის აქტებიდან 50,6% მოდის გლეხობაზე,
49,4% — ფეოდალებზე, ყიდვის აქტებში კი მათი ხვედრითი წონა შესაბამი-
სად 46,7% და 53,3%-ს უდრის);

3. XVIII ს-ნის მეორე ნახევარში კი პირიქითაა, გლეხობა „აშკარად
უტევს ფეოდალურ საკუთრებას“ (გაყიდვის აქტებში შემდეგი შეფარდებაა:
52,2% მოდის ფეოდალებზე, 47,8% გლეხებზე; ყიდვის აქტიდან 36,6% მო-
დის პირველზე (ე. ი. ფეოდალებზე) 64,4% მეორეზე (ე. ი. გლეხებზე).

4. გლეხობა თავადაზნაურობას უსწრებს შესყიდული მიწის ფართობის
ოდენობითაც...

ზემოთმოყვანილი მთავარი დასკვნები (უფრო სწორად ჩატარებული
კვლევის მთავარი შედეგები), უკვე სრულიად ბუნებრივად განსაზღვრავს ორ
მომდევნო დასკვნას:

5. გლეხობა „ყიდულობდა რა მიწებს საკუთრების უფლებით, იგი თავს
აღწევდა მიწით მომარაგების ფეოდალურ-ბატონყმურ საშუალებებს, ძირს
უთხრიდა ფეოდალის მონოპოლიურ მიწათმფლობელობას და ხელს უწყობდა
საკუთრების ახალი, ბურჟუაზიული ფორმის დამკვიდრებას, კაპიტალისტური
ურთიერთობის ჩასახვა-განვითარებას“⁵.

6. „ფეოდალური კლასის ერთი ნაწილის აქტიური მონაწილეობა მიწის
ყიდვის ოპერაციებში შეპირობებული იყო ფულადი-სასაქონლო ურთიერთო-
ბის განვითარებით... საბაზრო პროდუქციის დამამზადებელი მეურნეობების
მოწყობის ოცნებით...“, რაც თავისთავად ბიძგს აძლევდა „არსებული სო-
ციალ-ეკონომიური ფორმაციის საწინააღმდეგო მოვლენების განვითარებას“⁶.

ქეშმარიტად მნიშვნელოვანი, დამაფიქრებელი დასკვნებია, მაგრამ რო-
გორ შეიძლება შევაფასოთ ისინი? გვაქვს თუ არა საფუძველი ვირწმუნოთ მათი
დ ა მ ა ჯ ე რ ე ბ ლ ო ბ ა ?!

ზევით უკვე ხაზგასმით აღვნიშნეთ, რომ XVIII საუკუნის II ნახევარში
ცვლილებები საქართველოს სოციალ-ეკონომიურ ცხოვრებაში (ამეჟამად არა
აქვს მნიშვნელობა ამ ცვლილებათა ხარისხს, ოდენობას) სრულიად შე ს ა ძ-
ლ ე ბ ე ლ ი ა და თ ი თ ქ მ ი ს ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი ც კ ი. ასე რომ, ირ. ან-
თელავას ჰიპოთეზა ემყარება რეალურ ვითარებას, ე. ი. დასაშვებია აპრიო-
რული ლოგიკით, მაგრამ მკვლევარს ამჯერად აღარ აკმაყოფილებს ეს წინას-
წარული დაშვება (a priori). იგი ცდილობს დასაბუთოს, რომ დასკვნები გა-
მომდინარეობენ უტყუარი ფაქტებიდან, ე. ი. მათ აქვთ ცდისეული ხასიათი,

⁵ გლეხების მიერ მასობრივად მიწის შეძენა თავისთავად ადასტურებს არა კაპიტალისტური
ურთიერთობის ჩასახვა-განვითარების პროცესის დასაწყისს, არამედ ამ პროცესის შესაძლებლობას.
მთავარი ის კი არაა ვის ხელშია მიწა, მთავარია მისი დამუშავების წესის ხასიათი, აუცილებელია
ახლად შეძენილ მიწაზე წარმოების ახალი წესის ჩვენება, რაც XVIII ს-ნის მაგალითებზე მეტად
გაძნელებულია. ეს განპირობებულია წყაროთა სიმცირითაც და იმ ფაქტითაც, რომ გლეხთა მი-
წების დამუშავების (ისევე როგორც დამრგვალებული ფეოდალური მამულების) რაციონალური,
სასაქონლო სახე არ იყო გამოკვეთილი უკიდურესი პოლიტიკური დაძაბულობის ფონზე. მაგრამ
აშკარაა, რომ ამ პროცესის (ე. ი. მიწების ამოძრავების) შედეგები აუცილებლად იჩენდა თავს ხელ-
საყრელი პოლიტიკური სიტუაციის (მშვიდობიანი განვითარების) პირობებში, რაც შესანიშნავად
დადასტურდა კიდევაც XIX საუკუნეში.

⁶ იქვე, 110.

ამიტომაც საკითხის დედაარსი სწორედ იმის განსაზღვრაა, რამდენად სწორია ირ. ანთელავას კვლევის მეთოდი, რამდენად სანდოა მის მიერ მეცნიერულ ბრუნვაში შემოტანილი მასალა!

ჩვენი აზრით, სარეცენზიო ნაშრომი ამ თვალსაზრისითაც არ დგას ხელოვნურ საფუძველზე. რასაკვირველია, ჩვენ არ მიგვაჩნია, რომ ირ. ანთელავას გამოყენებული მეთოდი სრულიად უნაკლოა. პირიქით, უკვე მივუთითეთ, რომ იგი არც თუ მთლად მოხერხებულია. მაგალითად, როგორც თვით ავტორიც აღნიშნავს, შეუძლებელია მხოლოდ შემორჩენილმა საბუთებმა (თანაც ისეთ პირობებში, როდესაც ჭირს ხშირად ადრესატის სოციალური კუთვნილების გარკვევა), მოგვცენ მიწის ყიდვა-გაყიდვის მთელი პროცესის ზუსტი სურათი. ამავე დროს უფრო მეტად უნდა წამოწეულიყო პოლიტიკური მომენტის როლი. მიწების ამოძრავებას, ფეოდალური კლასის გულგრილობას მიწისადმი, ხშირად აპირობებდა პოლიტიკური ვითარების სიმწვავე. მაგალითად, XIII საუკუნის 50—60-იან წლებში მონღოლთა ბატონობის სიმძიმემ, მონღოლთა მიერ ფეოდალებისადმი წაყენებულმა საგადასახადო პასუხისმგებლობამ, ფასი დაუკარგა მიწას — საგადასახადო ერთეულს. ამ პოლიტიკურ სიტუაციას თან სდევდა გრანდიოზული „მამულების ამოძრავება“, მაგრამ არავის მოუვა აზრად ამ ფაქტში დაინახოს იმ პერიოდისათვის წარმოების ახალი წესის გამარჯვება. სასურველი იყო ირ. ანთელავას ყურადღება გაემახვილებინა ე. წ. თავდასწილობის სიგელებზეც, რათა თვალი გაგვედევნებინა გლეხთა პირადი განთავისუფლების პროცესისათვის. ეს თავისთავად გარკვეული საკონტროლო ორიენტირი იქნებოდა სარეცენზიო ნაშრომის ძირითადი დებულებების შესამოწმებლად. თუ მამულების ამოძრავებას ეკონომიური შინაარსი ჰქონდა, მაშინ მას გავლენა უნდა მოეხდინა ბატონყმობის სოციალურ სტრუქტურაზეც. მიწის შეძენის საქმეში გააქტიურების შესაბამისად უნდა გაზრდილიყო გლეხთა ლტოლვაც თავდასწი-საკენ.

ყოველივე ზემოაღნიშნული მაინც არ გვაძლევს უფლებას არ ვალიაოთ, რომ ირ. ანთელავას ნაშრომში ჩამოყალიბებული ძირითადი დებულებანი ნამდვილად გამომდინარეობენ მის მიერ შესწავლილი საბუთებიდან. ამ დებულებათა უარყოფა შესაძლებელია მხოლოდ ანალოგიური შრომატევადი სამუშაოს ჩატარების მეშვეობით. სხვანაირად კრიტიკას მყარი საფუძველი არ ექნება.

ოლღა სოსელია
ლოვარდი ტუხაშვილი

პ რ ი ტ ი კ ა დ ა ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

П. Н. ЛОМАШВИЛИ. ВЕЛИКИЙ ПЕРЕВОРОТ

Тбилиси, 1972

ქვეყნის პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების ურთიერთგადანასკვლავი პროცესების მეცნიერული გამოკვლევა როგორც მთლიანად სსრ კავშირის მასშტაბით, ასევე ცალკეული ეროვნული რესპუბლიკების მაგალითზე საბჭოური ისტორიული მეცნიერების უმნიშვნელოვანეს პრობლემატიკას განეკუთვნება. აღნიშნული პრობლემატიკის ერთ-ერთი შეუსწავლელი საკითხის — ამიერკავკასიის ფედერაციულ რესპუბლიკაში კულაობის როგორც კლასის ლიკვიდაციის ფართო ისტორიული გეგმით დასმა — შესწავლის წარმატებულ ცდად უნდა განვიხილოთ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ფარნაოზ ლომაშვილის გამოკვლევა, რომელიც ავტორმა სოციალიზმის აშენების ერთ-ერთი უბირველესი პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიური ამოცანის გადაწყვეტის მნიშვნელობის შესატყვისად „დიდი გადატრიალებით“ დაასათაურა. ეს ნაშრომი ავტორის მრავალწლიანი და ბევრთი კვლევითი უშაობის შედეგია.

ამთავითვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენს რეცენზიას არ შეიძლება ჰქონდეს სისტრულის პრეტენზია, შევეცდებით შეძლებისდაგვარად შევეხოთ ნაშრომში განხილულ იმ საკითხებს, რომლებიც თვით ავტორისავე შენიშვნით არასათანადოდ ან არასწორად არის გაშუქებული საბჭოურ ისტორიოგრაფიაში, წარმოადგინოთ, ჩვენი აზრით, უცილობელი ავტორისეული დებულებანი.

ყოველი შესასწავლი საკითხის სწორად დასმა, როგორც ცნობილია, განაპირობებს კვლევის შედეგსაც. ამიტომ ავტორი ეხება საკვლევი საკითხის სპეციალურად დაყენების მნიშვნელობას. მონოგრაფიის ეს ნაწილი მისი ისტორიოგრაფიული შესავალიცაა. ნაშრომის ამ ნაწილში გაშუქებულია ამიერკავკასიის ხალხების რევოლუციამდელი სოციალ-ეკონომიური და კულტურული განვითარების დონე, კერძოდ, კაპიტალიზმის გენეზისი, რომელსაც

უკავშირდებოდა ყოფილი რუსეთის ამა თუ იმ მხარის სპეციფიკური თავისებურებანი. მათ ყოველმხრივ და სწორად გათვალისწინებას კი გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა კომუნისტური პარტიის მიერ საბჭოთა ეროვნული რესპუბლიკების ფაქტობრივი ეკონომიური უთანასწორობის სალიკვიდაციოდ კონკრეტულ ღონისძიებათა შემუშავება-განხორციელებისათვის. ავტორის მიერ კრიტიკულადაა განხილული ამიერკავკასიაში სოციალისტური მშენებლობის თავისებურებათა გაშუქების საკითხზე საბჭოთა ისტორიოგრაფიაში არსებული ორი ტენდენცია — ერთია ცენტრალური რუსეთისაგან ამიერკავკასიის შედარებითი ჩამორჩენილობის უარყოფა, ხოლო მეორე, ამიერკავკასიის ხალხების მიკუთვნება იმ ხალხებისათვის, რომელთაც არ გაუვლიათ კაპიტალისტური განვითარების სტადია. ნაშრომში სავსებით მართებულადაა აღნიშნული, რომ თუ თავისი სოციალ-ეკონომიური განვითარებით ამიერკავკასია არ ჩამორჩებოდა ცენტრალურ რუსეთს, მაშინ აუხსნელი იქნებოდა ცარიზმის კოლონიზატორული პოლიტიკა განაპირა მხარეებში, ხოლო სოციალისტური რევოლუციის შემდეგ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მიერ სპეციალურ ღონისძიებათა შემუშავება-განხორციელების აუცილებლობა ეროვნული რესპუბლიკების ფაქტობრივი უთანასწორობის სალიკვიდაციოდ.

ფ. ლომაშვილი სათანადო ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით ასაბუთებს, რომ ამიერკავკასიამ გაიარა სამრეწველო კაპიტალიზმის სტადია (გამოკლებით აზერბაიჯანის დიდი ნაწილისა, რომელიც ხასიათდებოდა ნახევრადფეოდალური და ნახევრადპატრიარქალური ყოფის სერიოზული ნაშთებით), თუმცა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წინ თავისი ეკონომიური განვითარებით იგი მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა ცენტრალურ რუსეთს.

ნაშრომის პირველი თავი ეხება მარქსისტული მოძღვრების შექმნას სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის შესახებ, ვ. ი. ლენინის მიერ ერთ ქვეყანაში სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის აუცილებლობის მეცნიერულ დასაბუთებას და მისი განხორციელების კონკრეტული ფორმებისა და მეთოდების შემუშავებას.

მეორე თავი მიძღვნილია ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის სოციალ-ეკონომიური წანამძღვრების სადავო და გადაუტრელი საკითხების განხილვისადმი. საკითხთა ასეთ რიგს განეკუთვნება კულაკობის შეზღუდვის პოლიტიკის დაწყება, რომელსაც ავტორი მართებულად უკავშირებს საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტს მიწის შესახებ, წინააღმდეგ ისტორიოგრაფიაში არსებული ტრადიციისა, რომელიც კულაკობის შეზღუდვის დაწყებას ითვლის რკპ(ბ) VIII ყრილობიდან, რამდენადაც იგი ამ ყრილობაზე მიღებულ პარტიის პროგრამაში აისახა; ავტორს მიაჩნია, რომ ამიერკავკასიის ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის თარიღი, მიუხედავად იმისა, რომ იგი ფართოდ არის შესწავლილი კვლავ იწვევს ზოგჯერ დავას. სომხურ და აზერბაიჯანულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ მოსაზრებათა კრიტიკულად განხილვის საფუძველზე ფ. ლომაშვილი მიუთითებს ნების სასურსათო გადასახადზე დაყვანის უმართებულობაზე, რადგან იგი არ წარმოადგენდა ამ პოლიტიკის ერთადერთ ღონისძიებას. მსჯელობის საგნად ხდის ავტორი ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებულ თვალსაზრისს სასურსათო გადასახადის ნატურით გადახდევინების შემოღების შესახებ, რადგან მასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული კულაკობის შეზღუდვის პოლიტიკის გატარება. ამის კრიტიკულად განხილვისას ავტორი გამოყოფს ორ საკითხს: 1. 1921 წ. სასურსათო გადასახადის შემოღების მიზანშეწონილობასა და 2. ამ გადასახადის ამოღების ფორმას.

შემდგომი ეტაპი კულაკობის ექსპლუატატორული ტენდენციების შეზღუდვისა დაკავშირებული იყო აგრარული რეფორმის განხორციელებასთან. ამ საკითხზე მსჯელობისას ავტორი ამხვილებს ყურადღებას მიწათსარგებლობის ტრადიციული მოუწყობლობისა თუ ისტორიულად ნაირგვარი აგრარული ურთიერთობით განპირობებული აგრარული რეფორმის განხორციელების ამიერკავკასიურ და ადგილობრივ სიძნელეებზე, მსჯელობს რეფორმის გატარების პერიოდებზე, საკითხის დასმის წესით ეხება აგრარული რეფორმის დასრულების თარიღს, რომლის თაობაზე აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ავტორი თვლის, რომ აგრარულ-

ლი რეფორმა ამიერკავკასიაში, რომელიც აღდგენითი პერიოდის დასასრულისათვის განხორციელდა ძირითადად მემამულური მიწების კონფისკაციის სახით, გრძელდებოდა 30-იან წლებამდე.

ნაშრომის ამავე თავში განხილულია მშრომელი გლეხობისა და კოოპერატიული მოძრაობისადმი დახმარების ორგანიზაციის, პირველ რიგში სასოფლო-სამეურნეო კრედიტის როლის, სოფლის მეურნეობის ტექნიკური შეიარაღების, აგრონომიული დახმარების, კონტრაქტაციისა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარების საკითხები, რომელთა შესახებ ავტორისეული მსჯელობა თვალწილს ხდის წინაპირობების მოზადებას სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციაზე გადასვლისათვის ამიერკავკასიაში. ამიტომ დამატებულად და დასაბუთებულად მიკვამნია ბურჟუაზიულ ფალსიფიკატორთა ავტორისეული კრიტიკა იმის შესახებ, რომ თითქმის 20-იანი წლების ბოლოს კოლექტივიზაციაზე გადასვლა მოხდა უეცრად მოსამზადებელი მუშაობის გარეშე და რომელიც ეშვქვეშ აყენებს კომუნისტური პარტიის მიერ სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებზე გადაწყვეტი შეტევის მომენტის არჩევანის სისწორეს. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის კურსი ამიერკავკასიაში შეესატყვისებოდა ინდუსტრიალიზაციის თავისებურებებს. ჩვენი აზრით, ავტორი მართებულად აღნიშნავს, რომ კოლექტივიზაციის კურსი არ უნდა ავრიოთ მასობრივი, მით უფრო მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასვლაში. სსრ კავშირის თვით მარცვლეულის ყველაზე მოწინავე რაიონებშიც კი არ ემთხვევა ეს ორი მოვლენა ერთმანეთს, იქაც კი საჭირო გახდა თითქმის ორწლიანი მოსამზადებელი მუშაობის ჩატარება. ამიერკავკასიაში კი კოლექტივიზაციისა და კულაკობის როგორც კლასის ლიკვიდაციისათვის ობიექტური და სუბიექტური პირობების მომზადების პროცესი უფრო ნელა მწიფდებოდა მხარის პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიური და კულტურული განვითარების ზოგიერთ თავისებურებათა გამო.

მომდევნო ქვეთავში გაშუქებულია კულაკობის შეზღუდვის გაძლიერების უზრუნველსაყოფად საბჭოთა სახელმწიფოს საგადასახადო პოლიტიკა, რომელსაც არაფერი ჰქონდა საერთო ტროცკისტთა პოზიციებთან, რომელნიც თხოულობდნენ გლეხობის გადასახადის გაზრდას თითქმისა ინდუსტრიალიზაციის ინტერესებისათვის, არც მემაჩვენებ კაპიტულანტთა ცდებთან — მიეღწიათ დათმობებისთვის კულაკობის სასარგებლოდ. ცალკე მსჯელობს ავტორი 20-იანი წლების ბოლოს სოფლად კლასობრივი ბრძოლის გამწვავების შესახებ, რომ

დგასა წინააღმდეგობის მთავარ არენად მაინც პურის დამზადება იქცა. მიუხედავად იმისა, რომ ხსენებულ საკითხს სოფლის მეურნეობის პრობლემატიკაზე მომუშავე ყველა მკვლევარი მეტნაკლებად ეხება, ავტორის აზრით, მაინც პასუხგაუცემელი რჩება რიგი საკითხებისა. ამიერკავკასიის ისტორიოგრაფია ჯერაც არ გასცილებია ამ კონკრეტული საკითხის შესწავლაში სსრ კავშირის მასშტაბით არსებულ განმაჯადებელ ნაშრომებში მოცემულ დებულებათა მექანიკურ გადმოღება-მისადაგებას. ავტორის მიერ მოხმობილი ფაქტობრივი მასალა უჩვენებს ამიერკავკასიაში პურის დამზადების გატარების რამდენადმე განსხვავებულ ხასიათს, ხსნის ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მიერ გატარებულ საგანგებო ღონისძიებათა აუცილებლობას პურის ცენტრალიზებული დამზადების კამპანიაში.

ნაშრომის მეორე თავის დასასრულს ნაჩვენებია შემარჯვენე გადახრის თავისებურებანი ამიერკავკასიაში, რომელიც უშუალო კავშირში იყო ნაციონალ-უკლონიზმთან და მისი დაძლევისათვის ბრძოლა. ტროცკიზმისა და მემარჯვენე ოპორტუნიზმის იდეურ-ორგანიზაციული განადგურების დასრულებას ავტორი უკავშირებს 1929 წლის მეორე ნახევარში ჩატარებულ პარტიის რიგების გენერალურ წმენდას.

ნაშრომის ერთ-ერთ ძირითად ნაწილს წარმოადგენს მესამე თავი, რომელშიც განხილულია ძვრები საკოლმეურნეო მოძრაობაში და კულაკობის როგორც კლასის ლიკვიდაციის დაწყების საკითხი ამიერკავკასიაში. ეს საკითხი სრულიად ახლებურად არის ავტორის მიერ დასმულ-გამოკვლევული. ფ. ლომაშვილი არღვევს ჩვენს ისტორიოგრაფიაში 50—60 წლებიდან გაბატონებულ კონცეპციას, რომელიც სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საქმეში დაშვებულ შეცდომა-დამახინჯებებს მიაწერს ცენტრალურ ხელისუფლებას. მისი აზრით ბრალი შეცდომებისა და დამახინჯებების — საკოლმეურნეო მშენებლობის დეკრეტირების მავნე პრაქტიკაში პირველ რიგში, მიუთმოდით ამიერკავკასიის ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებსა და ცალკეულ ხელმძღვანელ მუშაკებს.

ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტისადმი, რომ 20-იანი წლების მეორე ნახევრიდან გამოკვეთილი სახე მიიღეს ამიერკავკასიის სფსრ ხელმძღვანელობაში შემარცხენე ცენტრალისტურმა და ადგილობრივმა ნაციონალისტურმა ტენდენციებმა, რომელმაც განსაკუთრებით მკაფიოდ იჩინა თავი ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმის შემუშავების პროცესში.

ავტორი საგანგებოდ ჩერდება ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის 1929 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებზე, რომელთა მეცნიერულ ანალიზს დიდი მნიშვნელობა ენიჭება საკოლმეურნეო მშენებლობაში დაშვებული შეცდომებისა და გადახრების სრულყოფილი ახსნისათვის. დამოწმებული ფაქტობრივი მასალის ანალიზი მიუთითებს ავტორის დასკვნის ლოგიურობაზე იმ ფაქტის შესახებ, რომ 1929 წლის დეკემბერში და 1930 წლის იანვრის პირველ რიცხვებში სკკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1930 წლის 5 იანვრის დადგენილებამდე ამიერკავკასიის სფსრ აღებულ იქნა მთლიანი კოლექტივიზაციისა და კულაკობის როგორც კლასის ლიკვიდაციაზე გადასვლის კურსი. ამით ავტორმა გადამწყვეტი კორექტივი შეიტანა ჩვენს ისტორიულ და ეკონომიურ ლიტერატურაში გამოთქმულ შეხედულებებში, რომლის მიხედვით მასობრივი საკოლმეურნეო მოძრაობა საქართველოში გაიშალა სსრ კავშირის მარცვლეულის ძირითადი რაიონების კვალდაკვალ 1929 წლის მეორე ნახევარში.

სომხური ისტორიოგრაფია (ვ. ნერკარაიანი) მასობრივი საკოლმეურნეო მოძრაობის დაწყებას აკუთვნებს 1929 წლის დასასრულს და 1930 წლის დასაწყისს, განსხვავებულ პოზიციაზე დგას აზერბაიჯანული ისტორიოგრაფია (პ. მისესსოვი, ტ. ქოჩარლი), რომელიც თვლის, რომ მასობრივი საკოლმეურნეო მოძრაობა გაიშალა აზერბაიჯანში 1931 წლის II ნახევარში. საგულისხმოა, რომ ეს მოსაზრება გაზიარებულ იქნა მთელი ამიერკავკასიის მასშტაბით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ობსტომეულის სათანადო განყოფილებაში.

ყურადღება ფ. ლომაშვილის შენიშვნა იმის შესახებ, რომ მკვლევართა უმრავლესობა არ აყენებს რაიმე არგუმენტს მასობრივი კოლექტივიზაციის დაწყების სწორი დათარიღებისათვის, არამედ მექანიკურად გადმოაქვს და იმეორებს სსრ კავშირის მარცვლეულის ცალკეული რაიონების შესახებ არსებულ დებულებებს, მიუთითებს მხოლოდ და მხოლოდ ამიერკავკასიაში 1929 წლის ბოლოს და 1930 წლის დასაწყისში საკოლმეურნეო მოძრაობაში აღმავლობის ფაქტზე. სარეცენზიო ნაშრომის ავტორის აზრით, საკოლმეურნეო მოძრაობის ხასიათისა და მასშტაბის შეფასების გადამწყვეტ მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს: 1. გლეხურ მეურნეობათა მთლიან მასაში კოლექტივიზირებულ მეურნეობათა პრინციპი (1929 წლის ბოლოს და 1930 წლის დასაწყისში ამიერკავკასიაში კოლმეურნეობებში გაერთიანებული იყო გლეხურ მეურნეობათა 5—6%-ზე ნაკლები); 2. ძირითად საწარმოო საშუალებათა გან-

ზოგადება და 3. საშუალო გლეხობის მონაწილეობის ხარისხი.

სსრ კავშირის და ამიერკავკასიის სფსრ საკოლმეურნეო მოძრაობის შედარებითი ანალიზისას ავტორი ითვალისწინებს იმ გარემოებებსაც, რომ სსრ კავშირის მარცვლეულის მთავარ რაიონებში უკვე 1930 წლის დასაწყისამდე კოლექტივიზირებული იყო გლეხურ მეურნეობათა 50%, ამასთან კოლმეურნეთა მნიშვნელოვანი განთესვის მიუხედავად, მაინც იქნა შენარჩუნებული მიღწეული წარმატება. ამიერკავკასიაში კი დაშვებული მემარცხენე ხასიათის შეცდომებისა და დამახინჯებათა გასწორების შედეგად საკოლმეურნეო მოძრაობა თითქმის საწყისს მდგომარეობამდე იქნა დაყვანილი.

ნაშრომის მომდევნო ნაწილში ამიერკავკასიაში კულაკობის როგორც კლასის ლიკვიდაციის პირველ პრაქტიკულ ღონისძიებათა განხილვას წამდგარებული აქვს საკითხის ისტორიოგრაფია, რომელსაც არ გააჩნია ერთიანი აზრი ამ პროცესის დაწყების შესახებ. ისიც ცხადი ხდება, რომ ყველა მკვლევარი კულაკობის როგორც კლასის ლიკვიდაციის ხელაღებით უშუალოდ და განუყოფლად უკავშირებს მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასვლას, რომელსაც არ იზაარებს სარეცენზიო ნაშრომის ავტორი. იგი გვთავაზობს ფრიალ საინტერესო თეზისს — ამიერკავკასიაში მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასვლა არ ემთხვევა კულაკობის როგორც კლასის ლიკვიდაციის კურსს. წიგნში დახასიათებულია კულაკობისადმი დამოკიდებულების ახალი პოლიტიკის პრინციპები, რომელიც თეორიულად პირველად დასაბუთებულ იქნა ი. ბ. სტალინის გამოსვლაში აგარაიკოს-მარქსისტთა კონფერენციაზე 1929 წლის 27 დეკემბერს.

მართალია, პირველი ღონისძიებანი ამიერკავკასიის რესპუბლიკებში კულაკობის როგორც კლასის ლიკვიდაციისა მიმართული იყო მთლიანი კოლექტივიზაციის ბაზაზე კულაკობის ძალდატანებითი ექსპროპრიაციისაკენ, მაგრამ როგორც ავტორმა უჩვენა ამიერკავკასიის რსფსრ ხელმძღვანელობამ კულაკობის ლიკვიდაცია პრაქტიკულად დაიწყო საქ. კპ(ბ) ცკ 1930 წლის 30 იანვრისა და სსრ კავშირის ცკ-ის 1 თებერვლის დადგენილებამდე, მთლიანი კოლექტივიზაციის მოუშვადებლობის პირობებში. ავტორის აზრით, ამაში მდგომარეობდა მათი შეცდომა.

საგანგებო ქვეთავს უძღვნის ავტორი კულაკურ-ბანდიტურ გამოსვლათა ლიკვიდაციისათვის ბრძოლას, რომელიც ორი ეტაპის სახით არის წარმოდგენილი. საინტერესოა პოლიტიკური ბანდიტიზმის დახასიათებაც, რომელიც

30-იანი წლების დასაწყისში არ იყო მთლიანად ლიკვიდირებული აზერბაიჯანში, განსხვავებით სომხეთისა და საქართველოსი, სადაც იგი 20-იანი წლების ბოლოს უკვე ძირითადად აღიკვეთა.

ამიერკავკასიის საკოლმეურნეო მშენებლობაში დაშვებული შეცდომებისა და გადახრების გასწორების საკითხზე ბურჟუაზიულ და საბჭოთა ისტორიოგრაფიის თვალსაზრისების განხილვისას ავტორი შენიშნავს, რომ თუ გასაგებია მიზანი ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიისა გააზვიადოს ეს შეცდომები, მას გაუმართლებლად მიაჩნია, ზოგიერთი საბჭოთა ისტორიკოსის ცდა პროვინების კულტის კრიტიკის საბაბით წარმოადგინოს ამ შეცდომების დომინირება პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოთა საქმიანობაში. მიუთქვევებლია იმ უცილობელი ფაქტის აუღიარებლობა, რომ ამ ორგანიზაციების მოღვაწეობაში თვით შეცდომებისა და დამახინჯებათა ფართოდ გავრცელების პერიოდებშიც კი განმსაზღვრელი იყო სოფლის სოციალისტური გარდაქმნის დარგში მოპოვებული დადებითი შედეგები. ავტორი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ არასწორი მიდგომა ამ საკითხისადმი საბჭოთა ისტორიოგრაფიის განვლილი ეტაპია, მაგრამ მათ განხილვას იგი საჭიროდ მიიჩნევს გარკვეულ მოსაზრებათა გამო, კერძოდ, იგი შენიშნავს ტენდენციას ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელობაში — ამ შეცდომების ყოველმხრივი დაკნინების და მეორე მხრივ, ქვემდგომი ორგანოებისადმი მათი გადაბრალებისას.

ნაშრომში მოხმობილია დიდალი დოკუმენტური მასალა ამ შეცდომა-დამახინჯებათა სალიკვიდაციო ჩატარებული მუშაობის დასახასიათებლად, განსაკუთრებით ჩერდება ავტორი ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების VI ყრილობის გადაწყვეტილებაზე, რომელმაც მისცა სწორი პოლიტიკური შეფასება დაშვებულ შეცდომებსა და დამახინჯებებს და წარმართა მთელი პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობა ჭეშმარიტად ნებაყოფლობითი საკოლმეურნეო მოძრაობის შემდგომი განვითარებისათვის საჭირო პირობების შექმნის უზრუნველსაყოფად. აქვე ერთ მომენტსაც გვინდა გავუსვამთ ხაზი. წინააღმდეგ ჩვენს ისტორიოგრაფიაში მიღებულ თვალსაზრისისა, რომ ამ შეცდომა-დამახინჯებათა გამოსწორების ინიციატივა ეკუთვნოდა ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტს, რაც, ავტორის აზრით, იმ კონცეპციის ანარეკლია, რომლის თანახმად ყველა შეცდომა საკოლმეურნეო მშენებლობაში მოდიოდა ზემოდან, ფ. ლომაშვილმა სათანადო ფაქტებზე დაყრდნობით გვიჩვენა, რომ მათი

გამოსწორების თაოსნობა ეკუთვნოდა საკ. კპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს.

ფ. ლომაშვილის წიგნის ასევე მთავარ ნაწილს წარმოადგენს მეოთხე ანუ დამამთავრებელი თავი, რომელიც აშუქებს მთლიანი კოლექტივიზაციისა და კულაკობის როგორც კლასის ლიკვიდაციის დასრულებას. მდიდარი ფაქტობრივი მასალის მოშველიებით იგი ასაბუთებს ნაშრომის წინა ნაწილში მოცემულ დებულებას იმის თაობაზე, რომ ამიერკავკასიაში მთლიანი კოლექტივიზაციის დასაწყისი განეკუთვნება 1931 წ. რადგან ამ დროისათვის ხდება საშუალო გლეხობის გადამწყვეტი და საბოლოო შემობრუნება კოლმეურნეობისაკენ, რაც უმთვევ აისახა საკოლმეურნეო ეკონომიკაშიც. ამიერიდან, აღნიშნულია წიგნში, საერთო ფართობის განსაზოგადება ფეხდაფეხ მიჰყვებოდა გლეხურ მეურნეობათა განსაზოგადოების პროცესს. ავტორი ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ დიდ შეცდომას სჩადიან ის მკვლევარნი, რომელნიც ეყრდნობიან კოლექტივიზაციის მაღალ პროცენტს საქართველოს ზოგიერთ რაიონში 1930 წლის ბოლოს და ამ ნიშნით მიიჩნევენ მათ მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებად. სინამდვილეში დაშვებული შეცდომების ლიკვიდაციის შემდეგ ისინი აღარ წარმოადგენდნენ ასეთ რაიონებს.

ყურადღებას იმსახურებს მთლიანი კოლექტივიზაციის გატარების ფორმების საკითხის ავტორისეული ახსნა. იგი უარყოფს კოლექტივიზაციის მთლიანად ძალდატანების გზით გატარების ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის „თეორიას“ და ამასთან წინააღმდეგია ზოგიერთი საბჭოთა ისტორიკოსის იმ ცდისაც, რომ ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიასთან ბრძოლაში ზეღადებით უარყოს ყოველგვარი ძალდატანება. მათგან განსხვავებით წინამდებარე ნაშრომის ავტორი სრულიადაც არ ცდილობს უარყოს 20-იანი წლების ბოლოს და 30-იანი წლების დასაწყისში ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებში კულაკობის (და საშუალო გლეხობის მიმართაც კი) წინააღმდეგ ბრძოლაში ძალდატანების გამოყენების ფაქტი, არამედ უჩვენებს, ჩვენი აზრით, სავსებით მართებულია, კულაკობის თანმიმდევრულად გატარებული ძალდატანებითი ექსპროპრიაციის კლასობრივ არსს.

ნაშრომში კრიტიკულადაა განხილული საქართველოში საკოლმეურნეო მშენებლობისადმი მიძღვნილი ნაშრომები, რომელთაგან ზოგიერთი წინააღმდეგობრივ, უფრო მეტიც რამდენიმე ურთიერთგამომრიცხველ დებულებაზეც კია აგებული. ავტორი ასაბუთებს, რომ სსრ კავშირის მარცვლეულის მთავარი რაიონებისაგან განსხვავებით ადგილობრივ სოციალ-

ეკონომიურ თავისებურებათა გამო ამიერკავკასიაში სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის პროცესი შედარებით ნელა მიმდინარეობდა და დასრულდა მეორე ხუთწლიელში. ხოლო შემდეგ ასაბუთებს იმასაც, რომ სსრ კავშირის მთელი რიგი რეგიონებისაგან განსხვავებით, სადაც კულაკობა ლიკვიდირებულ იქნა სწრაფად, ძალდატანებითი ექსპროპრიაციით, ამიერკავკასიის ყველა საბჭოთა რესპუბლიკაში მისი ლიკვიდაცია განხორციელდა თანდათანობით, ეკონომიური შეზღუდვა-გამოდევნის გზით. ფ. ლომაშვილი აღერ თვლიდა, რომ კულაკობის მიმართ ახალ ტაქტიკაზე გადასვლა — ამიერკავკასიაში მოხდა 1932 წ. ხოლო 1931 წ. კულაკობის ლიკვიდაცია ხორციელდებოდა ამა თუ იმ რაიონში მთლიანი კოლექტივიზაციის გაშლისა და დასრულების-დაკვალად. მაგრამ პრობლემაზე შემდგომი მუშაობის შედეგად ავტორმა დააზუსტა ეს მოსაზრება. კერძოდ, მას მიაჩნია, რომ უკვე 1931 წლის მეორე ნახევარში ამიერკავკასიის სფსრ მთლიანად და ცალკეულ რესპუბლიკაში ხდება შემობრუნება კულაკობის მიმართ ახალი ტაქტიკისაკენ, რომელმაც დაუშვა კულაკობის თანდათანობითი ლიკვიდაციის განხორციელების შესაძლებლობა მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასვლამდე, 20-იანი წლებისაგან განსხვავებით, როდესაც შეზღუდვის გზით შეიძლებოდა მხოლოდ ცალკეულ კულაკურ მეურნეობათა ლიკვიდაცია, ახალ პირობებში, როდესაც სსრ კავშირის წამყვან სასოფლო-სამეურნეო რაიონებში მთლიანი კოლექტივიზაცია და კულაკობის როგორც კლასის ლიკვიდაცია დასრულებული იყო, ხოლო ამიერკავკასიის საკოლმეურნეო მშენებლობაში მოპოვებულ იქნა უმნიშვნელოვანესი მიღწევები, შეზღუდვის გზითაც შეიძლებოდა მოკლე დროში კულაკობის ეკონომიური ძლიერების სრული ლიკვიდაცია. ამის შემდეგ, მთლიანი კოლექტივიზაციის ამოცანა მდგომარეობდა კულაკობის როგორც კლასის ლიკვიდაციის პროცესის დასრულებაში.

ამ პრობლემის ძირეულ საკითხთა სრულყოფილი მეცნიერული ანალიზისათვის ავტორი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამიერკავკასიაში კულაკობის ზედრითი წილის განსაზღვრის საკითხს, რომელიც აქამდე სპეციალურად შესწავლილი არ ყოფილა, ხოლო საკოლმეურნეო მშენებლობისადმი მიძღვნილ ნაშრომებში კრიტიკული ანალიზის გარეშეა დამოწმებული 5—6%, გარდა რ. კოჭლამაზაშვილისა, რომლის გამოთვლით საქართველოში კულაკობის ზედრითი წილი უდრიდა 2,8%-ს. ჩვენი აზრით, სწორადაა მიგნებული ფ. ლომაშვილის მიერ გლეხურ მეურნეობათა ინდივიდუალური და ბევრის მასალებზე დაყრდნობით კულაკობის

როგორც კლასის ხედვრითი წილის განსაზღვრის პრინციპი, ამასთან იმის მითითებითაც, რომ ხსენებულ პრინციპს სხვადასხვაგვარი მნიშვნელობა ჰქონდა 1928—29 და 1930—31 წწ., რომ კულაკობის დაბეგვრა საწყის ეტაპზე ვერ ასცდა ზოგიერთ ხარვეზსა და ნაკლს.

ნაშრომში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ისტორიოგრაფიაში არსებულ თვალსაზრისთა განხილვას კულაკურ მეურნეობათა ხასიათის განსაზღვრის კრიტერიუმის თაობაზე. ავტორი მიუთითებს კულაკური მეურნეობისათვის დამახასიათებელ 4 მთავარ ნიშანზე — პირველ და უმთავრეს ნიშნად მას, ჩვენი აზრით, სწორად მიაჩნია სასოფლო-სამეურნეო მუშათა სისტემატური დაქირავება განსაზღვრული ნორმის ზევით. მეორე ნიშნად რთულ სასოფლო-სამეურნეო მანქანისა ან მექანიკური მამოძრავებლის ქონება, მათი გაქირავება და მეოთხე ნიშნად მიწის იჯარა, სამრეწველო მიზნით ბაღისა ან ვენახის იჯარით გაცემა, ასევე სხვა არაშრომითი შემოსავლის არსებობა.

განხილულია 1932—1935 წლების საგადასახადო დაბეგვრის ღონისძიებანი, რომელმაც განაპირობა ამიერკავკასიის სფსრ კულაკობის ეკონომიური ძლიერების თითქმის სრული ლიკვიდაცია, ხოლო ბოლოს გაშუქებულია მთლიან კოლექტივიზაციის დასრულებისა და კულაკობის როგორც კლასის აღორძინების შესაძლებლობის საბოლოო ლიკვიდაციის საკითხი. ავტორს კარგად აქვს შენიშნული ამიერკავკასიაში ამ პროცესების დასრულებისა და საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვების თავისებულება.

როგორც სარეცენზიო ნაშრომში განხილულ საკითხთა მოკლე აღნუსხვა-დახასიათების მიხედვითაც არის მიინშნებული, ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის ყველა ძირეული პრობლემის კვლევა ავტორის მიერ გამოვლინებულ და მეცნიერული განხილვის სფეროში პირველად შემოტანილ მდიდარ დოკუმენტურ, მათ შორის კრიტიკულად შეჯერებულ სტატისტიკურ მასალებს ემყარება. ასეთმა წყაროთმცოდნეობითმა ბაზამ მას შესაძლებლობა მისცა ეთქვა ახალი სიტყვა საბჭოთა ისტორიულ მეცნიერებაში ამიერკავკასიის სფსრ მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასვლისა და კულაკობის როგორც კლასის ლიკვიდაციის განხორციელების პერიოდობის პრობლემებზე და მასთან დაკავშირებულ მთელ რიგ საკითხებზე. ავტორისეული დასკვნები ემყარება არა ფრაგმენტულ ემპირიულ ფაქტებს, არამედ რთული ისტორიული პროცესების ღრმა მეცნიერულ გააზრებას, რის გამოც მათ გამაზოგადებელი ხასიათი აქვთ.

კარგად დაწერილი ამ გამოკვლევის გარშემო რამდენიმე შენიშვნა და სურვილიც გაგვაჩნია.

ნაშრომის პირველი თავი, განსაკუთრებით მისი პირველი ქვეთავი, რომელიც სოციალისტური მიწათმოქმედების შესახებ მეცნიერული კომუნიზმის წინამორბედთა თეორიებს გადმოსცემს, ზედმეტად მიგვაჩნია. თუ თეორიული თავი მაინცდამაინც საჭირო იყო (იგი, ალბათ, მიზანშეწონილი იქნებოდა უფრო ფართო მასშტაბის რეგიონზე დაწერილი ნაშრომისათვის), ჩვენი აზრით, შეიძლებოდა მეორე და მესამე ქვეთავის გაერთიანება, რომელშიც გადმოცემული იქნებოდა სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის ძირითადი პრინციპები.

საკმაოდ ფართოდაა წარმოდგენილი სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ისტორიის ზურჯუაზიულ ფალსიფიკატორთა კრიტიკა, მაგრამ დასანანია, რომ ტექსტში არ არიან დასახელებულნი ეს ისტორიკოსები.

ნაშრომის 132-ე გვერდზე ნათქვამია, რომ რევოლუციის შემდეგ აგრარული რეფორმის და სხვა ღონისძიებთა შედეგად შეჩერებულ იქნა სოფლის პროლეტარიზაცია. ეს დებულება დავას არ იწვევს, თუ ამ კონტექსტში ნაგულისხმევია აგრარული რეფორმის გაგრძელება 30-იან წლებამდე, თორემ სოფლის ერთგვარი პროლეტარიზაციის ფაქტები 20-იანი წლების ბოლომდე შეინიშნება. ს.კ. კ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1927 წლის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებაში სოფლის მეურნეობაში სოციალისტური და კაპიტალისტური ელემენტების ბრძოლის შესახებ ნათქვამი იყო, რომ ამ დროისათვის ჯერ კიდევ ხდებოდა კულაკთა ჯგუფების ერთგვარი ზრდა საშუალო გლეხობის შეძლებული ნაწილის ხარჯზე და ღარიბ ჯგუფთა შემცირებისას, რომლის ერთი ნაწილი პროლეტარდებ (ხაზი ჩვენი. — მ. ნ.), ხოლო მეორე მხრივ, უფრო მნიშვნელოვანი ნაწილი თანდათან გადადის საშუალო გლეხობის ფენაში. ეს თავისებურებანი გარდუვალად გამომდინარეობდნენ სამეურნეო განვითარების წინააღმდეგობრივად პროლეტარიატის დიქტატურის იმპაზინდელ პირობებში.

უცილობელი ფაქტია რომ 20-იანი წლები მთელ სიგრძეზე ჰქონდა ადგილი სოფლიდან ე. წ. თავისუფალი მუშახელის — პროლეტარ-

1 ს.კ.პ... ყრილობის, კონფერენციებისა და პლენუმების. გადაწყვეტილებებსა და რეზოლუციებში, ნაწ., II, გვ. 538.

რულ და ნახევრადპროლეტარული ჯგუფების ქალაქად გასვლის ინტენსიურ პროცესს. იგი გაძლიერდა სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდის ბოლოს, როდესაც აგრარული რეფორმა მიწის გადანაწილების მხრივ უკვე გარკვეული იყო. სოფლის „ზედმეტი“ მუშახელის გასვლის მასშტაბი გაფართოვდა 1929—1930 წლებში მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასვლის სიძნელეებისა და კულაკების წინააღმდეგ ბრძოლის ვითარებაში სოფლად დაქირავებულთა ქალაქისაკენ ლტოლვის შედეგად. სოფლის ამ ფენების გარესამუშაოებზე გასვლის მასშტაბი საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანში მნიშვნელოვნად განსხვავებული იყო, ნათეს ფართობიან გლეხურ მეურნეობათა ხვედრითი წილის განსხვავებულობის გამო. ამას უკავშირდება სოფლად არსებული სოციალური ურთიერთობის, კერძოდ, კი სოფლის კლასობრივი დიფერენციაციის, სოფლად დაქირავების მასშტაბის ცვლილებების პროცესი, რომელიც, ჩვენი აზრით, უფრო ფართოდ უნდა ყოფილიყო განხილული ნაშრომში. სოფლად დაქირავებული შრომის გამოყენების ხარისხი ხომ კულაკური მეურნეობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი კომპონენტია. ყურადღება მისაქცევია, აგრეთვე, სოფლის მეურნეობაში მუშახელის დაქირავების ორი „კატეგორიის“ გარჩევა პირველი, ე. წ. წმინდა ტიპის დაქირავებისა, რომელსაც მისდევდა კულაკური მეურნეობა და მეორე, დაქირავებული შრომით სარგებლობისა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მხოლოდ სეზონურობის გამო, როდესაც იქმნე-

ბოდა მუშახელის საჭიროების კრიტიკული მომენტი. მოჯამაგირეობის ინსტიტუტმა, რომელიც სოფლის პროლეტარიატის ძირითად ბირთვს შეადგენდა და თავისი მდგომარეობის გამო პოლიტიკურად აქტიურ მასას წარმოადგენდა, ამიერკავკასიის 20-იანი წლების სოფელში გარკვეული როლი შეასრულა კულაკობის შეზღუდვისა და შემდეგ, მისი როგორც კლასის ლიკვიდაციის პოლიტიკის განხორციელებაში.

ჩვენი აზრით, ნაშრომში მოკლედ მაინც უნდა ყოფილიყო ნახევრები ამიერკავკასიის მუშათა კლასის სოციალური ისტორიის საკითხები, კერძოდ, მუშათა კლასის კონსოლიდაციის, მისი რაოდენობრივი და თვისებრივი შემადგენლობის ცვლილებების ხასიათი, რომელიც მჭიდროდ იყო გადანასკეული სოფლის კლასობრივი დიფერენციაციის და ახალი, სოციალისტური წარმოების ურთიერთობის მშენებლობის პროცესთან.

სასურველი იყო წიგნს დართოდა საძიებლები.

ორიოდე შენიშვნას, ცხადია, არ შეუძლია გაგვინა მოახდინოს წიგნის საერთოდ მაღალ შეფასებაზე — იგი უთუოდ თვალსაჩინო ადგას დაიჭერს საბჭოთა ისტორიოგრაფიაში, როგორც ამიერკავკასიაში საკოლმეურნეო მშენებლობის პრობლემაზე კვალიფიციურად დაწერილი ფუნდამენტური გამოკვლევა.

გაყვალა ნათემალაძე

ლ. ბედუჰიძე, ხალხური ავეჯი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში

თბილისი, 1973.

უკანასკნელ ხანებში ეთნოგრაფიაში შეინიშნება ხის დამუშავების დარგობრივად შესწავლის ცხოველი დაინტერესება. ამ ტენდენციის გამოსატულება ლ. ბედუჰიძის დისერტაცია „ხალხური ავეჯი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში“, რომლის ნაწილი ცალკე მონოგრაფიად გამოქვეყნდა 1973 წელს ქ. თბილისში.

ლ. ბედუჰიძის და სხვა ეთნოგრაფთა დაინტერესება ხალხური ავეჯის შესწავლისა და ხის დამუშავების ცალკეული საკითხებისადმი საეხებით გასაგებია, რადგან საყოფაცხოვრებო კულტურის ძეგლების ხმარებიდან გადავარდნით მივიწყებას ეძლევა ხალხური ტექნიკური ცოდნის საყოფადღებო მონაპოვარი, რომელთა შესწავლას კულტურის ისტორიისათვის უადრესად დიდი მნიშვნელობა აქვს.

ჩვენამდე მოღწეული მრავალრიცხოვანი წერილობითი წყაროები და ნივთიერი კულტურის ძეგლები ავეჯის შესწავლისა და გაშუქების შესაძლებლობებს იძლევიან. ამ საკითხების შესახებ დღეისათვის უკვე რამდენიმე გამოქვეყნებული ნაშრომიც არსებობს¹. ნაშრომ-

¹ გ. ჩიტიაი, სვანური „საკურცხილ“, საქართველოს მუზეუმის „მოამბე“, ტ. II, ტფილისი, 1925; ივ. ჯავახიშვილი, მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, ნაკვეთი II, საფენელ-საგებელი, ავეჯი და ჭურჭელი, თბილისი, 1965; ვ. ართილაყვა, XVI—XVIII სს. ქართული მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბილისი, 1965.

თა სიას კიდევ ერთი ახალი შინაარსიანი მონოგრაფია შეემატა.

სარეცენზიო ნაშრომი ძირითადად შეუქს ჰყვენს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში შემონახულ ხის ავეჯს და მასთან დაკავშირებულ ეთნოგრაფიულად შეუსწავლელ საკითხებს. იგი პირველი თანმიმდევრული და საფუძვლიანი გამოკვლევაა, რომელშიც აღნუსხულია ჟღერესად საყურადღებო ცნობები, ვრცელადაა განხილული, დასმული და გადაჭრილი მრავალი საინტერესო საკითხი და წარმოჩენილია ქართველი ტომების ისტორიულადვე ცნობილი დამსახურება „ხის მუშაკობაში“.

მონოგრაფია შედგება ავტორის ხანგრძლივი კვლევა-ძიებისა; ის გამოირჩევა ველზე შეკრებილი მასალის სიახლით და არქეოლოგიური მონაცემების ფართო გამოყენებით. ავტორი ეყრდნობა მუზეუმის ფონდებში დაცულ ხალხური ავეჯის ნიმუშებს, აგრეთვე, შინამრეწველობის მასალებს იშველეებს ფოლკლორული ხასიათის ცნობებს.

ლ. ბედუქიძის მონოგრაფია შედგება შესავლისა (გვ. 3—11) და ოთხი თავისაგან: I სავეჯე ხის შერჩევა-შეგულებებისა და პირველადი დამუშავების ხალხური წესები (გვ. 11—32), II ავეჯის სახეობანი (გვ. 32—84), III ავეჯის ორნამენტი (გვ. 84—105), IV ავეჯის განლაგება ინტერიერში და მასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები (გვ. 105—130). მონოგრაფიას ახლავს რეზიუმე რუსულ ენაზე (გვ. 131—147), ტაბულები და ტაბელების აღწერილობა.

ლ. ბედუქიძის ნაშრომის ზოგადი შეფასებისათვის აუცილებელია წინასწარ გავითვალისწინოთ რამდენიმე თავისებურება. ერთ-ერთი ასეთი თავისებურებაა ის, რომ ავეჯის შესახებ მასალის მოპოვება რთულია და იგი სპეციფიკურ სიძნელეებთანაა დაკავშირებული, უმთავრესი სიძნელე კი იმაში მდგომარეობს, რომ მკვლევარს უხდება ისეთ ობიექტებზე დაკვირვება, რომლის წინაპარი სახეების სრულყოფილი ფიქსაცია ჰქირს. მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ ავეჯი ემსახურება ხალხის ყოფის სხვადასხვა მხარეს, რომელთა საფუძვლიანი ცოდნა რთული, მაგარი აუცილებელი პირობაა ავეჯის ისტორიის მეცნიერული კვლევისათვის.

მონოგრაფიის შესავალ ნაწილში ავტორი გვაცნობს საკვლევი საკითხის შესწავლის მდგომარეობას, განიხილავს მთის (ხევის, მთიულეთ-გუდამაყრის, ხევსურეთის, ფშავის, თუშეთის, ნაწილობრივ სვანეთის) ავეჯის დამზადების ხელოვნებას და მის სამეურნეო თუ სოციალურ ფუნქციას. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ავტორი არ იფარგლება მხოლოდ აღმო-

სავლეთის მთით და ხშირ შემთხვევაში სცილდება მის ჩარჩოს. აქვე ჩამოყალიბებულია ის ძირითადი პრინციპები, რაც საფუძვლად უდევს გამოკვლევას. განსაზღვრულია შრომის მიზანი, ძირითადი ამოცანები და კვლევის მეთოდი.

ლ. ბედუქიძე შესავალში მიმოიხილავს არსებულ სპეციალურ ლიტერატურას და მათ ნათელ დახასიათებას გვაძლევს, რაც ბუნებრივია, საერთოდ დიდ დახმარებას გაუწევს მკვლევართ.

ავტორი იყენებს საკითხთან დაკავშირებულ არქეოლოგიურ მასალას, რომელიც ეთნოგრაფიულ მონაცემებთან ერთად, საქართველოში ავეჯის დამზადების ტრადიციულობის ნათელყოფის საგულისხმო ფაქტობრივ საბუთს წარმოადგენს. იგი საგანგებოდ ეხება II—III საუკუნეების ერისთავთა სამარხის სარეცელის ფეხთა ვერცხლის გარსაყრავებში აღმოჩენილი კაკლის ხის მერქნის ნაშთებს და ჩერდება მათი დამუშავების წესზე.

აღსანიშნავია ავტორის კრიტიკული ალღოც, მან საფუძვლიანად გადასინჯა გ. ლუქავესა და მ. ჯანდიერის მიერ გამოთქმული თვალსაზრისი, რომ საქართველოში ავეჯის კეთებას ტრადიცია არ გააჩნდა. თუმცა ლ. ბედუქიძე იმასაც აღნიშნავს, რომ შემდგომ მ. ჯანდიერმა და გ. ლუქავემ ეს მოსაზრება რამდენადმე გამოსწორეს. ასევე გაკრიტიკებულია ვ. უვაროვას მოსაზრება იმის შესახებ, რომ ვარდა სვანეთისა ხის ორნამენტული ავეჯი სხვაგან საქართველოს არც ერთ კუთხეში არ გვხვდება (გვ. 8). იგი ასევე კრიტიკულად უდგება უცხოელი მოგზაურების მასალას და მათ მოსაზრებებს.

მონოგრაფიის ავტორის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მას ავეჯის შესწავლა წარმოდგენილი აქვს როგორც მეტად მასშტაბური პროცესი, რომელშიც არეკლილია ხალხის მრავალდარგობრივი ემპირიული ცოდნა, პირველ რიგში, მეცნარეული სამყაროს ცოდნა და ხის მასალის შერჩევა-დამუშავების ძველთაძველი ტრადიცია.

ნაშრომის პირველ თავში სამასალე ხის ჯიშების შერჩევა-შეგულების და ხის თითოეული ნაწილის დახასიათების დროს მოტანილი მასალის შესაბამისი ცნობები ხშირად ძველ ავტორებთანაა დადასტურებული. მაგალითად, მერქნის ტორსული და გრძივი ზედაპირის სიმაგრის შესახებ არსებულ ცოდნა-გამოცდილებას ის ბარბაროს კომენტარებში ნახულობს (გვ. 16).

შესწავლილ საკითხთან დაკავშირებით ავტორის მოპოვებული აქვს ტერმინოლოგიური ხასიათის საინტერესო მასალა, როგორიცაა:

„ტყის კაცები“, „ხე-ტყის ოსტატები“, „ხის მუშაკები“, „დურგლის მორჩილი“ და სხვ. (გვ. 25). „ტყის კაცები“ საქართველოს ბარში გავრცელებული ტერმინია, იგი დადასტურებულია კახეთში და იმერეთში.

საგულისხმოა ავტორის მოსაზრება საავეჯე მასალისა და ავეჯის ცხიმით გაჟღენთვის ხალხურ წესებზე, რომელიც ავეჯის შენახვას უზრუნველყოფს და მისი დაცვის თანამედროვე ხერხების (სანდალოზის ფენით ხის დაფარვა და სხვ.) საწყისებს წარმოაჩენს.

ეთნოგრაფიული მასალები ცხადყოფენ იმ ემპირიულ ცოდნას, რომელიც ხალხმა გამოიმუშაა მერქნის დამუშავებისა და მისი დაცვის საქმეში. მერქნის დამუშავების სამი სხვადასხვა სახეობა დასტურდება: „დაპობა“, „ჩაჭრა“, „გათლა“ და ამ პროცესების შესასრულებელი სხვადასხვა ზომის ცულის ხმარება.

მონოგრაფიის მეორე თავი გამოკვლევის ძირითადი ნაწილია, სადაც ავტორი პრობლემის აბსტრაქციას კი არ ახდენს, არამედ ცდილობს კონკრეტული მასალით გვიჩვენოს ხალხური ავეჯის სახეობათა (საწოლები, სასხდომები, ტაბლა-სუფრები, კიღობნები), სრული სურათი. აღწერილია სხვადასხვა ფუნქციის ავეჯის სტრუქტურა და დამზადების წესები, გარკვეულია, რომ სხვადასხვა კუთხის ავეჯი, როგორც კონსტრუქციის, ისე შემკულობის მიხედვით, ერთგვარ თავისებურებას ამჟღავნებს.

აქვე ავტორის მიერ პირველადაა მოცემული ქართული ხალხური დგამის ზოგადი კლასიფიკაცია ფუნქციისა და წარმოშობის მიხედვით, განსაზღვრულია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ავეჯის ტიპი და ქვეტიპები. იგი კლასიფიკაციის ოთხ ჯგუფს გამოყოფს და ამ ასპექტით ავეჯის შესწავლის საინტერესო საკითხებს ხსნის, ავეჯის განლაგება-გამოყენების ხალხური პრინციპებისა და ხერხების გარკვევით ცხოვრებისა და მეურნეობის ხასიათს არკვევს და სხვადასხვა ტიპის ავეჯის დამკვიდრების პირობებსაც გამოავლენს.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ეთნოგრაფიული მასალისა და წერილობითი ძეგლების შედარების საფუძველზე, ნაშრომში გამოთქმულია მოსაზრება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში დამოწმებული დასაწოლი ავეჯის — მერხი II „მეკი“-ს და ტერმინ „ცხედრის“ ფუნქციონალური მსგავსების შესახებ (გვ. 39—40).

ლ. ბედუქიძე გამოავლინა საწოლი ავეჯის ორიგინალური სახეობა კიღაბენი და აღნიშნა, რომ ტერმინი კიღაბენი საწოლი ავეჯისა და სხვადასხვა სანოვავის თუ ნივთების შესანახად განკუთვნილი დგამის ზოგადი სახელწოდებაა.

რადგან კიღობანი „ვეფხისტყაოსანში“ ტახტრევის მნიშვნელობითაცაა დადასტურებული, ხოლო სარეცელის მნიშვნელობით ტახტი მატჩანე ქართლისაშია მოხსენიებული, სავარაუდებელია, რომ ტახტრევანი იგივე ტახტი — საჯდომი, საწოლის მნიშვნელობით მოხსენიებული ნივთია. აქ ეთნოგრაფიული მასალა, როგორც პირველწყარო, იძლევა წერილობითი წყაროების სწორად ახსნის საშუალებას. თუ ეთნოგრაფიული მონაცემებით კიღობანი საწოლი ავეჯია, ხოლო ტახტრევანი და კიღობანი ძველ წყაროებში ერთი და იგივე ნივთია, მაშინ ავტორისეული მასალა კიღობნის საწოლ ავეჯად დადასტურების შესახებ საფუძვლიანი და საყურადღებოა.

გამოკვლევაში საგანგებო ადგილი ეთმობა უცხოელ ავტორებს (გვ. 10), რომელთა თხზულებებში დამოწმებულ ცნობებს ლ. ბედუქიძე ქართულ ეთნოგრაფიულ მასალას უდარებს და საყურადღებო დასკვნებს აკეთებს. ეთნოგრაფიულ სინამდვილეში არსებული საწოლების ანალოგს იგი ფ. ნოშპას მიერ აღწერილ ალბანურ საწოლებთან პოულობს. საყურადღებოა ფ. ნოშპას მოსაზრება კერის სკამების კავკასიისათვის დამახასიათებლად აღიარების შესახებ. ფ. ნოშპას არც ოსური, ხეც-სურული და ალბანური სავარძლების მსგავსება გამოპარვია მხედველობიდან. ალბანურ სავარძელს, როგორც ქართულს იგი უფროსისათვის განკუთვნილ საპატიო საჯდომს უწოდებს.

მონოგრაფიაში მოტანილია ტ. ბობილევის საყურადღებო შეხედულება ქართული სამფეხა სუფრა-ტაბლების და ჰომეროსის დროინდელი სუფრების მსგავსების შესახებ, რაც ლ. ბედუქიძის აზრით, ეგეოსის (პელასგურ) და კავკასიურ სამყაროს მჭიდრო კავშირზე მეტყველებს (გვ. 73).

ლ. ბედუქიძე ეთნოგრაფიული მასალის საშუალებით ხის ავეჯის დათარიღების დროს ხშირად მიმართავს შედარების მეთოდს. ეთნოგრაფიულ ყოფაში არსებულ ტაბაკებს ფორმით XIII საუკუნის ქართულ მინიატურებზე გამოსახულ სუფრებს უკავშირებს და მათ თარიღიან პარალელად მიიჩნევს.

ამავე რიგისაა (მესამე თავი) ხალხური ავეჯის ორნამენტის ისტორიული ხნოვანების განსაზღვრის ცდა. ეთნოგრაფიულ ყოფაში დადასტურებული ჭრელას ციკნისყურა ორნამენტი ლ. ბედუქიძეს ჟახუნდერის ეკლესიის (სვანეთი) კარების (XI საუკ.) ციკნისყურა ორნამენტის თარიღიან პარალელად მიაჩნია (გვ. 101).

² ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, თბილისი, 1965, გვ. 24.

მონოგრაფიაში გამახვილებულია ყურადღება იმ წესზე, რომელიც ავლენს სკამის ღირებულების წყლით დასველების პრაქტიკულ მნიშვნელობას. ეს პროცესი ცხადყოფს, რომ მერქნის გაჯირკება შევიწროების ბუდეში ჩასმას აადვილებდა, ხოლო გაშრობისთანავე მერქნის შეკუმშვა ბუდეში შევიწროების გამაგრებას უზრუნველყოფდა.

ნაშრომის ამ ნაწილში ბევრ საყურადღებო საკითხს და საინტერესო მოსაზრებას ნახავს საგნის შესწავლით თუ გაცნობით დაინტერესებული პირი, რომლის სრულად ჩამოთვლა, ალბათ, გაჭირდებოდა.

ავტორი ფართო ისტორიული და ლიტერატურული ექსკურსის საფუძველზე ავლენს ორნამენტის თავისებურებებს. მოტანილი აქვს მდიდარი საილუსტრაციო მასალა ორნამენტის შესრულების ტექნიკური პროცესებისა და მათი ვარიაციების წარმოსახნად. განხილული აქვს ორნამენტის სემანტიკისა და სიმბოლიკის საკითხები. ასევე საყურადღებო მასალას გვაწვდის ავტორი კომპოზიციის ხალხური კანონების შესახებ.

უხვი მასალით და საუკეთესო თხრობით გადმოცემულია ავეჯის ორნამენტის დეტალების დამზადების ხალხური ხერხები; მოცემულია მათი ახსნა, განხილულია მათი ისტორიული ფესვები. შედარებითი მასალის ანალოზის საფუძველზე ავტორი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ საქართველოს მთიანეთში დამოწმებული ხის ავეჯი ორნამენტაციის სხვადასხვაობისა და ფორმათა ვარიაციის მიუხედავად ტიპოლოგიურად ერთიანდება და საერთო კავსასიური ავეჯის ტიპს ქმნის. იგი საერთო კულტურული მონაპოვარი უნდა იყოს ასევე ძველი აღმოსავლეთისა და ეგეოსური სამყაროსათვის³, სადაც უნდა დაისვას აღნიშნულ ორნამენტთა გენეზისის საკითხები. თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ წინამდებარე ნაშრომში ძნელი იქნებოდა ამ მნიშვნელოვანი პრობლემის წამოჭრა, ეს საკითხები ცალკე კვლევას მოითხოვენ, რომელსაც, ვფიქრობთ, მალე შესძლებენ ამ საკითხზე მომუშავე ეთნოგრაფები.

მონოგრაფიაში მოტანილია საყურადღებო მასალა ავეჯის მოხატვის ხალხური ხერხების შესახებ და აღნიშნულია, რომ ცხიმისა და ნახშირის, აგრეთვე, ნახშირისა და ქერის ფქვილის ხმარება ანალოგს პოულობს რუმინეთში

გავრცელებული ხის ღებვის ხალხურ წესებთან (გვ. 93). ხომ არ დავინახავდით მსგავსებას ლიფანლის მხატვრობაში დადასტურებულ ფქვილის, ან ნაცრის ხსნარით თითით ხატვის არქაულ წესთანაც?

ნაშრომში განხილულია ინტერიერში ავეჯის განლაგებასა და მოხმარებასთან დაკავშირებული საკითხები (მეოთხე თავი); რადგან ავეჯი თავის კონსტრუქციით საცხოვრებელი სახლის აღნაგობასთან მეტაყვებადაა დაკავშირებული, ამიტომ ნაშრომში ინტერიერის განხილვამდე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის საცხოვრებელთა მოკლე აღწერილობა მოცემული.

ავტორს გარკვეული აქვს ხალხურ ავეჯთან დაკავშირებული მრავალი საინტერესო ტრადიცია როგორც არის: უფროსის პატივისცემა ოჯახში, ოჯახის წევრთა შორის შრომის განაწილება, სტუმართმოყვარეობა და სხვ. ავეჯის განლაგებასა და მის გამოყენებასთან დაკავშირებული წესები: ადგილების გამიჯვნა (საქალო და საკაცო მხარეები), ზოგიერთი ავეჯის ადგილიდან დაძვრის აკრძალვა და სხვა (გვ. 116—117), რომლებიც ავტორის აზრით, ზოგადი ხასიათისა და ამდენად მხოლოდ საქართველოსათვის დამახასიათებელ მოვლენად არ ჩაითვლება. ეს წეს-ჩვეულებანი საერთოკავკასიურ ტრადიციათა რიგს განეკუთვნება; საკითხავია, მხოლოდ კავკასიურია ეს ტრადიცია?

ნაშრომში ავტორს გამახვილებული აქვს ყურადღება იმ ცვლილებებზე, რომელიც ხალხურ ავეჯს დროთა განმავლობაში განუცდია და ნაჩვენები აქვს ის პრაქტიკული მნიშვნელობა, რაც სადღესოდ ხალხურ ავეჯს და ხალხურ ხელოვნებას შეუნარჩუნებია.

მონოგრაფიაში საყურადღებო მასალებია მოტანილი სახორბლე კიბონის, კარადისა და ერბოს საცაებთან დაკავშირებულ რწმენაწარმოდეგნებზე.

დასასრულ, ლ. ბედუქიძე სამართლიანად მიუთითებს იმ მნიშვნელობაზე, რომელიც ავეჯის შესწავლას აქვს ეროვნული კოლორიტის დაცვისა და მისი განვითარებისათვის. როგორც ბოლო ხანებში შეინიშნებოდა ქართულმა ხელოვნებამ ამ მხრივ ნაბიჯები გადადგა. ამდენად, ამგვარი მონოგრაფიების გამოცემა, სამუხეუმო თუ ხალხური კოლექციების კატალოგიზაცია კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ნაციონალური ავეჯის ფორმების და ორნამენტების ფართო სარბიელზე გამოტანას და მათ ჩვენს ყოფაში დამკვიდრებას. მაგრამ ავეჯის ძველი ფორმები მექანიკურად კი არ უნდა გადმოვიტანოთ, არამედ შემოქმედებითად შევუხამოთ თანამედროვე ცხოვრების პირობებს.

³ ქართული ორნამენტის ზოგიერთი დეტალი წინა აზიის უძველესი ხალხების კულტურაშიც გვხვდება. ე. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, გ. ჩ ი ტ ა ი ა, ქართული ხალხური ორნამენტი, I, ხეცურული, თბილისი, 1939, გვ. 7.

ლ. ბედუქიძის მონოგრაფიის ირგვლივ საუბარი ამით არ უნდა ამოწურებოდეს, რადგან ასეთი ხასიათის ნაშრომი განაპირობებს მის აქტუალურ ხასიათს, მნიშვნელობას, აღძრავს ახალ მოსაზრებებსა და სურვილებს.

ქართველი ხალხის საყოფაცხოვრებო კულტურის წარმატებითი კვლევა იძლევა იმის გარანტიას, რომ მისი ავტორი ამ მიმართულებით კვლავ გააგრძელებს მუშაობას. მაშინ კი საჭირო იქნება მეტად მიეჭეს ყურადღება მაგალითად, ავეჯის მკეთებლისა და მომხმარებლის ურთიერთობას, გაიკვეს: ა) ავეჯის მკეთებლის საზოგადოებრივ-ეკონომიური მდგომარეობა, ბ) შემსრულებლისა და შემკვეთის პირობა-ვალდებულება, გ) ავეჯის მკეთებელთა შთამომავლობითი ტრადიცია, ცენტრების სა-

კითხი და დ) ოსტატის ადგილი შრომის საზოგადოებრივ დანაწილებაში.

აღნიშნულ გარემოებათა გარკვევა დაგეგმარება როგორც კულტურის ისტორიულ ეპოქების განსაზღვრაში, ასევე საზოგადოების განვითარების დონის დადგენაში.

ლ. ბედუქიძის მონოგრაფიული გამოკვლევა „ხალხური ავეჯი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში“ ქართული საბჭოთა ენოგრაფიის სერიოზული შენამენია, რომელიც მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს ხის დამუშავების დარგობრივად შესწავლის საქმეში, მას გვერდს ვერ აუვლის აღნიშნული საკითხებით დაინტერესებული ვერც ერთი მკვლევარი.

ჯუღიუბა რუსაძე

Д. Л. ВАТЕЙШВИЛИ, РУССКАЯ ОБЩЕСТВЕННАЯ МЫСЛЬ И ПЕЧАТЬ НА КAVKAЗE В ПЕРВОЙ ТРЕТЬИ XIX ВЕКА

Москва, 1973

Первая треть XIX века ознаменовалась важнейшими событиями в жизни народов Кавказа. Уже в самом начале прошлого столетия стало очевидным, что внешнеполитические интересы русского царизма, а также конкретная историческая обстановка в крае способствовали более тесному смыканию отдельных кавказских стран с Россией, чем это имело место за весь предшествующий период. Присоединение Восточно-грузинского царства к России и последовавшее за ним добровольное либо принудительное объединение в составе Российской империи народов, населявших обширный Кавказский край, одновременно положило начало организованному и всестороннему, в том числе плодотворному культурному сотрудничеству русского и кавказских народов.

Проблема научного изучения истории этого сотрудничества, изобилующей яркими эпизодами интернационального общения, взаимопроникновения и обогащения братских национальных культур, всегда приковывала к себе интерес историков, как дореволюционных, так и советских. На сегодняшний день о русско-кавказских, в частности, о русско-закавказских культурных взаимосвязях на-

писано немало. Тем не менее многие аспекты этой многогранной проблемы все еще нуждаются в обстоятельном аналитическом исследовании. В этом смысле выход в свет монографии доктора исторических наук Д. Л. Ватейшвили, освещающей историю зарождения и развития русской общественной мысли и печатного слова на Кавказе в первые три десятилетия прошлого века, без преувеличения можно рассматривать как важное приобретение советской историографии.

В шести объемистых главах монографии рассматривается весьма широкий круг вопросов, непосредственно связанных не только с историей русско-кавказских отношений, но и с политическим, социально-экономическим и культурным развитием народов Кавказа в исследуемый период. Первые две главы посвящены выяснению исторической обусловленности возникновения и развития на Кавказе русской общественной мысли и печати, в качестве непосредственных предпосылок которых автор рассматривает издательскую деятельность в России грузинских и армянских политических эмигрантов, а также становление печатного дела в Грузии под воз-

действием русского полиграфического опыта. Привлечение новых документальных данных позволяет автору, с одной стороны, уточнить некоторые из высказанных его предшественниками мнений и предположений, касающихся, в частности, истории грузинской печати в России, а с другой стороны — восстановить подлинную картину состояния Тбилисской типографии в начале XIX века после ее разорения в 1795 году полчищами Ага-Магомет-хана Каджара.

Автор интересно повествует о мероприятиях русской администрации в Грузии по восстановлению и укреплению местной полиграфической базы, послужившей материальной основой возникновения русского книгопечатания и журналистики на Кавказе, о выявленных им печатниках и корреспондентах, способствовавших своей деятельностью взаимопониманию и дружбе между русским и кавказскими народами вопреки игнорированию колониалистской политикой царизма элементарных запросов местного населения и т. д. Здесь же изложены любопытные сведения о первых образцах русской периодической и непериодической литературы на Кавказе — прокламациях служебного назначения, первой русской книге — разговорнике, о первых рукописных и печатных местных периодических изданиях, история появления которых рассматривается автором на историческом фоне развития общественной мысли, журналистики и печатного дела в тогдашней России.

В последующих главах монографии (III—VI) особое внимание уделено истории создания, деятельности и анализу содержания первой русской газеты на Кавказе — «Тифлиских ведомостей» (1828—1832 гг.). Несмотря на официальный характер этого издания, призванного способствовать колониалистским намерениям царизма в Закавказье и его стратегическим планам на Ближнем Востоке, газета более стремилась к выполнению своей просветительской функции, сыграв немаловажную роль в укреплении дружбы русского и кавказских народов. Это стало возможно благодаря наличию у газеты прогрессивно настроенного авторского актива, в котором значились имена великих русских писателей А. С. Пушкина и А. С. Грибоедова, сосланных на Кавказ декабристов (А. А.

Бестужев-Марлинский, И. Г. Бурцов, Е. Е. Лачинов, В. Д. Сухоруков и др.) и передовых представителей местной национальной интеллигенции (А. К. Бакиханов, Х. Абоян, С. И. Додашвили и др.).

Наряду с тщательным изучением этих многозначительных контактов газеты, в монографии на основе конкретного фактографического материала, выявленного автором в архивохранилищах Москвы, Ленинграда и Тбилиси, исследованы условия возникновения «Тифлиских ведомостей», правила их выпуска и причины прекращения издания, а также структура, типология и политическое направление газеты. Многогранное содержание «Тифлиских ведомостей» автор рассматривает по таким аспектам проблематики газеты, как «Освещение истории, быта и нравов народов Кавказа», «Проблемы экономического развития края», «Вопросы науки и просвещения», «Полемическая целеустремленность газеты», «Военная тематика... и вопросы истории русско-грузинского боевого содружества».

Содержание монографии, в которой уточнены характеристики многих личностей, способствовавших либо препятствовавших общественному прогрессу, убеждает в том, что «богатый и зачастую уникальный материал Кавказской русской печати, запечатлевший поступательное развитие передовой общественной мысли в крае, дает основание рассматривать его как один из ценнейших первоисточников по общей истории народов Кавказа» (стр. 6). Монография написана на высоком научно-теоретическом уровне, хотя в ней встречаются отдельные неточности.

На стр. 90 рецензируемой книги, автор пишет: «Прежде чем вступить в должность главноуправляющего Грузии, Ермолов в специальной записке испросил у Александра I известных привилегий для себя, как единовластного начальника вверяемого ему края... Желание генерала было уважено, и Ермолов прибыл в Грузию полновластным верховным правителем, наделенным почти такими же полномочиями, как в свое время Цицианов (подчеркнуто нами, — Р. Л.). Он волен был распоряжаться по своему усмотрению как в области военной и внешнеполитической деятельности, так и во-внутриполитической, экономической и культурной областях, что

он и делал в течении своей 11-летней службы на Кавказе».

Делая такое заявление, автор опирался только на часть необходимых документальных материалов (ЦГИА СССР, ф. 560, оп. 10, д. 90), оказавшейся не достаточной для подобного вывода. Другая часть материалов из этого же архивного дела, содержащая сведения о том, какое последовало решение на просьбу Ермолова о своих привилегиях, по-видимому осталась вне поля зрения автора монографии.

Еще до прибытия в Грузию А. П. Ермолов в самом деле представил Комитету министров предложения о расширении власти главноуправляющего Грузии. Эти предложения, касавшиеся внутреннего управления, заключались в основном в следующем: 1) вверить ему «все части управления в Грузии, Астраханской и Кавказской губерниях... в непосредственное управление... и ответственность»; 2) отставку и отрешение высших чинов производить только с согласия Ермолова; 3) все постановления и законы, касающиеся вверенного ему края, издавать только после сношения с ним; 4) сношение с главноуправляющим с требованием ответа разрешить только сенату и министрам; 5) всех командированных для ревизии чиновников и комиссии присылать непосредственно к нему для решения: «есть ли существенная надобность действовать упоминаемому лицу или нет и в последнем случае отсылать обратно» (ЦГИА СССР, ф. 560, оп. 10, д. 90, лл. 2—7).

Предложения Ермолова обсуждались в Комитете министров 16 июня 1816 года и вызвали разногласия среди министров (там же, ф. 1263, оп. I, д. 96, лл. 326—333 об.). В связи с этим, для окончательного разрешения вопроса, журнал комитета был подан императору, который указал, что «... предмет сей вообще принят к обозрению не с надлежащей точки», ибо каждый новый главноуправляющий «должен руководствоваться теми правилами, кои были основаны для предшественников его», а принимать новые правила при каждом

новом главнокомандующем, — «значит отходить от заведенного порядка и разрушать возможность учредить ход на прочном и ненарушаемом положении». Вследствии этого император повелел: 1) Ермолову управлять также, как управляли его предшественники, 2) по прибытии на место сообразить ему «... власть с настоящим положением вещей и войти ко мне (т. е. к императору. — Р. Л.) с представлением» о переменах (там же, л. 345).

Таким образом, претензии А. П. Ермолова на полновластность своих полномочий на Кавказе были значительно ограничены: он прибыл в Грузию, наделенный почти такими же правами, как и его предшественники: Гудович, Тормасов, Паулуччи и Ртищев.

Отметим и другую неточность: по мнению автора, в июле 1817 года Ермолов только готовился к отъезду в Грузию (стр. 120). Напомним, что он прибыл в Тбилиси 10 октября 1816 года (см. Записки А. П. Ермолова, ч. II, 1816—1827 гг., М., 1868, стр. 4), а большую часть 1817 года он провел в Персии с дипломатической миссией. Нам кажется, автор неправильно называет полем боя место, где был убит П. Д. Цицианов (стр. 73).

Однако отмеченные неточности вовсе не умаляют важную и трудоемкую работу, проделанную Д. Л. Ватейшвили. На основании обширнейшего литературного и фактического материала, он сумел восполнить существенные пробелы в истории русско-кавказского культурного сотрудничества и сделать некоторые новые, научно-весомые выводы. Поэтому его монографию следует рассматривать как значительный вклад в советскую кавказоведческую науку. Она безусловно является полезной книгой не только для специалистов, но и для сравнительно широкого круга читателей, интересующихся историей русско-кавказских отношений указанного периода.

РЕВАЗ ЛОМИНАДЗЕ

ქრონიკა და ინფორმაცია

აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის დაბადების 75 წლისთავი

გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, აკადემიკოს შალვა ამირანაშვილს 75 წელი შეუსრულდა. ძნელია ჯეროვნად შევაფასოთ შალვა ამირანაშვილის სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მნიშვნელობა თანამედროვე ქართულ ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერული განვითარების საქმეში. მრავალმხრივმა და-ფართო დიაპაზონის მკვლევარმა, დღემდე, მისი სამეცნიერო მოღვაწეობის 55 წლის მანძილზე, შექმნა მრავალრიცხოვანი შრომები, რომლებიც საკუთრივ ქართული ხელოვნების პრობლემების გარდა, ბიზანტიის, რუსეთისა და ირანის ხელოვნების მნიშვნელოვან საკითხებსაც შეისწავლის.

მეცნიერის კვლევა-ძიების სფერო მოიცავს ქართული ხელოვნების თითქმის ყველა დარგს, რომელთა მრავალრიცხოვან ნიმუშებს ღრმა მეცნიერული ცოდნით, ხელოვნებათმცოდნეობის კვლევის თანამედროვე მეთოდებით შეისწავლის და მკაფიოდ განსაზღვრავს მათ როლსა და ადგილს ქართული ხელოვნების განვითარების გზაზე.

შალვა ამირანაშვილი პირველი ქართველი ხელოვნებათმცოდნეა, რომელმაც შეისწავლა საქართველოს ფეოდალური ხანის ხელოვნება, საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ზურთთმოდგერება თუ გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები და დიდი ფუნდამენტური ნაშრომი შექმნა.

შალვა ამირანაშვილმა ქართული ხელოვნების საკითხის ფართო ასპექტში გააზრებით მნიშვნელოვნად გააფართოვა ჩვენი ისტორიის ქრონოლოგიური დიაპაზონი და წინაქრისტიანული ხანის ხელოვნების კვლევა-ძიების მრავალმხრივ საყურადღებო პერსპექტივები დასასხა.

შალვა ამირანაშვილმა ჯერ კიდევ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობის პერიოდში, სერიოზულად მოიკიდა ხელი ძველი ქართული ზურთთმოდგერების, კედლის მხატვრობის, დასურათებულ ხელნაწერთა და ლითონზე პლასტიკის მრავალრიცხოვანი ნიმუშების საფუძვლიან შესწავლას. გარდა ამისა, სტუდენტობისა და ასპირანტობის წლებში გაიარა ბრწყინვალე სკოლა ივ. ჯავახიშვილის, ე. თაყაიშვილის, გ. ჩუბინაშვილისა და დ. აინალოვის ხელმძღვანელობით. მის მიერ სტუდენტობის პერიოდში გამოქვეყნებულ წერილებს: „ცოტა რამ ხელოვნებაზე“ (1919), „ბეპუ მუნარგია ოქრომჭედელი XIX საუკუნის პირველი ნახევრისა“, „არქეოლოგიური მოგზაურობა ყვრილის სეობაში“, „ბერთუბნის სატრაპეზოს ფრესკები“ (1922), დღესაც არ დაუკარგავს მეცნიერული მნიშვნელობა.

1919 წლიდან, ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს, შალვა ამირანაშვილმა დაიწყო ქართული კედლის მხატვრობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლის, უბისის მოხატულობის დამოუკიდებელი შესწავლა, რაც საფუძვლად დაედო მის მიერ 1929 წელს ქართულსა და რუსულ ენებზე გამოქვეყნებულ მონოგრაფიულ ნარკვევს — „უბისი, მასალები ქართული კედლის მხატვრობის ისტორიისათვის“. მკვლევრის მიერ ნაშრომში წამოყენებული მრავალი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც ქართული ხელოვნების ისტორიის საყურადღებო საკითხებს შეეხება, მეცნიერების თანამედროვე დონეზეა გააზრებული. აღნიშნულ ნაშრომს სამეცნიერო წრეებმა მაღალი შეფასება მისცა, რის საფუძველზეც 1936 წელს შ. ამირანაშვილს მიენიჭა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

შუაფეოდალური ხანის ქართველი ოქრომქანდაკელების, ბექა და ბეშქენ ოპიზარების შემოქმედებას შეისწავლის შალვა ამირანაშვილის მონოგრაფიული ნარკვევი — „ბექა ოპიზარი“, რომელიც 1937 წელს გამოქვეყნდა ქართულსა და რუსულ ენებზე, ხოლო 1956 წელს, გარკვეული დამატებებით მეორედ გამოიცა. ნაშრომში სათანადო სისრულით არის შესწავ-

ლილი ქართული ოქრომჭედლობის ბრწყინვალე ნიმუშები: ანჩისხატის ტრიპტიქი, წყაროს-თავისა და ბერთის სახარებების ვერცხლით შეჭედილი ყდები, რომლებიც ბექა და ბეშქენ ოპიზრების შემოქმედების ჩვენამდე მოღწეულ ნიმუშებს წარმოადგენენ.

წლების განმავლობაში დაულაღავი მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგად შეკრებილი მრავალრიცხოვანი მასალის გაანალიზების საფუძველზე, შალვა ამირანაშვილმა გამოაქვეყნა კაპიტალური ნაშრომი — „ქართული ხელოვნების ისტორია“, რომელიც ერთადერთი ნაწარმოებია ქართულ ხელოვნებათმცოდნეობაში, სადაც ჩვენი ქვეყნის ხელოვნების ისტორიის საკითხები პალეოლითის ხანიდან მოყოლებული ჩვენი წელთაღრიცხვის XX საუკუნემდეა წარმოდგენილი და მხატვრულ-ისტორიული, სტილისტური თვალსაზრისით შესწავლილი. ეს კაპიტალური ნაშრომი სხვადასხვა დროს გამოაქვეყნდა ქართულ (1944, 1961, 1971), რუსულ (1950, 1963) და პოლონურ ენებზე (1973).

შ. ამირანაშვილმა 1957 წელს გამოაქვეყნა კიდევ ერთი კაპიტალური ნაშრომი — „ქართული კედლის მხატვრობის ისტორია“, პირველი ტომი, სადაც ასახულია ქართული კედლის მხატვრობის ისეთი ძეგლები, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაში სათანადოდ არ იყო შესწავლილი, ან საერთოდ არ იყო ცნობილი. ასეთებია: დავით გარეჯის ერთ-ერთი სამონასტრო განშტოების, დოდოს რქის კედლის მხატვრობა, რომელიც ადრეფეოდალურ ხანას განეკუთვნება. მეფის მხატვრის თევდორეს მიერ ზემო სვანეთში მოხატული სამი ეკლესია. აქვე განხილულია ბიჭვინთის, წრომისა და გელათის მოზაიკები, დავით გარეჯის მონასტრების, ატენის სიონის, იშხანის, ოშკის, ხახულის კედლის მხატვრობა. აგრეთვე, ფეოდალური ხანის სახვითი ხელოვნების მრავალი მნიშვნელოვანი საკითხია განხილული და ახალი მასალის შუქზე გააზრებული.

შალვა ამირანაშვილს დიდი წვლილი მიუძღვის ძველი ქართული ხელნაწერების დასურათების შესწავლის საქმეში. მან შექმნა მნიშვნელოვანი გამოკვლევები, როგორიცაა: „ქართული მინიატურა“ (1966), „ვეფხისტყაოსნის დასურათება, მინიატურებში შესრულებული XVI—XVII სს. (1966), „ვეფხისტყაოსნის ძველ ქართულ ხელოვნებაში“ (1968).

ქართული ხელოვნების ისტორიის გარდა შალვა ამირანაშვილი დიდ ინტერესს იჩენს ე. წ. „ისლამური“, უმთავრესად ირანული ხელოვნების სხვადასხვა საკითხების შესწავლი-სადმი. მან 1953 წელს მონაწილეობა მიიღო ირანის ხელოვნებისა და არქეოლოგიისადმი მიძღვნილ III საერთაშორისო კონგრესის მუშაობაში, სადაც წარსდგა მეტად საყურადღე-ბო მოხსენებით — საქართველო და ირანი. მან ამ საკითხებს მიუძღვნა მნიშვნელოვანი მონოგრაფიული ნარკვევები — „ირანული დაზგური ფერწერა“ (1940), რომელიც საქარ-თველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმისა და ერმიტაჟში დაცულ ირანული ფერწერის XVIII—XIX სს. ბრწყინვალე ნიმუშებს შეისწავლის და „ირანული ფერწერა“ (1941), სა-დაც თავმოყრილი და განხილულია ირანული ფერწერისა და მინიატურების XVIII—XIX სს. ძეგლები.

შალვა ამირანაშვილის მიერ ზემოაღნიშნული ნაშრომების შედეგად გახდა ხელმისა-წვდომი მეცნიერებისათვის როგორც საქართველოში, ისე რუსეთში დაცული ირანული სახ-ვითი ხელოვნების ნიმუშები, რომლებმაც სათანადო ადგილი დაიმკვიდრეს ირანული ხე-ლოვნების ისტორიაში.

შალვა ამირანაშვილის კვლევის სფეროში შედის, აგრეთვე, სასანური ირანის ეპოქის მხატვრული კულტურის ძეგლები. მკვლევარმა შეისწავლა და გამოაქვეყნა საქართველოში, სოფ. ბორში აღმოჩენილი ვერცხლის თასი ფალაური წარწერით, რომლის გაშიფრვის შე-დეგად გაარკვია, რომ ეს ნივთი ეკუთვნოდა ქართველ პიტიასშს ბუზმიპრს. საქართველოს ისტორიისათვის მნიშვნელოვანია ბრიტანეთის მუზეუმში დაცულ გემაზე გამოსახული მამა-კაცისა და ფალაური წარწერის შესწავლა, რომელიც შალვა ამირანაშვილს ეკუთვნის, წარ-წერაში მოცემული საკუთარი სახელი და გამოსახულების სტილისტური ნიშნები მკვლე-ვარს ვახტანგ გორგასალთან იდენტიფიკაციის საშუალებას აძლევს.

შალვა ამირანაშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული ხელოვნების პოპულარიზაციის საქმეში. ამ მხრივ აღსანიშნავია ფრანგულ ენაზე პარიზში გამოცემული ნაშრომი — „სა-ქართველოს ტიხროვანი მინანქრები“ (1962), რომელშიც თავმოყრილი და შესწავლილია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში დაცული ტიხრული მინანქრების ბრწყინვალე კოლექ-ციები. შალვა ამირანაშვილის ნაშრომს საზღვარგარეთის ქვეყნების სამეცნიერო წრეებში დიდი რეზონანსი ჰქონდა, იგივე წიგნი გამოსცა მილანის გამომცემლობამ იტალიურ ენა-

ზე (1963). სოლო შემდეგ ინგლისურ ენაზე გამოქვეყნდა ნიუ-იორკში (1965) პრადში, გამომცემლობა „არტიამ“ ჩეხურ, ინგლისურ, ფრანგულსა და გერმანულ ენებზე გამოსცა შ. ამირანაშვილის მონოგრაფიული ნარკვევი, რომელიც ქართულ ლითონზე პლასტიკისა და ტიხრული მინანქრების მნიშვნელოვან ძეგლებს შეისწავლის (1971). ვარშავის სამეცნიერო გამომცემლობამ 1973 წელს პოლონურ ენაზე თარგმნა და გამოსცა შ. ამირანაშვილის კაპიტალური ნაშრომი — „ქართული ხელოვნების ისტორია“.

ქართველმა მკითხველმა (1972) მიიღო შ. ამირანაშვილის კიდევ ერთი საყურადღებო ნაშრომი — „სახულის კარები“, რომელიც პოლიგრაფიულად კარგად არის შესრულებული, უხვად არის ილუსტრაციები და XII საუკუნის ქართული ოქრომჭედლობის ბრწყინვალე ძეგლზე, მის მრავალრიცხოვან ტიხრულ მინანქრებზე სრულ წარმოდგენას გვაძლევს.

შალვა ამირანაშვილის კვლევის ინტერესები მხოლოდ ძველი ქართული ხელოვნების ისტორიით არ შემოიფარგლება, იგი დიდ ინტერესს იჩენს, აგრეთვე, რუსეთისა და ევროპის მხატვრების შემოქმედებებისადმი, შეუწელებელი ინტერესით მონაწილეობს თანამედროვე სამხატვრო-შემოქმედებით ცხოვრებაში. მის მიერ გამოქვეყნებული მრავალრიცხოვანი მონოგრაფიები და წერილები: ნ. ფიროსმანიშვილის, დ. კაკაბაძის, ლეონარდო და ვინჩის, ნ. რეინის, ა. რუბლევის, ლ. გუდიაშვილის, პ. ფედოტოვის, ე. ახელედიანის, მ. სარიანის, მ. თოდის, ი. ნიკოლაძისა და სხვათა შემოქმედების შესახებ გამოირჩევიან საკვლევი საკითხის შესწავლის სიფართოვითა და სტილისტური ანალიზის სიღრმით.

შ. ამირანაშვილის სამეცნიერო მოღვაწეობა სათანადოდ იქნა შეფასებული სამეცნიერო წრეებში. 1943 წელს იგი აირჩიეს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1955 წელს არჩეულ იქნა საფრანგეთის სააზრო საზოგადოების წევრად.

შალვა ამირანაშვილი მეცნიერულ-კვლევით მუშაობას კარგად უთავსებს პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. იგი 25 წლის მანძილზე წარმატებით ხელმძღვანელობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში ხელოვნების ისტორიის კათედრას. ამჟამად განაგებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრას. ამასთან ერთად, 1939 წლიდან საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორია.

ქართულ მცხოვან მეცნიერს დიდი ღვაწლი მიუძღვის სამუზეუმო საქმიანობაში. ქართული ხელოვნების მრავალი მნიშვნელოვანი ძეგლი, რომელიც ამჟამად ხელოვნების მუზეუმის მუდმივ ექსპოზიციაშია, შალვა ამირანაშვილის მიერ არის საქართველოს სხვადასხვა რაიონში შეკრებილი და ჩამოტანილი. 1922 წელს მკვლევარი მონაწილეობას იღებს საგანგებო კომისიის მუშაობაში, რომელიც მიზნად ისახავდა რუსეთის მუზეუმებში დაცული ეროვნული კულტურის ძეგლების გამოვლენასა და შესაბამისი რესპუბლიკების მუზეუმებში დაბრუნებას. აღნიშნულ კომისიაში მუშაობის დროს შალვა ამირანაშვილმა მიაკვლია სახულის ხატის ტიხრული მინანქრების ფრაგმენტებს, აგრეთვე, საფარის კანკელის ბრწყინვალე ნიმუშს და ქართული ხელოვნების სხვადასხვა ძეგლებს, რომლებიც საქართველოს ხელოვნების მუზეუმს დაუბრუნდა.

ქართული კულტურის ისტორიაში ყველაზე ღირსშესანიშნავია საქართველოდან 1921 წელს საფრანგეთში წაღებული ეროვნული საგანძურის უკან დაბრუნება. 1945 წელს სსრ კავშირის მთავრობის დავალებით სხვებთან ერთად შალვა ამირანაშვილი პარიზს მიაგლინეს ეროვნული საგანძურის საქართველოში ჩამოტანის მიზნით. ეს ისტორიული მნიშვნელობის მისია მან წარმატებით განახორციელა.

ღვაწლმოსილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე შალვა ამირანაშვილი დღესაც დაუშრეტელი ენერგიით იკვლევს ქართული ხელოვნების ისტორიის სხვადასხვა საკითხებს, უსურვოთ მას ამ საქმეში ახალი წარმატებები.

პროფ. პ. რატიანის დაბადების 60 წლისთავი

ცნობილ ქართველ ისტორიკოსს, ქართული საზოგადოებრივი აზრისა და საქართველოს ახალი ისტორიის მკვლევარს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ პროფი კონსტანტინეს ძე რატიანს 60 წელი შეუსრულდა.

პროფი რატიანი დაიბადა 1914 წლის 7 მარტს ჭიათურელი მუშის ოჯახში. 1934—1938 წწ. იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტია. 1937 წ. გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში მიიწვიეს სამუშაოდ, სადაც 1942 წლამდე პ. რატიანი იყო ლიტერატურული მუშაკი, განყოფილების გამგე, რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი, რედაქტორის მოადგილე, ხოლო უფრო გვიან, 1957—1958 წწ. გაზეთის რედაქტორი.

1939 წელს, პ. რატიანი სკკპ წევრად მიიღეს.

1941—1945 წლებში პ. რატიანი მუშაობდა საქართველოს კპ საჩხერის რაიონული კომიტეტის პირველ მდივად. ხოლო 1945 წლიდან 1949 წლამდე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სოხუმის ბოტანიკური ბაღის დირექტორად, 1949—1952 წლებში — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის დირექტორად. 1952—1953 წწ. რატიანი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სკოლებისა და მეცნიერების განყოფილების გამგის მოადგილედ და გამგედ მუშაობდა.

1953 წ. რატიანი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში გადმოვიდა, სადაც ჯერ საქართველოს ბურჟუაზიული ხანის ისტორიის განყოფილებას ხელმძღვანელობდა, ხოლო 1961 წლიდან დღემდე ისტორიული მეცნიერებისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიის განყოფილების გამგეა.

პ. რატიანმა პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში მუშაობისას თავი გამოიჩინა როგორც პრინციპულმა და საქმის მცოდნე მუშაკმა. ის არჩეულ იყო საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის წევრად, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

1945 წელს აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას რჩევითა და ხელმძღვანელობით პ. რატიანმა მუშაობა დაიწყო ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიის საკითხებზე. ამ დარგში მრავალი წლის შრომის ნაყოფია მისი ფუნდამენტური გამოკვლევები „ილია ჭავჭავაძე. მოღვაწეობა და აზროვნება“ და „თერგდალეულთა რევოლუციური მოღვაწეობის ისტორიიდან“.

ნ. ბერძენიშვილის დავალებით 50-იან წლებში პ. რატიანმა შეადგინა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ისტორია „საქართველოს ისტორიის“ ახალი კურსისათვის. ეს მეტად რთული და შრომატევადი სამუშაო იყო. ამასთან ასეთი კურსის შექმნას იმხანად არც ისე დიდი ტრადიცია ჰქონდა. ჩვენმა საზოგადოებრიობამ მიიღო მეტად საინტერესო წიგნი, სადაც საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების საკითხებზე ერთთავად ახალი კონცეფცია იყო წამოყენებული. ამ ნაშრომით პ. რატიანმა დიდი სამსახური გაუწია ქართულ ისტორიულ მეცნიერებას.

60-იან წლებში პ. რატიანის შემოქმედებაში ახალი — ისტორიოგრაფიული პრობლემატიკა შემოვიდა. ის წარმატებით იკვლევს ლენინური ისტორიული კონცეფციების სინათლეზე საქართველოს ისტორიის საპრობლემო საკითხებს, ისტორიულ მეცნიერებაში ლენინური ეტაპის ჩამოყალიბების საკითხებს. მისი რედაქტორობითა და ხელმძღვანელობით გამოვიდა „ქართული ისტორიოგრაფიის“ ორი კრებული, რომელიც საინტერესო თავისი პრობლემატიკით, წამოყენებული ისტორიული კონცეფციებით.

პ. რატიანი ცნობილია როგორც კარგი მეცნიერ-ორგანიზატორი, რომელსაც ასლის შემგზნების შესანიშნავი ალლო აქვს. მის ირგვლივ ყოველთვის თავს იყრიან ახალგაზრდა მკვლევრები, რომელთაც იზიდავს ისტორიულ კონცეფციათა, იდეათა სიახლით, საკითხების გადაწყვეტის ორიგინალობით. პ. რატიანის ხელმძღვანელობით, მეცნიერული კონსულტაციებით შეიქმნა არაერთი საინტერესო ისტორიული ნაშრომი, საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია.

პ. რატიანი სერიოზულ შემოქმედებით მეცნიერულ მუშაობას წარმატებით უთავსებს აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას. ის არის საქართველოს მწერალთა კავშირისა და საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წევრი; წლების მანძილზე იყო ჟურნალ „მნათობის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი. პ. რატიანი არის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოების, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის „ისტორიული მეცნიერებების ისტორიის“ საპრობლემო სამეცნიერო საბჭოს წევრი და ამ საბჭოს საქართველოს სექციის თავმჯდომარე.

პროფესორი პროკოფი რატიანი დღესაც კვლავ ახალგაზრდული ენერგიით, ახალგაზრდული გატაცებით მუშაობს და ჩვენც ვუსურვებთ მას შემდგომ ნაყოფიერ მოღვაწეობას ჩვენი საისტორიო მეცნიერების ასპარეზზე.

ლენინური იდეების დამოწმება

ვ. ი. ლენინის გარდაცვალების 50 წლისთავს მიეძღვნა 21 იანვარს გამართული სამეცნიერო-თეორიული კონფერენცია, რომელიც მოიწვიეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა პარტიის ისტორიის ინსტიტუტმა — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, რესპუბლიკის შემოქმედებითა კავშირებმა და ორგანიზაციებმა.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. მ. სირაძემ.

ვ. მ. სირაძემ აღნიშნა, რომ დიდი ლენინის გარდაცვალების 50 წლისთავს დღეს, მრავალეროვანი საბჭოთა ხალხი, მთელი მსოფლიოს მშრომლები მისი ნათელი იდეების გამარჯვებისათვის განსაკუთრებული სიამაყით, უსაზღვრო სიყვარულისა და ღრმა მადლიერების გრძნობით კიდევ ერთხელ წარმოთქვამენ თავიანთი ბელადის, მასწავლებლისა და მეგობრის, გენიალური მოაზროვნისა და რევოლუციონერის, კომუნისტური პარტიისა და მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს შემქმნელის ნათელ სახელს.

ვ. ი. ლენინმა მთელი თავისი განუმეორებელი გენია, თავისი ნიჭის მთელი ძალა, თავისი გულის მთელი მგზნებარება შეაღია ტიტანურ ბრძოლას მშრომელი ხალხის განთავისუფლებისათვის, კაცობრიობის სოციალური, ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების ძირეული გარდაქმნისათვის, გამოიჩინა ჭეშმარიტად უკვდავი გმირობა.

ვ. მ. სირაძემ აღნიშნა, რომ ვ. ი. ლენინის უკვდავ სახელთან არის დაკავშირებული სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობაში საბჭოთა ხალხის ყველა წარმატება. ვ. ი. ლენინის უკვდავ სახელთან არის დაკავშირებული კომუნიზმის საერთაშორისო მასშტაბის მსოფლიო ისტორიული მონაპოვარი, ბოლოდროინდელი დამაჯერებელი გამარჯვებანი, რომლებიც კაცობრიობის პროგრესულმა ძალებმა მოიპოვეს ბოროტების, ბნელეთის მოციქულებისა და ძალმომრეობის ძალებზე მშვიდობის, სოციალური პროგრესის, დემოკრატიისა და სოციალიზმის იდეების გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

„ლენინის გონების დიდი ენერგია, ლენინის მგზნებარე გულის ცემა, კვლავ ცოცხლობს პარტიის საქმეებში“. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის ეს სიტყვები კიდევ ერთხელ ადასტურებენ უკვდავი ლენინური მოძღვრების უდიდეს მნიშვნელობას.

ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში არ არის დარგი, რომლის განვითარებაზეც გადამწყვეტი ზემოქმედება არ მოეხდინათ დიდი ლენინის იდეებს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის მთელი საქმიანობა მიზნად ისახავს ლენინის ანდერძის განხორციელებას.

პარტია მუდამ ლენინთან ერთად არის, ლენინი მუდამ პარტიასთანაა — ამაშია ჩვენი ძალა, კომუნიზმის დიადი საქმის გამარჯვების რწმენა.

დღეს, ხაზგასმით აღნიშნა ვ. მ. სირაძემ, ვ. ი. ლენინის ნათელ ხსოვნას ჩვენ ანგარიშს ვაბარებთ უმაღალითო პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, როცა საქართველოს რესპუბლიკის მშრომელები, როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, უდიდესი ენთუზიაზმითა და უშრეტო ენერგიით ჩაებნენ მეცხრე სთოწლედის გრანდიოზული პროგრამის, პარტიის მიერ დასახული აღმშენებლობის პროგრამის შესრულებისათვის ბრძოლაში, XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა ღირსეულად შესრულებისათვის გაწეულ საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში.

ლენინის იდეები, ლენინური პოლიტიკური წრთობა, გამარჯვებანი, ლენინური მეცნიერება — აი ის უშრეტო წყარო, რომელიც მატებს ჩვენს ხალხს საკუთარი ძალების რწმენას, მამაცობას და ოპტიმიზმს, გამარჯვებისადმი სწრაფვას.

მომხსენება „50 წელი ულენინოდ, ლენინური გზით“ გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის დირექტორმა, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა დ. გ. სტუტუაშვილმა. ლენინში შეხამებული იყო, თქვა მან, ხალხის წინამძღოლისა და ხალხის მეგობრის, დაუცხრომელი და უშიშარი მებრძოლის, უდიდესი მეცნიერის საუკეთესო თვისებები.

ვ. ი. ლენინის მსოფლიო-ისტორიული დამსახურება მარტო ის კი არ არის, რომ მან დაიცვა მარქს-ენგელსის მოძღვრება, საერთაშორისო სოციალიზმის ღირსება, არამედ ისიც, რომ სათავეში ჩაუდგა მილიონთა ბრძოლას ძველი სამყაროს ძირეული გარდაქმნისათვის.

მომხსენებელმა დაახასიათა ის დიდი და სახელოვანი გზა, რომელიც საბჭოთა ხალხმა განვლო ლენინის დროში, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. მან დაასახელა მკაფიო ფაქტები და ციფრები, რომლებიც ასახავენ საბჭოთა კავშირის თვალსაჩინო წარმატებებს ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, მშრომელთა მატერიალური ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში.

სსრ კავშირის ყველა ერისა და ეროვნების როგორც ეკონომიკის განვითარებაში, ისე კულტურის აყვავებაში თვალსაჩინო როლი შეასრულა დიდმა რუსმა ხალხმა, რომელიც უწევდა და უწევს უდიდეს დახმარებას ერთიან მძლავრ საბჭოთა ოჯახად შეკავშირებულ ყველა მოძმე ხალხს. ამის პასუხად არარუსი ერები და ეროვნებანი დიდ რუს ხალხს სიყვარულითა და მადლიერებით ეკიდებიან.

ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებათა კლასიკური მაგალითია საქართველოს სსრ რესპუბლიკის წარმატებანი როგორც სახალხო მეურნეობის, ისე კულტურის განვითარებაში. თუ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში მხოლოდ რამოდენიმე ათეული ზოგადსაგანმანათლებლო და საშუალო სპეციალური სკოლა და მხოლოდ ერთი უმაღლესი სასწავლებელი იყო, რომლებშიც მოსახლეობის დაახლოებით ხუთი პროცენტი სწავლობდა, ამჟამად რესპუბლიკაში არის 4500-ზე მეტი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, 100 საშუალო სპეციალური და 18 უმაღლესი სასწავლებელი. საქართველოში ყოველი მესამე ადამიანი სწავლობს.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში დასაქმებულია უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე 400 ათასამდე სპეციალისტი, რომელთაგან დაახლოებით 1150 მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორია, ხოლო შვიდი ათასამდე მეცნიერებათა კანდიდატი. სამეცნიერო და შემოქმედებითი ორგანიზაციების მოღვაწეებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ მთელი საბჭოთა კულტურისა და მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებაში.

ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენცია, ისევე როგორც ყველა პატიოსანი საბჭოთა ადამიანი, აღშფოთებულია სოლჟენიცინის ანტისაბჭოთა გამოსვლებით. მისი „მხატვრული ნაწარმოებები“ იბეჭდება საზღვარგარეთ და სოლჟენიცინის ყველა ნათიხანს ფართოდ იტაცებენ სოციალიზმის მტრები, საბჭოთა ქვეყნის მტრები, რომლებმაც პირი შეერეს ამ გახრწნილ ანტისაბჭოთა მძორთან, რომლის დასაცავადაც გამოვიდა აკადემიკოსი სახაროვი. ჩანს, მას არ ესმის, რომ სოლჟენიცინთან მეგობრობა კიდევ უფრო ბლაღავს მის, როგორც მეცნიერისა და მოქალაქის პრესტიჟს. სახაროვი იქამდეც კი მივიდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას არწმუნებს, თითქმის მისი დაახლოება საბჭოთა კავშირთან დამლუპველია.

შემდეგ მომხსენებელმა თქვა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ, აღნიშნული იყო ქართველ მეცნიერთა ცალკეულ ნაწარმოებებში არსებული კუთხურობისა და ნაციონალიზმის ზოგიერთი რეციდივი. საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ დასახა ქმედითი ღონისძიებანი ნაციონალიზმის რეციდივების აღმოფხვრისათვის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდისათვის. ამ ღონისძიებათა შესრულებისათვის მუშაობა უეჭველია, ხელს შეუწყობს არა მარტო სამეცნიერო ლიტერატურის იდეურ-თეორიული დონის ამაღლებას, არამედ კულტურის ყველა დარგის ძირეულად განვითარებასაც.

სუბიექტივიზმისა და ვოლუნტარიზმის მავნე შედეგების დაძლევისათვის ამ ბოლო ათი წლის განმავლობაში დაუცხრომელი პრინციპული ბრძოლის შედეგად, ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, მისმა პოლიტბიურომ საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის აღიარებული ლიდერის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით მიაღწიეს, პარტიის ავტორიტეტის, მისი ხელმძღვანელი და წარმმართველი როლის კიდევ უფრო ამაღლებას კომუნისტურ მშენებლობაში.

უკანასკნელ ხანს, საქართველოს კომპარტიის ცხოვრებაში მოხდა უმნიშვნელოვანესი მოვლენები, რაც გამოიხატა პრინციპული ბრძოლის გაჩაღებით რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და სხვა ორგანოების საქმიანობაში არსებული შეცდომების, ნაკლოვანებებისა და სხვა არაჯანსაღი მოვლენების გამოაშკარავებისა და გადაჭრით აღმოფხვრისათვის.

ჩვენი პარტიული ორგანოების მუშაობის გაჯანსაღებაში უაღრესად დიდი როლი შეასრულა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილმა დადგენილებამ თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ.

წელიწად-ნახევარში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დიდი მუშაობა გასწია პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების აღსადგენად, მნიშვნელოვნად ამაღლდა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა, გაიშალა ბოლშევიკური კრიტიკა და თვითკრი-

ტიკა, გაიზარდა თითოეული კომუნისტის პასუხისმგებლობა დაკისრებული საქმისათვის, ძირეულად გაუმჯობესდა პარტიული ხელმძღვანელობა ეკონომიკისა და კულტურის ყველა დარგისადმი.

საქართველო მთელ თავის წარმატებებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს უნდა უმაღლოდეს. საქართველოს კომპარტიამ მთელი თავისი წარმატებანი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის მეოხებით მოიპოვა.

მოხსენება „ვ. ი. ლენინი და საქართველო“ გააკეთა პროფესორმა ვ. გ. ესაიასვილიმა. ვ. ი. ლენინის უკვდავ სახელთან განუხრელად არის დაკავშირებული, თქვა მან, სოციალური და ეროვნული განთავისუფლების, სოციალიზმის აშენებისათვის საქართველოს მშრომელთა ბრძოლის ისტორია. ვლადიმერ ილიას ჭე მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქართველოს ბოლშევიკებთან, პირადად იცნობდა საქართველოს ხელმძღვანელ პარტიულ მუშაკთა უმეტესობას, ბევრ მათგანთან ახლო ურთიერთობა და პირადი ნაცნობობა აკავშირებდა.

არ არის საქართველოში რევოლუციური მოძრაობისა და ბოლშევიკური ორგანიზაციის საქმიანობის არც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელზედაც თავისი პირადი აზრი არ გამოეთქვას, შესაბამისი რჩევა და მითითება არ მიეცეს ვ. ი. ლენინს.

ლენინმა და მისმა უძლეველმა მოძღვრებამ გადამწყვეტი როლი შეასრულა ქართველი ხალხის ისტორიულ ბედში.

ვ. ი. ლენინის თხზულებებში, მოხსენებებში, სტატიებსა და წერილებში დაახლოებით 300-ჯერ არის ნახსენები საქართველო. ამ დოკუმენტებში დიდი ბელადი ეხება საქართველოს მუშათა და გლეხთა რევოლუციურ მოძრაობას, პარტიულ ორგანიზაციათა მუშაობას, ცხოვრების სხვადასხვა მხარეს.

საქართველოში ვ. ი. ლენინის შრომები 1895 წლიდან გავრცელდა. ქართველებმა, ჩვენს მრავალწლოვან ქვეყანაში და საერთოდ მსოფლიოში, ერთ-ერთმა პირველებმა დაიწყეს ლენინის შრომების თარგმნა და მშობლიურ ენაზე გამოცემა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას ლენინი პირველი მიესალმა. იგი ღრმად იცნობდა საქართველოს ეკონომიურ პირობებს, მან დასახა საქართველოს მშრომელთა ამოცანები სოციალისტურ მშენებლობაში, მათი შესრულების გზები და მეთოდები.

ქართველი ხალხი წმინდად ასრულებს ლენინის ანდერძს, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ახალ წარმატებებს აღწევს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში¹.

მოხსენება „ვ. ი. ლენინი და ეროვნული საკითხი“ გააკეთა პროფესორმა პ. კ. რატიანმა. მომხსენებელმა აღნიშნა ეროვნული საკითხის შესახებ ლენინური მოძღვრების დიდი მეცნიერული და პოლიტიკური მნიშვნელობა, დაახასიათა მისი ძირითადი პრინციპები და ნათლად წარმოაჩინა მისი განხორციელებისათვის ბოლშევიკური პარტიის მედგარი და თანმიმდევრული ბრძოლა ყოველი ჯურის ნაციონალიზმის წინააღმდეგ. დასასრულს, მომხსენებელი შეჩერდა ლენინური ეროვნული პროგრამის განხორციელების შედეგებზე საქართველოში, სადაც, ისე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ეროვნული საკითხი,

¹ გაზ. „კომუნისტი“, 1974 წლის 22 იანვარი.

„გადაწყდა მთლიანად, გადაწყდა საბოლოოდ და შეუბრუნებლად“ (ლ. ი. ბრეჟნევი).

მოხსენება „ვ. ი. ლენინი ისტორიული მეცნიერების ამოცანათა შესახებ“ გააკეთა პროფესორმა ი. მ. კ ა ჭ ა რ ა ვ ა მ. მომხსენებელმა დაახასიათა ისტორიული მეცნიერების წინაშე ვ. ი. ლენინისა და კომუნისტური პარტიის მიერ დასახული ძირითადი ამოცანები, როგორცაა: 1. საზოგადოებრივი მოვლენების კონკრეტულ-ისტორიულ პირობებში და მთლიანობაში შესწავლა; 2. მეცნიერული კვლევის წარმართვა ისტორიულ-შედარებითი მეთოდით; 3. ისტორიზმის პრინციპის ბოლომდე დაცვა; 4. პარტიულობის პრინციპის ბოლომდე თანმიმდევრული გატარება; 5. ისტორიული მეცნიერების მკვეთრი შემობრუნება აწმყოსა და მომავლის აქტუალური პრობლემების შესწავლა-შემუშავებისაკენ და ა. შ. დასასრულს, მომხსენებელმა გააშუქა ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის უკანასკნელი პერიოდის უმნიშვნელოვანესი მიღწევები.

მოხსენება „ვ. ი. ლენინი და პარტიული მშენებლობის საკითხები“ გააკეთა პროფესორმა ა. ა. მ ი რ ც ხ უ ლ ა ვ ა მ. მომხსენებელმა გააშუქა ვ. ი. ლენინის მიერ გაწეული ტიტანური შრომა და ბრძოლა ახალი ტიპის მარქსისტული პარტიის შექმნისათვის, მისი ორგანიზაციული სრულყოფისა და იდეოლოგიური შეიარაღებისათვის. მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყველაფერი, რითაც სამართლიანად ამაყობს საბჭოთა ხალხი, მიღწეულია იმის მეოხებით, რომ თავის პოლიტიკასა და პრაქტიკულ საქმიანობას წარმართავს მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე ლენინური კომუნისტური პარტიის მტკიცე ხელმძღვანელობით, რომელიც გულდაჭერებით მიუძღვის ჩვენს ხალხს ლენინური კურსით კომუნიზმისაკენ.

მოხსენება „ვ. ი. ლენინის სახე ქართულ საბჭოთა მხატვრულ ლიტერატურაში“ გააკეთა ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა, ქართული ლიტერატურის გამოჩენილმა კრიტიკოსმა ბ. დ. ჟ დ ე ნ ტ მ ა. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქართველი მწერლები, რომლებიც აღიზარდნენ დიდ დემოკრატიულ და რევოლუციურ-პუმანურ ტრადიციებზე, თავიდანვე ჩადგნენ ახალი ცხოვრების მშენებელთა რიგებში, ქართველი მწერლებიდან პირველი იყო გალაკტიონ ტაბიძე, რომელმაც დიდად შთამაგონებელი ლექსი უძღვნა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელს ვ. ი. ლენინს. ამის შემდეგ არ შეწყვეტილა ქართული პოეტური ჩანგის ჟღერა დიდი ლენინის სადიდებლად, მისი ანდერძის ხორცშესასხმელად.

სამეცნიერო-თეორიული კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ ბ. გ. გიგიბერია, პ. გ. გილაშვილი, შ. დ. კიკნაძე, ზ. ა. პატარიძე, ვ. მ. სირაძე, ა. ნ. ჩუბინი, გ. ს. ძოწენიძე, თ. ი. მოსაშვილი, შ. ვ. ყარყარაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები, პარტიის ვეტერანები, თვალსაჩინო მეცნიერები, კულტურის მოღვაწენი, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

სამეცნიერო-თეორიული კონფერენცია ლენინური იდეების კარგი დემონსტრაცია იყო.

ლალა ბერიძე

ეთნოგრაფიული ექსპედიციის გზარიში

(1972 წელი, 20 VIII—10 IX)

ა ნ გ ა რ ი შ ი

მეორე წელია გურიაში მუშაობს აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილების ექსპედიცია.

საანგარიშო წელს ექსპედიციაში მონაწილეობდნენ ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატები ლევან ფრუიძე (ხელმძღვანელი), მანანა შილაკაძე (მოადგილე), უფროსი ლაბორანტი ლეილა მირიანაშვილი, აგრეთვე, ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის თბილისის ღია ცის ქვეშ მუზეუმის მეცნიერ თანამშრომლები ანზორ გოგიაშვილი, რობერტ კეკელიძე და დავით ხახუტაშვილი.

მასალები შეიკრიბა შემდეგ თემებზე: მევენახეობა და მეღვინეობა (ლ. ფრუიძე), მუსიკალური ფოლკლორი (მ. შილაკაძე), მეთევზეობა (ლ. მირიანაშვილი), დასახლების ტიპი, გურული კარმიდამოს სტრუქტურა, ნაგებობანი (ა. გოგიაშვილი, დ. ხახუტაშვილი, ლ. ფრუიძე), ხალხური გამოყენებითი ხელოვნება და შინახელოსნობა (რ. კეკელიძე, ლ. ფრუიძე).

ექსპედიციამ იმუშავა ლანჩხუთის, მახარაძის და ჩოხატაურის რაიონების უმთავრეს სოფლებში.

გურიის მევენახეობა-მეღვინეობის ეთნოგრაფიული შესწავლა პირველად ზორციელდება. დადგენილ იქნა ვაზის გავრცელების არე ხეობათა მიხედვით. მაგალითად, სურების ხეობაში მევენახეობის საბოლოო საზღვარია სოფ. ტობახჩო, ხოლო გუბაზოულის ხეობაში სოფ. ქვაბლა. პირველ შემთხვევაში ვაზის გავრცელების საზღვარი ემთხვევა მევენახეობის გავრცელების საზღვარს. სოფ. ტობახჩოს ზემოთ ხშირი ტყეებია და იქ უკვე ვაზი აღარ გვხვდება.

რაც შეეხება ქვაბლას, მის თავზე სოფელი ზოტია, სადაც თითო-ორიოლა ვაზი მოიპოვება, ასევე სოფ. ჩხაკაურაში. ამრიგად, გუბაზოულის ხეობისათვის მევენახეობის გავრცელების საზღვარი სოფ. ქვაბლაა, ხოლო ვაზის სოფ. ზოტია და ჩხაკაურა.

საგულისხმო ფაქტია, რომ გურული გლეხი ვაზისა და მევენახეობის გავრცელების საზღვარს არა მარტო მთებთან მიმართებაში ითვალისწინებს, არამედ დაბლობთანაც. მაგალითად, სოფ. ბუკისციხის ქვემოთ ვაზი ყველგან ხარობს, მაგრამ ხარისხობრივი მევენახეობის რაიონი მაინც, ბუკისციხის ჩათვლით, ხეობის აღმაა, ვიდრე ტობახჩომდე. გუბაზოულის ხეობაშიც სოფ. ხიდისთავის ქვემოთ ვენახი ნაკლები ღირსების მოსავალს იძლევა. რაც შეეხება სუფსის და რიონის დაბლობებს ე. წ. „მერეებს“, იქ მევენახეობა თითქმის არ არის. მამასადამე, საუკეთესო ღვინის მისაღებად შერჩეულია მთის წინა ზოლი ე. წ. „შუამთა“, ამჟობინებენ ფერდობ, „ზვარე“ ადგილებს.

უაღრესად საინტერესოა მდ. სუფსისა და გუბაზოულის ხეობებში სავარ-
გულთა დაყოფა მშისნათების ხანგრძლივობის მიხედვით. ადგილს, რომელსაც
მზე ამოსვლისთანავე გაანათებს და ჩასვლამდე დასცქერის „მზვარე“-„ზვარე“
ეწოდება, ხოლო მზის სხივებით ნაკლებ უზრუნველყოფილ მიწებს „ცივს“
ეძახიან. ცივი ორნაირია: საკუთრივ „ცივი“ და „პირქცეული“. პირქცეულის
ორნაირი გაგება დაგადასტურეთ: ზოგიერთის მტკიცებით, პირქცეული ნახევ-
რად ზვარე და ნახევრად ცივია, ზოგი კი გვარწმუნებს ის „ცივზე ცივიაო“,
ე. ი. მხოლოდ შუაღლეზე თუ დახედავს მზეო.

ზვარე ადგილები, ჩვეულებრივ, მდინარის მარჯვენა ნაპირზეა, ხოლო
ცივი მარცხენა ნაპირას, როგორც გურიაში ამბობენ „კედაროს“.

„ზვარესა“ და „ცივისა“ ასეთნაირი გაგება ვაკე სოფლებში არ დასტურ-
დება, ის ცნობილია მხოლოდ სუფსისა და გუბაზოულის ზემო დინებაში. სა-
მაგიეროდ გურიის ყველა სოფელში ექსპოზიციის მიხედვით, სავარგულებს
ჰყოფენ „მარჯვენა“ და „მარცხენა“ ადგილად. მარჯვენა ადგილი, ჩვეულებრივ,
სამზიანოა, ხოლო მარცხენა „ჩაოიანია“ ე. ი. ჩრდილიანია. ვაზისათვის, რო-
გორც „მზის შვილისათვის“ უმჯობესია ზვარე, მარჯვენა ადგილი.

მოსავლიანობის თვალსაზრისით, გვალვიან წლებში ცივი სჯობს ზვარეს,
მაგრამ წვიმების დროს ზვარე ამართლებს, მოსავლის ხარისხითაც ზვარეს ნა-
ყოფი გამოირჩევა. ამრიგად, სავენახედ უმჯობესია ზომიერად დამრეცი ზვა-
რე, მარჯვენა ადგილი.

განსაკუთრებით ფასეული მასალა შეგროვდა ადგილობრივი ნიადაგების
შესახებ. გლეხი არჩევს „დიხაშხო“ მიწას, რომელიც კარგი მოსავლიანია, ძნე-
ლი დასახნავია, მაგრამ შემდგომ ადვილი სამუშაოა, აგრეთვე, „ქვიშნარს“ —
მოსავლიანს, კარგ სამუშაო მიწას, „მერეს“ — მდინარისპირა ნაყოფიერ, დაბ-
ლობ ადგილს, „ოროკს“ — გამოფიტულ მიწას, „ეწერს“ — „მშიერ“, მოუსავ-
ლიან მიწას და სხვ. ვაზისათვის საუკეთესოა დიხაშხო და ქვიშნარი. დიხაშხო
მიწები უფრო ზეგნებზე გვხვდება, ხოლო ქვიშნარი („ქვაქვიშნარი“) მთიან
სოფლებში, მეტადრე სუფსისა და გუბაზოულის სათავეებისაკენ.

გურია ვენახის სახეთა მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა. იქ ძველთაგან
და დღესაც მაღლარია გაბატონებული. რაც შეეხება დაბლარს, იგი გვიანდე-
ლი შემოსულია, ზოგიერთ სოფელში (გორა-ბერეჟოული, დაბლაციხე) გაჩნდა
მე-19 ს. მეორე ნახევარში, უმეტეს სოფლებში კი კოლექტივიზაციის შემ-
დგომ გავრცელდა, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სათანადოდ ფეხი ვერ-
სად მოიკიდა და ამჟამად ისევ მაღლარი ინარჩუნებს უპირატესობას. ტალავე-
რი გურიაში ახალი დამკვიდრებულია, ვაზის ფორმირების სხვა წესი ადგილ-
ზე არ გამოვლინდა.

ვაზის ძველი, ადგილობრივი ჯიშები თითქმის დაიწეხებულია. მოხუცებს
ახსოვთ ჯანი, ჩხავერი, ჭუმუტა, ალადასტური, ტრედისფხა, ტევანდიდი და
სხვ. მათი თითო-ოროლა ძირი ახლაც გვხვდება, მაგრამ არცერთ მათგანს,
გარდა ჩხავერისა, ამჟამად არავითარი სამეურნეო ღირებულება არ გააჩნია.

დღევანდელ გურიაში ვაზის ორი ჯიში ბატონობს: დაბლარისათვის ცო-
ლიკაური და მაღლარისათვის ადესა. ადესა ორი სახისაა შავი და წითელი. ეს
უკანასკნელი უფრო ხარისხიან და ტკბილ ყურძენს იძლევა, მაგრამ დაავადე-
ბათა მიმართ მეტად მგრძნობიარეა, ამიტომ ნაკლებად აშენებენ. მთელ გუ-
რიაშია გავრცელებული შავი ადესა, რომელიც ავადმყოფობათა მიმართ გამ-

ძლეა და კარგ წითელ ღვინოს აყენებს. უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკული ვაზის ჯიში „იზაბელა“, რომელიც მე-19 ს. მეორე ნახევრიდან გავრცელდა ჩვენთან „ადესას“ სახელწოდებით, კარგად შეეგუა ადგილობრივ პირობებს, გარდაიქმნა, გაკეთილმოხილდა და წარმატებით შესცვალა ვაზის ძველი გურული ჯიშები. მაგრამ დღეისათვის მასაც გადაშენება ემუქრება, რადგან ნაკლები ყურადღება ექცევა და მხოლოდ თითო-ორი კერძო პირის ინიციატივაზეა დამოკიდებული მაღლარი მევენახეობის შემდგომი ბედი. დაბლარის შემოჭრამ და მეტადრე ღვინის ფალსიფიკაციამ, აგრეთვე, ჩაის კულტურის შემდგომმა ზრდამ გურიის მევენახეობა დააქნინა. მეღვინეობით ერთდროს განთქმული კუთხე ძლივსაა აყენებს საკუთარი მოთხოვნილებებისათვის საკმარის ღვინოს. ხშირია შემთხვევა, როცა დიდი ხარჯიანობის დროს (ქორწილი, ტირილი) ღვინო იმერეთიდან მოაქვთ.

გურიაში დადასტურდა ველური ვაზი „მორცხულა“, რომელსაც წვრილი, შავი კაკლები აქვს და ღია ფერის თხელი, პატარა ფოთოლი. აქა-იქ მოიპოვება სურებისა და ნაბელავის ტყეებში.

დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ „ვენახი“ გურიაში ვაზნარს კი არ აღნიშნავს, არამედ ერთ ვაზს. „ვენახის“ გაგებით იხმარება „მამული“, „ხემამული“; დაბლარ ვენახს „ბალს“ ეძახიან. ვაზის ფოთლის აღსანიშნავად „ბაბილო“ იხმარება. „ლერწი“ ვაზის „ბოლია“ ე. ი. ტოტი. ახლად ნაყარს „ხვალარი“—„ხალარი“—„შოლარი“ ჰქვია.

გურიაში დღემდე შემოინახა ვენახის გაშენების ძველებური წესი — „გაღამაგინება“: ხიდან ჩამოიღებენ ლერწს და მიწაში ჩააწვენენ, მეორე წელს დაფესვიანდება და გადარგავენ. იშვიათად, მაგრამ მაინც დასტურდება რქების, რომელსაც ადგილობრივ „პოწყებს“ ეძახიან, ცალკე დაფესვიანება და მერე გადარგვა.

„გამარტებაზე“ ე. ი. ადრე გაზაფხულზე, სანამ „ხეში წვენი აიძვრებოდეს“, იციან ვაზისა და საყრდენი ხის სხვა, რომელსაც „გაშენებას“ ან „გაღამენებას“ ეძახიან. „ვენახი გაეშენეო“ ეს არა მარტო ნიშნავს ვაზი დავრგეო, არამედ გავსხალიო. ოღონდ „ვენახის გაშენებაში“, მხოლოდ ვაზის სხვა კი არ იგულისხმება, არამედ საყრდენი ხის გაკაფვაც (ეძახიან „გახუჭვასაც“). საყრდენ ხეებად იყენებენ თხმელას, რცხილას, ხურმას, იფნას (კობიტს), ბალს, თუთას, მსხალს, ვაშლს და სხვ. ყველაზე უფრო გავრცელებულია თხმელა, რომელიც კარგად მოზარდი და გაკაფვის ამტანი ხეა. დადასტურდა, რომ თხმელა „ვაზს ინახავს“ ე. ი. ავადმყოფობისაგან იცავს. ზოგიერთი მევენახის მტკიცებით, თხმელის ფოთლები იოდს გამოყოფს, რაც დადებითად მოქმედებს ვაზის ზრდა-განვითარებაზე. თხმელისა და ვაზის სიმბიოზი ჩვენ მიერ ლეჩხუმშიც გამოვლინდა. გუბაზოულის ხეობაში საყრდენ ხეთაგან უპირატესობას ანიჭებენ რცხილას — წვრილი ფოთლები აქვს და ყურძენს კარგად ამწიფებსო. კარგ სავენახე ხედაა მიჩნეული ბალი — ფოთოლი ადრე ცვივა და ძალიან ტკბილი ყურძენი იცისო. აქებენ ხურმასაც („ხუმპრა“), მაგრამ მისი „ბოლები მეტეხიანია“ ე. ი. ტოტები ადვილად ტყდება, ღალატი იცის და ხშირად უბედურების მიზეზად ხდებაო.

საყრდენი ხის ნერგებს საგანგებოდ რგავენ და ისე უვლიან, როგორც ვაზს. ხის ნერგი 2—3 წლით ადრე დაირგვება, მერე მიერგვება ვაზი.

ზოგჯერ, ახოს აღების ჟამს, მოუჭრელად დატოვებდნენ ვენახის საყრდენად ვარგის ხეებს და ვაზს მიუტრიალებდნენ. ასეთი ვენახები ამჟამად ტყედაა ქცეული და მოუვლელი ვაზნარითაა ჩახლართული.

ვენახის სხვა მიღებული იყო ძველ მთვარეზე, ოღონდ მხოლოდ „უკუნ“ დღეებზე, სხვა შეიძლებოდა ახალ მთვარეზედაც — „უკუნ“ დღეზე. ძველ მთვარეზე „უკუნია“ ყველა დღე ორშაბათის, ოთხშაბათის და პარასკევის გარდა, ხოლო ახალ მთვარეზე ეს დღეები ითვლება „უკუნად“.

ვენახის გასხვლის შემდეგ, არავითარი სამუშაო აღარ სრულდებოდა, იშვიათად იცოდნენ მწიფობის წინ ვაზისა და ხის ფოთლების გამოხშირვა-გამოცლა, რათა მტევნებს მზის სხივები არ მოკლებოდა, ეს მაშინ თუ ნესტიანი წელიწადი იყო. „ვენახის გაშენება“ ე. ი. ვაზისა და საყრდენი ხის სხვა ყოველ სამ წელიწადში ერთხელ უწევდა. თუ კი ვაზნარში ყანა ჰქონდათ, მაშინ ვენახს და საყრდენს ყოველ წელს კაფავდნენ. კაფვა ხდებოდა წალდით და ხელწალდით. ხის „ბოლებს“ ისე გადაჭრიდნენ, რომ ზედ ვაზის შოლარის (რქების) გადადება ყოფილიყო შესაძლებელი, შოლარსაც ამოკლებდნენ, მაგრამ კვირტთა რაოდენობას არ განსაზღვრავდნენ. ვაზის რტოები ზევით უნდა ყოფილიყო მიმართული, ამისათვის ზოგან აკრავდნენ კიდეც, ქვევით ვაზის დაშვება არ შეიძლებოდა — გახმებოდა.

რთველი — „სტველი“ გურიიში საკუთრივ ყურძნის კრეფას კი არ აღნიშნავს, არამედ საერთოდ მოსავლის აღებას. აქვე უნდა დავძინოთ, რომ ეს ტერმინი იშვიათად იხმარება, უფრო ხშირად „ტეხა-კრეფას“ ამბობენ, ყურძნის კრეფისათვის ხმარობენ გიდელს, რომელიც თხილის ტკეჩითაა მოწნული, ხოლო „საძირედ“ ე. ი. მანებად გამოყენებულია წაბლი ან მუხა. „თავს მოუხვევენ“ — „გადაუბეჭდავენ“ მიწაზე გართხმული სუროს შუაზე გახლეჩილი შოლტებით. ყურძნის ეზიდებიან გოდრებით. დიდ გოდორში 4—5 ფუთი ჩადის, პატარაში 2 ფუთი, ეს ზურგზე მოსაკიდი „გორიცაა“. ცხენის საბალნეებად ხმარობენ 4—5 ფუთის ჩამტევ „ძარებს“ — ესაა ტკეჩის ვეგებერთელა, მოგრძო კალათი ორ-ორი სახელურით. ძარო ჰქვია აგრეთვე ურემზე დასადებ წნელისაგან მოწნულ ჭურჭელს, რომელსაც ურმის ძარას ფორმა აქვს.

მარანი გურიიში ეწოდება იმ ადგილს, სადაც ჭურებია ჩაფლული. ჭურები, ჩვეულებრივ, ღია ცის ქვეშაა, დაჩრდილული წყავის, ბზის, რცხილის, იფნის ხეებით. ახლა მარნის ირგვლივ აშენებენ დაფნას. ცალკე შენობა მარნისათვის იშვიათადაა, ინვენტარს ან ნაღობს ქვეშ ინახავენ ან სახლის გვერდით. საწნახელი ხისაა, უმეტესად ცაცხვისა. ამჟამად ითლება სურების, ზოტის, ქვაბლას და ჩხაკაურას ტყეებში. გურულ საწნახელს სადინარი არა აქვს, რაც განპირობებული უნდა იყოს ღვინის ადგილობრივი ტექნოლოგიით. საწნახელი, ჩვეულებრივ, მრგვალია, მაგრამ მაკანეთსა და შემოქმედის თემებში, აგრეთვე, მათ მომიჯნავე სოფლებში დადასტურდა უსადინარო საწნახელი, რომელიც ოთხკუთხედად არის გათლილი. ასეთი საწნახელი გურიიში ცნობილია „ჭანურის“ სახელწოდებით.

ვინაიდან გურულ საწნახელს სადინარი არა აქვს, იქ ტკბილის მოსაკავებელი ჭურჭელი (თაღარი, ისარნა, მერე) არ დასტურდება.

ჭაჭის საწნახად გამოყენებულია ორიგინალური „ჭახრაკი“, რომელიც საწნახელშივე ეწყობა და ბერკეტზე საგანგებოდ გათლილი ქვები დაეკიდება.

ასეთი ქვეები ინახება ჩოხატაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, რომელთა დანიშნულება დღემდე უცნობი იყო.

დადასტურდა ღვინის დაყენების სამი წესი: 1. „ფეთქად“ ე. ი. პირველი წვენი „გამოდება“ და უჭაჭოდ ჭურში დადუღება. ეს არის თეთრი ღვინო; 2. ტკბილის საწნახელში მთლიან ჭაჭაზე დადუღება, რის შედეგადაც მიიღება შავი ღვინო და 3. მოქაფული ღვინო — ტკბილს ქვაბში წამოდუღებენ, მოქაფავენ და გაგრილების შემდეგ ჭურში ჩაასხამენ. ამას ჰქვია „მოპეტმეხებული“ ღვინო. საწნახელში ამზადებენ, აგრეთვე, „შუაღვინოს“ — წყალნარევ ღვინოს, რომელსაც „ნადული ღვინოც“ ჰქვია. სუფთა ღვინოს გურიაში „შუმი“ ეწოდება, რაც დასტურდება ჩოხატაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული ძველი საბუთებითაც.

მიკვლეულ იქნა კუბრის საბადოები სოფ. ნატანებთან და სოფ. გულიანთან (ჯუმათის ახლო), უხსოვარი დროიდან იღებდა ხალხი კუბრს ამ „საკუბრიებიდან“, იყენებდნენ ღვინის გადასატანი ტყავის ჭურჭლის და ახალი ჭურების მოსაკუბრად.

ქვევრს თავზე აფარებენ ხის უმეტესად წაბლის „როგოს“ — სარქველს. გოზავენ „ალიზა“ ე. ი. თიხა მიწით, ზემოდან აყრიან ფხვიერ მიწას.

დასძველებელ ღვინოს წელიწადში სამჯერ გადაიღებენ (დეკემბრის ბოლოს, გაზაფხულსა და შემოდგომაზე, მწიფობის თვეში), ხოლო სახარჯო ღვინოს მხოლოდ ერთხელ გაზაფხულზე უწევს გადაღება.

ღვინის გარდა, ყურძნის პროდუქტებიდან აღსანიშნავია ძმარი, „ნადული ტკბილი“ (ბადაგი), „ჯანჯუხა“ (ჩურჩხელა), ტკბილისკვერი და ფელამუმი. ჭაჭისაგან თუ შუაღვინოს არ აყენებენ, ხდინა არაყს.

საგულდაგულოდ ვიძიებდით მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებს. ყველა სოფელში დადასტურდა აგუნაზე სიარული, რაც ახალი წლის მეორე დღეს საღამოს იმართებოდა. აღსანიშნავია მალღარის კრეფის დროს ნადის მიწვევა და აგიღელას გადაძახება, მეტადრე პორნოგრაფიული („აბდლური“) შაირობა.

ყურადღებას იმსახურებს, ყურძნის კრეფისას, ქირაზე სიარული. საქირაოდ დადიოდნენ მამათის, აკეთის, აცანის და სხვა სოფლებიდან შემოქმედის, მაკვანეთის, ვაკიჯვარის და სხვა თემებში. გასამრჯელოდ ღლეში თითო ფუთი ღვინო ეძლეოდათ, აგრეთვე, ხარჯი მასპინძლისა იყო. აღნიშნულ თემებში დადასტურდა ყანების, ხეხილისა და ვენახების რწყვის საინტერესო წესი, რაც შეიძლება უფრო მიწის განოყიერებად ჩაითვალოს. წყალს სავარგულებს მიუგდებენ მთელი ზამთრის განმავლობაში, მიწა წყლითაც ჯერდება და ნოყიერი შლამითაც.

საველე-ეთნოგრაფიული კვლევა-ძიებით დადასტურდა, რომ გურიის ყოფას ჯერ კიდევ შემორჩა ძველებური ჩონგურები. დადგინდა ამ თვალსაჩინო მუსიკალური ინსტრუმენტის დამზადებაში ერთგვარი სპეციალიზაცია, მუსიკალური აკუსტიკის პრინციპების ემპირიული ცოდნა. გამოვლინდა მეჩონგურე ოსტატთა ჯერაც ცოცხალი კერა (სოფ. აცანა), აგრეთვე, ჩონგურზე დაკვრის რამდენიმე დახელოვნებული შემსრულებელი. ყურადღებას იპყრობს დაკვრის სწავლების ხალხური მეთოდიკა, წყობებისა და აწყობის დახვეწილი წესები. ფიქსირებულ იქნა თავისებური სავარჯიშოები, რაც მანამდე სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილი არ იყო.

შეიკრიბა მასალა ხალხურ მუსიკალურ ტერმინოლოგიაზე. საყურადღებოა ჩონგურის მეოთხე სიმის — ზილის მიერ გამოცემული ბგერის ჰარმონიული ფუნქციის ხალხური გააზრება. კერძოდ, ამ სიმის ფუნქციას სახალხო მომღერლები აიგივებენ მაღალი ბანის სახეობებთან (გამყინავი, კრიმანჭული, წვრილი, მოძახილი). ახლად გამოვლენილი მასალების საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ ჩონგური ასახავს მუსიკალური აზროვნების განვითარების იმ ეტაპს, რომელსაც განვითარებული სამხმეიანობა შეესაბამებოდა. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ოთხხმიანი ჩონგურის წარმოშობა ხმეიერ მუსიკაში ოთხხმიანობის გაჩენას უკავშირდება. მ. შილაკაძის აზრით, ოთხხმიანობა განვითარებული სამხმეიანობის წიაღში უნდა წარმოშობილიყო. საერთოდ მრავალხმიანობა რაოდენობრივ ცვლილებებს კი არ ვარაუდობს, არამედ აქ თვისობრივად ახალ ეტაპთან გვაქვს საქმე.

ცალკე უნდა აღინიშნოს სუფრული სიმღერების შესახებ, რომელთაც სადღეგრძელოების რიგისა და შინაარსის მიხედვით მკაცრად განსაზღვრული თანმიმდევრობა ახასიათებდათ. ყოველ სადღეგრძელოს შესაბამისი სიმღერა ჰქონდა, რაც ლხინს გართობა-სიამოვნებასთან ერთად, ღრმა აზრს ანიჭებდა. მოპოვებული მასალა ცხადყოფს, რომ გურიის საოცრად მრავალფეროვანი და მდიდარი მუსიკალური ფოლკლორი ქართული ხალხური მუსიკალური ხელოვნების ორგანული ნაწილია. დადგინდა, რომ გურია არა მარტო ვოკალური ხელოვნების კლასიკური კუთხეა, არამედ საკრავიერი მუსიკისაც. სხვათა შორის, მთხრობლები გურიის საზღვარს მხოლოდ ბუნებრივ-სამეურნეო ფაქტორებით კი არ ადგენენ, არამედ კრიმანჭულის გავრცელების მიხედვითაც. მაგალითად, ისინი ამტკიცებენ, რომ საჯავახო ნამდვილი გურიააო, რადგან იქაური მომღერალი ყველა „კრიმანჭულობს“.

მეთევზეობა ადამიანის უძველესი საქმიანობაა. მეურნეობის ამ დარგმა დღემდე შემოინახა მეტად ორიგინალური წესები, რაც დიდ მეცნიერულ ინტერესს იწვევს. გურია წყლითა და თევზით მდიდარი კუთხეა, სწორედ ამიტომ შეიკრიბა მრავალფეროვანი ფასეული მასალა. აღსანიშნავია სათევზაო ადგილების შერჩევა, თევზის მიღების ოსტატობა შესაფერისი ამინდისა და „კაი წყლის“ გამოცნობა. თევზის ადგილობრივი ჯიშები, მათი ცხოვრების ნიჩი, კვების რეჟიმი, მოძრაობა („აღმართი თევზი“, „დაღმართი თევზი“), ერთად შეგროვება („ბოლათი“), ქვირითობა („ტობი“, „კეკიობა“) და სხვ. გამოვლინდა თევზჭერის ნაირგვარი საშუალებანი: ანკესი, ბადე, გოდორი, ფაცერი, წყლის დაღობვა, ტოტის დაწყვეტა და სხვ. აღსანიშნავია სათევზაო ტრანსპორტი, წყლის იჯარით აღება, თევზმჭერთა ამხანაგობანი, შრომის ორგანიზაციის ფორმები, დაჭერილი თევზის განაწილების, საზამთროდ თუ ცოცხლად შენახვის წესები, თევზის გასაღების ბაზრები და სხვ. მდიდარია მეთევზეობასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენანი — საკუთარი ღვთაებებით, თავისებური რიტუალებით და მაგიური ფორმულებით.

საზღვაო მეთევზეობას უფრო მეტად სარეწაო დანიშნულება ჰქონდა, ხოლო სამდინაროს შინამოხმარების ხასიათი. მიუხედავად ამისა, სამდინარო მეთევზეობაში დღეისათვის შემორჩენილია თევზჭერის უფრო მრავალფეროვანი ხერხები და საშუალებანი. გარდა ამისა, აქ უკეთაა დაცული თევზების და თევზსაჭერ საშუალებათა კუთხური ტერმინოლოგია, ზღვის მეთევზეები კი

უმეტესად რუსულ სახელებს ხმარობენ და ბევრი ადგილობრივი სახელწოდება დავიწყებული აქვთ.

დასახლების ტიპი, გურული კარმიდამოს სტრუქტურა და ნაგებობანი ექსპედიციას აინტერესებდა თბილისის ღია ცის ქვეშ მუზეუმში გურიის სწორად ასახვისათვის. ამასთან დაკავშირებით, ჩვენი ყურადღება მიიქცია იმ საგულისხმო ფაქტმა, რომ გურიაში განსაკუთრებით ძალუმად იგრძნობა თანამედროვე სოციალისტური სოფლის მაჯისცემა. იქ ჩვეულებრივია მოასფალტებული ქუჩები, ლამპიონები, ქანდაკებანი, აუზებით და შადრევნებით შემკული ბაღები და სკვერები. ხუროთმოძღვრული ანსამბლებით (ადმინისტრაციული შენობები, სკოლები, კულტურის სახლები, კინოთეატრები, მუზეუმები, მაღაზიები, რესტორნები, საყოფაცხოვრებო მომსახურეობის სალონები, საავადმყოფო, სამშობიარო და სხვ.) დამშვენებული ცენტრი. მოსახლეობის უმეტესობასაც, შემკული ფსადებით, ქუჩის პირად ჩარიგებული ახალი სახლები აქვს. დღევანდელ გურიაში სოფელსა და ქალაქს შორის ზღვარის წაშლის მეტად საინტერესო პროცესი მიმდინარეობს, რაც შემდგომ მეცნიერულ დაკვირვებას და შესწავლას საჭიროებს. ამჯერად გვინდა შევჩერდეთ აღნიშნულ კუთხეში ახალი ქალაქური ტიპის სოფელთა ფორმირების ზოგიერთ საკითხზე. უპირველეს ყოვლისა, რაც ეთნოგრაფს თვალში მოხვდება, ესაა კარმიდამოთა და საცხოვრებელი ნაგებობების ერთგვარი სტანდარტიზაცია. გურიის სოფელი თანდათან კარგავს თავის განუყოფელ კოლორიტს და თავისთავადობას. ზოგიერთს ეს ფაქტი ცხოვრებისეულ და ამდენად კანონზომიერ მოვლენად მიაჩნია, რასაც ვერ დავეთანხმებით. რა თქმა უნდა, ტალახიანი ორღობეებისა და საცხოვრებლად მოუხერხებელი ჭარგვლების შენარჩუნება უაზრობაა, მაგრამ წინაპართა მიერ საუკუნეთა მანძილზე შემუშავებული რეალიების ხელაღებით უარყოფაც დაუშვებელია. ხომ შეიძლება ჩვენი სოფელი თანამედროვეც იყოს და ეროვნულიც. მითუმეტეს ეს აუცილებელია საქართველოსათვის — მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი კულტურის მქონე ქვეყნისათვის. ქართველი ხალხი მიწათმოქმედების და აქედან გამომდინარე ბინადარი ცხოვრების პატრიარქად ითვლება. ჩვენთან იდეალურად იყო გამოყენებული საცხოვრებელი გარემოს თითოეული გოჯი. ყველა კუთხეს თავისი მეურნეობის ფორმების, მიკროჰავისა და ეკოლოგიური პირობების შესაბამისად გამომუშავებული ჰქონდა ეზოების, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების ტიპები. ქვეყნის სოციალისტურმა გარდაქმნამ, ბუნებრივია, აქ თავისი კორექტივი შეიტანა, მაგრამ ძირითადად ჩვენი სოფლებისა და ქალაქების განაშენიანება, მაინც ტრადიციული, ქართული უნდა დარჩეს და უფრო მეტიც, ყველა კუთხემ უნდა შეინარჩუნოს თავისი ეთნოგრაფიული (კარგი გაგებით) სახე. ამრიგად, სახლის აშენება და კარმიდამოს გამართვა სრულებითაც არ არის კერძო საქმე. სწორედ ამ პრინციპებიდან გადახვევა ასევე დაღს გურიის სოფელს.

დავიწყეთ ღობეებიდან. გურიაში ღობის ოთხი ძირითადი ტიპი იყო გავრცელებული: წნული ღობე, ყორე, მესერი და ცოცხალი ღობე („სყდე“). ლამაზად დაწნული შქერის ღობით უმეტესად ვაკე ადგილებს აკავებდნენ, ფლეთილი ან რიყის („ჭალანგარა“) ქვით მშრალად ნაგები ყორე ზღუდესაც ქმნიდა და ფერდობ ადგილებს დაღარვა-გამოფიტვისაგან იცავდა. მესერი უფრო ხშირად ყავარივით გახდილი იყო და მას ჩვეულებრივ ყორის თავზე აყოლებ-

დნენ. ზოგჯერ ეზოებსა და ხეხილის ბაღებს სყდეთი ზღუდავდნენ. ბროწეულის ცოცხალი ღობე ხომ სანახავად ღირდა, მეტადრე ყვავილობისა და ნაყოფის მწიფობის ჟამს. დასანანია, რომ ახლა შემოკავეების ამ საშუალებებს იშვიათად შეხვდებით. ყოფაში დამკვიდრებულია ლითონისა და ბეტონის ზღუდეები, უგემოვნოდ ნაგები მთელი გალავნები, რომლებიც ამაზრზენ შთაბეჭდილებას ახდენენ. რამდენად გაალამაზა საქართველოს ქალაქები ბაღებსა და სკვერებზე თუჯისა და რკინაბეტონის მოაჯირების მოხსნამ და მათ ნაცვლად ძველქართული ღობურებისა და მისთანათა მოწყობამ. საკვირველია ამ უხეშმა თუჯმა და რკინაბეტონმა სოფლად რად გადაინაცვლა!

ზოგიერთი უარყოფითად აფასებს ყორეს და მას ცემენტის ზღუდეს ამჯობინებს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ფერდობის დაცვის საქმეში მშრალად ნაგებ ყორეს რკინაბეტონიც ვერ შეედრება, რადგან ეს უკანასკნელი არ ატარებს მიწისქვეშა წყლებს, ყორე კი პირიქით ხელს უწყობს წყლის გაჟონვას. თან უფრო მიმზიდველი და ორიგინალურია.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ჭიშკრების შესახებაც. თითქმის ყველგან გაბატონებულია ახალი მოდის რკინის ჭიშკარი, მტრუდებით და სხვა ტრაფარეტული გამოსახულებებით მორთული, ნაცვლად ხის თაღოვანი, ლაზური ბოძებითა და ჩუქურთმებით შემკული ხარატული კარისა.

ახლა სახლებზედაც უნდა ვთქვათ. მიუხედავად იმისა, რომ გურიაში ქვის საბადოები უხვად იყო და მათი გამოყენება-დამუშავების საქმე ძველთაგანვე მაღალ დონეზე იდგა, ნესტიანი ჰავის გამო, ქვის საცხოვრებლებს ხისას ამჯობინებდნენ. დღეს კი სურათი შეიცვალა. ხის სახლი რატომღაც ათვალწუნებულია. სოფლად დამკვიდრებულა ცემენტისა და აგურის შენობები, რომლებიც უგემოვნო არქიტექტურით გამოირჩევიან: ფასადები ტრაფარეტულია, ძველქართული აივნები გამქრალა, ულაზათოდ დგას კიღობანივით შეკრული მძიმე შენობა, რომელზედაც ბასტიონივითაა მიშენებული რკინაბეტონის უზარმაზარი კიბე. ამ კიბით ზედა სართულში რომ მოხვდე, საჭიროა მთელი ეზო მოიარო. სახლებს, ჩვეულებრივ, თუნუქი ხურავს და ხშირად მამლები თუ რაღაც მათი მაგვარია კუთხეებსა და წვეროვებზე გამოყვანილი. ეს ძვირადღირებული, მაგრამ იაფფასიანი „ჩუქურთმები“ ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს და ცხადყოფს, რომ ჩვენი ქალაქების არქიტექტურული წუნი ეპიდემიასავით მოსდებია სოფელს. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გურიაში ეთნოგრაფთათვის საინტერესო. „ქალაქურ სახლებს“ მიღმა ისევ ძველებურად განაგრძობენ ცხოვრებას მამაპაპური სამზადები. მათ მართალია გაზის ქურები შეუფარებიათ, მაგრამ კერძას მაინც ინარჩუნებენ, რადგან შუაღმოსავლურად გამომცხვარი მჭადი და ხაჭაპური, მომუშებელი ღომი და შემწვარი ქათამი სულ სხვა გემოსია. მარნებში ისევ წვანან დარბაისურად საწნახლები და „ჩაოში“ (ჩრდილში) ქურები ჩაბუდებულან, რადგან ვერცერთი სასმელი ვერ შეედრება ძველქართული წესით დაყენებულ ღვინოს. არა, ისინი შეუცვლელია განვითარების რა დონეც არ უნდა იყოს. მათი დაკარგვა შეიძლება, შეცვლა კი არა.

ორიოდე სიტყვით ისლის სახურავზედაც შევჩერდებით. წინდახედული გურული მეურნე შესაფერის ნაკვეთზე ისლს საგანგებოდ აშენებდა და როგორც ყანა-ვენახს ისე უვლიდა. ეს იყო „საისრე“ — საისლე, რომელიც თავის დროზე ითიბებოდა და სახურავისათვის საჭირო მასალას „კარიყურში“ იძლეოდა.

ამჟამად გურიაში საილუ თითქმის არ გვხვდება. თვით ისლის სახურავო თითო-ოროლა სამეურნეო ნაგებობასლა აქვს შემორჩენილი, ხოლო ახლა სახლს ისლით ვინ დახურავს, ეს ხომ დიდი სირცხვილი იქნება. ერთ-ერთ სოფელში ხანგრძლივი ძიების შემდეგ ძლივს ვიპოვეთ ისლით დახურული კონახი. მასპინძელმა ჩვენი მეგზური — სოფლის ხელმძღვანელი საყვედურებით აავსო: დროზე არ მომეცით წესიერი სახურავი და ახლა თავი მომიჭრა მარტო მე გავხდი „საამბო და საგაზეთო“. ჩვენმა ახსნა-განმარტებამ, რომ ისლი სახურავთა შორის ყველაზე საუკეთესოა, კარგად იცავს ნორმალურ ტემპერატურას, საცხოვრებლებში უზრუნველყოფს ჯანმრთელ მიკროკლიმატს, ევროპისა და ამერიკის ბევრ სახელმწიფოში სააგარაკო კოტეჯებს ისლით ხურავენ და სხვა, ნაყოფი არ გამოიღო. და თუ ეს ფაქტი საჯაროდ გამოგვაქვს იმიტომ, რომ კარგად ააშკარავენ წარსულის მემკვიდრეობის შეუფასებლობას. ის რაც ჩვენ ხალხს ემპირიულად უხსოვარი დროიდან მოუპოვებია, მეცნიერული კვლევის შედეგად ზოგიერთ ქვეყანაში ახლა აღმოაჩინეს და მის ყოფაში დანერგვას ცდილობენ, ჩვენ კი მიუტევებელ ნიჰილიზმს ვიჩენთ და წინაპართა ნაანდერძე მალალ კულტურას ზოგჯერ უკულტურობად ვაცხადებთ. სხვათა შორის ვაზის ქართულად სხვის უძველესი წესი, რომელიც ფრანგ მეკლევართათვის ადრევე გახდა ცნობილი საქართველოს დაუბრუნდა, როგორც ფრანგული. ვშიშობთ ასევე არ მოხდეს ისლის სახურავთან დაკავშირებით. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ხალხის ზოგიერთი ემპირიული მიგნება მეცნიერების მიღწევებს როდი ჩამორჩება, პირიქით უფრო ხელსაყრელი, მრავალმხრივ შემოწმებული და საიმედოა. ამიტომ ღრმად უნდა შევისწავლოთ ის ცოდნა-გამოცდილება, რაც ხანგრძლივი არსებობის მანძილზე ჩვენს ერს დაუგროვებია. დღეს, არნახული შემოქმედებითი შრომისა და მშვიდობის ხანაში ოფლითა და სისხლით მონაპოვარს დავიწყების ფერფლით ნუ შეგმოსავთ!

ხალხური გამოყენებითი ხელოვნება და შინახელოსნობა ის დარგებია, რომლებიც დღემდე კვებავენ ჩვენს ეროვნულ მუზეუმებს, სოფლის სოციალისტურმა გარდაქმნამ მათ გაქრობის საფრთხე შეუქმნა, ამიტომ ისინი დაუყოვნებლივ შესწავლას და რაც მთავარია გადარჩენას საჭიროებენ.

აცანა და აკეთი! ვის არ სმენია ამ განთქმული მეთუნეობის კერების შესახებ. რაჭას აღწევდა იქაური „გურულა“ საღვინეები, აცანური ქვევრი ხომ ახლაც უბადლოა. გურიაში არ არის ოჯახი, სადაც აცანელ და აკეთელ ხელმადლიან ოსტატთა ნახელავს არ ხმარობდნენ. ამიტომ მივაშურეთ ამ სოფლებს, სრულიად დარწმუნებული ვიყავით, რომ ვნახავდით მამა-პაპური საქმის გამგრძელებელ მრავალ მეთუნეს, მაგრამ ჩვენი იმედი არ გამართლდა, აკეთში თურმე ჭურჭელს აღარავინ აკეთებს, მხოლოდ აცანაში დარჩენილა თითო-ოროლა კერამიკოსი. ისიც გაირკვა, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას არ აღონებს ეს ფაქტი.

განსაკუთრებულ ზრუნვას და პატრონობას მოითხოვს წნული ჭურჭლის დამზადებაც. ხალხური ხელოსნობის ეს დარგი, რომელიც კარგი ოსტატის ხელში მხატვრულ შემოქმედებამდე მადლდება, დღეისათვის ისევე საჭიროა, როგორც მეთუნეობა. უფრო მეტიც, ჩაის მეურნეობა, მეხილეობა, მევენახეობა წარმოუდგენელია გიძლების, გოდრების და კალათების გარეშე. მიუხედავად ამისა, აქაც ადგილი აქვს გაუმართლებელ სტიქიურობას. ოსტატებს ხელს

არავენ უწყობს, პირიქით ზღუდავენ — მოზარდ ხე-ტყეს ანადგურებენო. ამიტომ რაც დრო გადის, მათი რაოდენობა თანდათან კლებულობს. სწორედ ამის შედეგია, რომ ერთი გოდორი მახარაძის ან ჩოხატაურის ბაზარზე 20—30 მანეთი ღირს. ტყის მდგომარეობა მართლაც დამაფიქრებელია. წნული ჭურჭლისათვის მხოლოდ ჩქოლა მერქანი გამოიყენება, რის გამოც აუცილებელია, არა შემთხვევითი, არამედ გეგმაზომიერი ჭრა. ძველად ტყეები გამოყენების თვალსაზრისით იყო დანაწილებული, ჰქონდათ სამასალე ტყე, სასარე, „ნამაშვარი“ და სხვა. საგანგებოდ აშენებდნენ „საბელავებს“ და „სამორავ ხეებს“. ნამაშვარი ანუ ნამაშარი სამოთხე წელიწადში პირწმინდად საკაფი იყო, საიდანაც იღებდნენ ფიჩხსა და წნელს. ასეთი ტყისათვის შედარებით ვაკე ადგილს არჩევდნენ — ჭალებს, მერეებს. ძირზე მოკაფვის წესი ტყეს უბერებელს და პროდუქციულს ხდიდა. სამწუხაროდ, ახლა თითქმის დავიწყებულია ტყის გამოყენების ხალხური წესები. უფრო რაციონალური საშუალებანი პრაქტიკაში ნაკლებად ინერგება, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი სატყეო მეურნეობანი მაღალკვალიფიციური სპეციალისტებითაა დაკომპლექტებული. ვინ იცის რამდენი წნული ჭურჭელი მზადდება გურიაში, რისთვისაც მასალის მოპოვება მეტწილად შემთხვევით ხასიათს ატარებს, რაც, ბუნებრივია, მწვანე საფარველზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს. მაგრამ ამ შემთხვევაში წნული ჭურჭლის ოსტატები კი არ ტყუიან, არამედ ისინი ვინც მათთვის საექსპლუატაციოდ ტყის საჭირო მასივებს არ გამოჰყოფს.

გურიის ბაზარზე დღესაც შეხვდებით ხის ჭურჭელს, მეტადრე როდინებს, კოთხოებს (ფელამუშისათვის, ფქვილისათვის), საყველე გვარდებს; კიდევ აკვნებს, შიბაქებს, ხაფანგებს და სხვ. ხალხი მათ ხალისით ყიდულობს, ოსტატი კი შემკრთალი და დაშინებულია. აქა-იქ ჩონგურსაც თლიან, „წმალას“ (ჭვავის ღერო) სამზერო ქუდებსა და ჭილის ჭილოფებს (სოფ. ჯურყვეთი) ქსოვენ, ქვის ნივთებსაც აკეთებენ (სოფ. ვან-ზომლეოთი, სამება) და ა. შ. ბუნებრივია დღემდე შემონახულია ის, რისი შეცვლაც მრეწველობის ნაწარმით შეუძლებელია. უნდა გამოვავლინოთ ამ საშვილიშვილო საქმის ოსტატები, აუცილებელია მათ დავეხმაროთ, წავახალისოთ, მივცეთ მოქმედების ფართო ასპარეზი. პრაქტიკამ დაგვარწმუნა, რომ ვერავითარი „გაერთიანება“, ფაბრიკა თუ ქარხანა ვერ დაამზადებს სრულყოფილ ხალხურ სუვენირებს. ხალხის შემოქმედება უბადლო და მიუწვდომელია, ამიტომ მას თვალისჩინივით გაფრთხილება უნდა.

ლევან ფრუიძე

ანთროპოლოგიურ და ეთნოლოგიურ მეცნიერებათა IX საერთაშორისო კონგრესი

1973 წლის 1—8 სექტემბერს ქ. ჩიკაგოში (აშშ) შედგა ანთროპოლოგიურ და ეთნოლოგიურ მეცნიერებათა IX საერთაშორისო კონგრესი. კონგრესში მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 2500 დელეგატმა მსოფლიოს ახი ქვეყნიდან. მათ შორის იყო 33 წევრისაგან შემდგარი საბჭოთა დელეგაცია, რომელშიც მოსკოველ და ლენინგრადელ მეცნიერთა გარდა მონაწილეობდა მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში მომუშავე მრავალი სპეციალისტი. საქართველო წარმოდგენილი იყო ექვსი მეცნიერი მუშაკით: პროფ. ელ. ვირსალაძე კონგრესზე წარდგა მოხსენებით: „ნადირთა, წყლისა და ტყის ბატონების სახეები კავკასიურ ფოლკლორში“; პროფ. შ. ინალ-იფა — „დასავლეთ კავკასიისა და მცირე აზიის უძველესი ეთნო-კულტურული კავშირების შესახებ“; პროფ. ქს. სიხარულიძე — „ამინდთან დაკავშირებული სიმღერები და რიტუალები ქართულ პოეტურ ფოლკლორში“; პროფ. მ. ჩიქოვანი — „უძველესი კოლხურ-იბერიული მითოლოგიური სახეები ქართულ პოეტურ ფოლკლორში“; პროფ. მ. აბდუშელიშვილი — „სამხრეთ-დასავლეთ აზიის ეთნიკური ანთროპოლოგიის ზოგიერთი პრობლემა უახლესი გამოკვლევების შუქზე“; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გ. მელიქიშვილი — „ქართველი ხალხის ეთნო-სოციალური განვითარების ძირითადი ეტაპები“.

კონგრესი გაიხსნა 1 სექტემბერს მისი პრეზიდენტის, ამერიკელი ეთნოგრაფის პროფ. სოლ ტაქსის თავმჯდომარეობით. პრეზიდენტში მიიწვიეს იმ ქვეყნების დელეგატთა მეთაურები, სადაც ჩატარდა ანთროპოლოგიურ და ეთნოლოგიურ მეცნიერებათა უკანასკნელი კონგრესები. მათ შორის იყო სსრკ დელეგაციის მეთაური, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი პროფ. ი. ვ. ბრომლეი, პრეზიდენტში ადგილი დაიკავა, აგრეთვე, ინდოეთის წარმომადგენელმაც, რამდენადაც იქ ჩატარდება მორიგი, X კონგრესი. მათ მოკლე სიტყვებით მიმართეს კონგრესის მონაწილეებს, შეეხსენნ წარსული კონგრესების ზოგიერთ შედეგს და მიმდინარე კონგრესის მუშაობის პერსპექტივებს. ამის შემდეგ მოსმენილ იქნა მოხსენება ქალაქ ჩიკაგოს ისტორიის შესახებ.

2 სექტემბრიდან მუშაობას შეუდგნენ კონგრესის სექციები. მათ წინაშე მეტად მძიმე ამოცანა იდგა. კონგრესზე წარმოდგენილი იყო ორი ათასზე მეტი მოხსენება. წინასწარ დაიბეჭდა მათი თეზისები (რეზიუმეები). კონგრესის ორგანიზატორებმა დაბეჭდეს, აგრეთვე, იმ ავტორების მოხსენებათა ტექსტები (ინგლისურ, ან სხვა რომელიმე დასავლეთ ევროპულ ენაზე), რომლებიც დროულად იყო წარდგენილი (მათ შორის გამოქვეყნდა საბჭოთა მეცნიერების მოხსენებათა ტექსტებიც ინგლისურ ენაზე; რუსულ ენაზე ისინი დაბეჭდა მოსკოვის ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა). სამწუხაროდ, კონგრესის პუბლიკაციები ადგილი ხელმისაწვდომი არ იყო — კონგრესის ყოველი დელეგატი (ასეთი შეიძლება ყოფილიყო ყველა, ვინც სათანადო საწევროს — 25 დოლარს შეიტანდა) შეკვეთის მიხედვით იღებდა 20 მოხსენების ტექსტს. კონგრესის მონაწილეებისათვის მუშაობდა სპეციალური ბიბლიოთეკა, სადაც შეიძლებოდა გაცნობა ყველა მოხსენების ტექსტისა, რომლებიც მიღებულ და გამრავლებულ იქნა.

კონგრესის მონაწილენი ცხოვრობდნენ მიჩიგან-ავენიუზე მდებარე კონ-
რად ჰილტონის სასტუმროში, სადაც მიმდინარეობდა კონგრესის სექციების
სხდომები. 8 სექტემბერს ჩატარდა დასკვნითი პლენარული სხდომა. სასტუმ-
როში კონგრესის სხდომებისათვის გამოყოფილი იყო რადიოფიცირებული
4 დიდი დარბაზი, თითოეული მათგანი რამდენიმე ასეულ დამსწრეს იტევდა,
ყველგან მოწყობილი იყო სინქრონული თარგმანი ინგლისურ, ფრანგულ,
გერმანულ და ესპანურ ენებზე. სამწუხაროდ, კონგრესის ორგანიზატორებმა
ვერ შეასრულეს დაპირება, რომ სინქრონული თარგმანი მიეწოდებინათ, აგ-
რეთვე, რუსულ ენაზე, თუმცა საკუთრივ რუსულ ენაზე გამოსვლებს ისინი
ხინქრონულად თარგმნიდნენ ზემოდასახელებულ ენებზე.

მოხსენებების დიდმა რაოდენობამ განსაზღვრა კონგრესის მუშაობის თა-
ვისებურება. განსხვავებით წინა კონგრესებისაგან, ჩიკაგოს კონგრესზე მოხ-
სენებები არ იკითხებოდა, არამედ მხოლოდ განიხილებოდა. მოხსენებები დაჯ-
გუფებულ იქნა პრობლემების მიხედვით და ასე მივიღეთ დაახლოებით 110-
მდე სხდომის პროგრამა. ყოველი სხდომის რეგლამენტი 1—1,5 საათი იყო,
ხოლო ცალკეული სხდომის პროგრამით მრავალი, ზოგჯერ ორი ათეული და
კიდევ მეტი მოხსენების განხილვა ივარაუდებოდა. ამ ვითარებისა და იმის გამო,
რომ მონაწილენი ნაკლებ იცნობდნენ მოხსენებათა ტექსტებს, სხდომებზე სა-
უბარი ძირითადად მიმდინარეობდა არა კონკრეტული მოხსენებების გარშე-
მო, არამედ საერთოდ აღებული პრობლემის ირგვლივ.

კონრად ჰილტონის სასტუმროს ოთხივე დიდი დარბაზი თითქმის მთელი
დღის განმავლობაში იყო დაკავებული ზემოაღნიშნული სხდომებით. მუშაო-
ბა იწყებოდა დილის 9 საათზე და თავდებოდა ხშირად გვიან ღამით. ამას გარ-
და, სპეციალურ დარბაზში ასევე მთელი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა
ეთნოგრაფიული ფილმების ჩვენება. საბჭოთა ფილმებს შორის, აგრეთვე, აჩ-
ვენეს ფილმი ხევსურეთის შესახებ. კონგრესთან დაკავშირებით სასტუმროს
ერთ-ერთ დიდ დარბაზში მოწყობილი იყო მსოფლიოს სხვადასხვა სამეცნი-
ერო გამოძცემლობათა მიერ გამოქვეყნებული ჰუმანიტარული წიგნების გა-
მოფენა გაყიდვა, აგრეთვე, ზოგიერთი ქვეყნის მიერ წარმოდგენილი ხალხური
ხელოვნების ნიმუშების გამოფენა. აქვე იყო ექსპოზიციები, მიძღვნილი ჩიკა-
გოს მოსახლეობის ზოგიერთი თემისადმი — მაგალითად, იტალიელთა თემი-
სადმი.

კონგრესის მუშაობა ფაქტიურად მის გახსნამდე რამდენიმე დღით ადრე
დაიწყო. 28—31 აგვისტოს ჩიკაგოში და ზოგიერთ ახლო მდებარე პუნქტში
ჩატარდა კონგრესის წინა კონფერენციების მთელი სერია, რომელთა გაგრძე-
ლებას და შეჯამებას წარმოადგენდა საკუთრივ კონგრესის ზოგიერთი სხდო-
მა („სესია“).

საბჭოთა და სხვა სოციალისტური ქვეყნების მეცნიერებისადმი, ისევე
როგორც მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიისადმი განსაკუთრებული ყუ-
რადღების ილუსტრაციას წარმოადგენდა ის, რომ კონგრესის რამდენიმე
სხდომა მიძღვნა საკუთრივ მარქსისტული ეთნოლოგიური მეცნიერებისა და
სოციალისტური საზოგადოების კანონზომიერებათა პრობლემატიკას. ასეთი
იყო სხდომა, სადაც განიხილებოდა „მარქსისტული ეთნოლოგიის პრობლემე-
ბი და შესაძლებლობანი“. ეს სხდომა („სესია“) ერთგვარად აჯამებდა კონგრე-

სის წინა დისკუსიას, რომელიც ამავე საკითხზე ჩატარდა ჩიკაგოს უნივერსიტეტში. ამ რიგის მეორე სხდომის („სესიის“) თემა იყო „სოციალური ცვლილებები სოციალისტურ ქვეყნებში“, ამ საკითხთან დაკავშირებით გამართულმა დისკუსიამ მეტად ცხოველი ხასიათი მიიღო.

სხდომების („სესიების“) ერთი რიგი მიეძღვნა ცალკეულ რეგიონებს, რომელთა წიაღში ერთიანდებოდა ამ რეგიონისადმი მიძღვნილი „ანთროპოლოგიური“ და „ეთნოლოგიური“ თემატიკა (ტერმინს „ეთნოლოგია“ დასავლეთში, ძირითადად, ჩვენი „ეთნოგრაფიის“ შესატყვისად ხმარობენ, „ანთროპოლოგია“, როგორც ცნობილია, მეტად ფართო მნიშვნელობით იხმარება, განსაკუთრებით ინგლისსა და აშშ-ში. ის, რასაც ჩვენ ანთროპოლოგიას ვეძახით მათთვის არის მხოლოდ „ფიზიკური ანთროპოლოგია“, რომლის გარდა არსებობს აგრეთვე „კულტურული ანთროპოლოგია“, „სოციალური ანთროპოლოგია“, რომელიც კულტურისა და სოციალურ ურთიერთობათა ეთნოგრაფიულ პრობლემას მოიცავს). ცალკე სხდომები მიეძღვნა ისეთ რეგიონებს, როგორიცაა: ჰიმალაის რეგიონი, სამხრეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია, მელანეზია, პოლინეზია და მიკრონეზია, ავსტრალია და ტასმანია, დასავლეთი აფრიკა, აღმოსავლეთი და ცენტრალური ამერიკა, ანდებისა და ამაზონიის რეგიონები, ამერიკის კორდილიერები, აზია-აფრიკის უდაბნოები და სტეპები, პოლარული რეგიონის ხალხები (ალიასკა, ციმბირი, ესკიმოსები), ჩრდილო ატლანტიკის რეგიონები და სხვ.

იყო, აგრეთვე, თემატურ-რეგიონალური პრობლემისადმი მიძღვნილი სხდომები, მაგალითად: ადრეული პალეოლითი აღმოსავლეთ აზიაში (სხდომის პროგრამა ითვალისწინებდა, სხვათა შორის, არაერთი საბჭოთა მეცნიერის მოხსენების განხილვას, რომლებიც მიძღვნილი იყო სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის, შორეული აღმოსავლეთის, მონღოლეთის პალეოლითისადმი), ადრეული ხანის ადამიანი ციმბირსა და ამერიკაში, ჩ. ე-მდე 10 000 წ-ზე უადრეს ხანაში (დისკუსიის საგანი იყო ციმბირიდან ამერიკაში უძველესი მიგრაციის საკითხი უპირატესად მატერიალური კულტურის მონაცემების მიხედვით), წინასიტორიული კულტურული ნასესხობანი ჩრდილო ამერიკის დასავლეთ ნაწილში და სხვ. სხვა სხდომები ძირითადად გლობალურ პრობლემისაკის იხილავდნენ.

კონგრესზე დიდი ადგილი ეკავა ფიზიკური ანთროპოლოგიის პრობლემას. თემატიკა, მიძღვნილი ანთროპოლოგიური პრობლემისადმი საკმაოდ მრავალფეროვანი და მრავალდარგოვანი იყო. აქ წარმოდგენილი იყო ისეთი თემები როგორიცაა: ფუნქციური მორფოლოგია და ევოლუცია, პრიმატოლოგია და ქრომოსომები, პალეოანთროპოლოგია და პალეოეკოლოგია, პრეისტორიული პოპულაციების ფიზიკური ანთროპოლოგია, დერმატოგლიფიკა და სამედიცინო ანთროპოლოგია, აღწერილობითი ანთროპოლოგია, ევროპის, სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიისა და ახლო აღმოსავლეთის მოსახლეობის ანთროპოლოგია, ფიზიოლოგიური და მორფოლოგიური ვარიაციები და ადაპტაცია, ანთროპოლოგიური მეთოდები და პერსპექტივები ადამიანის ბიოლოგიასა, პრიმატოლოგიასა და ევოლუციურ მოძღვრებაში და სხვა. თემების ეს უბრალო ჩამოთვლაც კი ცხადყოფს, რომ კონგრესზე სრულად იყო წარმოდგენილი ანთროპოლოგიური მეცნიერების თითქმის ყველა დარგი. ამ თემების

მიხედვით თანაბრად არ იყო განაწილებული მოხსენებები, არც ხარისხობრივად და არც რაოდენობრივად, მაგრამ ამას მაინც არ შეუშლია ხელი იმისათვის, რომ კონგრესზე წარმოდგენილი ყოფილიყო ანთროპოლოგიური მეცნიერების დღევანდელი დღე მთელი მისი დარგებითა და განშტოებებით.

საბჭოთა ანთროპოლოგებმა მონაწილეობა მიიღეს, თითქმის, ყველა ანთროპოლოგიური თემის მომზადებასა და განხილვაში. განსაკუთრებულ ინტერესს საბჭოთა ანთროპოლოგებისათვის წარმოადგენდა ის თემატიკა, რომლებზეც უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს ინტენსიური კვლევა და მიღწეული წარმატებები საყოველთაოდ არის აღიარებული. ასეთი თემები იყო პალეოანთროპოლოგია, თანამედროვე მოსახლეობის ანთროპოლოგია, ფუნქციონალური ანთროპოლოგია, დერმატოგლიფიკა, სამედიცინო ანთროპოლოგია, ფიზიოლოგიური და მორფოლოგიური ვარიაციები და ადაპტაცია, ანთროპოლოგიის მეთოდები, პერსპექტივები და მრავალი სხვა. ამ დარგებში საბჭოთა ანთროპოლოგების კვლევა იქცა განხილვის საგნად და საკმაოდ მაღალი შეფასებაც მიიღო. ამასთანავე საბჭოთა ანთროპოლოგები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ სხვა თემების განხილვასა და განსჯაში. განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა ის თემები, რომლებიც მიძღვნა ფიზიოლოგიური, მორფოლოგიური ვარიაციებისა და ადაპტაციის შესწავლას, ანთროპოლოგიურ მეთოდებსა და პერსპექტივებს ადამიანის ბიოლოგიასა და ევოლუციაში. სექციებზე, რომლებზედაც განიხილებოდა ეს საკითხები, მსჯელობის საგანს წარმოადგენდა გენეტიკურად განპირობებული ნიშანთვისებების ვარიაციები გარემო პირობებთან კავშირში. ყურადღების ცენტრში მოექცა საბჭოთა ანთროპოლოგების: იაკიმოვის, ალექსეევის, დენისოვას, მიკლაშევსკაიას და სხვათა მოხსენებები.

ფოლკლორის ტოპოგრაფიკა მუშაობა კონგრესზე ძირითადად ხუთ სექციაში მიმდინარეობდა: „თეატრალური ხელოვნებისა“, „სახვითი ხალხური ხელოვნების“, „ზეპირი ლიტერატურის სტრუქტურისა“, „ფოლკლორი თანამედროვე სამყაროში“ და „ფოლკლორისა“.

კონგრესის მუშაობაში მოხსენებით სულ 100-მა ფოლკლორისტმა მიიღო მონაწილეობა. კამათში მონაწილეთა რიცხვი კი ბევრად მეტი იყო.

საბჭოთა ფოლკლორისტების მოხსენებები (სულ 12) ხუთივე სექციაში იყო გათვალისწინებული, დაიბეჭდა თეზისები და მოხსენებათა ტექსტებიც. მათგან, კონგრესს ესწრებოდა მხოლოდ სამი საბჭოთა ფოლკლორისტი, სამივე საქართველოდან (პროფესორები: მ. ჩიქოვანი, ელ. ვირსალაძე, ქს. სიხარულძე).

ხუთივე სექციის მუშაობა ერთ დღეს, ერთმანეთის მიყოლებით იყო დაგეგმილი, ამიტომ საბჭოთა ფოლკლორისტებს მიეცათ საშუალება ხუთივე სექციის მუშაობაში მიეღოთ მონაწილეობა. როგორც ზემოთ ითქვა, სექციებში მხოლოდ მოხსენებათა გარშემო იყო გათვალისწინებული კამათი. ფაქტიურად კი, სექციის ხელმძღვანელის მიმოხილვითი მოხსენების შემდეგ იმართებოდა კამათი ფოლკლორისტიკის აქტუალური პრობლემების გარშემო. აღსანიშნავია, რომ სტრუქტურული ანალიზის პრობლემებისადმი მიძღვნილი მოხსენებები, ძირითადად, ცნობილი საბჭოთა მეცნიერის პროფ. ვ. ი. პროპის მიერ 45 წლის წინ გამოთქმულ დებულებათა გამოყენებას ან განვითარებას

წარმოადგენდნენ. მეტად მნიშვნელოვანი იყო პროფ. რ. დორსონის (ბლუმინგ-სტონის უნივერსიტეტი) მოხსენება, რომელიც თანამედროვე ფოლკლორის პრობლემებს ეძღვნებოდა. მან აღნიშნა, რომ ფოლკლორი ინდუსტრიულ სამყაროში არ კვდება, არამედ მხოლოდ ფორმას იცვლის. პროფ. მ. ჩიქოვანმა, ელ. ვირსალაძემ და ქს. სიხარულიძემ თავის გამოსვლებში აღნიშნეს, რომ საბჭოთა ფოლკლორისტიკაში დღეს სტრუქტურული ანალიზი მნიშვნელოვანი პრობლემაა, მაგრამ იგი არ წარმოადგენს თვითმიზანს, არამედ ფოლკლორის კვლევის ერთ-ერთ ასპექტს, რომ თანამედროვე ფოლკლორის შესწავლა საბჭოთა კავშირში დიდხანია წარმოებს და მას მრავალი გამოკვლევა და მონოგრაფია მიეძღვნა. ამერიკელმა მეცნიერმა ალან ლენდისმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ თეორიული საკითხების კვლევაში დასავლეთის ფოლკლორისტიკა ჩამორჩება საბჭოთა ფოლკლორისტიკას.

კონგრესის არაერთი სხდომა მიეძღვნა უნის პრობლემატიკას. ცალკე სხდომების პრობლემებს წარმოადგენდა: „ენა და ადამიანი“ „ენა და აზროვნება“, „ენობრივი განვითარება“ (განიხილებოდა ფსიქოლინგვისტური საკითხები, ენის საკომუნიკაციო ფუნქციები, ენობრივი კონტაქტები და ორენოვნების ზოგიერთი ასპექტი, ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინოლოგია საერთოდ და ენათა ცალკეულ ჯგუფებში, პირთა სახელები, დროის აღმნიშვნელი ტერმინები, დღეთა სახელები, ადამიანის სხეულის ნაწილთა აღმნიშვნელი ტერმინები, დამოკიდებულება ინდივიდუალურ, კულტურულ და საერთო-საკაცობრიო ფასეულობათა შორის, ენის როლი სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის ურთიერთობაში, ენობრივი განათლების ტიპოლოგია და ა. შ.).

საგანგებოდ ერთი სხდომა მიეძღვნა ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორის ვილიამ მაკნეილის მოხსენების — „ევროპის ისტორიის მოდელები“ — განხილვას. მომხსენებელს მიაჩნდა, რომ ევროპის ისტორიული განვითარების ორი განსხვავებული გაგება — მარქსისტული და „ლიბერალური“ — შეიცავს ხარვეზებს და ცდილობდა არსებული ხარვეზების ამოვსებას. მის მოხსენებაში საწარმოო ძალთა განვითარებისადმი, ეკონომიკის, მიწათმფლობელობის, ექსპლუატაციის ფორმებისადმი ყურადღების გამახვილება მოწმობდა მარქსისტული კონცეფციის ერთგვარ გავლენას ავტორზე.

კიდევ ერთი სხდომა მიეძღვნა „ანთროპოლოგიურ“ და ეთნოლოგიურ პრობლემას ევროპის რეგიონის ფარგლებში. განიხილებოდა არქეოლოგიური, ეთნოგენეტიკური, ისტორიული ფაქტები, ასევე სხვადასხვა ევროპელი ხალხის თანამედროვე ცხოვრების ზოგი ასპექტი (მაგალითად, სოციალური და კულტურული ცვლილებანი, ტრადიციული და ურბანიზებული ელემენტების შერწყმა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია და სხვ.).

პალეოლითისა და ცივილიზაციის საწყისების პრობლემატიკას, გარდა ზემოაღნიშნულისა, მიეძღვნა კონგრესის კიდევ რამდენიმე სხდომა. ერთ მათგანზე განიხილებოდა ქვის ტექნოლოგიის საკითხები, მეორეზე — მიწათმოქმედების საწყისები (მიზანი იყო ფიზიკური, ბიოლოგიური და კულტურული პროცესების შედარება, რომელთაც განაპირობებს მიწათმოქმედების დამოუკიდებელი წარმოშობა მსოფლიო სხვადასხვა რეგიონში), მესამეზე — მცენარეული კულტურის მოშენება აფრიკაში, კიდევ ერთ სხვა სხდომაზე — კულტურაში ცვლილებათა სტრატეგიაფია შუა პლეისტოცენში.

ბუნებრივია, კონგრესის პროგრამაში დიდი ადგილი ეკავა ეთნიკურ პროცესებთან დაკავშირებულ თემატიკას. პრობლემის „მიგრაციები და ეთნოსი“ ირგვლივ დაჯგუფებული იყო მოხსენებები მიგრაციებთან დაკავშირებულ სხვადასხვა კონკრეტულ საკითხზე (მიგრაცია და ურბანიზაცია ბრაზილიაში 1870—1930 წწ., ესპანელი მიგრანტები შვეიცარიაში, მიგრაცია ახალ გვინეაში, ამერიკელ ინდიელთა მიგრაციები, მიგრანტთა შრომის როლი სამხრეთ აფრიკის ეკონომიკაში, ინდოელთა ეთნიკური ჯგუფი დიდ ბრიტანეთში და სხვ.). პრობლემა „ეთნოსი და ბრძოლა რესურსებისათვის“ აერთიანებდა ისეთ მოხსენებებს, როგორიცაა: ეკონომიური დიფერენციაცია და ეთნიკურ ჯგუფებს შორის ურთიერთობა ნიგერიაში, ეთნოსი და კლასები პერუს მთიანეთში და სხვ. ეთნიკურ ჯგუფებს შორის ურთიერთობას და ეთნოსის თეორიულ საკითხებს მიეძღვნა კიდევ რამდენიმე სხდომა („სესია“) მეტად მრავალფეროვანი პროგრამით, რომელშიც საპატიო ადგილი ეკავა საბჭოთა მეცნიერთა მოხსენებებს ეთნოსსა და ეთნიკურ პროცესებზე ზოგადთეორიულ ასპექტში ან კიდევ სსრ კავშირის ამა თუ იმ რეგიონში მიმდინარე ეთნიკური პროცესების შესახებ. ცალკე სხდომა მიეძღვნა ეთნიკურ ჯგუფებს ამერიკაში (განსახილველ მოხსენებათა შორის შეიძლება დავასახელოთ: ჰუმანიზმი შავკანიანთა კულტურაში; კრეოლიზმი; ეთნიკური ურთიერთობანი კანადის საზოგადოებაში; რასიზმი და შავკანიანთა ნაციონალიზმი; ჩინური თემები კანადაში და სხვ.). ამ რიგის თემატიკა მრავლად იყო წარმოდგენილი, აგრეთვე, ცალკეული რეგიონებისადმი მიძღვნილი სხდომების („სესიების“) პროგრამაში, რომელთა შესახებ ზემოთ იყო ლაპარაკი.

შედარებით ნაკლები ადგილი ეკავა კონგრესზე წარმოდგენილ მოხსენებებში ეთნოგენეზისის პრობლემატიკას. ამ დარგში ცალკე მსჯელობის (დისკუსიის) საგნად ფაქტობრივად გამოყოფილი იყო მხოლოდ „გენეტიკური ფაქტორები ხალხთა დიფერენციაციაში“. ეთნოგენეზისის პრობლემისადმი კომპლექსური მიდგომა უფრო მეტად საბჭოთა მეცნიერების მიერ წარმოდგენილ მოხსენებებში ჩანდა.

კონგრესზე წარმოდგენილ მოხსენებებში დიდი ადგილი ეკავა თანამედროვე საზოგადოებრივი და კულტურული პროცესების შესწავლას. ბევრ შემთხვევაში აქ მომხსენებლების მიდგომა საკითხისადმი სცილდებოდა ჩვენში ეთნოგრაფიული კვლევა-ძიებისათვის დამახასიათებელ სპეციფიკას და წმინდა ისტორიულ და ზოგად თუ კონკრეტულ სოციოლოგიურ მიდგომას ასახიერებდა. იყო მთელი რიგი მოხსენებებისა, რომლებიც საერთოდ საზოგადოებრივი განვითარების, განსაკუთრებით მისი ადრეული ეტაპების, კანონზომიერებებს შეეხებოდა, ანდა ამ განვითარებაში ამა თუ იმ ფაქტორის როლის განსაზღვრას ემსახურებოდა (მაგალითად: მსოფლიოს ეკონომიურ-კულტურული დიფერენციაციის ისტორიისათვის; კონფლიქტი და ცვლილება, როგორც განვითარების ასპექტი; ტრადიციული ინსტიტუტების როლი ეკონომიურ განვითარებაში; პირველყოფილ-თემური წყობილების საკითხი საბჭოთა მარქსისტულ თეორიასა და ისტორიოგრაფიაში; მეტოქეობისა და კოოპერაციის როლი კაცობრიობის განვითარებაში; ძალის ბალანსი პრიმიტიულ სახელმწიფოებში; ომის ეკოლოგიური ფაქტორები; ომის ბიოლოგიური ფაქტორები; ომის ანთროპოლოგიური შესწავლა; ექსპლუატაციის გენეზისი; რელიგიური ფაქტორები პოლიტიკურად ორიენტირებულ საზოგადოებრივ

ჯგუფებში და ა. შ.). დიდი ადგილი დაეთმო კონგრესზე ურბანიზაციის პროცესების განხილვას. განიხილებოდა როგორც პრობლემის ზოგადი ასპექტები (ეკოლოგიური საკითხები, სოციალური ორგანიზაცია, ინდუსტრიისა და ტექნოლოგიის როლი, ურბანიზაციის საერთო თეორია), ისე ამ პროცესის მიმდინარეობა მსოფლიოს ცალკეულ ქვეყნებში (წარმოდგენილი იყო მოხსენებები ბრაზილიის, პარაგვაის, მექსიკის, ვენესუელას, საერთოდ ლათინური ამერიკის, აფრიკის, აგრეთვე ინდოეთის შესახებ). ასევე დიდი ყურადღება დაეთმო კონგრესზე ქალის სტატუსის საზოგადოებაში, ქალთა სამემანსიპაციო მოძრაობას, შობადობის პრობლემას და სხვ. — ამ რიგის საკითხს ხუთი სპეციალური სხდომა („სესია“) მიეძღვნა.

კონგრესზე განიხილებოდა თანამედროვე ცხოვრების არაერთი აქტუალური საკითხი. სპეციალური სხდომები მიეძღვნა, მაგალითად, ახალგაზრდობის პრობლემას, აგრარულ რეფორმას და მის გავლენას სხვადასხვა საზოგადოებაზე (წარმოდგენილი იყო მოხსენებები: ჩილის, ინდოეთის, ბოლივიის, ვენესუელას შესახებ), „კოოპერატივებს, კოლექტიურ და ნაციონალიზირებულ მრეწველობას, როგორც სახალხო წვლილს ეროვნული განვითარების პროცესში“ (იყო მოხსენებები უმთავრესად განვითარებად ქვეყნებზე: გვინეა, დაგომეა, მალი, ბანგლადეში, ნიგერია, ლათინური ამერიკის ქვეყნებიდან — ბოლივიაზე, ევროპიდან — სიცილიის შესახებ), ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკას (დისკუსიის საგანი იყო შედარება ჯანმრთელობის დაცვის სისტემისა, ერთი მხრით, აშშ, კანადასა და არგენტინაში და, მეორე მხრივ, სოციალისტურ ქვეყნებში), აღზრდა-განათლების საკითხების ანთროპოლოგიურ შესწავლას, ალკოჰოლის საკითხს, მარიხუანას და სხვა ნარკოტიკების გამოყენების სოციალურ-კულტურულ ასპექტებს.

კონგრესის პროგრამა მოიცავდა, აგრეთვე, რელიგიური წარმოდგენებისა და კულტისადმი მიძღვნილ თემატიკას. ამ რიგის მოხსენებები დაჯგუფდა პრობლემების გარშემო: „რიტუალი, კულტი და შამანიზმი“ და „წინაპრები“. უმთავრესად წარმოდგენილი იყო განსახილველად შორეული აღმოსავლეთისადმი მიძღვნილი მოხსენებები — ინდოეთი, კორეა, წინაპრების კულტი იაპონიაში, კუნძულ ტაივანზე, ტიბეტის ორაკულები და სხვ., თუმცა იყო მოხსენებები სხვა რეგიონებიდანაც: შუა აზია, ბრაზილია, ვენესუელა, ისრაელი, სამხრეთ აფრიკა, ნიგერია, ციმბირი, ავსტრალია.

კონგრესზე საკმაოდ გამახვილებული იყო ყურადღება „ანთროპოლოგიის“ (ე. ი. ჩვენი „ეთნოგრაფიის“), როგორც მეცნიერების, მეთოდოლოგიურ, თეორიულ და მეთოდურ საკითხებზე. გაიმართა დისკუსია თემაზე: ანთროპოლოგია დღეს და ხვალ; სპეციალური სხდომები მიეძღვნა ამ დარგში კვლევა-ძიების კოოპერაციას და დოკუმენტაციის მომზადებას; ზოგად კონცეფციებს და თეორიას კულტურულ ანთროპოლოგიაში (განიხილებოდა: „კულტურის“ თეორია, „ეთნოსის“ თეორია; „ანთროპოლოგიური“ ტერმინოლოგია და სხვ.). აქვე შეიძლება მოვიხსენიოთ სხდომები, რომლებიც მიეძღვნა ბიბლიოგრაფიასა და დოკუმენტაციას (მაგალითად, ეთნოლოგიური ინფორმაციისა და დოკუმენტაციის კლასიფიკაციას), ეთნოლოგიურ მუზეუმ-მცოდნეობას (აქვე განიხილებოდა კარტოგრაფიის პრობლემები ეთნოგრაფიაში), „ანთროპოლოგიაში“ თვალსაჩინოების როლს (აქ განსაკუთრებით

ფართო განხილვის საგანი იყო ეთნოგრაფიულ კვლევაში კინოფილმების შექმნა-გამოყენება).

8 სექტემბერს შედგა კონგრესის შემაჯამებელი სხდომა, რომელიც თითქმის მთლიანად მიეძღვნა მოკლე ინფორმაციებს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში ჩატარებული მნიშვნელოვანი „ანთროპოლოგიურ-ეთნოლოგიური“ კვლევა-ძიების შესახებ. საბჭოთა დელეგაციიდან ამ სხდომაზე სიტყვით გამოვიდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ეთნოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომელი პროფ. ს. ა. არუთინოვი. თავის გამოსვლაში იგი შეეხო ესკიმოსების შესწავლასთან დაკავშირებულ საკითხებს.

კონგრესის ორგანიზატორებმა იკისრეს მთლიანად გამოაქვეყნონ კონგრესის მასალები. გასაგებია, რომ მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი მთელი სისრულით წარმოვადგინოთ კონგრესის მუშაობის შედეგები, ის წვლილი, რომელიც მან შეიტანა ეთნოგრაფიული და ანთროპოლოგიური მეცნიერების განვითარებაში. ჩვენს ინფორმაციას, რა თქმა უნდა, მეტად ზოგადი და წინასწარული ხასიათი აქვს.

* * *

კონგრესის მონაწილეები გაეცნენ ქალაქ ჩიკაგოს ღირსშესანიშნაობებს და მოინახულეს ჩიკაგოს მოსახლეობის ზოგიერთი „თემი“. საბჭოთა დელეგაციის თითქმის ყველა წევრი ეწვია ამერიკელ ინდიელთა ცენტრს და გაეცნო მის საქმიანობას. კონგრესის მონაწილეთათვის გაიმართა, აგრეთვე, ინდიელთა თვითშემოქმედების კონცერტი, რომელზედაც უმთავრესად შესრულებულ იქნა სხვადასხვა ცეკვები. საბჭოთა დელეგატების ერთი ნაწილი იყო ჩიკაგოს უნივერსიტეტში. დავათვალიერეთ, აგრეთვე, ქალაქის შესანიშნავი მუზეუმები, „ინდუსტრიის მუზეუმი“, ეთნოგრაფიული მუზეუმი, ხელოვნების მუზეუმი, აკვარიუმი.

საბჭოთა დელეგაციის იმ ჯგუფმა, რომელშიც შედიოდა საქართველოს ყველა წარმომადგენელი, ჩიკაგოს გარდა მოინახულა ქალაქები ვაშინგტონი, ნიუ-იორკი, ბუფალო (აქედან ჩვენ კანადის ტერიტორიაზე გადავედით და ვნახეთ ბუნების ნამდვილი სასწაული — ნიაგარას ჩანჩქერი). ვაშინგტონში ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა გვენახა მეტად საინტერესო ექსპოზიციები ტექნოლოგიურ მუზეუმში, დავათვალიერეთ ბუნების ისტორიის ეროვნული მუზეუმი (ექსპოზიციები: ფლორისა და ფაუნის, ეთნოგრაფიული და ანთროპოლოგიური მასალის), ხელოვნების ეროვნული გალერეა, ვიყავით თეთრ სახლში, კონგრესის შენობაში (კაპიტოლიუმი), არლინგტონის სამხედრო სასაფლაოზე, დავათვალიერეთ აშშ-ის პრეზიდენტებისადმი (ვაშინგტონი, ჯეფერსონი, ლინკოლნი) მიძღვნილი მონუმენტები და სხვ. ნიუ-იორკში მოვიინახულეთ „კოლუმბიის უნივერსიტეტი“, დელეგატების ერთმა ჯგუფმა ნახა ცნობილი „მეტროპოლიტენ-მუზეუმი“ და თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, მეორე ჯგუფი იყო საჯარო ბიბლიოთეკაში, ყველანი ვიყავით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შენობაში, ვნახეთ ცნობილი კულტურის ცენტრი (ლინკოლნ-ცენტრი), სადაც არის მეტროპოლიტენ-ოპერის და სხვა თეატრების შენობები, გავეცანით ქალაქს, კატერით შემოვუარეთ ქალაქის ცენტრალურ ნაწილს — მანჰეტენის კუნძულს — მნახველის თვალწინ იშლება ქალაქის გრანდიოზული პანორამა და ნიუ-იორკის ხიდების შესანიშნავი ხედი,

აგრეთვე, დიდებულად ჩანს თავისუფლების ქანდაკებაც. გადმოვხედეთ ქალაქს ცნობილი ემპაიერ სტეიტ ბილდინგის 86-ე და 102-ე სართულებიდან, ვიყავით ჩინურ კვარტალში და ცნობილ პარლემში, ნიუ-იორკის შესანიშნავ „ცენტრალურ პარკში“; ჩვენმა ანთროპოლოგებმა მოინახულეს ზოოლოგიური პარკიც. ანთროპოლოგებს საშუალება მიეცათ გასცნობოდნენ სიმპსონის ინსტიტუტის (ვაშინგტონი) და ბუნების ისტორიის მუზეუმის (ნიუ-იორკი) უმდიდრეს ანთროპოლოგიურ ფონდებს.

მალსაჰ აბდუშელიშვილი

ელენე პირსალაძე

ბიორბი მელიქიშვილი

ფასისის ლოკალიზაციის პრობლემა

1973 წლის 23 ოქტომბერს შედგა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებისა და საქართველოს საისტორიო საზოგადოების გაერთიანებული სესია, მიძღვნილი ქალაქ ფასისის ლოკალიზაციის პრობლემისადმი.

სესია გახსნა აკად. გ. ჩიტაიამ. წაკითხულ იქნა შემდეგი მოხსენებები: ფასისის ლოკალიზაციის გეოგრაფიული ასპექტი (ჭ. ჯანელიძე); ფასისის ისტორიული შესწავლის პრობლემა (ო. ლორთქიფანიძე, თ. მიქელაძე); ქალაქ ფასისის ლოკალიზაციისათვის (გ. გრიგოლია).

არქეოლოგიური და პალეოგრაფიული ფაქტების ერთობლივი ინტერპრეტაციის საფუძველზე, პირველი მომხსენებელი — გეოგრაფი ჭ. ჯანელიძე ასკვნის, რომ ძველი ფასისის სავარაუდო ადგილი, შესაძლოა მოინიშნოს მდ. რიონის ხეობის გასწვრივ ზღვის ნაპირიდან 3—6 კილომეტრის მანძილზე პირდაპირი ხაზით ფოთის, პატარა ფოთის და ჭალადიდის ირგვლივ ტერიტორიაზე, ხოლო ქალაქის ნანგრევები ზედაპირიდან საშუალოდ 2—3 მეტრის სიმაღლეზე უნდა იყოს დამარხული.

არქეოლოგების — ო. ლორთქიფანიძისა და თ. მიქელაძის ვარაუდით ფასისის სახელით ცნობილი სხვადასხვა ეპოქის ქალაქები უნდა ვიკვლიოთ იმ არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის გზით, რომლებიც განლაგებულია რიონის შესართავის აუზში ქვემო ჭალადიდსა და ზღვის სანაპიროს გასწვრივ გრიგოლეთ-ყულევს შორის მოქცეულ ტერიტორიაზე. გრიგოლეთში ზღვის ნაპირის უცვლელობის შესახებ, ყოველ შემთხვევაში ძვ. წ. I ათასწლეულიდან, მიუთითებს იქ არსებული დიუნური დასახლებები, ხოლო ყულევში გასულ წელს აღმოჩნდა შუა ბრინჯაოს ხანის მასალაც.

არქეოლოგ გ. გრიგოლიას მინიშნებით, ძვ. წ. IV საუკუნის ბერძენი მწერლის ფსევდო სკილაქს კარიანდელის მიერ მდინარესთან ერთად მოხსენიებული ქალაქი ფასისი, საძიებელია პალიასტომის აღმოსავლეთ სანაპიროზე, დაახლოებით იმ ტერიტორიის მახლობლად, სადაც მდინარე ფიჩორი შეერთვის პალიასტომის ტბას.

მოსხენებებმა ცხოველი ინტერესი გამოიწვია. გაჩაღდა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა დარგის ოცამდე სპეციალისტმა. გამოითქვა ანგარიშვასაწევი მოსაზრებანი, სახელდობრ გეოფიზიკოსმა პროფ. ბ. ბალავაძემ აღნიშნა, რომ უკანასკნელი 2—3 ათასი წლის მანძილზე ზღვის დონეს არავითარი რყევა არ განუცდია, ხოლო ტექტონიკური ძვრების შედეგად წარმოებდა ხმელეთის თანდათანობითი დაძირვა, ამიტომ ნაქალაქარი ფასისი უნდა ვეძებოთ არა ხმელეთზე, არამედ ზღვის ფსკერზე.

ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი მ. პაჭკორია აღნიშნავს, რომ ანტიკური ხანის ფასისი სავარაუდოა ფოთის აღმოსავლეთით, რა სიშორეზე და სახელდობრ სად, ეს მხოლოდ არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად შეიძლება დადგინდეს, გეომორფოლოგიური მონაცემების გათვალისწინებით.

ი. ღამბაშიძე შეეცადა ფასისი და ანტიკური ქალაქი ვანი გაეიგივებინა, მაგრამ აღნიშნული მოსაზრება არ იქნა გაზიარებული.

მოკამათებმა ნაქალაქევ ფასისის ლოკალიზაციის გაადვილების მიზნით, წამოაყენეს მრავალი საყურადღებო წინადადება, სახელდობრ პროფ. მ. ნოდიაშვილმა აღნიშნა, რომ ფასისის ადგილმდებარეობის პრობლემის გადასაჭრელად, როცა ისტორიული წერილობითი წყაროები და არქეოლოგიური ძეგლები საყრდენ მასალას არ გვაძლევს, მაშინ ფართოდ უნდა გამოვიყენოთ თანამედროვე გეოფიზიკის მეთოდები. ცნობილია, რომ მათი მეოხებით, ყოველგვარი მიწის სამუშაოთა გარეშე, შესაძლებელია ნებისმიერ სიღრმემდე ნიადაგის აღნაგობის დადგენა, აგრეთვე, მიწის ქვეშ მოქცეული კერამიკის ხნოვანების განსაზღვრაც.

არქეოლოგმა გ. ლორთქიფანიძემ უპირატესობა მიანიჭა აეროფოტოგადაღების მეთოდს.

აკად. გ. ჩიტაიამ შეაჯამა ფასისის ლოკალიზაციასთან დაკავშირებული მოსაზრებანი. სესიამ ყოველივე ეს ცნობად მიიღო და პრობლემის საბოლოო გადაჭრისათვის დასახა შემდეგი ღონისძიება:

ვინაიდან ნაქალაქევ ფასისის მიგნებისათვის საჭიროა სხვადასხვა დარგის სპეციალისტების (გეოფიზიკოსები, გეოგრაფები, ისტორიკოსები) ერთობლივი შრომა, საჭიროა აკადემიის პრეზიდიუმთან შეიქმნას საკორდინაციო ორგანო, რომელიც უხელმძღვანელებს, მეთვალყურეობას და დახმარებას გაუწევს ფასისის პრობლემით დაინტერესებულ ექსპედიციებს და შეაჯამებს მათი კვლევის შედეგებს.

ლევან ფრუიძე

დიდნიშნავი საშინაო კონფერენცია

მოხსენებაში „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკათა კავშირის შექმნის 50 წლისთავის შესახებ“ ლ. ი. ბრეჟნევი ყოველმხრივ გააშუქა ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების დიდებული შედეგები. სსრ კავშირში სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის წლებში ჩამოყალიბდა და სულ უფრო მტკიცდება ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი. ამ ერთობაში ჰარმონიულად შეერწყმიან, ერთი მხრივ, საერთო-საბჭოთა — თავისი ბუნებით სოციალისტური, ინტერნაციონალური თვისებები, ხოლო მეორე მხრივ — ხალხთა ეროვნული თავისებურებები, რომელთა სპეციფიურ ინტერესებს კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყურადღებით ითვალისწინებენ ყველა ერებისა და ეროვნებების, მთელი საზოგადოების საერთო ამოცანების გადაწყვეტისას.

ბუნებრივია ის დიდი ინტერესი, რაც გამოიწვია 1973 წლის ოქტომბერში მოსკოვში გამართულმა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციამ „სოციალისტური ერების განვითარება და ინტერნაციონალური თანამშრომლობა“, რომელიც მოაწვევს სსრკ მეცნიერებათა აკადემიამ, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტმა, საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიამ და უმაღლესმა პარტიულმა სკოლამ. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერები და პარტიული მუშაკები, აგრეთვე, უმეტესი სოციალისტური ქვეყნების ცნობილი მეცნიერები. საქართველოდან კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უახლესი ისტორიის განყოფილების გამგე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ი. კაჭარავა და ინსტიტუტის სოციოლოგიურ კვლევა-ძიებათა განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი რ. კლიმიაშვილი.

კონფერენცია გახსნა აკადემიკოსმა პ. ნ. ფედოსეევმა. მან აღნიშნა, რომ სხვადასხვა ეროვნების ხალხთა ურთიერთპატივისცემა და ძმური ურთიერთდახმარება — ეს არის სოციალისტური საზოგადოების ცხოვრების წესი და ამასთან ერთად მისი უმთავრესი ზნეობრივი პრინციპი. ეროვნული ცხოვრების ამდაგვარი გარდაქმნის პერსპექტივა პირველად დაასაბუთეს მარქსმა და ენგელსმა. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ სოციალისტური რევოლუციის სამჭედლოდან ყოველი ერი გამოვა განახლებული და აღორძინებული, რომ სოციალიზმი ახალ საფუძველზე აორგანიზებს ეროვნებათა ერთობას. ავითარებდა რა ამ იდეებსა და ხელმძღვანელობდა მათ პრაქტიკულ განხორციელებას, ლენინი ხაზს უსვამდა, რომ სოციალიზმის პირობებში საზოგადოებრივი ცხოვრების მთელ სვლას მიყვავართ ერების ყოველმხრივ განვითარებისა და დაახლოებისაკენ.

მოხსენებით „სოციალისტური ქვეყნების ერთიანობის განმტკიცება — მსოფლიო სოციალიზმის განვითარების კანონზომიერება“ კონფერენციაზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. ფ. კატუშევი.

სოციალიზმის პირობებში, თქვა კ. ფ. კატუშევმა, ინტერნაციონალიზაცია იძენს თავისი განვითარებისათვის ოპტიმალურ პირობებს. ამ კანონზომიერების შესაბამისად განვითარების პროცესში მყოფი შრომის საერთაშორისო სოციალისტური დანაწილება, სახალხო-სამეურნეო კომპლექსების სულ უფრო გაღრმავებული სპეციალიზაცია და კოოპერაცია, ეკონომიკის საერთაშორისო სოციალისტური ინტეგრაციის მთელი პროცესი ემყარება თანასწორუფლებიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის პატივისცემის, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის, ურთიერთდახმარებისა და ძმური თანამშრომლობის პრინციპებს. სხვა სიტყვებით, სოციალიზმში ორგანულადაა შეხამებული ეროვნული განკერძოებულობის დაძლევის, წარმოების პროცესის ინტერნაციონალიზაციის ტენდენცია ეროვნული ეკონომიკისა და კულტურის განვითარების, ყოველი ქვეყნისა და ყოველი ხალხის აყვავების ტენდენციასთან.

კომუნისტური პარტიების პოლიტიკა განაპირობებს შრომის საერთაშორისო დანაწილების თვისობრივ თავისებურებებს, რომლებაც ხასიათდებიან არა ეროვნული ეგოიზმითა და კონკურენციით, არამედ მოძმე ქვეყნების მეგობრობითა და ურთიერთდახმარებით, მათი თანასწორუფლებიანობით, ეროვნული და ინტერნაციონალური ინტერესების შეხამებით — ერთი სიტყვით, ყველაფერი იმით, რასაც სოციალისტური ინტერნაციონალიზმი ეწოდება.

სოციალისტური ქვეყნების საგარეო პოლიტიკის ძირითადი თავისებურება იმაში გამოიხატება, რომ მასში საერთაშორისო ურთიერთობების ისეთი საერთოდემოკრატიული პრინციპების დაცვა, როგორიცაა თანასწორუფლებიანობა, სუვერენიტეტი, დამოუკიდებლობა და სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩაურევლობა, ორგანულადაა შეხამებული სოციალისტურ სოლიდარობასთან, ურთიერთმშობრ დახმარებასთან სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობაში, სოციალისტური მონაპოვრების დაცვაში. იცავენ რა საერთო ინტერესებს, სოციალისტური ქვეყნები, ამავე დროს, მთლიანად ითვალისწინებენ თითოეული მოძმე ქვეყნის სპეციფიურ ინტერესებს.

საბჭოთა კავშირის შიგნით მოძმე ერების კულტურები თანდათან უახლოვდებიან და ამდიდრებენ ერთმანეთს; ამასთან ისინი არ კარგავენ ეროვნულ სახეს. ასე იქმნება საბჭოთა კულტურა.

დასასრულ კ. ფ. კატუშევმა აღნიშნა, რომ მეცნიერება არა მარტო გვინათებს გზას ერთა დახლოებისას, არამედ თვითონ ხდება დაახლოების უბანი, და ამიტომ უნდა გავაერთიანოთ სამეცნიერო პოტენციალი.

კონფერენციის პლენარულ სხდომაზე მოსმენილ იქნა, აგრეთვე, აკადემიკოს ნ. ნ. ინოზემცევის მოხსენება „სოციალისტური ინტერნაციონალიზმი და მსოფლიოს განვითარება“ და ჟურნალ „კომუნისტის“ მთავარი რედაქტორის მოადგილის, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ე. ა. ბაგრაშოვის მეტად საინტერესო მოხსენება „ეროვნული დამოკიდებულების მარქსისტულ-ლენინური თეორია და თანამედროვე იდეოლოგიური ბრძოლა“.

შემდეგ კონფერენცია მუშაობდა 3 სექციად. პირველი სექციის თემა იყო „სოციალიზმი და ერები“; მეორე სექციისა — „სოციალისტური ერების ერთობა და თანამშრომლობა“, ხოლო მესამესი — „მშრომელთა ინტერნაციონა-

ლური აღზრდა, სოციალისტური ერების კულტურათა განვითარება და დაახლოება“. სულ სექციების სხდომებზე მოსმენილ იქნა 70-მდე მოხსენება. კონფერენციის მუშაობამ პარტიული და სამეცნიერო წრეების დიდი ყურადღება მიიქცია. კონფერენციამ მეცნიერების წინაშე დააყენა დიდი მნიშვნელობის თეორიული და პრაქტიკული ამოცანები, რომელთა ღრმა დამუშავება ხელს შეუწყობს სოციალისტური ერების კიდევ უფრო დაახლოებასა და თანამშრომლობას.

რამაზ კლიმიაშვილი

ი ს ტ ო რ ი უ ლ ი თ ა რ ი ღ ე ბ ი

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის დაბრუნების 250 წლისთავისათვის

სანკტ-პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის პირველი სამეცნიერო ექსპედიცია საქართველოში

მიმდინარე წელს 250 წელი სრულდება სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის დაარსებიდან, რომელიც მეცნიერულ-კვლევითი აზრისა და შემოქმედების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მსოფლიო კერაა. მან დიდი წვლილი შეიტანა კაცობრიობის მრავალდარგობრივი მეცნიერების განვითარების სანაშურში, მათ შორის XIX—XX საუკუნეებში, კერძოდ, საქართველოსმცოდნეობის და კავკასიათმცოდნეობის განვითარების საქმეში. რევოლუციამდელი სანკტ-პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შეიქმნა საქართველოსმცოდნეობის უდიდესი კვლევითი ცენტრი.

მაგრამ აკადემიის სამეცნიერო კავშირებს საქართველოსთან უფრო შორეული ისტორია აქვს. ის დასაბამს იღებს საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე, მას ჩვენს ქვეყანასთან აქტიური კონტაქტები ჰქონდა უკვე XVIII ს-ში.

დოკუმენტებიდან ვიცით, რომ მეცნიერებათა აკადემიის უშუალო დაკვირვებათა და კვლევათა ობიექტად საქართველო ხდება 1771—1772 წწ.

1771 წლის სექტემბერს საქართველოს ეწვია და 1772 წლის 3 ნოემბრამდე აქ იმყოფებოდა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის ე. წ. „ფიზიკური ექსპედიცია“, რომელსაც ხელმძღვანელობდა ი. ა. გილდენშტედტი. ქრონოლოგიურად ეს იყო პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის მიერ საქართველოში მივლინებული პირველი ექსპედიცია, რომელიც კავკასიათმცოდნეობის ლიტერატურაში ცნობილია როგორც „გიულდენშტედტის მოგზაურობა“, ნამდვილად ეს იყო არა კერძო პირის მოგზაურობა, არამედ პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის მიერ წინასწარ დაგეგმილი, დაფინანსებული და სათანადოდ აღჭურვილი სამეცნიერო ექსპედიცია.

ექსპედიციის მიერ წარმოებული დაკვირვებები და შეგროვილი მასალა მრავალდარგობრივია. ის შეიცავს ცნობებს კავკასიისა და საქართველოს გეოლოგიის, მინერალოგიის, ბოტანიკის, ზოოლოგიის, ეთნოგრაფიის, ისტორიის, ეკონომიის შესახებ, აქვეა კარტოგრაფიული ნამუშევრები და სხვა. მისი მუშაობა იმდენად ნაყოფიერი იყო, რომ ის იქცა აკადემიური რუსული საქართველოსმცოდნეობის ისტორიაში თავისებურ სამიჯნო ნიშანსეცტად.

რატომ და რა ვითარებაში მოხვდა ეს ექსპედიცია საქართველოში, როგორი იყო მისი საქმიანობა, მსვლელობა და რა შედეგები გამოიღო მან? ეს საკითხები გარკვეულ ინტერესს იწვევენ საზოგადოდ საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიის შესწავლისა და საგანგებოდ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოსთან ურთიერთობის ისტორიის თვალსაზრისით.

1764—66 წწ. პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის კონფერენციის სხდომებზე იყო მსჯელობა 1769 წელს მზის დისკოს წინ ვენერის მოსალოდნელი გავლის შესახებ¹. ასტრონომის სტ. რუმოვსკის დაბეჯითებითი მოთხოვნით მეცნიერებათა აკადემიამ გადაწყვიტა გაეგზავნა რამდენიმე ასტრონომიული ექსპედიცია რუსეთის იმპერიის ისეთ ადგილებში, სადაც ასტრონომიული დაკვირვებების საწარმოებლად მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობები იქნებოდა. ამ საკითხით დაინტერესებული იყვნენ დასავლეთ ევროპის ქვეყნების სამეცნიერო წრეებიც და იქაც დაიწყეს წინასწარი სამზადისი ასტრონომიული დაკვირვებების საწარმოებლად.

ექსპედიციით დაინტერესდა ეკატერინე II, 1767 წლის მარტის თვეში მან წინადადებით მიმართა მეცნიერებათა აკადემიას, განსაკუთრებული სიბეჯითით მოკიდებოდა ამ საქმეს, არ მორიდებოდა ხარჯებს და თავის მხრივ დაპირდა ყოველგვარ დახმარებას². ამასთან დაკავშირებით მეცნიერებათა აკადემიამ ეკატერინე II სწერდა, რომ რადგანაც ასტრონომიული ექსპედიციები იგზავნებოდა შორეულ და სუსტად ცნობილ მხარეებში (ჩრდილოეთით — კოლა და სოლოვეკიზე, სამხრეთით — ორენბურგსა და ასტრახანში, აღმოსავლეთით — ციმბირში), მიზანშეწონილი იქნებოდა ასტრონომიულ დაკვირვებათა პარალელურად ეწარმოებინათ საბუნებისმეტყველო დაკვირვებებიც. ამიტომ ის დაბეჯითებით სთხოვდა ნებართვას ასტრონომიული ექსპედიციების შემადგენლობაში შეეყვანათ თითო ნატურალისტი. ამაზე იმპერატორი დათანხმდა³ და 1767 წლის მეორე ნახევარში დაისახა ექსპედიციების მასშტაბების შემდგომი გაზრდა, 30 ივლისის სხდომაზე გენერალურმა დირექტორმა ორლოვმა აცნობა აკადემიკოსებს⁴, „что е. в. угодно, чтоб астрономы по окончании всего, что до наблюдения Венерина касается, обратили мысли свои на совершенство Географии Российской империи; и чтоб академия для исследования натуральных вещей учредила особливые экспедиции, обещая им равную милость и вспоможение“⁴.

ექსპედიციების მზადების აქტიური მონაწილე აკად. სტ. რუმოვსკი აღნიშნავს, რომ მეცნიერებათა აკადემიას თავად ჰქონდა ცხოველი საბუნებისმეტყველო ინტერესები. ამის მაჩვენებელია ის, რომ 1765—67 წწ. მეცნიერებათა აკადემიამ მოიწვია პეტერბურგში სამუშაოდ არა ერთი უცხოელი მეცნიერი ბუნებისმეტყველი⁵; მათ შორის გმელინი, პალასი, გილდენშტედტი. საყურადღებოა, რომ ჯერ კიდევ 1764 წ. მ. ვ. ლომონოსოვმა დასვა საკითხი და მიზანშეწონილად მიიჩნია (თუმცაღა უშედეგოდ) რუსეთის იმპერიის სხვადასხვა მხარეში კომპლექსურ დაკვირვებათა ჩასატარებლად გაეგზავნათ ფიზიკური ექსპედიციები. ამიტომ საიმპერიო ხელისუფლების წინადადება მეცნიერებათა აკადემიამ სრული მზადყოფნით და ხალისით მიიღო. გადაწყდა ასტრონომიული ექსპედიციების პარალელურად მოწყობილი „ფიზიკური“ ე. ი.

¹ Протоколы заседаний конференции Императорской Академии наук с 1725 по 1803 г., т. II, 1744—1770 гг., СПб., 1899 (შემდეგში შემოკლებით — Протоколы...). იხ. 1764 წლ.—21/X, 1765 წლ.—26/X, 1766—13/III და სხვა სხდომათა ოქმები.

² Протоколы...

³ Ст. Румовский, Наблюдения явления Венеры в Солнце... СПб., 1771., 88. 13—14.

⁴ იქვე, 88. 20.

⁵ Протоколы..., 1766 წლ.—9/X, 22/XII, 1767 წლ.—10/VIII და 17/VIII და სხვა სხდომათა ოქმები.

საბუნებისმეტყველო ექსპედიციებიც რუსეთის შორეული მხარეების. ცხოველთა, მცენარეულისა და მინერალების სამყაროთა შესასწავლად.

მაშასადამე, ექსპედიციების მომზადებაში განირჩევა სამი სტადია: 1. რუმოვსკის ინიციატივით მზადდება სპეციალური ასტრონომიული ექსპედიციები; 2. მეცნიერებათა აკადემიის ინიციატივით გადაწყდა და მზადდება ასტრონომიული ექსპედიციების შემადგენლობაში თათო ნატურალისტის შეყვანა საბუნებისმეტყველო დაკვირვებების (ასტრონომიულ დაკვირვებებისადმი დაქვემდებარებით) საწარმოებლად. 3. აგრეთვე, გადაწყდა ასტრონომიული ექსპედიციების პარალელურად დამოუკიდებელი „ფიზიკური“ ექსპედიციების მოწყობა. მოვლენათა ამგვარმა განვითარებამ საფუძველი მისცა დასკვნას, რომ „физические экспедиции возникли как придаток астрономических, снаряженных по случаю прохождения Венеры через диск Солнца“⁶.

რუსეთის იმპერიის სწრაფმა ტერიტორიულმა ზრდამ (უკანასკნელი ორი საუკუნის მანძილზე), გეოგრაფიული ცოდნის განვითარებამ და შემდგომმა მოთხოვნილებებმა, მზარდმა ეკონომიურმა (საწარმოო-სავაჭრო) ინტერესებმა კანონზომიერად წარმოქმნეს მეცნიერებათა აკადემიის წრეებში მეცნიერული ინტერესები, ხოლო საიმპერიო ხელისუფალთ შორის პრაქტიკული, ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესები ორენბურგისა და ასტრახანის გუბერნიების, ციმბირისა და კავკასიის ფლორისა და ფაუნის შესწავლისა, წიაღისეულ სიმდიდრეთა გამოვლენისა, ამ მხარეთა ეკონომიური ყოფისა და ზუსტი გეოგრაფიული აღწერისადმი. გაღვიძებულ ინტერესებს კანონზომიერად მოჰყვა სათანადო ცდა — 1768—1774 წწ. საექსპედიციო კამპანია.

აღსანიშნავია, რომ წამოწყებულ საექსპედიციო კამპანიას თვით მეცნიერებათა აკადემია სავსებით ფხიზლად შეხვდა. მან საკუთრივ მეცნიერულ მიზნებთან ერთად გაითვალისწინა ექსპედიციების მიერ პრაქტიკულ-გამოყენებითი მნიშვნელობის მქონე ცნობების შეკრება. ექსპედიციების გამგზავრების წინ მეცნიერებათა აკადემიამ მიმართა რიგ დაწესებულებას წინადადებით, გამოეთქვათ თავისი სურვილები და მოთხოვნები ექსპედიციებისადმი; რათა მათ მიეცათ ინსტრუქციები, სადაც აღნიშნული იქნებოდა თუ რომელი საკითხებისათვის მიექცია ყურადღება ექსპედიციას მოგზაურობის დროს.

არქივში⁷ შენახულია ის სამახსოვრო ბარათები (Промемории), რომლებიც გამოგზავნეს „კომერც-კოლეგიამ“, „ვოლნო-ეკონომიჩესკოე ობშჩესტვომ“, „სამედიცინო კოლეგიამ“, „ბერგ-კოლეგიამ“, მეცნიერებათა აკადემიის ხსენებული წინადადებების საპასუხოდ, მათგან პირველი სამი „პრომემორია“ გამოქვეყნებულიც არის. ეს „პრომემორიები“ მიეცათ ექსპედიციებს სახელმძღვანელოდ. საგულისხმოა ამასთან დაკავშირებით აკად. სტ. რუმოვსკის აზრი: „Часто говорят в укоризну ученых, что они упражняются в делах, обществу никакой пользы не приносящих..., Академия наук, стараясь оного и при сем случае избежать и совокупить приятное с полезным, просила разные присутственные места, чтоб ани сообщили ей свои

⁶ В. Ф. Гнучева, Материалы для истории экспедиций Академии наук в XVIII и XIX веках, См. Труды архива АН СССР, вып. 4, 1940 г. 11.

⁷ М. И. Сухомлинов, История Российской Академии, вып. II, СПб., 1875, гл. 472—481.

мысли, в чем отправляемые от Академии для исследования натуральных вещей посылки им могут быть полезны. Присланные от вольного экономического общества, от Медицинской, от Коммерц и от Берг Коллегии статьи, Академии столь важны и внимания достойны показались, что за благо рассуждено приобщить их к самому наказу, данному г. предводителям“⁸

მასასადამე, მეცნიერებათა აკადემია ანგარიშს უწევდა დროის მოთხოვნილებებს და მათი დაკმაყოფილება თავის მოვალეობად მიაჩნდა. ამით აკადემიამ თავისი საქმიანობა (საექსპედიციო კამპანია) დაუკავშირა ქვეყნის თანადროულ პრაქტიკულ ინტერესებს და მისწრაფებებს.

ამ საექსპედიციო კამპანიის ჩასატარებლად შეიქმნა შვიდი ასტრონომიული ექსპედიცია. ერთი გაემართა ციმბირისაკენ — იაკუტსკში, სამი — ჩრდილოეთისაკენ — კოლაში, პონოვში და უმბეში, სამი აღმოსავლეთისაკენ — ორენბურგში, ორსკში და გურიევში. პარალელურად შეიქმნა ფიზიკურ ექსპედიციათა ორი ჯგუფი: 1. ე. წ. ორენბურგის ექსპედიციები — სამი დამოუკიდებელი რაზმის შემადგენლობით და 2. ე. წ. ასტრახანის ექსპედიციები — ორი დამოუკიდებელი რაზმის შემადგენლობით⁹.

ასტრახანის ერთ-ერთ რაზმს ხელმძღვანელობდა ს. გ. გმელინი, ხოლო მეორეს — იოჰან ანტონ გილდენშტედტი¹⁰.

გილდენშტედტის ექსპედიციაში შედიოდნენ: სტუდენტები — ალ. ბელიაევი, ბ. ზრიაკოვსკი, სტ. კრაშენინიკოვი, მხატვარი — გრ. ბელოი, მეფიტულე — ტარბეევი, მონადირე (ფრინველებისა და ნადირების კოლექციის შესაგროვებლად), ექთანი, ცხენების მკვდელი.

თავდაპირველი, 1768 წლის ივნისით დათარიღებული სამოგზაურო გეგმა ითვალისწინებდა მარშრუტს პეტერბურგიდან ყიზლარამდე (მოსკოვ→ვორონეჟ→ცარიცინ→ასტრახანზე გავლით); ყიზლარიდან კავკასიონის დაზვერვას, რამდენადაც უშიშროების პირობები ამის საშუალებას მისცემდა და შემდეგ იმავე გზით პეტერბურგში დაბრუნებას¹¹, საქართველოში გადასვლა მას დავალებული არ ჰქონდა. რომ თავდაპირველ სამოგზაურო გეგმაში საქართველოში გადასვლაზე არაფერი იყო თქმული, ამას მოწმობს ს. მ. გმელინიც. მას უწერია: „что до будущего путешествия из Астрахани до персидских границ и Кавказских гор касалось, ничего в оном (გეგმაში, — з. გ.) точно определено не было“¹².

ექსპედიცია გილდენშტედტის ხელმძღვანელობით დაიძრა პეტერბურგიდან 1768 წლის 19/30 ივნისს. 1768 წლის სექტემბრიდან 1769 წლის მარ-

⁸ Ст. Румовский, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 28—29.

⁹ *История Академии наук СССР*, т. I, 1958, გვ. 360—362, 367.

¹⁰ ი. ა. გილდენშტედტი დაბადებულია 1745 წ. ქ. რიგაში; უმაღლესი საბუნებისმეტყველო განათლება მიიღო გერმანიაში. მისი მეცნიერ-ხელმძღვანელის იმ დროის ცნობილი პროფესორის გლედიჩის რეკომენდაციით და აკადემიკოს-მდივნის ი. ა. ეილერის რჩევით მოწვეულ იქნა 1767 წ. პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის მიერ ექსპედიციებში მონაწილეობის მისაღებად. გილდენშტედტი ჩამოვიდა პეტერბურგში 1768 წლის 8 მაისს და 12 მაისს წარდგა აკადემიის კონფერენციაზე. ექსპედიცია მას უკვე დაკომპლექტებული და საჭიროებისმებრ აღჭურვილი დახვდა.

¹¹ მეცნიერებათა აკადემიის არქივის ლენინგრადის განყოფილება (შემდეგში: მაალ.), ფ. 1, ან. 100, ს. 1, ფურც. 82—85; ფ. 3, ან. 33, ს. 1, ფურც. 4 гв.

¹² С. Г. Гмелин, Путешествие по России для исследования всех трех царств в природе, III ч. первая половина, СПб., 1785, გვ. I.

ტამდე დაყოვნდა მოსკოვში. აქ მას უთუოდ ექნებოდა ურთიერთობა საგარეო საქმეთა კოლეგიის მოსკოვის მთავარი არქივის დირექტორთან ისტორიისა და გეოგრაფიის დიდ მცოდნესთან აკადემიკოს გ. მილერთან. ამას ვარაუდობდა თავის დროზე პროფ. მ. პოლიევქტოვიც¹³. ეს სარწმუნოა, იმიტომაც, რომ 1769 წლიდან მილერი ასრულებდა მეცნიერებათა აკადემიისა და ექსპედიციათა შორის ურთიერთობასა და მიმოწერაში შუალედური რგოლის როლს. დაბოლოს 1769 წლის დეკემბრის დასაწყისში ექსპედიციამ მიაღწია ქ. ასტრახანს. აქ შეხვდა ის გმელის, რომლის ექსპედიციაც ცოტა განსხვავებული მარშრუტით მოდიოდა პეტერბურგიდან.

გილდენშტედტის დღიურიდან, მისი კერძო მიმოწერიდან და სხვა წყაროებიდან ჩვენ სრული უეჭველობით ვიგებთ, რომ ის ადრევე იყო დაინტერესებული საქართველოთი და ისწრაფვოდა საქართველოს ნახვას, მაგრამ საქართველოში გადასვლის საკითხი ოფიციალურად პირველად დაისვა ასტრახანში, გილდენშტედტისა და გმელის ჯერ ერთმანეთთან და შემდეგ იქაურ რუს მმართველ პირებთან მოთათბირების შემდეგ.

1769 წლის დეკემბრის ბოლოს გმელინმა და გილდენშტედტმა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის ასტრახანიდან დასამტკიცებლად გაუგზავნეს 1770 წლისათვის დაგეგმილი მოგზაურობის მარშრუტები და გილდენშტედტმა თავის ექსპედიციის მარშრუტში პირველად შეიტანა საქართველო (გმელინმა 1770 წლისათვის დაიგეგმა კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროს შემოვლა). ამასთანავე, მან პირადად კონფერენც-მდივანს ი. ა. ეილერს მისწერა კერძო წერილი, რომელშიაც აღნიშნავდა, რომ გრძნობს თავს მოწოდებულად შეისწავლოს კავკასია და აქვს დიდი სურვილი ეწვიოს საქართველოს. დასასრულ, სთხოვდა საამისოდ მხარდაჭერას და ხელის შეწყობას¹⁴.

ეს სამოგზაურო გეგმა მიღებული პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიაში, წაკითხულ იქნა კონფერენციის სხდომაზე 1770 წლის 27 იანვარს.

სამოგზაურო გეგმაში წერია, რომ გიულდენშტედტი იმედოვნებს მაისში დატოვოს თერგი და შემოიაროს კავკასიის მთების ძირში მდებარე სოფლები; შემდეგ კი მთების სიღრმეში შევიდეს და საქართველოს დედაქალაქ თბილისამდე მიაღწიოს, ხოლო ზამთრის პირზე იქიდან ისევ ყიზლარში დაბრუნდეს¹⁵.

სხდომამ გაითვალისწინა რუსეთ-ირანის ურთიერთობა, კავკასიონზე გადასასვლელი გზის უშიშროებაზე ცნობების უქონლობა, ამ შორეულ მგზავრობასთან დაკავშირებული დიდი ხარჯები და ვერ გაბედა გეგმის დამტკიცება. სხდომამ საქმის გადაწყვეტა საიმპერიო ხელისუფლებასთან შეთანხმებით მიანდო გენერალ-დირექტორს — ვ. გრ. ორლოვს. მეცნიერებათა აკადემიის კონფერენციამ ამ გეგმის განხორციელება სასურველად მიიჩნია, რადგან ეს

¹³ М. А. Полиевктов, Из истории русск. академич. кавказоведения XVIII в.; См. Известия АН СССР, VII серия, отд. обществ. наук, М.—Л., 1935, № 8, зб. 771.

¹⁴ Труды Архива Академии наук, вып. 2-й., ученая корреспонденция, М.—Л., 1937, зб. 166.

¹⁵ მაალ, ფ. 21, ან. 1,2. 82, ფურც. 18v „...er hoffet im Mai den Terek zu verlassen, ... an dem Fusse des Caucasischen Gebürge gelegenen Dörfer zu besuchen. Uns alsdann ins Gebürge selbst und bis zur Georgianischen Hauptstadt Tiflis zu gehen und im Spätjar von da nach Kislär zurück zu kehren...“

ბევრს შეძენდა აკადემიის ღირსებას და არაჩვეულებრივი დიდი შენამატი იქნებოდა მეცნიერებისათვის¹⁶.

იმავე წლის 29 იანვრის და 1 თებერვლის სხდომებს ვ. გრ. ორლოვი არ დასწრებია. ამასობაში მან შეათანხმა საკითხი თვით ეკატერინე II-სთან და 5 თებერვლის სხდომაზე განაცხადა, რომ გმელისა და გილდენშტედტის სამოგზაურო გეგმების ყველა პუნქტი მისაღებია. აღნიშნულ სხდომაზე გენერალ-დირექტორმა და კონფერენციამ დაავალეს კონფერენც-მდივანს, უახლოეს დროში აცნობოს გმელისა და გილდენშტედტს მათი სამოგზაურო გეგმების დამტკიცებისა და დიდი სიფრთხილით მოქმედების შესახებ, ამასთანავე, ასტრახანის გუბერნატორთან ყველა წამოწყებათა წინასწარ შეთანხმების საჭიროებაზე.

გილდენშტედტის ექსპედიციის საქართველოში ჩასვლა მომზადდა კიდევ სხვა მხრიდანაც.

კარგად არის ცნობილი ქართლ-კახეთისა და იმერეთის მეფეების ერეკლე II და სოლომონ I პრორუსული საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის სტაბილურობა. ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე 1783 წ. გეორგიევსკში საქართველო-რუსეთს შორის დაიდებოდა სამეგობრო ტრაქტატი, საქართველოდან პეტერბურგში იმპერატორის კარზე გაიგზავნა არა ერთი ელჩობა და ელჩი.

1768—1774 წწ. რუსეთ-თურქეთის ომთან დაკავშირებით საქართველოსა და რუსეთს შორის მიმოსვლა და ურთიერთობა განსაკუთრებით გაცხოველდა. რუსეთის, აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთის ხელისუფალთა გადაწყვეტილებამ, მათ გაერთიანებულ გამოსვლაზე ოსმალეთის წინააღმდეგ, შექმნა ნიადაგი ერეკლე II და სოლომონ I ერთმანეთთან უფრო მჭიდრო დაახლოვებისათვის.

ასეთ ვითარებაში მომზადდა და 1769 წლის ივლისში პეტერბურგს, რუსეთის საიმპერიო კარზე გაიგზავნა მეფე ერეკლე II-გან ელჩი — ა. ანდრონიკაშვილი და მეფე სოლომონ I-გან ელჩი — დავით კვინიხიძე. ამ ელჩების განცხადებებიდან ირკვევა, რომ დაწყებულ ომთან დაკავშირებით სხვა სათხოვართა გარდა მეფე ერეკლე და მეფე სოლომონი სთხოვდნენ რუსეთის პირველ მინისტრს გრაფ ნ. ი. პანინს სამთამადნო საქმის მეცნიერ პირთა და ოსტატთა გამოგზავნის შესახებ, მადნეული საბადოების გამოკვლევისა და ლითონების დამუშავების საწარმოს ორგანიზაციისათვის¹⁸.

თავის მრავალმხრივ საყურადღებო საპასუხო წერილში პირველი მინისტრი გრაფი პანინი 1769 წლის 29 დეკემბერს მეფე ერეკლე II ატყობინებ-

¹⁶ „So viel aber ist gewiss, dass, wenn es möglich wäre alle Hindernisse aus dem Wege zu räumen und denen Herren Gmelin und Gildenstädt diejenige Sicherheit zu verschaffen, welche zu ihren Untersuchungen unumgänglich nöthig ist, so würde allerdings die Befolgung ihres entworfenen Reise—Plans zur Ehre der Kcademie und Erweiterung der Wissenschaftem ungemein vieles beitragen“. (Протоколы... т. II, СПб., 1899, გვ. 727).

17 „.... dass sein ..., verabredeter Reiseplan in allen Stücken genehmigt würden sei, Nächst diesem soll angedeutet werden, dass sie sich dennoch nicht zu weit wagen sollen, dass sie in allen Vorfällen den Herrn Gouverneur in Astrachan befragen und nichts, ohne vorher seine Meinung eingezogen zu haben, unternehmen sollen“ (იქვე; გვ. 729).

¹⁸ Грамоты и другие исторические документы XVIII стол., относящиеся к Грузии, т. I, под ред. А. А. Цагарели, (შემდეგი შემოკლებით: Грамоты...) СПб., 1891, გვ. 92, 93, 431.

და, რომ „(для) исследования естественных вещей и их свойств... пред некоторым временем отправлены по высочайшему повелению от здешней Санкт-Петербургской Академии наук... ученые люди, а при них несколько учеников и художников в разные стороны, в том числе и в Астраханскую. По исполнении возложенной на сих последних должности во всех местах Астраханского управления... е. и. в. благоволение есть, чтоб они для того же, по близкому положению Грузии, наблюдения свои и на тамошние места простерли.

Ваша светлость учинили к высочайшему двору представление, чтобы находящиеся в недрах земли вашего владения металлы были употреблены. Но сии люди такие, которые в состоянии нетокмо всяких металлов и минералов точныя вместилища разыскать и способы промыслить к удобнейшему разрабатыванию и обращению в пользу, но и все прочие выгоды естества открыть, какия в Грузии съискаться могут, а поныне в неизвестности остались. Теперь не могу еще точно Вашу светлость уведомить сколь скоро они, составляя две экспедиции, из которых первого профессор Гмелин, а другого адъютант Гюлденштедт руководствует, в Грузию прибыть могут...“¹⁹ ამ წერილში პანინი ინტერესს იჩენს საქართველოს მეზობელ მხარეთა ბუნებრივი რესურსებისადმიც და დასასრულ სთხოვს მეფე ერეკლეს ამ ექსპედიციებისათვის ყოველგვარ ხელშეწყობასა და მფარველობას.

1770 წლის 11 იანვარს საქართველოში დასაბრუნებლად გამზადებულ ელჩს — ა. ანდრონიკაშვილს გამოატანეს წერილი, რომელშიც ეკატერინე II ჰპირდებოდა მეფე ერეკლეს საჭირო სამხედრო დახმარებას და სხვადასხვა ოსტატთა გამოგზავნას²⁰ (სხვადასხვა ოსტატთა ქვეშ იგულისხმება ლითონის დამუშავების ოსტატები, რომელსაც ითხოვდა მეფე ერეკლე).

გილდენშტედტისა და გმელინის სამოგზაურო მარშრუტის გეგმის თარიღი (1769 წლის 20 დეკემბერი), გრ. პანინის წერილი (დათარიღებული 1769 წლის 29 დეკემბრით, საქართველოში მომავალ კაპიტან ივ. ლვოვს გადასცეს 1770 წლის 5 იანვარს), აღნიშნული დაპირება საქართველოში ასტრახანის ორივე ექსპედიციის გამოგზავნისა და ბოლოს, პანინის წერილში გამოთქმული გაურკვევლობა ექსპედიციების საქართველოში ჩასვლის თარიღის შესახებ — გვაძლევენ საფუძველს დავასკვნათ, რომ რუსეთის იმპერიის ხელისუფალთ ჯერ კიდევ არ ჰქონდათ შეთანხმებული მეცნიერებათა აკადემიასთან თავისი გადაწყვეტილება საქართველოში ასტრახანის ფიზიკური ექსპედიციების გაგზავნის შესახებ.

ამრიგად, ინტერესი და კეთილგანწყობა, რომელიც გამომჟღავნა მეცნიერებათა აკადემიის კონფერენციამ გილდენშტედტის ექსპედიციის საქართველოში ჩასვლისადმი სავსებით დაემთხვა იმპერიის პოლიტიკურ მესვეურთა ინტერესს. ოლონდ რუსეთის იმპერიის მთავრობის წრეებში გილდენშტედტის ექსპედიციის საქართველოში გაგზავნის საკითხი გადაწყდა დადებითად ცოტა უფრო ადრე, ვიდრე ეს საკითხი გახდებოდა მეცნიერებათა აკადემიის კონფერენციის მსჯელობის საგანი. ამიტომ მეცნიერებათა აკადემიის გენერალ-დირექტორს ვ. გრ. ორლოვს სრულიადაც არ უნდა გასჭირვებოდა 1770 წლის იანვრის ბოლო რიცხვებში თუ თებერვლის დამდეგს ეკატერინესაგან მიეღო

¹⁹ Грамоты ..., , 83. 89—90.

²⁰ იქვე, 83. 91.

სანქცია მეცნიერებათა აკადემიის კონფერენციის მიერ გმელისისა და გილდენშტედტის სამოგზაურო გეგმების დამტკიცებაზე. როგორც უკვე ითქვა, მან ეს სანქცია კიდევაც მიიღო. მაგრამ ამ დროს გილდენშტედტი ავად გახდა, თანაც მის ყურამდე მიაღწია თბილისში შავი ჭირის ეპიდემიის გაჩენის და მეფე ერეკლესა და გენერალ-მაიორ ტოტლებენს შორის უთანხმოება-წფოთიანობის ამბებმა, ამიტომ, მან ვერ გაბედა საქართველოსაკენ გამგზავრება და 1770 წელი მოანდომა კავკასიონის ჩრდილოეთი მთისწინეთის დაზვერვა-შესწავლას. ხოლო საქართველოში გამგზავრება გადაიდო 1771 წლისათვის.

1771 წლისათვის გილდენშტედტმა დაგეგმა და მეცნიერებათა აკადემიის კონფერენციამ დაუშტყცა შემდეგი სამოგზაურო მარშრუტი: აპრილში ყიზლარიდან აყრა და მდინარეების — მალკას, ბაქსანისა და ჩეგემის ირგვლივ მდებარე ადგილების შემოვლა; მასში კავკასიონის გადალახვით იმერეთში (რიონის სათავეებთან) გადასვლა; შემდეგ რიონის ჩაყოლებით სამეგრელომდე და შავ ზღვამდე, რიონის შესართავამდე მისვლა; აქედან შემობრუნება მტკვრისაკენ და საქართველოს დედაქალაქ თბილისამდე მოგზაურობა; აქ ერთხანს შეჩერების შემდეგ გამგზავრება კახეთისაკენ; კახეთიდან კავკასიონის გადალახვით ავარიის ხანის ქვეყანაზე და თათრულ სოფელ ანდრეევზე გავლით ყიზლარში დაბრუნება²¹.

ამ გეგმის შესაბამისად 1771 წლის აგვისტოში, მოზდოკიდან წამოსულმა გილდენშტედტმა პირველად სცადა თავისი ექსპედიციით დიგორიდან გადასვლა რაჭაში და იმერეთში. მაგრამ გზის დიდმა სიძნელეებმა, ადგილობრივ მკვიდრთა გამყოლ-მეგზურებისა და ტვირთის მზიდავეების მიერ მოთხოვნილმა ჭირის მაღალმა ფასებმა ხელი ააღებინეს ამ განზრახვაზე. ექსპედიცია დაბრუნდა ჩრდილო კავკასიის ბარში და საქართველოსაკენ გასწია თერგის ხეობით — დარიალი — ხევი — ჯვრის უღელტეხილი.

დუშეთიდან მან გაგზავნა მეცნიერებათა აკადემიაში მოხსენებითი ბარათი. რომელშიც სთხოვდა საქართველოში ერთი წლით ე. ი. 1772 წლის სექტემბრამდე დარჩენის ნებართვას²², რაზედაც დადებითი პასუხი მიიღო.

ექსპედიციამ საქართველოში 13—14 თვე (1771 წლის 11 სექტემბრიდან — 1772 წლის 3 ნოემბრამდე) დაჰყო და ამ ხნის განმავლობაში მოიარა ქვემო, შიდა და ზემო ქართლი (ხერთვისამდე), ქსნისა და არაგვის ხეობები, რაჭა, ზემო და ქვემო იმერეთი. გილდენშტედტს სურვილი ჰქონდა გადასულიყო გურია — სამეგრელო — აფხაზეთში; მაგრამ არახელსაყრელი პოლიტიკური სიტუაციის რიდით ეს ვერ განახორციელა. ექსპედიცია არ ყოფილა სვანეთში, ღვალეთში, თუშეთ-ფშავ-ხევსურეთსა და ოსმალეთის მიერ მიტაცებულ სამხრეთ საქართველოში — ახალციხეში, აჭარასა და სხვა ადგილებში.

ექსპედიციამ შეკრიბა საქართველოს ფლორის, ფაუნის, მინერალების, მადნეულის საზღოების, ეკონომიკის, გეოგრაფიის, ეთნოგრაფიის, ისტორიის და სხვა ჯხვი და მრავალგვარი მასალა. ამ საქმეში მათ მხურვალედ ეხმარებოდნენ მეფეები ერეკლე და სოლომონი და მათი დავალებით ქართველი მმართველი წრეების სხვა წარმომადგენლებიც; მისთვის საინტერესო ცნო-

²¹ მაალ, ფ. 3, ან. 33 ს. 5. ფურც. 84; დედნისეული ტექსტი და მისი ქართული თარგმანი იხ. „გილდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში“, ტ. II, გ. გელაშვილის გამოცემა, თბ., 1964, გვ. 125.

²² იქვე, გვ. 129.

ბებს გილდენშტედტს ისინი დაუბრკოლებლად აწვდიდნენ. მეფის განკარგულებით მასთან მოჰქონდათ მინერალებისა და მადნეულის სინჯები; თევზები. ფრინველები, დახოცილი ნადირი, გავრცელებული მარცვლეული კულტურების ნიმუშები და სხვ. გაცნო თბილისის საწარმოებს: ზარაფხანას, თოფის წამლის ქარხანას, გოგირდოვან თბილ აბანოებს და სხვ. აქვე შეისყიდა მან მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკისათვის „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგისეული რედაქციის ერთი ნუსხა, სეხნია ჩხეიძის და პაპუნა ორბელიანის ქრონიკები.

ქართველი საზოგადოების მისდამი თავაზიანი და გულისხმიერი დამოკიდებულება გილდენშტედტმა ნაწილობრივ მიიჩნია მადლობის ნიშნად იმ საექიმო დახმარებისათვის, რომელიც მან საქართველოში აღმოუჩინა ზოგიერთ პირს. მაგრამ მკურნალობის დაწყებამდეც, საქართველოში ჩამოსვლის პირველ დღეებიდანვე, აღნიშნავს ის ქართველი მმართველი წრეების მისდამი და საერთოდ რუსეთისადმი გულწრფელ, კეთილგანწყობილ დამოკიდებულებას. ეს იყო საქართველოს მოწინავე საზოგადოებრიობის, საქართველოს ორივე სამეფო კარის საერთოდ რუსეთისადმი კეთილგანწყობილების და კერძოდ, ექსპედიციისაგან ერთგვარი პრაქტიკული, სამეურნეო შედეგების მოლოდინის თავისებური გამოხატულება. გილდენშტედტიც კეთილადაა განწყობილი ქართველებისადმი, თავის მოგზაურობის დღიურში, ასევე წერილებში²³ სიმპათიითა და თანაგრძნობით იხსენიებს ქართველ ხალხს, აფასებს მათ გამრჯელობას, მასპინძლობას, გულგახსნილობას, თავაზიანობას და სხვ. მაგრამ მთელ მის ტონში დომინირებს რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომული ერთგულება: მისთვის უპირველესი და მთავარია ეკატერინე II და სანკტ-პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის ინტერესები და მათდამი ერთგულება.

ინსტრუქციის თანახმად ექსპედიციაში მოპოვებული მასალა გილდენშტედტს პერიოდულად უნდა გადაეგზავნა მეცნიერებათა აკადემიისათვის პეტერბურგში. ეს მასალები იყო: მადნის და მინერალების სინჯები, გერბარიუმები, ზოოლოგიური კოლექციები, ჩანახატები და მოხსენებითი ბარათები, რომლებშიც გილდენშტედტი უზიარებდა მეცნიერებათა აკადემიას ჩატარებულ დაკვირვებებს და თავის მომავალ გეგმებს. საქართველოში ყოფნისას გილდენშტედტმა გაუგზავნა მეცნიერებათა აკადემიას მოხსენებითი ბარათები: 1771 წლის 25 სექტემბერს — დუშეთიდან; 8 ნოემბერს — ქარელიდან; 1772 წლის 4 იანვარს — თბილისიდან, 29 თებერვალს — ვაჭირიდან; 24 ივნისს — მუხრანიდან და 3 აგვისტოს სხარტალიდან.

მოხსენებითი ბარათების პარალელურად ის უგზავნიდა წერილებს აკადემიკოსს გ. მილერს და აკადემიის კონფერენც-მდივანს ი. ეილერს; უფრო იშვიათად და ხანგამოშვებით სხვა პირთაც (ბაკმეისტერს, ჰოსტოდის და სხვებს).

ყველა მოხსენებითი ბარათი და სხვა მასალა, რასაც გილდენშტედტი უგზავნიდა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიას თავს იყრიდა ისტორიკოს-აკადემიკოს გ. მილერის ხელში. ამის შედეგად, მას ამ მიმორწრაში განსაკუთრებული ადგილი ჰქონდა მიჩნეული. 1765 წლიდან მილერი პეტერბურგიდან მოსკოვში გადავიდა სამუშაოდ. „Миллер, однако, не порывал связей

²³ კერძოდ, აკად. გ. ფ. მილერს სწერდა: „Mit Georgien bin ich unendlich Zufrieden, ich bin daselbst bei den vornehmsten Fürsten sehr willkommen...“ მაალ, ფ. 21, ან. 3, ს. 118, ფურც. 60 ა.

с Академией наук и с 1769 г. вел от лица Академии наук всю переписку с участниками академических экспедиций 1768—1774 гг.“²⁴.

გიულდენშტედტის მოხსენებით, ბარათებს კითხულობდნენ პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის კონფერენციის სხდომებზე. მათ გარშემო იმართებოდა მსჯელობები და იღებდნენ სხვადასხვა გადაწყვეტილებას. მთელი ეს ამბები ფიქსირებულია კონფერენციის სხდომათა ოქმებში²⁵.

ამრიგად, გიულდენშტედტის ექსპედიციის მთელი მუშაობა მიმდინარეობდა მეცნიერებათა აკადემიასთან მჭიდრო კონტაქტში და აკადემიის ხელმძღვანელობით.

საქართველოდან ყიზლარში გიულდენშტედტი დაბრუნდა 1772 წლის 18 ნოემბერს და აქ დარჩა მომდევნო წლის ზაფხულამდე. ამ ხანებში ის ამუშავებს და ავსებს თავის ჩანაწერებს საქართველოზე და დაასრულა საქართველოსა და კავკასიის ცენტრალური ნაწილის დაწვრილებითი რუკის შედგენა.

რუკაზე აღნიშნულია 16 პუნქტი, როგორც მადნეულის საბადო. ამ საბადოების უმეტესი ნაწილი თავმოყრილია ქვემო ქართლში, უფრო ნაკლები ცენტრალურ კავკასიონში, ქედის ორივე მხარეზე — მდ. ასას ხეობიდან რაჭამდე და დიგორამდე²⁶. ერთდროულად, მისი დავალებით ყიზლარში მცხოვრებმა არქიმანდრიტმა პორფირიმ (მეფე იესეს შვილიშვილმა), ექსპედიციის წევრის სტუდენტ ალ. ბელიაევის მონაწილეობით თარგმნა „ქართლის ცხოვრების“ პირველი რამდენიმე თავი.

ჩრდილო-დასავლეთ კავკასიასა და უკრაინაზე გავლით გიულდენშტედტის ექსპედიცია 1775 წლის 24/III/4/IV დაბრუნდა პეტერბურგში და ამით დაასრულა თავისი ხანგრძლივი მოგზაურობა რუსეთის სამხრეთ პროვინციებსა და კავკასიაში. მაგრამ შემდეგშიც არ იფიწყებს კავკასიას, კერძოდ, საქართველოს და განაგრძობს მოპოვებულ მასალაზე მუშაობას.

ამასთან დაკავშირებით აკად. მილერი მეცნიერებათა აკადემიას სწერდა: რომ რადგანაც გიულდენშტედტს განზრახული აქვს საქართველოზე წიგნის დაწერა, სასარგებლო იქნება მისთვის გაეცნოთ ის ვრცელი ამონაწერი საქართველოს შესახებ, რომელიც საგარეო საქმეთა კოლეგიის დავალებით გაკეთდა 1769 წელს. ამ კოლეგიისავე მოსკოვის არქივში დაცული საქმეებიდან²⁷.

1777 წელს მეცნიერებათა აკადემიის ნებართვითა და ხარჯით გიულდენშტედტმა ბართლომე სავარსამისძეს და პეტრე გრიგორიევს პეტერბურგში ქართულიდან რუსულად ათარგმნინა სეხნია ჩხეიძისა და პაპუნა ორბელიანის ისტორიული თხზულებები სრული მოცულობით²⁸.

1780 წლის 12 ივნისს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის კონფერენციის სხდომაზე მან წაიკითხა მოხსენება: „Von einigen Völkern in den Kaukasischen Gebürgen, die mit Ungarn verwandt sind etc.“²⁹. („კავკასიის მთებში მოსახლე ზოგიერთ ხალხზე, რომლებიც უნგრელებს ენათესავებიან და სხვა“).

²⁴ Труды Архива Академии наук, т. II, вып. 5, М., 1945, გვ. 237.

²⁵ Протоколы ... т. II, 1744—1770 гг., СПб., 1899, т. III, 1771—1785 гг. СПб., 1900.

²⁶ ვრცლად იხ. ვ. გამრეკელი, „1772 წლის საქართველოს რუკა“, თბ., 1964.

²⁷ მაალ, ფ. 21, ან. 3, ს. 38, ფურც. 3.

²⁸ მაალ, ფ. 1, ან. 100, ს. 19, ფურც. 26.

²⁹ Протоколы ..., т. III, СПб., 1900, გვ. 474.

გილდენშტედტს ჰქონდა ამ ხასიათის სხვა სტატიებიც, მაგრამ მისი შრომების უმრავლესობა საბუნებისმეტყველო ხასიათისა იყო. მათ ის აქვეყნებდა მეცნიერებათა აკადემიის პერიოდულ გამოცემებში: „*Novi Commen tarii Academiae Petropolitanae*“ — „*Acta Academiae*“.

გილდენშტედტი გარდაიცვალა 1781 წლის მარტში ისე, რომ ვერ მოასწრო საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის შესახებ რაიმე კაპიტალური შრომის გამოცემა, ვერც ექსპედიციის დღიურისა და ექსპედიციის მიერ შეგროვილი მასალის უმეტესი ნაწილის გამოქვეყნება. მას არ ჰყავდა პირდაპირი მემკვიდრეები და გარდაცვალების შემდეგ მისი პირადი არქივი, ხელნაწერები და ბიბლიოთეკა ჩაიბარა მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენელმა. ხელნაწერებითა და სხვადასხვა საბუთებით გავსებული იყო ორი სკივრი, რომლებიც დაილუქა და გადაეცა აკადემიის არქივს, ხოლო ჰერბარიუმი გადაეცა ბუნებისმეტყველების კაბინეტს³⁰.

აკადემიის კონფერენციის 1781 წლის 28 მაისის გადაწყვეტილებით გმელინისა და გილდენშტედტის მოგზაურობათა მასალების მომზადება მომსახურებელი საცემად დაეკისრა პ. პალასს. კონფერენც-მდივანს დაევალა ორივე გარდაცვლილი აკადემიკოსის ყველა ქაღალდის პაგინირება და ორი კატალოგის შედგენა. ერთი კატალოგი მიეცემოდა პალასს, მეორეზე კი მას ხელი უნდა მოეწერა და დარჩენილიყო აკადემიის არქივში³¹.

ეს ამბავი ცხადად გვიჩვენებს თუ რა სიფრთხილით ეკიდებოდა მეცნიერებათა აკადემია გილდენშტედტის ხელნაწერებს და რა გულისხმიერებას იჩენდა ავტორისეული უფლებების დაცვისადმი.

პალასმა პირველ რიგში დაასრულა გმელინის დღიურის ბოლო ნაკვეთის გამოსაცემად მომზადება და 1783 წლის აგვისტოში გადასცა სტამბას. ამავე დროს ის შეჰპირდა აკადემიის კონფერენციას გილდენშტედტის დღიური დაუგვიანებლად წარმოდგენას დასასტამბავად.

მეცნიერთა საზოგადოებრიობა დიდი მონდომებით მოელოდა გილდენშტედტის ექსპედიციის მასალების გამოქვეყნებას, მაგრამ პალასი აგვიანებდა დანაპირების შესრულებას.

ორ წელიწადში პალასმა შეძლო ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. მისი რედაქტორობით, მეცნიერებათა აკადემიამ გამოსცა ორ ტომად (I ტომი 1787 წელს და II ტომი 1791 წელს) გილდენშტედტის ექსპედიციის მასალების დიდი ნაწილი გერმანულ ენაზე: D. J. A. G ü l d e n s t ä d t, *Reisen durch Russland und im Caucasischen Gebürge*. St. — P. საქართველოსა და კავკასიაში მოგზაურობა და ამ მხარეთა თემატური აღწერილობები მოქცეულია პირველ ტომში. მეორე ტომი შეიცავს რუსეთსა და უკრაინაში მოგზაურობას და დართული აქვს სხვადასხვა კავკასიური ენების ლექსიკურა კონები.

საქართველოსა და კავკასიისმცოდნეობის განვითარებისათვის გილდენშტედტის მეცნიერული მემკვიდრეობიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი

³⁰ Протоколы..., т. III, СПб., 1900, გვ. 524.

³¹ Monsieur le professeur Pallas sera l'editeur des voyages de feu M-s Cmel'n et G ü l d e n s t ä d t. Le secretaire fera à cet effet numèroter tous les papiers des deux Academiciens defunts, dont il y aura deux catalogues détaillès. Mr. Pallas en recevant les papiers avec l'un des catalogues, signera l'autre qui doit rester aux Archives et certifiera avoir reçu tout ce qui y contenu“. იქვე, გვ. 532.

იყო ზემოხსენებული პირველი ტომი. ამ წიგნიდან კარგად ჩანს თუ რა იშვიათი შრომისუნარიანობა და ინტერესთა გასაოცარი მრავალმხრივობა გამოიჩინა მან. მისი ცნობისმოყვარეობისა და დაკვირვებათა არეში მოექცა არა მხოლოდ საქართველოს მცენარეულობა, ნიადაგები და წიაღისეული სიმდიდრე, ხალხის ყოფა-ცხოვრება, არამედ, ისეთი სპეციფიკური მასალებიც კი როგორიცაა ნუმიზმატიკური ფაქტები, ეპიგრაფიკული ძეგლები, ხმარებული ზომა-წონის ერთეულები, ონომასტიკა, ტოპონიმია და სხვ.

სავსებით მართალი იყო განსვენებული პროფ. მ. პოლიევქტოვი, როდესაც გილდენშტედტის მასალების ორტომეულის შეფასებაში წერდა: „Двухтомный труд Гюльденштедта, заключающий в себе подробное, обстоятельное и в высшей степени добросовестное описание всего его путешествия,..., не поддается краткому резюме с выделением отдельных его наиболее интересных и значительных частных. Для Кавказа, главным образом Северного, и Грузии „Reisen..“ Гильденштедта — капитальный труд, какого до того времени не было еще ни в русской, ни в западноевропейской кавказоведческой литературе“³².

ამრიგად, რუსული საქართველოსმცოდნეობა თავის ობიექტის შეცნობის სისრულისა და სიზუსტის მხრივ, გილდენშტედტის ექსპედიციის მასალების გამოქვეყნებით, ახალ უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა.

XVI—XVII სს. მანძილზე რუსული საქართველოსმცოდნეობა მხოლოდ ელჩებისა და სამხედრო პირების საანგარიშო მოხსენებებზე იყო დამყარებული. გილდენშტედტის ექსპედიციით რუსული საქართველოსმცოდნეობაში ახალი პერიოდი დაიწყო. თვით ფაქტობრივ მასალასაც ის სხვაგვარად გვაწვდის; აშკარად ჩანს მეცნიერული მეთოდურობა და სისტემატურობა ფაქტების თუ ცნობების დალაგებასა და გადმოცემაში. მაალ-ში დაცული მასალებიდან³³ ირკვევა, რომ გილდენშტედტი საბუნებისმეტყველო დარგების ლიტერატურასთან ერთად საფუძვლიანად გაეცნო საქართველოსა და კავკასიის შესახებ არსებულ ისტორიულ-გეოგრაფიულ ლიტერატურას და ამისათვის ფართოდ ისარგებლა მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდით. ის იცნობს ანტიკურ და ბიზანტიელ მწერლებს (სტრაბონს, პროკოფი კესარიელს, კონსტანტინე პორფიროგენეტს), Stritter-ის გამოცემას, სხვადასხვა გვიანდელ მოგზაურთა აღწერილობებს და სხვ. მაშასადამე, გილდენშტედტი ეცნობოდა საქართველოს და ამუშავებდა ექსპედიციაში მოპოვებულ მასალებს არა მხოლოდ საბუნებისმეტყველო ცოდნით აღჭურვილი.

ამრიგად, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის პირველი ექსპედიცია საქართველოში იყო კარგად მოფიქრებული ფართე მეცნიერული და სახელმწიფო ღონისძიებათა ერთ-ერთი რგოლი; და ის განხორციელდა არა შემთხვევით, არამედ რუსეთისა და საქართველოს მხრივ რიგი ხელშემწყობი წანამძღვრების საფუძველზე.

1768—1774 წწ. საექსპედიციო კომპანიის ისტორიულ პერსპექტივაში გააზრება ჯერ კიდევ 30 წლის წინ სცადა განსვენებულმა პროფ. მ. პოლიევქ-

³² М. А. Полиевктов, Европейские путешественники, გვ. 125.

³³ მაალ, ფ. I, ან. 100, ს. 3, ფურც. 231—234, 241; ფ. I, ან. 100, ს. 29, ფურც. 1—10, 20—22.

ტომმა³⁴. ის უკავშირებდა აკადემიურ ექსპედიციებს, რუსეთის ბატონყმური მეურნეობის განვითარებას და რუსეთის ექსპანსიას. მას მიაჩნდა, რომ „необходимо увязать экспедицию 1768—1774 гг. с наиболее выпуклыми явлениями социально-экономической и политической жизни России той эпохи“³⁵. შემდეგ, მთელი რიგი ფაქტებისა და ისტორიული პროცესების გათვალისწინების საფუძველზე აკეთებს დასკვნას: „Все это дает основание говорить об экспедиции 1768—1774 гг., как об определенном социально-политическом заказе и повелительно требует тесно увязывать эту экспедицию... с завоевательной политикой русского царизма в это время, в частности — с его наступлением на Кавказ“³⁶. მოსაზრება, რომ საქორაო ექსპედიციის დაკავშირება იმდროინდელი რუსეთის სოციალ-ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებასთან და, კერძოდ, ამავე წლების რუსეთ-თურქეთის ომთან, უთუოდ გასაზიარებელია. ექსპედიციის ისტორიის გაცნობის შედეგად ჩვენ იმაშიც ვრწმუნდებით, რომ ექსპედიციის ორგანიზაციის სხვადასხვა ეტაპზე ყველა მნიშვნელოვანი საკითხი წყდებოდა საიმპერიო ხელისუფლებასთან შეთანხმებით და მის მისწრაფებათა შესაბამისად, ზოგჯერ მისი ინიციატივითაც კი; უეჭველია, რომ საიმპერიო ხელისუფლება სოციალურ-პოლიტიკური „დამკვეთის“ როლში გამოდის.

მართალია, ეს ექსპედიცია გარკვეულ სოციალურ-პოლიტიკურ „დაკვეთას“ ასრულებდა; მაგრამ სინამდვილეში მისი საქმიანობა და მოპოვებული შედეგები „დაკვეთის“ ფარგლებს შორის სცილდება და უფრო ფართო, არასწრაფვარმაგალი მნიშვნელობის მოვლენად იქცა.

ამის საწინდარი იყო ექსპედიციათა ხელმძღვანელების უანგარო ენთუზიაზმი, მეცნიერებათა აკადემიის უშუალო მონაწილეობა და ხელმძღვანელობა. ამ სტატიაში მოხსენიებული რიგი ფაქტები და აკადემიის კონფერენციის ოქმები თუ მიმოწერები ცხადლივ გვიჩვენებს, რომ მეცნიერებათა აკადემია ვილდენშტედტის ექსპედიციის საქმიანობას დიდი გულისხმიერებით ადევნებდა თვალყურს; ჯეროვნად შეაფასა მისი მეცნიერული ღირებულება და ბოლოს, იზრუნა მოპოვებული მასალის გამომზეურებაზე.

ექსპედიციამ დასაბამი მისცა რუსულ აკადემიურ საქართველოსმცოდნეობას და დიდად შეუწყო ხელი საქართველოს შესახებ ცნობების პოპულარიზაციას რუსეთსა და დასავლეთ ევროპაში. სწორედ იმიტომ, რომ ექსპედიციამ „დაკვეთაზე“ მეტი გააკეთა, მის მასალებს დღესაც არ დაუკარგავთ ღირებულება და გვეხმარება ისტორიულ და ეთნოგრაფიულ ძიებებში, საქართველოს ბუნების შესწავლაში ისტორიულ ჭრილში და არც მომავალში დაეკარგებათ ეს მნიშვნელობა³⁷.

³⁴ М. А. Полневктов, Из истории русского академич. кавказоведения XVIII в., см. Известия АН СССР 1935, №8, გვ. 759—774. (ეს სტატია განსაკუთრებით საინტერესოა საკითხის თავისებური დასმით და გამოთქმული რიგი მოსაზრებებით). მისივე, Эвропейские путешественники XIII—XVIII вв. по Кавказу, Тифлис, 1935, მისივე, Экономич. и политич., разведки Московского государства XVII в. на Кавказе, Тифлис, 1932.

³⁵ იქვე, გვ. 762.

³⁶ იქვე, გვ. 767.

³⁷ სადღესოდ პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის პირველი ექსპედიციის მიერ მოპოვებული მასალების უმეტესი ნაწილი საქართველოს შესახებ ქართულად თარგმნა და გამოსცა ორ წიგნად („ვილდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში“. ტ. 1, 1962 და ტ. 11, 1964.) გ. გელაშვილმა. ვილდენშტედტის კარტოგრაფიულ შრომას მიეძღვნა ჩვენი გამოკვლევა — „1772 წლის საქართველოს რუკა“, 1964.

საექსპედიციო მასალების, როგორც კავკასიათმცოდნეობითი წყაროს საერთო მაღალ შეფასებასთან ერთად აღიარებულ უნდა იქნას ისიც, რომ გილდენშტედტის დაკვირვებები და დაკვირვებებიდან გამოტანილი დასკვნები ყველა სწორი და თანაბარი ღირებულების არ არის. განსაკუთრებით ეს ითქმის ქვეყნის შინაგანი წყობის და ცხოვრების გაგებაზე. საქართველოს კულტურული, მართლმსაჯულებრივი, სამეურნეო და სხვა მდგომარეობათა მისი შეფასება უკრიტიკოდ და უკორექტივოდ ვერ მიიღება. საჭიროა მათი პირობითი ხასიათის გათვალისწინება. მას გამორჩა რიგი არსებითი ხასიათის მომენტები და ამიტომ არ შეიძლება, რომ ჰქონოდა სრული და სწორი წარმოდგენა საქართველოში არსებულ მდგომარეობაზე. მით უფრო, რომ ის არ არის თავისუფალი ფაქტობრივი ხასიათის შეცდომებისაგანაც. გაზრდილი რუსეთსა და გერმანიაში, იქაური წარმოდგენებით და კრიტერიუმებით აღჭურვილი ის, რასაკვირველია, გარკვეულ სუბიექტურობასაც ვერ აიცილენდა თავიდან. ყოველივე ამასთან ერთად მაინც ვაღიარებთ, რომ გილდენშტედტი და მისი სამეცნიერო ექსპედიცია საქართველოსმცოდნეობის ისტორიაში მნიშვნელოვანი დადებითი მოვლენა იყო. ამიტომ სავსებით სწორია ასეთი განსჯა, რომ „знаменитые экспедиции Академии наук конца 60-х — начала 70-х годов XVIII в. были чрезвычайно важным событием научной жизни страны, оказавшим влияние на развитие не только географической, но и других наук“³⁸.

³⁸ История Академии наук СССР, т. I (коллектив авторов) М. — Л., 1958, გვ. 367.

ქრისტინე (ჩიტო) შარაშიძე

ქართველ ისტორიკოსთა რიგებს გამოაყლ-და შესანიშნავი მეკლევარი და მოქალაქე ქრის-ტინე (ჩიტო) გიორგის ასული შარაშიძე, რო-მელიც დაახლოებით შვიდი ათეული წელი უანგაროდ ემსახურა თავის ქვეყნისა და ხალ-ხის კეთილდღეობას.

იგი დაიბადა 1887 წ. 2 აგვისტოს სოფ. ბახე-ში (მახარაძის რაიონი) ცნობილი პედაგოგე-ბისა და საზოგადო მოღვაწეების ნინო და გი-ორგი (გიგო) შარაშიძეების ოჯახში.

პირველდაწყებითი განათლება ქრ. შარაში-ძემ ბახვის სკოლაში მიიღო. 1899 წ. კი ჩაი-რიცხა ქუთაისის გიმნაზიის (წმ. ნინოს სას-წავლებლის) მესამე კლასში. 1904 წ. იგი გა-რიცხეს გიმნაზიიდან მოწაფეთა მოძრაობაში მონაწილეობისათვის. ერთი წლის შემდეგ ქრ. შარაშიძე ამთავრებს გიმნაზიის კურსს.

1905 წლიდან შარაშიძეების ოჯახი თბილის-შია, სადაც ოჯახის მთელი უმცროსი თაობა (ორი ვაჟიშვილი და ორი ქალიშვილი) მხურ-ვალედ მონაწილეობს რევოლუციურ მოძ-რაობაში.

სრულიად ახალგაზრდა ქრ. შარაშიძე პედა-გოგიურ მოღვაწეობას იწყებს ჯერ ქუთაის-ში — რუსულ ენას ასწავლის დაბალ კლასებ-ში, ხოლო შემდეგ თბილისში — ქართულ ლი-ტერატურას უფროს კლასებში.

1910 წ. ქრ. შარაშიძემ მონაწილეობა მიიღო ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის ორგანიზა-ციაში. არჩეული იყო ამ უნივერსიტეტის გამ-გეობის წევრად (მდივნად) და იქვე კითხუ-ლობდა ლექციებს. ქრ. შარაშიძე იყო პირველი ქართველი ლექტორი ქაღი.

1917 წ. აირჩიეს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობის წევრად. ამავე წელს, სათანადო თანხის შეწირვის შემდეგ იგი მიიღეს „ქარ-თული უნივერსიტეტის დამაარსებელი საზო-გადოების“ დამფუძნებელ წევრად. ეს უნივერ-სიტეტი მან 1931 წ. დაამთავრა.

1917—21 წწ. საბავშვო ჟურნ. „ჯეჯილის“ რედაქტორის ანასტასია თუმანიშვილ-წერეთ-ლის მიწვევით ქრ. შარაშიძე ჟურნალის სა-რედაქციო კოლეგიის აქტიური წევრია.

1920 წელს აქვეყნებს ბროშურას მოსწავ-ლეთათვის: „მებრძოლი ფიქრის პოეტი ნ. ბა-რათაშვილი“.



1923 წლიდან ქრ. შარაშიძე მეცნიერულ მუ-შაობას იწყებს თბილისის პედაგოგიურ მუ-ზეუმში. შემდეგ კი საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ბიბლიოთეკის გამგის თანამდ-ებობაზე.

1929 წლიდან მუშაობდა საქართველოს სა-ხელმწიფო მუზეუმში ბიბლიოგრაფად, ხოლო 1934 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნი-ვერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

1936—37 წწ. ქრ. შარაშიძე ჩვეული ენერ-გიითა და გატაცებით მუშაობს შ. რუსთავე-ლის საიუბილეო გამოფენის მოსამზადებლად მისი ხელმძღვანელობითა და უშუალო მონა-წილეობით შედგა რუსთაველის პირველი ვრცე-ლი ბიბლიოგრაფია (2000 ბარათზე მეტი).

1938—41 წლებში საქართველოს სახელმწი-ფო წიგნის პალატის მიწვევით მუშაობდა „ქართული წიგნის“ ბიბლიოგრაფიის I ტომის შედგენაზე. ამ გამოცემაში ქრ. შარაშიძეს ეკუ-თვნის: 1. შესავალი (V—XXIX გვ.), 2. ძვე-ლი ნაბეჭდი წიგნების აღწერილობა (1—115 გვ.), 3. სასტამბო და საგამომცემლო ტერმინები

(465—469 გვ.). მის მიერვეა შერჩეული სა-
ილუსტრაციო მასალა.

ძველ ნაბეჭდ წიგნებზე და იშვით გამოცე-
მებზე მუშაობამ ნიჭიერ მკვლევარს შესაძ-
ლებლობა მისცა თვალი გაედევნებინა ქართუ-
ლი წიგნის ბეჭდვის ისტორიისათვის. ფაქტი-
ური მასალის საფუძველზე მან დაადგინა და
გამოავლინა მანამდე უცნობი მრავალი ფაქტი
ქართული წიგნის ბეჭდვის განვითარების გზე-
ბის შესახებ. სწორედ ამ საკითხებს ეძღვნება
მისი სტატიები: „ქართული ნაბეჭდი სახელ-
მძღვანელოები მეთვრამეტე საუკუნეში“, „ქარ-
თული საანბანო წიგნები მეცხრამეტე საუკუ-
ნემდე“, „ქართული შრიფტი ამსტერდამში“,
„იმერეთის სტამბის ისტორიისათვის (1800—
1803)“, „ვახტანგ VI სტამბის მხედრული შრიფ-
ტის საკითხი“ და ვრცელი მონოგრაფია „პირ-
ველი სტამბა საქართველოში“.

1940 წლიდან ქრ. შარაშიძე ივ. ჯავახიშვი-
ლისა და სიმ. ჯანაშიას მიწვევით მუშაობას
იწყებს ქართული ხელნაწერების ანდერძ-მინა-
წერების გადმოღება-შესწავლაზე. ამ დროიდან
სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ქრ. შარაში-
ძის კვლევისა და ზრუნვის საგანი ქართული
ხელნაწერები იყო. იგი მუშაობს ჯერ საქარ-
თველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა
განყოფილებაში, ხოლო 1958 წლიდან — ხელ-
ნაწერთა ინსტიტუტის დაარსებიდან — ამ ინს-
ტიტუტში.

ხელნაწერთა მინაწერებზე მკვლევრისათვის
ჩვეული გულმოდგინებით მუშაობამ თავისი
შედეგი გამოიღო. მის მიერ ხელნაწერთა გამ-
ქრქალბუთე-გადარეცხილ ფოლიანტებზე ამო-
კითხულმა მრავალრიცხოვანმა ანდერძ-ალაპებ-
მა, ქრონიკებმა, სულთა მატიაწებმა თუ დო-
კუმენტებმა ახალი შუქი მოჰფინა საქართვე-
ლოს ისტორიაში მანამდე უცნობ არა ერთ
საკითხს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ქ. შარაშიძის
დამსახურება სამხრეთ საქართველოს ისტო-
რიის შესწავლის საქმეში. მის თავდადებულ
შრომას, მეცნიერულ ალღოსა და ნიჭს უნდა
ვეუბადლოდეთ, რომ დღეისათვის ხელთ გვაქვს
სამცხე-საათაბაგოსა და ხევის სოციალურ-პო-
ლიტიკური ისტორიის არა ერთი საინტერესო,
დადგენილი ფაქტი. ქრ. შარაშიძემ გამოა-
ვლინა XIV—XV სს. ხევში, ისეთი სოციალური
მოვლენების არსებობა, როგორიც იყო „სა-
ყდროშვილობა“ და „მოკიდება“. მან დაასაბუ-
თა, რომ მთიანეთშიც ფეოდალური წესები არ-
სებობდა და შეინიშნებოდა ფეოდალურ და-
წესებულებათა თანდათანობით დაშლის პრო-
ცესი, „მ ა ც ნ ე“, ისტორიის... სერია, 1974, № 1.

ცესი, რაც დაკავშირებული იყო საქართვე-
ლოს სოციალურ-პოლიტიკურ ისტორიასთან.

მანვე გამოავლინა XV საუკ. უცნობი მეფე
ვახტანგ, ძე გიორგი მეფისა და ყვარყვარე ათა-
ბაგის ასულის თამარისა, რომელიც არადეთის
ომში კონსტანტინე მეფის დამარცხების შემ-
დეგ თავისი პაპის ყვარყვარეს დახმარებით
უნდა დამჭდარიყო ქართლის ტახტზე 1484 წ.

ქრ. შარაშიძის დამსახურებაა მეცნიერების
წინაშე, რომ ჩვენ დღეს გარკვეული წარმოდ-
გენა გვაქვს ჯაყელთა სახლის ისტორიის შესა-
ხებ, ვიცნობთ ამ სახლის წარმომადგენლებს,
ვიცით მათი მოღვაწეობის შესახებ.

მის არქივში დაცული სხვა გამოუქვეყნე-
ბელ ნაშრომებთან ერთად, გამოსაცემად მომ-
ზადებული „ალის მონასტრის საბუთები და
ალაპები“ ასევე სამხრეთ საქართველოს დღემ-
დე უცნობ საკითხებს ეხება, კერძოდ, ჯა-
ყელთა ერთი შტოს, ბოცოსძეთა სახლის ის-
ტორიას. ჩვენ გვინდა გავიმეოროთ, რომ
მართლაც, ივ. ჯავახიშვილის შემდეგ სამხ-
რეთ საქართველოს ისტორიის შესწავლაში
ქრ. შარაშიძის ოდენი დამსახურება არავის
მიუძღვის.

იგი წერდა მსუბუქი, ადვილად გასაგები
მეტყველებით, ამიტომაცაა, რომ მის მიერ
დაწერილი ყოველი საკითხი ინტერესით იკი-
თხება.

დიდი ღვაწლი მიუძღვის განსვენებულ მე-
ციწიერ ქართულ ხელნაწერთა აღწერა-გამოქვეყ-
ნების საქმეშიც. საკმარისია აღინიშნოს, რომ
მის მიერ აღწერილი და შესწავლილია IX—
XIX სს. 1500-ზე მეტი ხელნაწერი.

ქრ. შარაშიძის სახელთანაა დაკავშირებული
1241 წლის შესანიშნავი პარხლის ოთხთავის
აღმოჩენაც (1945 წ.).

1964 წლიდან ქ. შარაშიძე პენსიაზეა. მაგ-
რამ, ცხოველი ინტერესი სამეცნიერო საკითხე-
ზისადმი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მას
არ განელეზია.

მიუხედავად ხანდაზმულობისა ძნელია შეუ-
ჩივრად აზრს, რომ იგი აღარ არის ჩვენს შო-
რის, მუდამ ფაქიზი ადამიანებთან დამოკიდე-
ბულებაში, გონიერი მასწავლებელი და კეთი-
ლი მრჩეველი.

მის უმცროს კოლეგებს მუდამ ეხსოვებათ
ეს დაუზარელი, ხალისიანი ადამიანი, რომელ-
საც ბუნებრივ ნიჭსა და შრომისმოყვარეობას-
თან ერთად დიდი კაცთმოყვარე გულიც
ჰქონდა.

ჩვენი წმინდა ვალაა მისი მემკვიდრეობა სა-
თუთად გადაცემოთ მომავალ თაობებს.

დარეჟან მებრელები


თამარ გამსახურდია

გარდაიცვალა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის დოცენტი თამარ კონსტანტინეს ასული გამსახურდია. მეცნიერ-ისტორიკოსის ასაკისათვის სავსებით ახალგაზრდა მოწყდა საყვარელ საქმეს, რომელსაც შეალია მთელი თავისი ნიჭი, ენერგია და შრომის უნარი.

თამარ გამსახურდია დაიბადა თბილისში 1937 წელს კონსტანტინე გამსახურდიას ოჯახში. 1954 წელს ოქროს მედლით დაამთავრა ქალთა პირველი საშუალო სკოლა და შევიდა თბილისის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე. სტუდენტობის წლებში გამოვლინებულმა კვლევის უნარმა და შრომის სიყვარულმა განსაზღვრა მისი სამეცნიერო მომავალი. 1959 წელს ჩარიცხეს ასპირანტურაში, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა საქართველოს ისტორიის კათედრაზე ჯერ ლაბორანტად, 1966 წლიდან — ასისტენტად, 1971 წლიდან სიცოცხლის დასასრულამდე კი დოცენტად.

თ. გამსახურდიას კვლევის სავანი იყო ანტიკური და ადრეფეოდალური ხანის ქალაქების ისტორია, რომელსაც წარმატებით ამუშავებდა გამოჩენილი ქართველი მეცნიერის შ. მესხიას ხელმძღვანელობით. 1966 წელს დაასრულა მონოგრაფია „IV—VI საუკუნეების ქართლის ქალაქების ისტორიიდან“, რომლის გამო მიეკუთვნა ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ II ტომის ერთ-ერთი ნაწილია მისი ნაშრომი ადრეფეოდალური ხანის ქალაქებსა და საქალაქო ცხოვრებაზე.

თ. გამსახურდიას დაწყებული პეტონდა მონოგრაფია ძველი საქართველოს სახელმწიფოებრივი სტრუქტურის პრობლემებზე, რომლის ნაწილია გამოკვლევა „პიტიასშის ინსტიტუტის საკითხისათვის“. ამ ნაშრომში ახლებურად არის გააზრებული და ახსნილი ძველი საქართველოს სახელმწიფო წყობილების ზოგიერთი საკითხი.



გამოკვლევამ სპეციალისტთა დიდი ყურადღება დაიმსახურა, ითარგმნა სომხურ ენაზე და გამოაქვეყნა კიდეც სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიამ.

წლების მანძილზე თ. გამსახურდია კითხულობდა ლექციებს საქართველოს ისტორიაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის, ფილოლოგიისა და ფილოსოფია-ფსიქოლოგიის ფაკულტეტებზე, სტუდენტებს აცნობდა ჩვენი ქვეყნის წარსულსა და მატერიალური კულტურის მდიდარ ძეგლებს.

ჩინებული ლექტორი, შესანიშნავი მკვლევარი და მეგობარი — ასეთი ღირსება ყველას მესიერებაში თამარ კონსტანტინეს ასული გამსახურდია.

ՄԱՇՈՒՆԵ

Серия истории, археологии, этнографии и истории искусства, 1974, № 1.

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19

Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ტელეფონი 37-24-07 ტელეფონ

ხელმოწერილია დასაბეჭდად 19.VI.74; შეკვ. № 278; ანაწილის ზომა 7×12 ;
ქაღალდის ზომა $7 \times 108^{1/16}$; ნაბეჭდი თაბახი 17.68; სააღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 15.95; უე 50944; ტირაჟი 1.000.

ფასი 1 ზან.

*


გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19

Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова 19

*

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19

Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19



ფასი 1 მან.

Индекс 76 197